

დასავლეთ ევროპის  
ფსიქოლოგიის  
თანამედროვე მიმდინარეობანი  
კრებული

დიმიტრი უზნაძის რედაქციით



გამომცემლობა  
„საქართველოს მაცნე“  
2009

გამოცემის სპონსორი

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი  
**ქართუ**

გამომცემელი  
დიმიტრი შიშინაშვილი  
შპს „ცის ნაში“

მხატვარი  
ვახტანგ რურუა

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
ივანე კიკნაძე

წიგნის პირველი გამოცემა დაისტამბა  
ხელნაწერი დედნიდან დამზადებული საბეჭდი ფორმებით

კალიგრაფი  
ი. ფანოზიშვილი

---

ყველა უფლება დაცულია

© დ. უზნაძე

ISBN 978 9941 406 68 3

# შინაარსი

წინასიტყვაობა.....	6
რედაქტორის წინასიტყვაობა .....	8
ვილჰელმ ვუნდტის ფსიქოლოგია	
დრ. ა. ჰოისნერი, ქ. კასელი.....	11
ვიურცბურგის სკოლა	
პროფ. დრ. ავგუსტ მესერი, ქ. გისენი.....	32
პერსონალისტური ფსიქოლოგია	
პროფესორი დოქტორი ვ. შტერნი, ჰამბურგი .....	43
I. პიროვნება .....	44
II. ფსიქიკური .....	50
გონისგაცნობიერებითი ფსიქოლოგია	
რ. პაულ ბოდე, პედაგოგ. აკადემიის დოცენტი – ელზინგი .....	59
ფსიქონალღი	
პროფ. კუტელნერი (ბონნი).....	83
ინდივიდუალფსიქოლოგია	
დ-რ ალფრედ ადლერი, ვენის პედ. ინსტიტუტის დოცენტი.....	97
ლანიცბის სკოლა	
დოც. ა. ბოჭორიშვილი.....	109
კრიტიკა .....	142
გეზტალტფსიქოლოგიური კვლევა	
პროფ. დოქტორი მ. ვერტჰაიმერი. – ბერლინი .....	174
„გეზტალტ-თეორია“	
ფ. ხარაზიშვილი .....	183

## წინასიტყვაობა

კრებული, რომელიც დიდი ქართველი ფსიქოლოგის, დიმიტრი უზნაძის წინასიტყვაობითა და რედაქციით გამოიცა გასული საუკუნის 30-იან წლებში, დღეს რარიტეტია. თავის დროზე კი იგი საგანგებოდ შეიქმნა, როგორც სახელმძღვანელო; დიმიტრი უზნაძის სიტყვებით – „ჩვენი უმაღლესი სკოლის სტუდენტებისთვის“. კრებული 1935 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოსცა და მასში XX საუკუნის პირველი ნახევრის წამყვანი ფსიქოლოგიური თეორიები და მიმდინარეობები წარმოდგენილი, რომელთა გარეშე დღეს ფსიქოლოგიური მეცნიერება არათუ ვერ მოიაზრება, არამედ ვერც იარსებებდა. დიმიტრი უზნაძე, რომელიც თვითონ პირადად იცნობდა ბევრი კლასიკური თეორიის ფუძემდებელს და მათ შეხედულებებს უშუალოდ იყო ნაზიარები, აუცილებლად თვლიდა ქართველი სტუდენტები მათ შორამებზე გაზრდილიყვნენ. ეს კი დიმიტრი უზნაძისგან დიდ გაბედულებას მოითხოვდა, რადგან ეს იყო დროს, როდესაც უცხოელი მეცნიერები, მათ შორის ვუნდტი, ფროიდი, ვერთჰაიმერი, კრიუგერი და სხვები ბურჟუაზიულ და, ამდენად, რეაქციულ ფსიქოლოგებად იწოდებოდნენ, ხოლო საბჭოთა სივრცეში მხოლოდ დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპებზე აგებულ მეცნიერებას ჰქონდა არსებობის უფლება. მაგრამ დღევანდელი გადასახედიდან არა მხოლოდ იმიტომ არის ეს კრებული ღირშესანიშნავი, რომ ფსიქოლოგიის უმნიშვნელოვანესი ფსიქოლოგიური სკოლების მიმოხილვაა მოცემული თვით მათი ავტორებისა ან ამ სკოლების წარმომადგენლების მიერ, არამედ იმიტომაც, რომ მის შედგენაში, თარგმნასა და ორიგინალურ გააზრებაში მონაწილეობა აქვთ მიღებული ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ისეთ დიდ წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ ერეკლე აბაშიძე, ანგია ბოჭორიშვილი და ფელიქს ხარაზიშვილი. ფაქტობრივად, ეს კრებული ქართულ ენაზე გამოცემულ ფსიქოლოგიის ისტორიის პირველ სახელმძღვანელოს წარმოადგენს, რომელშიც მე-20 საუკუნის უმნიშვნელოვანესი მიმდინარეობებია განხილული და რომელზეც ქართველ ფსიქოლოგთა რამდენიმე თაობა აღიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ დღეს თანამედროვე სტუდენტებს აქვთ საშუალება სხვადასხვა ენაზე გაეცნონ ფსიქოლოგიის ისტორიის სახელმძღვანელოებს, სულ ახლა-

ხანს ქართულ ენაზე გამოვიდა პროფესორ ირ. იმედაძის ფუნდამენტური ნიგნები „XX საუკუნის ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობები“ (2004 წ.) და „ფსიქოლოგიის ისტორია“ (2008), დიმიტრი უზნაძის რედაქციით გამოცემულ კრებულს შემეცნებითი და ინფორმაციული ღირებულების გარდა, სხვა ხიბლიც აქვს: იგრძნობა საქართველოში მეცნიერული განვითარების პირველი წლებიდანვე სტუდენტების განათლებისთვის ქართული ფსიქოლოგიის კორიფების ზრუნვა – ქართულ ენაზე შეექმნათ სტუდენტებისთვის სახელმძღვანელოები, რათა ქართველი ახალგაზრდების დონე არ ჩამორჩენოდა დასავლეთის უნივერსიტეტებში მოსწავლე სტუდენტებისას, არ მოკლებოდათ ქართულ ენაზე იმ დროისთვის საერთაშორისო მნიშვნელობისა და აქტუალობის ახალი სამეცნიერო ინფორმაცია. გარდა ამისა, ენა და სტილი, როგორც არის კრებულში წარმოდგენილი შრომები, გასული საუკუნის დასაწყისის ელფერს ატარებს და ამითაც ხდება ის მიმზიდველი და ისტორიული თვალსაზრისით საინტერესო.

დიმიტრი უზნაძის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოცემული, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად ქცეული კრებული „დასავლეთ ევროპის ფსიქოლოგიის თანამედროვე მიმდინარეობანი“ არა მხოლოდ სტუდენტებისთვის იქნება სერიოზული დამხმარე სახელმძღვანელო, არამედ ზოგადი ფსიქოლოგიითა და ფსიქოლოგიის ისტორიით დაინტერესებული ფართო საზოგადოებისთვისაც.

*პროფესორი დალი ფარჯანაძე*

*04. 2009 წ.*

## რედაქტორის წინასიტყვაობა

წინამდებარე წიგნი არ წარმოადგენს თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმართულებათა სისტემატური გამოკვლევის ცდას. იგი უფრო კრებულია, რომელიც ასეთ გამოკვლევისათვის ზოგიერთს აუცილებელ ნედლ მასალას შეიცავს. ამიტომ გასაგებია, რომ მკითხველი იქ ვერ მონახავს წარმოდგენილი ფსიქოლოგიური მიმართულებების ვერც კრიტიკულს და ვერც სისტემატურ დამუშავების ცდას. მიუხედავად იმისა, იგი მაინც არ არის ინტერესს მოკლებული. საქმე ისაა, რომ ქართულ ენაზე სამწუხაროდ დღემდე თანამედროვე ფსიქოლოგთა ძირითადი ნაწარმოებების თარგმანიც კი არ მოიპოება. ჩვენი უმაღლესი სკოლის სტუდენტს კი, როგორც უნივერსიტეტში, ისე პედაგოგიურ ინსტიტუტშიც თანამედროვე ფსიქოლოგიური მიმართულებათა სისტემატური შესწავლა უხდება, თავისთავად იგულისხმება, შეუძლებელია მისმა მუშაობამ ამ მიმართულებით ნაყოფიერად იწარმოოს, სანამ იგი სათანადო პირველი წყაროების განცობის შესაძლებლობას მოკლებული იქნება. თანამედროვე ფსიქოლოგთა მთავარი შრომების თარგმნა და ამით სისტემატური კურსისათვის აუცილებელი ფაქტიური მასალის შექმნა მშორს წაგვიყვანდა, ამიტომ ჩვენ მიზნად დავისახეთ თანამედროვე ფსიქოლოგიური სკოლების შეხედულებათა გასაცნობად ის დახასიათება მაინც მოგვეცა თანაბარი სახით, რომელთაც ამ სკოლების მთავარი წარმომადგენელნი ან მათი ცნობილი თანამშრომლები იძლევიან. რასაკვირველია, ეს მასალა თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმართულებათა შესახებ სისტემატური კურსისათვის საეცებით დამაკმაყოფილებელი არაა, მაგრამ ის მაინც საგრძნობლად ავსებს იმ ხარვეზს, რომელიც ჩვენ ფსიქოლოგიურ ლიტერატურაში მოიპოვება, და სტუდენტს მის მუშაობაში თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმართულებებზე თვალსაჩინო დახმარებას აღმოუჩენს. მასალის შერჩევისას ჩვენ, როგორც მნიშვნელობის, ისე სისრულის თვალსაზრისითაც ვხელმძღვანელობდით, მაგრამ აქ ჩვენ განსაზღვრული ვიყავით იმით, რომ თავისი სისტემის მოკლე მიმოხილვა ზოგიერთს მნიშვნელოვანს თანამედროვე ფსიქოლოგს ჯერ კიდევ არ მოუცია. ამიტომაც, რომ ზოგიერთ მათგანის შესახებ ჩვენ კრებულში სრულიად არ მოიპოვება მასალა (მაგ., ჟანე, იენში), ხოლო ზოგიერთს, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობის მქონე ფსიქოლოგიური მიმართულების შესახებ თვი-

თონ მოგვიხდა შედარებით მოკლე მიმოხილვის შედეგენა (მაგ. ა. ბოჭორიშვილის მიმოხილვა ლეიპციგის სკოლის შესახებ).

წინამდებარე კრებულში მკითხველს შესაძლებლობა აქვს გაეცნოს უახლესი ბურჟუაზიული ფსიქოლოგიის ისეთ მიმართულებებს, როგორცაა ვუნდტისა და კრაუგერის, კულპესი და ვერთჰაიმერის, ფრეიდისა და ადლერის მიმართულებები. თანამედროვე საბჭოთა ფსიქოლოგია სულ სხვა პრინციპულ პოზიციებზე დგას, ვიდრე ყველა აქ დასახელებული ფსიქოლოგი. დიალექტიური მატერიალიზმი, რომელიც საბჭოთა ფსიქოლოგიის ძირითად მეთოდოლოგიურ საფუძვლებს იძლევა, მათთვის ყველასთვის უცხოა და უცნობი. ამით აიხსნება ის უმწეობა, რომელსაც აღნიშნული ფსიქოლოგიური მიმართულებები იჩენენ ამ მდიდარი ფაქტიური მასალის ათვისების საქმეში, რომელიც თანამედროვე ფსიქოლოგიაშია დაგროვილი. ამითვე აიხსნება შემდგომი ფაქტიური მუშაობის უპერსპექტივობაც, რომელსაც, როგორც დაკვირვებული მკითხველი დარწმუნდება, ადგილი აქვს თანამედროვე ფსიქოლოგიაში.

თანამედროვე საბჭოთა ფსიქოლოგიაში არა ერთ გზის ყოფილა ნაცადი, ხაზგასმით ყოფილიყო აღნიშნული ყველა ის ნაკლი, რომელიც ამ კრებულშია ნახსენები ფსიქოლოგიური მიმართულებებისათვისაა დამახასიათებელი: მკითხველს ადვილად შეუძლიან მიმართოს რუსულ ფსიქოლოგიურ ლიტერატურას და დანვრილებით გაეცნოს ამ ცდებს.

მთელი მასალა გერმანულიდან არის ნათაგმნი და გარდა ერთი წერილისა (ადლერის ინდივიდუალური ფსიქოლოგია, რომელიც ერეკლე აბაშიძემ თარგმნა), მთლიანად ფელიქს ხარაზიშვილს ეკუთვნის. ამ უკანასკნელსავე ეკუთვნის წერილიც გეშტალტთეორიის შესახებ, რომელიც მან პეტერმანის წიგნის მიხედვით შეადგინა. ფ. კრაუგერის სკოლა, რომელიც უკანასკნელ ხანებში სულ უფრო და უფრო მეტი გავლენით სარგებლობს, დოც. ა. ბოჭორიშვილის მიერაა სისტემატურად პირველ წყაროების დეტალური გაცნობის ნიადაგზე შედგენილი.

*პროფ. დ. უზნაძე*

*5. 07. 1935 წ.*

## პილქელე ვუნდტის ფსიქოლოგია

დრ. ა. ჰოისნერი, ქ. კასელი

ვუნდტი, სპეციალობით მედიკი, ფსიქოლოგიაში ბუნებისმეტყველებიდან მოვიდა. ამ გარემოებამ მთავარი როლი ითამაშა მისი სისტემის ჩამოყალიბებაში. იმ უდავო ფაქტმა, რომ ფსიქიკური მოვლენების სხეულებრივ მოვლენებზეა დამოკიდებული, რომ მთელი გონითი ცხოვრება ტვინის პროცესებთანაა დაკავშირებული, – ძირითად ამოცანად დაუსახა მას უწინარეს ყოვლია ეკვლია სულიერი ცხოვრების სხეულებრივი საფუძვლები.

ამ კვლევის შედეგები მან მოგვცა სამ დიდ ტომში, რომელთაც იგი აქვეყნებდა 1874 წლიდან „ფიზიოლოგიური ფსიქოლოგიის“ სახელწოდებით. სამწუხაროდ ეს სახელწოდება საბაბს გვაძლევს ვიფიქროთ, თითქოს ვუნდტს სულიერი მოვლენების, მატერიალიზმის მაგალითისამებრ, სხეულებრივი მოვლენებიდან გამოყვანა ან მათი საშუალებით ახსნა სურდეს, ანდა თითქოს იგი ფსიქოლოგიას ფიზიოლოგიის უბრალო დანართად და მის ლანდად თვლიდეს. პირიქით, ვუნდტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მართო შემგრძნები აპარატის ანატომიური სტრუქტურითა და ფიზიოლოგიური ფუნქციობით უმარტივესი აღქმაც კი ვერ აიხსნება. ამიტომ შესაძლებელია ფიზიოლოგია ფსიქოლოგიის მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერებად ჩაითვალოს. იგი გვაძლევს აღქმის პროცესების მხოლოდ დაწყებით მომენტებს, მის „პირობებს“.

მეორე მხრით, „წმინდა“ თვითდაკვირვებაც ვერ აღწევს მიზანს, რადგან იგი პირიქით აღქმის პროცესის მხოლოდ ბოლო ნევრებს ხედავს. შემდეგ, რადგან ყოველი სულიერი მოვლენა, მიუხედავად იმისა, რომ იგი ზოგჯერ უცვლელი იგივეობის შთაბეჭდილებას ტოვებს, ნამდვილად პროცესს წარმოადგენს, ამიტომ თვითდაკვირვების საშუალებით ამ პროცესის დაჭერა მისი განცდის მომენტში შეუძლებელი ხდება. შინაგან დაკვირვებაში ჩვენ მხოლოდ მოგონებებთან გვაქვს მუდამ საქმე და, მაშასადამე, უამრავი შეცთომებისა და სიყალბის მსხვერპლი

ვხდებით. ჩვენ არ გაგვაჩნია რაიმე ისეთი „განსაკუთრებული, სასწაულმოქმედი „შინაგანი გრძობა“, რომ ჩვენი შინაგანი ცხოვრება გაგვინათოს.

და საერთოდ, არ არსებობს ცალკე შინაგანი და ცალკე გარეგანი გამოცდილება. ყოველ ალქმაში გარეგანი შთაბეჭდილება შერწყმულია შინაგანი გადამუშავების მომენტთან. გარეგანი გამოცდილების ყოველი საგანი იმავე დროს ჩვენი შინაგანი წარმოდგენაა. ბუნებისმეტყველებასა და ფსიქოლოგიას ერთი და იგივე საგანი აქვთ, ოღონდ თითოეული მათგანი ამ საგანს სხვადასხვა მხრიდან უდგება. თუ ბუნებისმეტყველება ალქმის საგანს მის ალმქმელი ადამიანის თვისებათა გარეშე იხილავს, ფსიქოლოგია იკვლევს სწორედ ალქმის სუბიექტურ ფაქტორს, შეგრძნებებსა და გრძნობებს. ორივე ცდისეული მეცნიერებაა, ოღონდ ფსიქოლოგია – „უშუალო“ გამოცდილების მეცნიერებაა.

ამიტომ ბუნებრივი იქნება ვიკითხოთ, ხომ არ უნდა იხმარებოდეს ფსიქოლოგიაშიც იგივე მეთოდი, რამაც „შუალობით“ გამოცდილების სფეროში, ე. ი. ბუნებისმეტყველებაში, ასეთი ბრწყინვალე შედეგები მოგვცა. ეს მეთოდი – ექსპერიმენტია. მას ერთი დიდი უპირატესობა აქვს: იგი საშუალებას გვაძლევს მუდამ ცვალებადი სულიერი მოვლენები, ასე ვთქვათ, გავამკვიდროთ და ობიექტური, დამკვიდრებლისაგან დამოუკიდებელი, დასკვნები მივიღოთ. ექსპერიმენტში ერთი და იგივე მოვლენა შეიძლება სურვილისამებრ მრავალჯერ განაახლო და შეამოწმო. შეიძლება სურვილისამებრვე გამოიწვიო ესა თუ ის მოვლენა, უცვალო მას პირობები და ამ გზით შეისწავლო, შეადარო.

ვუნდტი ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის დამფუძნებელია. ექსპერიმენტალური ფსიქოლოგია გამოდის იმ წინასწარი, შემოწმების გარეშე დაშვებული, დებულებიდან, რომ ფიზიკურსა და ფსიქიკურ მოვლენებს შორის სრული შესატყვისობა სუფევს, რომ ფსიქიკური მოვლენების პარალელურად ფიზიკური მოვლენები მიმდინარეობენ მუდამ. მაგრამ ეს ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმი უნდა მიღებულ იქნას მხოლოდ როგორც წინასწარი, „ევრისტული მაქსიმა“, სამუშაო ჰიპოთეზი, რათა რომელიმე ფილოსოფიურმა რწმენა-შეხედულებამ თავიდანვე არ შეზღუ-

დოს კვლევის ფარგლები. მხოლოდ შემდგომმა კვლევამ უნდა დაამტკიცოს, რომ ყველა ფსიქიკური მოვლენა, მართლაც-და ერთმნიშვნელოვნად არის დაკავშირებული სხეულებრივ პროცესებთან. ირკვევა, რომ ეს სწორია მხოლოდ ელემენტარული სულიერი პროცესების აღქმის მიმართ. უფრო მაღალ, უფრო რთულ სულიერ მოვლენებში კი ასეთი პარალელიზმი ვეღარ მტკიცდება. ამიტომ ფიზიოლოგიური ფსიქოლოგია და ექსპერიმენტი მხოლოდ შეგრძნება-აღქმისა და ზოგიერთი მარტივი გრძნობითი და ნებელობითი პროცესების საკვლევად თუ არის საკმარისი. ინტელექტუალური პროცესების, სულიერ მოძრაობათა და ნებისყოფის კვლევის დროს კი სხვა მეთოდებიც უნდა დავიხმაროთ.

არსებობს მრავალი ისეთი ფსიქიკური მოვლენა, რომ მათ ვერ გამოიწვევ სურვილისამებრ ისე, რომ არ დაამახინჯო. რელიგიურ და ზნეობრივ განცდებს ლაბორატორიაში ბრძანებისამებრ ვერ გამოიწვევ; თანაც მათ თითქმის არც-კი ახლავთ ხელსახები სხეულებრივი მოვლენები. მაგრამ მათ ობიექტური კვალი დატოვებს ხალხთა ლიტერატურაში, ენაში, მითებში, სამართალში, ადათ-ჩვეულებებში, რელიგიაში, ხელოვნებაში. აქ ცალკე ინდივიდების შემოქმედებასთან კი არა გვაქვს საქმე – რა გინდ დიდი ნვლილიც არ უნდა შეეტანოთ მათ, – არამედ მთელი ტომის, სოციალური ერთეულის, განსაკუთრებით ეროვნული ერთეულის შემოქმედების პროდუქტთან. მათ თავისებურებათა შესწავლიდან და შედარებიდან ჩვენ გამოგვყავს ზოგადი ფსიქიკური კანონები. ამგვარად, ინდივიდუალური ფსიქოლოგიის გვერდით ჩნდება ახალი მეცნიერება: ხალხთა ფსიქოლოგია. მისი წყალობით ფსიქოლოგია ყველა გონითი მეცნიერების საფუძვლად და პირობად იქცევა, უწინარეს ყოვლისა-კი – ისტორიისა, რომელიც ვერ ეგუება საბუნებისმეტყველო კანონზომიერებას.

არ იქნება სწორი, რომ ფსიგოლოგიამ თავის ამოსავალ ნერტილად სხეულისაგან დამოუკიდებელი სულის არსებობის პოსტულატი გაიხადოს და ამ წინასწარ მიღებული სულის ნაწარაუდები თვისებებიდან დასკვნები გამოიყვანოს. ასეთი სულის არსებობა ჯერ კიდევ დასამტკიცებელია. სულის არსებობის საკითხი კვლევა-ძიების შედეგად უნდა გადაწყდეს და არა და-

საწყისშივე. ამიტომ კვლევა-ძიება ფსიქიკური ელემენტებიდან უნდა დაიწყოს; შემდეგ, უნდა გაირკვეს, თუ როგორ წარმოდგება ამ ელემენტებიდან ფსიქიკური „შენაერთები“ (gebilde). მესამე ამოცანაა – ამ სულიერი შენაერთების კავშირთა კვლევა. სულიერი ცხოვრების განვითარების კვლევა ცხოველთა ფსიქოლოგიის, ბავშვის ფსიქოლოგიისა და ხალხთა ფსიქოლოგიის ამოცანას შეადგენს. ამიტომ ინდივიდუალური ფსიქოლოგიის ფარგლებში იგი შეიძლება მხოლოდ მოკლედ იქნას მოხაზული. მეხუთეს და უკანასკნელ ამოცანას შეადგენს – სულიერი ცხოვრების ან ფსიქიკური კაუზალობის კანონების დადგენა და სულის ცნების განმარტება.

რადგან სულიერი გამოცდილების ყოველი შინაარსი რთული ბუნებისაა, ამიტომ ფსიქიკური „ელემენტები“ უშუალო გამოცდილებაში მარტივი, საბოლოო, აბსოლუტურად დაუყვანადი შემადგენელი ნაწილების სახით როდი გვეძლევა, მაგრამ დაკვირვებისა და ანალიზის გზით შეიძლება თითოეულ ფსიქიკურ მოვლენაში გამოყოფილ იქნას ძირეული შემადგენელი ნაწილები, რომლებიც შემდეგში ყოველ რთულ სულიერ მოვლენაში დაგვხვდება, როგორც მისი შემადგენელი ნაწილები. უშუალო გამოცდილება ორ ფაქტორს შეიცავს, სახელდობრ: ობიექტური გამოცდილების შინაარსსა და განმცდელ სუბიექტს. ამისდა შესაფერისად, არსებობს ორგვარი ფსიქიკური ელემენტი: გარედან გამონვეული შეგრძნება და განმცდელი სუბიექტის წილი – გრძნობა.

„წმინდა“ შეგრძნებები, ბუნებისმეტყველების ატომების არ იყოს, მხოლოდ თეორიული აბსტრაქციებია. მაგრამ ისინი, ისევე როგორც „მარტივი გრძნობები, წარმოადგენენ სულიერი ცხოვრების უმარტივეს საშენ აგურებს, რადგან არ შეიძლება მათი შემდგომი დანაწევრება, უფრო დანვრილებითი აღწერა და განმარტება, არამედ შეიძლება მხოლოდ განცდა, ე. ი. მათი შეგრძნება და გრძნობა.

ამ ფსიქიკური ელემენტების შერწყმისა და შეერთების გზით წარმოიშვება უშუალო გამოცდილების რთული ფორმები, ფსიქიკური „შენაერთები“. მართალია ეს შენაერთები ზოგიერთი ნიშნებით განსხვავდება დანარჩენი სულიერი განცდები-

საგან, როგორც „შედარებით“ დამოუკიდებელი ერთეულები, მაგრამ შეცდომა იქნება ვიფიქროთ, თითქოს აქ ნივთისმაგვარ მყარ ობიექტებთან გვეკონდეს საქმე. პირიქით, ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ ფსიქიკური „შენაერთებიც“ მხოლოდ მოვლენებს, პროცესებს წარმოადგენს. მათი შედარებითი დამოუკიდებლობა დამყარებულია იმაზე, რომ ისინი ერთგვარად მიმდინარეობენ ხოლმე და რომ მათი შემადგენელი ნაწილები კანონზომიერი თანმიმდევრობით ენაცვლებიან ერთიმეორეს.

იმ შენაერთებს, რომლებიც ან მთლად ან და უპირატესად შეგრძნებებისაგან შესდგება, ვუნდტი „წარმოდგენებს“ უწოდებს: გინდ გარე გამლიზიანებელთან იყვნენ ისინი დაკავშირებული (აღქმა, ჭვრეტა) და გინდ მოგონების სახეებს, ფანტაზიის პროდუქტს, ან ავადმყოფურ მოვლენებს, ვთქვათ, ჰალუცინაციებს წარმოადგენენ.

თავისთავად ცხადია, წმინდა შეგრძნებათა თვისებები (ვუნდტი ამ შეგრძნებებს რვა ჯგუფად ყოფს: ყნოსვის, გემოს, ბგერის, სინათლის შეგრძნებები და კიდევ „საერთო გრძნობის“ შეგრძნებათა ოთხი ჯგუფი: დაწოლის, ტკივილის, ტემპერატურისა და ორგანული შეგრძნებები) მათ შენაერთებსაც ახლავს. მაგრამ უმარტივესი „შერწყმაც“ რომ ავიღოთ, ვთქვათ, ცალკე ტონების აკორდი, აქაც სულიერი ცხოვრების ერთ-ერთ სპეციფიკურ კანონს წავანყდებით, რომლითაც იგი განსხვავდება ბუნების მათემატიკური მექანიზმიდან. ფსიქიკური შენაერთი ვერ გამოიყვანება სავსებით მისი შემადგენელი ნაწილებიდან. აკორდი-კირალაც ახალს და თავისებურს წარმოადგენს და არ დაიყვანება ტონების ეტაპზე. მელოდიაც – ცალკე ტონების სუქცესიური დაკავშირება – უფრო მეტი, ვიდრე უბრალო თანამიმდევრობა ტონებისა. იგი ახალი, თავისებური პროდუქტია, რომელსაც ცალკე ტონებთან შედარებით გარკვეული თავისებურება ახასიათებს: იგი შეიძლება ტრანსპონირებულ იქნას სხვა ტონებზე, მაჟორზეც და მინორზეც, და კიდევ უფრო მეტი: იგი შეიძლება ტონების გარეშეც, უბრალო რითმული კაკუნითაც იქნას გადმოცემული და არც თუ მთლად გაუგებარი დარჩეს. – სიტყვიერი წინადადება მეტია, ვიდრე მხოლოდ სიტყვების ჯამი; იგი ამათ გარდა კიდევ „აზრს“ შეიცავს და მისი ზემოქმედება მსმენელზე

ვერ გამოიანგარიშება ცალკე სიტყვების შთაბეჭდილებებიდან, ისევე როგორც მელოდიის ზემოქმედება არ გამოიყვანება ცალკე ტონებიდან... და ასე ყველგან.

ასეთივე სპეციფიკურობა ახასიათებს ამ პირველადი ელემენტარული შეგრძნებების სიმულტანურს სივრცით შენაერთებსაც, თუმცა ასეთ შენაერთებში, ისევე როგორც სუქცესიურ დროულ შენაერთებში, ცალკე შეგრძნებები შედარებით უფრო დამოუკიდებელი არის, ვიდრე „შერწყმაში“. ფერადი სურათი რომ უფერულ ფოტოგრაფიად ან კონტურულ ნახატად აქციო, სივრცითი წყობის ჩონჩხს მაინც გამოიცნობ, და თვით სივრცითი წარმოდგენა – ისეთი სხვადასხვა გვარივე შეგრძნებების პროდუქტია, რომელთა შორის არც ერთი თავისთავად ვრცეულობას არ შეიცავს.

სწორედ ამ რალაც მეტის, მეცნიერებისათვის მიუწვდომელი ირაციონალური ფაქტორის შეტანით ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, დააღწია ვუნდტმა თავი ატომისტურ ფსიქოლოგიას. საკმაოდ გავრცელებული გაუგებრობის გასაფანტავად ყოველთვის უნდა გაესვას ხაზი იმ გარემოებას, რომ სულიერი ცხოვრება ვუნდტისათვის დაუნანვერებელ ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს. გრძნობითი და შეგრძნებითი ელემენტების გამოყოფა მხოლოდ და მხოლოდ აბსტრაქციის საქმეა, რომელსაც ჩვენ მეცნიერული ანალიზის მიზნით მივმართავთ.

მარტივი გრძნობების შერწყმის გზით წარმოიშვება რთული გრძნობები. სწორედ აქ განსაკუთრებით ნათლად იჩენს თავს სულიერი ზრდის კანონი: ცალ-ცალკე პარციალურ გრძნობებს მუდამ მათი შეკავშირების რეზულტანტი – „ტოტალური გრძნობა“ ერთვის. იგი ცალკეული წარმოდგენების თვისებებზე კი არ არის მხოლოდ დამოკიდებული, არამედ ცნობიერების მთლიან მდგომარეობაზე, რომელსაც სხვა შინაარსებიც, წინანდელი განცდები, ადამიანის მიერ მიღებული სწავლა-განათლება და მისი უნარ-შესაძლებლობანი განსაზღვრავენ. ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ გრძნობა თავის ბუნებით წარმოადგენს მთლიანი სუბიექტის, სულიერი ცენტრის შინაგან რეაქციას გარე გამლიზიანებელზე. ეს „აპერტეპციის ცენტრი“ უთუოდ ტვინის წინა ნაწილებში უნდა ვეძიოთ.

გრძნობები არ არსებობს შეგრძნებებისა და წარმოდგენების გარეშე. მეორეს მხრივ კი ის ფაქტი, რომ გრძნობა მრავალგვარ ეფექტს იძლევა, რომ იგი სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვა შედეგებს წარმოშობს, მოწმობს აგრეთვე გრძნობების დამოუკიდებლობას შეგრძნებისაგან. არ შეიძლება ლაპარაკი გარკვეულ შეგრძნებებთან მუდამ ზუსტად დაკავშირებული გრძნობითი ტონის შესახებ. სწორია მხოლოდ ის, რომ გრძნობები შეგრძნებებისა და წარმოდგენების მუდმივი, თუმცა სრულიად დამოუკიდებელი, თანამგზავრებია.

განსაკუთრებით ნათელ მაგალითს პარციალური გრძნობების ერთ ტოტალურ გრძნობად გაერთიანებისას წარმოადგენს ის, რასაც საერთო გრძნობა ან გუნება ეწოდება და რაც ჩვენი შეგრძნებითი სფეროს კარგი თუ ცუდი საერთო მდგომარეობის ანარეკლს წარმოადგენს. გრძნობათა დაყოფა სიამოვნებისა და უსიამოვნების გრძნობებად სწორედ აქედან ამოდის, მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ იგი მხოლოდ შეგრძნებითი სფეროს გრძნობებს ეხება და არ შეიძლება გავრცელებულ იქნას ყველა დანარჩენ გრძნობებზედაც. მხედველობისა და სმენის შეგრძნებათა სფეროს რთულ გრძნობებს ჩვეულებრივ ელემენტარული ესთეტიკური გრძნობები ეწოდება. აქ მონონებაზე ან დანუნებაზე ლაპარაკობენ ხოლმე, რადგან ასეთ შემთხვევაში კარგი ან ცუდი თვითგრძნობა კი არ არის მთავარი, არამედ საგნების მიმართება წარმომდგენი სუბიექტისადმი. თუ ამას ფორმის გრძნობები (მხედველობის დარგში), ან რითმული გრძნობები (სმენის დარგში) ემატება, მაშინ ესთეტიკური გრძნობა კიდევ უფრო მეტად სრულია და მდიდარი. და თუ მას კიდევ აზრები და იდეებიც დაემატა იმ თავისებური გრძნობებითურთ, რომელთაც ისინი წარმოშობენ, მაშინ საქმე გვაქვს დასრულებულ ესთეტიკურ გრძნობებთან. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ აგრეთვე მოქმედების გრძნობები – პროდუქციული და ამსახველი წარმოდგენების შემოქმედების გრძნობა.

ძლიერ ინტენსიურ გრძნობებს აფექტში გადასვლის მიდრეკილება აქვს: პირველად გაჩენილ გრძნობებს შემდეგში კიდევ სხვები ემატება და ასე ჩნდება ურთიერთდაკავშირებულ გრძნობათა მიდნარება, გრძნობათა მწკრივი, რომელიც მკაფ-

იოდ ემიჯნება იმ საერთო გრძნობითს მდგომარეობას, რომელიც მასზე უნინ იყო ან მის შემდეგ იქნება. გრძნობათა გამომწვევ გამლიზიანებელ ჯგუფვას ანდა თანამიმდევრობითს შენაცვლებას მხოლოდ ის შედეგი კი არ მოსდევს, რომ მატულობს მათი გავლენა გულზე, სისხლის ძარღვებზე და სუნთქვის ორგანოებზე, არამედ ისიც, რომ მოძრაობის ორგანოებიც ჩაებმება საერთო ფერხულში და შინაგანი სულიერი მოძრაობები აშკარა გარე-გამოხატულებას პოულობს – მიმიკურსა და პანტომიკურ გამოხატველ მოძრაობებში.

აფექტის მიერ წარმოშობილს გამომხატველ მოძრაობებში უნდა ვეძიოთ ჩვენ ნებიითი მოქმედების (Willenshandlung) ჩანასახი. ნებელობის პროცესი შეიძლება განხილულ იქნას, როგორც სულიერი მოძრაობის ურთულესი ფორმა, რომლის შემადგენელ ნაწილებს გრძნობა და აფექტი წარმოადგენენ. მართალია, ყოველი გრძნობა არ გადადის აფექტში და ყოველ აფექტს არ მოსდევს ნებიითი მოქმედება, მაგრამ ფსიქიკურ პროცესთა საერთო კონტექსტში სამივე დაკავშირებულია ერთიმეორესთან და სამივე ერთი მთელის სამ საფეხურს წარმოადგენს. მხოლოდ ნებელობის პროცესში ლებულობს იგი დასრულებულ სახეს. ამიტომ შეგვიძლია ყოველი გრძნობა განვიხილოთ, როგორც ნებიითი მოქმედების დასაწყისი, ნებელობა – როგორც რთული გრძნობითი პროცესი, აფექტი კი – როგორც გარდამავალი საფეხური მათ შორის. მხოლოდ ნებითს მოქმედებაში პოულობს აფექტი დასასრულს, „შვებას“; აფექტი ერთგვარ გრძნობითს „კვალს“ ტოვებს მუდამ.

გრძნობათა მდინარების პროცესში – ეს შეეხება ისეთ შემთხვევებსაც, სადაც საქმე ნებიითი მოქმედებით თავდება – წარმოიშვება გარკვეული გრძნობები და წარმოდგენათა კავშირები, რომლებიც, როგორც „მოტივები“, მიმართულებას აძლევენ ნებისყოფის აქტს. მოტივის გრძნობითს მხარეს „მამოძრავებელს“ ეძახიან, ხოლო მასთან დაკავშირებულს წარმოდგენითს მხარეს – „მოძრაობის საფუძველს“; ნებისყოფის ერთი აქტი მეორისაგან იმის მიხედვით განსხვავდება, თუ რა სიძლიერე აქვთ ან როგორ კომბინაციაში იმყოფებიან ეს მხარეები ურთიერთთან.

როცა მოტივის როლში გამოდის მხოლოდ ერთი რომელიმე გრძნობა მისი თანმხლები, ჩვეულებრივ მკრთალი წარმოდგენითურთ, მაშინ ლტოლვისეულ მოქმედებასთან გვაქვს საქმე. თუ ცნობიერების წინაშე მრავალი შესაძლებლობა იშლება და მამ შორის ერთ-ერთი უნდა იქნას მიღებული, მაშინ ჩნდება ნებისმიერი მოქმედება (Willkührhandlung). თუ ეს არჩევანი მოტივთა ცნობიერი ანონ-დანონვის გზით მოხდა, მაშინ ნებისმიერი მოქმედება გადადის არჩევითს მოქმედებაში (Wahlhandlung). დილემის უბრალოდ გადაჭრა (Entscheidung) ნებისმიერი მოქმედების დროს და მისი ცნობიერი გადაწყვეტაც (Entschliessung) არჩევითი მოქმედებისას დაფუძნებულია ერთ პროცესზე, რომლის რაობის შესახებ ბევრს ვერაფერს ვიტყვით და რომლის წყალობით ესა თუ ის გრძნობა ან წარმოდგენა განსაკუთრებულ ინტენსიობას იძენს და გაბატონდება. იმ მომენტში, როცა ნებისყოფის აქტი მოქმედებაში გადადის, ჩნდება კიდევ ძლიერ ცხოველი მოქმედების გრძნობა, რომლის საფუძველსაც გარეგან ნებისმიერ მოქმედებაში მოძრაობათა თანმხლები დაძაბულობის შეგრძნებები წარმოადგენს, ლტოლვისეული მოქმედებისას კი წარმართველი გრძნობა უშუალოდ მოქმედების გრძნობაში გადადის და შემდეგ კი თვით მოქმედებად იქცევა, ისეთ მოქმედებად, რომელიც გონების დაუკითხავად წარმოებს.

ყოველივე ზემოთქმულის თანახმად, მხოლოდ ინტელექტუალურ მოტივებზე დაფუძნებული ნებისყოფა „შეუძლებელი რამ“ არის. მხოლოდ ინტენსიურ გრძნობას შეუძლია გასაგები გახადოს ის საოცარი პროცესი, რომ ერთი მოტივი მეორეს სჯობნის. მაგრამ უნდა ითქვას ისიც, რომ ინტელექტუალური პროცესები „ანელებენ გრძნობის (და მაშასადამე, თვით ნებისყოფის) ძალას და ძლიერ ხშირად საქმე გარეგან მოქმედებამდის არც-კი მიდის და შინაგანი გადაწყვეტით თავდება. მეორე მხრით კი, ეს ინტელექტუალური პროცესები თვითვე წარმოშობს მრავალ ახალ, თავისებურ აფექტს. ხშირი განმეორების წყალობით ნებისყოფის პროცესები თანდათან მექანიზირდებიან. მოტივთა ბრძოლა თანდათან სუსტდება და ბოლოს ქრება კიდევ; ნებისყოფის პროცესი ისევ ლტოლვისეულ მოქმედებად, ავტომატურ მოძრაობად და ბოლოს რეფლექტორულ მოვლენად იქცევა; ეს პროცესი გან-

საკუთრებით ნათლად ბავშვის განვითარებაში იჩენს თავს.

ვუნდტს დიდი ღვაწლი მიუძღვის ნებელობის საკვლევი ექსპერიმენტული მეთოდების შემუშავებაში, მაგრამ ექსპერიმენტის არე მან ძირითადად ისეთი პროცესებით შემოფარგლა, რომ შესაძლებელი ყოფილიყო მათი რეგულაცია გარეგანი საშუალებებით (რეაქციის ცდები). ამ ცდებში ნათლად მულავნდება ფსიქოლოგიური ექსპერიმენტის არე – იგი თვითმიზანი კი არ არის, არამედ საშუალება ზუსტი თვითდაკვირვებისათვის. სენსორულ და მუსკულარულ რეაქციათა ხანგრძლივობის გამორკვევა და ფიქსაცია და სხვ. – ეს, შედარებით, მეორეხარისხოვანი საქმეა. მთავარი კი ის არის, რომ ცდის პირობების ვარიაცია საშუალებას აძლევს „ცდის პირს“ ნათლად მისწვდეს ნებელობის პროცესის თითოეულ ფაზას.

ფსიქიკურ მოვლენათა დაწვრილებითმა ანალიზმა არ უნდა დაგვაინყოს, რომ სულიერი ცხოვრება ფართო კავშირს წარმოადგენს, სადაც ცალკეულს განსაზღვრავს მთლიანი. ამ ფართო ერთობლიობას „ცნობიერება“ ეწოდება. მისი დასაყრდენი დიდი ტვინის ჰემისფეროებია. ცნობიერების ფუნქციათა ლოკალიზაცია დიდი ტვინის გარკვეულ ნაწილებში სწორი იქნებოდა მხოლოდ ერთი შესწორებით. თითოეული, უმარტივესი ფსიქიკური პროცესიც კი მოითხოვს დიდი ტვინის მრავალი ნაწილების თანამშრომლობას. ამას გარდა, ის გარემოება, რომ ტვინის ერთი ნაწილის დაზიანების შემთხვევაში, მის მაგიერობას მეზობელი ნაწილი კისრულობს, მონიშნავს, რომ ამ უკანასკნელს სხვადასხვა ფუნქციების ასრულება შესძლებია და რომ, მაშასადამე, ფსიქიკურ ფუნქციათა ლოკალიზაცია ტვინის სხვადასხვა ნაწილებში ვინროდ არ უნდა გვესმოდეს.

სიტყვა „ცნობიერება“ ნიშნავს, ერთი მხრით, უნარს – ვიქონიოთ ფსიქიკური განცდები; ცნობიერებას მოკლებულ ქვას, მაგალითად, ასეთი უნარი არ გააჩნია. მეორე მხრით, „ცნობიერება“ საერთო სახელია ცნობიერების ნათელ არეში მოცემულ ყველა ნათელ და გარკვეულ წარმოდგენათა მრავლიანობისა. „არაცნობიერი წარმოდგენა“ – შინაგან წინააღმდეგობას შეიცავს. დასასრულ, ცნობიერების ქვეშ შეიძლება იგულისხმებოდეს აგრეთვე ყველა ის ფსიქიკური შინაარსიც, რომელიც, მხატვრუ-

ლად რომ მოქვეათ, ცნობიერების ზღურბლ ქვეშ ჩაძირულა, მაგრამ მოსალოდნელია, რომ რაიმე მიზეზის გამო ან ყურადღების მიპყრობის წყალობით ისევ ამოტივტივდეს ცნობიერების ნათელ არეში. ცნობიერების წინანდელი შინაარსების განახლების ეს უნარი უთუოდ იმ გარემოების შედეგია, რომ ვარჯიში გაველენას ახდენს ყოველ ორგანოზე და კერძოდ კი ტვინსა და ნერვულ გზებზე. ამ აზრით ლაპარაკობენ ტვინის დისპოზიციებზე (მიდრეკილება განმეორებისადმი), მაგრამ მათი რაობისა და მოქმედების შესახებ ვერაფერს ვიტყვი. „ცნობიერება“ არ არის ჩვენ მიერ ცნობიერად განცდილი პროცესებისაგან განსხვავებული რაღაც ან და რაიმე ისეთი, რაც ამ პროცესების გაქრობის შემდეგაც რჩება. „ცნობიერება“ მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ სულიერი განცდები მუდამ დაკავშირებული არიან ურთიერთთან. ისევე, როგორც ვთქვით, „ხასიათი“ ადამიანის ქცევის მუდმივ თავისებურებათა გამოხატულებას წარმოადგენს და არა რაღაც მათგან განსხვავებულს და მათ გარეშე არსებულს.

ფსიქიკურ შენაერთთა კავშირებს ასოციაცია და აპერცეპცია ქმნის. ასოციაციები აქამდის ცალმხრივად ესმოდათ, მხოლოდ როგორც სუქცესიური კავშირები წარმოდგენებისა. ნამდვილად კი ისინი ამას გარდა კიდევ სიმულტანურ კავშირებს ნიშნავენ და აგრეთვე გრძნობათა კავშირებს ან გრძნობათა და წარმოდგენათა ურთიერთ კავშირებს. შემდეგ, რადგან წარმოდგენები ობიექტებად ან და ისეთ მოვლენებად იყო მიჩნეული, რომლებსაც შეუძლია უცვლელი სახით განახლდეს, ამიტომ ასოციაციებში ხედავდნენ ე.წ. „რეპროდუქციის“ ახსნის საშუალებას. დასასრულ არისტოტელესაგან ისესხეს ასოციაციათა შემდეგი დაყოფა: მსგავსების, კონტრასტის, ერთდროულობისა და თანმიმდევრობის ასოციაციებითა და ეს ლოგიკური კლასიფიკაცია ასოციაციის კანონების სახელწოდებით შეამკეს, თუმცა ისინი, უეჭველია არიან არა კანონები, არამედ მხოლოდ შესაძლებლობანი (Möglichkeiteri).

პირიქით უნდა ითქვას: არც კი არსებობს ისეთი რეპროდუქცია, რომ წარმოდგენები უცვლელად მეორდებოდეს. თითოეული, მოგონების აქტში ამოტივტივებული წარმოდგენა ყოველთვის განსხვავდება მისი შესაბამი წინანდელი წარმოდგენისაგან:

იგი ან უფრო ღარიბია, ვიდრე ეს უკანასკნელი ანდა შედეგება რამდენიმე ალქმათა ელემენტებისაგან. შემდეგ, ანალიზის გზით გამოირკვა უკვე, რომ ის წარმოდგენები, რომლებს ასოციაციონისტური ფსიქოლოგია დაუნანევრებელ ობიექტებად თვლის, თავისთავად უკვე რთულ შენაერთებს წარმოადგენს. ისინი, მაშასადამე, ასე ვთქვათ, თვით არიან ასოციაციები და ფსიქიკურ შენაერთთა შორის კავშირების გაბმა განმეორებაა იმავე შერწყმისა და დაკავშირების (Verknüpfung) პროცესებისა, რომლებზედაც ზემოთ გვქონდა საუბარი – ოღონდ ეს არის განმეორება უფრო მაღალ საფეხურზე; უნდა ვიფიქროთ კიდევ, რომ იმას, რასაც ჩვეულებრივ ასოციაციებს უწოდებენ, ნამდვილად წინ უძღვის მუდამ ელემენტარული ასოციაციური პროცესები.

ამ გარემოებათა გამო ძირითადად უნდა შეიცვალოს აქამდის გავრცელებული გაგება მეხსიერების მოვლენებისა. მეხსიერება უბრალო სანყობი კი არ არის, სადაც მზა-მზარეული წარმოდგენები აწყვია. მეხსიერება წინანდელ ალქმათა და წარმოდგენათა ხელახალი წარმოქმნის უნარის სხვა სახელია და მეტი არაფერი. იგი ეყრდნობა იმ „ელემენტებს“, რაც წინანდელსა და ახალ განცდას საერთო აქვთ. ახლად წარმოქმნილი წარმოდგენა სავსებით როდი უდრის წინანდელს. მხოლოდ პროცესის მიმდინარეობაში ხდება მათი გაიგივება ასიმილაციის პროცესის წყალობით. ეს უკანასკნელი ძლიერ ხშირად ნათელყოფს კიდევ ძველი და ახალი წარმოდგენის განსხვავებულობას. ჩვენს გარეგან ალქმებს რეპროდუქციული ელემენტები ერწყმის. ეს უფრო მაშინ ხდება, როცა გარე-შთაბეჭდილება ხანმოკლეა ან ბუნდოვანი, როცა, მაგალითად, Frucht-ის მაგიერ ამოვიკიტხავთ Fürcht, ე. ი. კარგად ვერ წავიკითხეთ ან ვერ მოვკარით ყური. ხდება ახალი შთაბეჭდილების გაიგივება ძველთან, მისი ასიმილიაცია და მხოლოდ ამის შემდეგ მიიჩნევა იგი მსგავს თუ ინდენტურ შთაბეჭდილებად. მაგრამ მსგავსება ყოველთვის მხოლოდ ნაწილობრივი, პარციალური იგივეობაა; იგივეობაზე – ინდენტურობის მნიშვნელობით, – ლაპარაკიც-კი არ შეიძლება.

როცა ძველი და ახალი შთაბეჭდილება ძლიერ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ხდება ერთთგვარი ცნობიერი შედარება ახალი შთაბეჭდილებისა ამოტივტივებული მოგონების წარ-

მოდგენასთან. მაგრამ ეს ძლიერ იშვიათად ხდება. უფრო ხშირად კი ცნობა სიმულტანური სიმილაციის სახით ხდება, შედარების ლოგიკური პროცესის გარეშე და ერთგვარ გრძნობაზეა დაფუძნებული, რომელსაც ვუნდტმა „ნაცნობობის გრძნობა“ დაარქვა. იგი თავის მხრით დაფუძნებულია იმ გარემოებაზე, რომ წინანდელი და ახლანდელი ნერვული და ტვინის პროცესები ერთსა და იმავე შედეგს იწვევენ გრძნობის სფეროში.

ასოციაციებიაგან, რომლებიც ცნობიერების „პასიურ“ მდგომარეობას გულისხმობს, ძირითადად განსხვავდება ეგრედწოდებული „აპერცეპციები“. ეს სახელწოდება დაწვრილებითი გაშლა-განმარტებას მოითხოვს, რადგან მუდამ ერთი მნიშვნელობით როდი იხმარება არა თუ სხვადასხვა ფსიქიკოლოგის მიერ, არამედ თვით ვუნდტის მიერაც.

უწინარეს ყოვლისა უნდა ითქვას, რომ ვუნდტის აპერცეპციის ცნება ძირითადად განსხვავდება ჰერბარტის აპერცეპციისაგან. ის პროცესი, რომელსაც ჰერბარტი აპერცეპციას უწოდებს – ახალი შთაბეჭდილების შერწყმა მის მსგავსი წინანდელი შთაბეჭდილების წარმოდგენასთან (მგელი – ძაღლი) – ცნობიერების პასიურ მდგომარეობაში ხდება და იგივეა, რაც ზემოაღწერილი ასიმილაციის პროცესი. ვუნდტის აპერცეპცია კი, პირიქით, ნებისყოფის შინაგან პროცესს წარმოადგენს; მას გამოკვეთილი „მოქმედების გრძნობა“ ახლავს. იგი ნიშნავს ყურადღების მიპყრობას ცნობიერების რომელიმე შინაარსისათვის, რომელიც ამის გამო ცნობიერების „ნათელი არიდან“, ე. ი. წმინდა პერცეპციის სფეროდან, „ნათელ ნერტილში“ გადადის და ამიტომ უფრო ნათელი და მკაფიო ხდება: „უფრო ნათელი“ ხდება მიტომ, რომ მისი შინაარსი უფრო გამჭვირვალე ხდება; „უფრო მკაფიო“ – კი იმიტომ, რომ იგი უფრო მეტად გამოირჩევა ცნობიერების სხვა შინაარსებისაგან. მაგრამ აპერცეპციის პროცესი ამით არ თავდება. იგი ყურადღების მიპყრობით როდი ამოიწურება; ყურადღების მიპყრობა მხოლოდ პირობაა. მთავარი აქ ის არის, რომ ცნობიერების შინაარსების დანაწევრება, ურთიერთ მიკუთვნება, შედარება, შეკავშირება და ბოლოს მათი გაერთიანება ხდება. აპერცეპცია „გამაერთიანებელი ფუნქციაა“ ცნობიერებისა. ფიზიოლოგიურის მხრით ყურადღება აზროვნება და აპერცეპ-

ცია შეფერხების პროცესებია, რომელთა საშუალებით იდევნება ცნობიერების ყველა დანარჩენი შინაარსი, მეტადრე მოზღვავებული ასოციაციები და მთელი ფსიქოფიზიკური ენერჯია ერთ ნერტილში კონცენტრირდება.

ამ ელემენტარული აპერცეპციული ფუნქციების განმეორების წყალობით წარმოიშობა ანალიზისა და სინთეზის რთული ოპერაციები; პირველი არის შეფარდების აქტის პროდუქცია, მეორე კი – შედარებისა. აპერცეპცია აკავშირებს ცალკეულ წარმოდგენებს – რომ მათგან ახალი ერთიანი წარმოდგენა შექმნას. ამ უკანასკნელის შემადგენელ ნაწილებს შერწყმები და ასოციაციები წარმოადგენენ, მაგრამ ისინი ახლა ახალ, პირვანდელთაგან მეტად თუ ნაკლებად განსხვავებულ კომბინაციებშია მოცემული: ასოციაციური მასალიდან აპერცეპცია გამოარჩევს ამა თუ იმ წარმოდგენის ან გრძნობის შემადგენელ ნაწილს და მას გაამეფებს.

აპერცეპცია, როგორც შემაკავშირებელი ფუნქცია ცნობიერებისა, სხვადასხვა წარმოდგენათა შემადგენელი ნაწილებისაგან ქმნის, უპირველეს ყოვლისა „ერთიან წარმოდგენას“ (Gesamtvorstellung). თუ ეს სინთეზი ცნობიერად და თვალსაჩინოდ განსხვავდება შეგრძნებით შთაბეჭდილებათა ასოციაციური პროდუქტებიდან, მას ფანტაზიის წარმოდგენას უწოდებენ. მაგრამ რადგან მოგონების წარმოდგენებიც კი განსხვავდებიან მეტად თუ ნაკლებად უშუალო აღქმისაგან, ამიტომ მოგონების წარმოდგენას და ფანტაზიის პროდუქტს შორის ზუსტი საზღვარი არ არსებობს. განსხვავება მიზანდასახულებაში უნდა ვეძიოთ: მოგონების მიზანია რაც შეიძლება მეტად მიუახლოვდეს წინანდელ შთაბეჭდილებას, ფანტაზიის მოქმედების დროს კი ასეთი განზრახვა არა გვაქვს და ამიტომაც არის, რომ ცნობიერების არეში ამოტივტივებული სხვა დანარჩენი წარმოდგენების ზემოხსენებული შეფერხება სუსტდება. მაგრამ ორივე შემთხვევაში ფანტაზიის მოქმედება სწორ ან, ყოველ შემთხვევაში, სინამდვილის ანალოგიურ რთულ განცდებს ქმნის: გინდ უნებლიედ და ცნობიერების პასიურ მდგომარეობაში ხორციელდებოდეს ეს მოქმედება და გინდ აქტიური, შემოქმედებითი და გეგმიანი იყოს და მტკიცედ დასახულ მიზნებს მისდევდეს, როგორც, ვთქ-

ვით, ხელოვანის შემოქმედებაში. ხელოვნება „გამასულიერებელ აპერცეპციაზე“ დაფუძნებული, მითი კი – „პერსონიფიკაციის აპერცეპციაზე“. ფანტაზია სახეებით აზროვნებაა.

პირიქით, გონებისმიერი აპერცეპციის ძირითადი მოტივია მისწვდეს გამოცდილების ფაქტებს შორის განსხვავებულობას თუ შესატყვისობას, უწინარეს ყოვლისა მისწვდეს ამ ფაქტების ურთიერთ მიმართებას. ამოსავალი წერტილი აქაც საერთო წარმოდგენაა, სადაც მრავალი წარმოდგენა ახალსა და უფრო რთულ წარმოდგენაშია თავმოყრილი. წარმოდგენათა ასეთი ურთიერთდამთხვევა შეიძლება ჩვენი მონაწილეობის გარეშეც მოხდეს. მაშინ იგი ხშირად მოკლებულია ლოგიკურ ღირებულებას და შინაგან კავშირს. რომ ეს ასე არ მოხდეს, ეს პროცესის ნებისყოფამ უნდა წარმართოს. აზროვნების ძირითადი თვისება – სპონტანობაა, ე. ი. თავისუფლება. იგი წარმოდგენითს შინაარსებს შორის ისეთ მიმართებებს ამყარებს, რაც აღქმაში არ ყოფილა.

როცა საერთო წარმოდგენას ანალიტურად ვანანევრებთ, წარმოიშობა მსჯელობა: საერთო წარმოდგენაში გავმიჯნავთ სუბიექტს (ცა, მხედარი) და მის ცვალებად თვისებებსა და მოქმედებებს (ლურჯი, მიდის და სხვ.) და შემდეგ ვახდენთ მათ განტოლებას, ვუქვემდებარებთ ერთიმეორეს, ან რაიმე მესამეს ან და კიდევ ურთიერთ დამოკიდებულებაში ვაყენებთ.

პირიქით, ცნებები – ვუნდტის „რეპრეზენტაციის თეორიის“ მიხედვით – სხვადასხვა ობიექტთა საერთო ნიშნების აბსტრაქციის გზით კი არ წარმოიშვება, როგორც ზველი შეხედულება გულისხმობს, არამედ სინთეზის მეოხებით. ერთ-ერთ ნიშანს აქტიურად წინა პლანზე ვაყენებთ და მას სინთეტურად ვუკავშირებთ მთელ რიგ შესატყვის წარმოდგენებს. ცნება საერთო წარმოდგენაა, რომელსაც ჩვენ შეგნებულად ვიყენებთ როგორც მთელი რიგი წარმოდგენების პრეზენტანტს, მით რომ უგულვებელვყოფთ განსხვავებულ ნიშნებს. გაბატონებული ნიშნების შერჩევა შეგნებულად ხდება და არა უაზროდ და უმიზნოდ. იგი იმ მიმართებათა ხაზით მიმდინარეობს, რომლებშიც ცნება იაზრება. ცნება Land'-ისათვის არსებითია ის, თუ რომელი

ცნების მიმართ იაზრება იგი: ქალაქის, ზღვის თუ სხვა ქვეყნის მიმართ.”

ამგვარად, ირკვევა, რომ ფანტაზია და გონების მოქმედება სხვადასხვა ფუნქცია კი არ ყოფილა, არამედ მათი წარმოშობისა და შედეგების მხრით, – ყოფილან განუყოფელი ფუნქციები, რადგან საბოლოოდ ერთიც და მეორეც აპერცეპციის ერთსა და იმავე ძირითად ოპერაციებზე არიან დამყარებული – სინთეზსა და ანალიზზე. მაგრამ არც ფანტაზია და არც გონება არ წარმოადგენენ რაიმე განსაკუთრებულ ძალას ან ნიჭს; ისინი მხოლოდ მოხერხებული თავმომყრელი ტერმინებია აპერცეპციული ფუნქციის გარკვეულ მიმართულებათა აღსანიშნავად.

მეოთხე ამოცანა, რომელიც დგას ფსიქოლოგიის წინაშე: ფსიქიკური განვითარების კვლევა – აქ, სამწუხაროდ, მხოლოდ მოკლედ თუ შეიძლება იქნას მოხაზული. უწინარეს ყოვლისა უნდა გამოირკვეს, თუ რა ნიშნები უნდა ახლდეს ცოცხალ სხეულს, რომ მას ფსიქიკური ფუნქციები მივანეროთ. რადგან სულიერი ცხოვრების ძირითად ნიშნებს ჩვენ მხოლოდ საკუთარი ცნობიერების შინაარსიდან ვიცნობთ, ამიტომ ძლიერ ძნელია უდავო ობიექტური ნიშნების დასახელება. რომ მიზანს მივალნიოთ, ისევ ადამიანისაგან უნდა წამოვიდეთ, რათა დაახლოვებით მაინც გამოვარკვიოთ სულიერი ცხოვრების საზღვრები. ამ გზით ჩვენ შემდეგ აზრს მივადგებით: ყველგან, სადაც კი შეიძლება დადასტურდეს, რომ დამოუკიდებელი მოძრაობა ნებითი მოქმედების შედეგია, სულიერი ცხოვრებაც უნდა ვიგულოთ. მაგრამ ცხოველთა სამეფოში ასეთს რამეს ყველგან, უმარტივეს ცხოველებშიც შეხვდებით, სადაც კი კვებისა და გამრავლების ლტოლვა იჩენს თავს. მცენარეთა სამეფოშიც აქვს ადგილი ფსიქიკური ცხოვრების ამგვარ რამეს, თუ არა – ამ საკითხის გადაწყვეტა მეცნიერებას არ ძალუძს. ვინ იცის, ეგებ სულიერი ცხოვრება ბუნებაში ყველგან არის, სადაც კი სიცოცხლეა. მაგრამ ფიზიოლოგიური მოვლენების გზით შეუძლებელია როდესმე ფსიქოლოგიურ ფაქტებამდის მივიდეთ. რომ ფიზიოლოგიური მოვლენები „ახლავს“ მათ – ეს უეჭველია.

\* მთარგმნელის შენიშვნა: სიტყვა Land სოფელსაც ნიშნავს, ხმელეთსაცა და ქვეყანასაც.

– ცხოველთა ფსიქოლოგია და ბავშვთა ფსიქოლოგია დღესაც ვერ გამართულან წელში, რადგან დაკვირვების ფაქტებს ისინი ობიექტურ ინტერპრეტაციას კი არ აძლევენ, არამედ სუბიექტური რეფლექსიის საშუალებით ავსებენ. ისინი გაურბიან ნამდვილ ექსპერიმენტალურ კვლევას.<sup>\*</sup> ამიტომ ამაოა ის იმედი, რომ ბავშვის ან პირველყოფილი ადამიანის ფსიქოლოგიური კვლევა მონიფული ადამიანის სულიერ ცხოვრებას გააშუქებს; პირიქით, ბავშვის სულიერი ცხოვრება გასაგები გახდება მხოლოდ მომნიფებული ცნობიერების ექსპერიმენტალურად შეიარაღებული თვითდაკვირვების საფუძველზე.

დასასრულ, ისმება საკითხი სულის რაობისა და მისი სხეულთან დამოკიდებულების შესახებ. ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ სულიერ განცდათა კავშირი (Zusammenhang) „ცნობიერებად“ იწოდება. ამიტომ ეს ცნება რაიმე ისეთს კი არ გულისხმობს, რაც, ასე ვთქვათ, ფსიქიკურ მოვლენათა გვერდით ცალკე დგას. ჩვეულებრივ, ამ სიტყვით მხოლოდ წარმოდგენათა კავშირი აღინიშნება. მაგრამ გრძნობისა და ნებელობის მოვლენათა კავშირიც ასევე განიცდება. ყველა ინდივიდუალურ ფსიქიკურ განცდათა კავშირის გრძნობას ჩვენ „მე“-ს ვუნოდებთ. იგი სწორედ გრძნობაა და არა წარმოდგენა, მაგრამ, როგორც ყოველი გრძნობა, შეგრძნებებსა და წარმოდგენებთან არის დაკავშირებული, და კერძოდ აქ კი – საერთო შეგრძნებასა და საკუთარი სხეულის წარმოდგენასთან. თუ გრძნობებისა და წარმოდგენების ეს კომპლექსი გამოვყავით ცნობიერების დანარჩენი შინაარსებისაგან და ცალკე განვიხილეთ, მაშინ წარმოიშობა „თვითცნობიერება“, თვით „კავშირი“ სულიერი მოვლენებისა, საგანგებოდ გამოთიშული და გაშიშვლებული. ასეთი ცდა საბოლოოდ მაინც ვერ ხერხდება და საქმე ისევ იმავე ბუნდოვანი „თვითგრძნობით“ თავდება. „თვითცნობიერების“ გამოთიშვაზეა დაფუძნებული სუბიექტისა და ობიექტის დაპირისპირება. მაშინ სუბიექტის ცნებას ასეთი შინაარსი ეძლევა; იგი შეგრძნობაში და ხასიათში (ე. ი. ნებელობის მყარ მიმართულებაში) თავმოყრილ და განცილ შინაგან მოვლენებს უპირისპირებს, როგორც დამოუკიდებელ

<sup>\*</sup> ექსპერიმენტი ბავშვისა და ცხოველის ფსიქოლოგიაში განსაკუთრებით უნდტის შემდეგ დამკვიდრდა.

რამეს, საკუთარს, მატერიისაგან შემდგარ სხეულს, მაშინ როცა „სუბიექტი“ თავდაპირველად აგრეთვე სხეულაც შეიცავდა.

მამასადამე, არის ტენდენცია – შინაგანი მოვლენების, დამოუკიდებელი სუბსტანციის მსგავსად, ობიექტივაციისა სხეულთან დაპირისპირებით. ამ ტენდენციაში მარხია სულის „სუბსტანციალობის“ ცნების ფესვები, მისი პრიმიტიული წარმოდგენით დაწყებული – სუნთქვის ან აჩრდილის სახით, – ვიდრე მატერიალისტურ და სპირიტუალისტურ ჰიპოთეზებამდის. ვუნდტი, გამოდიოდა რა თავის ძირითად დებულებიდან შინაგანი და გარეგანი გამოცდილების იდენტობის შესახებ უნდა მისულიყო ორსუბსტანციობის თეორიის უარყოფამდის, რა სახისაც არ უნდა იყოს ეს თეორია. საბუნებისმეტყველო და ფსიქოლოგიური გამოცდილება განსხვავებიან ერთიმეორისაგან მხოლოდ თვალსაზრისის სხვაობით. პირველი ახდენს აბსტრაქციას სუბიექტისაგან და ამიტომ გულისხმობს, რომ გარე-სამყარო ურთიერთ დამოკიდებულებაში მყოფ სუბსტანციათა მრავლიანობას წარმოადგენს, რომელიც უცვლელი სახით არსებობს შემმეცნებელი სუბიექტის გარეშეც. ფსიქოლოგია კი, პირიქით, უგულვებლყოფს გარესამყაროს და იკვლევს მხოლოდ შემმეცნებელი სუბიექტის სუბიექტურ ფაქტორს. ამ შინაგანს ანუ უშუალო გამოცდილებაში ჩვენ გვეძლევა მხოლოდ მუდამ ცვალებადი მოვლენები, პროცესები: ვერსად ვერ მოვნახავთ, თუ სხეული გამოვრიცხეთ, ამ შინაგანი გამოცდილების რალაც საგანგებო მატარებელს. ამიტომ სუისტანციის ცნების ნაცვლად „აქტუალობის“ ცნება უნდა შემოვიდეს. სული-წმინდა მოქმედიანობაა, აგრეთვე აქტუალობაც – ოღონდ იმ გაგებით, რომ სულის რაობა (Wirklichkeit) ცნობიერების პროცესებშია, და არა კანტის გაგებით – როგორც ამ მოვლენათა მიღმა მდებარე „საგანი თავისთავად“. სულის არსი შინაგანი განცდის ცვალებადობის მუდმივობაშია, ისევე როგორც წყლის „არსი“ მისი ცვალების: ყინული – წყალი – ორთქლი, მუდმივობაშია.

რადგან ამ ძირითადი შეხედულების თანახმად არ არსებობს სხვადასხვა გამოცდილების შინაარსები, ამიტომ საბუნებისმეტყველოსა და ფსიქოლოგიურ მეთოდებს შორის მჭიდრო კავშირი უნდა იყოს. მაგრამ ასევე გასაგებია ისიც, რომ პირვე-

ლი მათგანი ვერ ამოსწურავს მთელ სინამდვილეს. არსებობს მთელი რიგი მნიშვნელოვანი ფაქტებისა, რომლებიც მხოლოდ უშუალო, ფსიქოლოგიური გამოცდილებისათვის არის მისაწვდომი. ასეთია ყოველივე ის, რასაც წარმოდგენის ობიექტის, ე. ი. პირდაპირ გარე საგნებზე მიმართული შინაარსის ხასიათი არა აქვს: მაშასადამე, მთელი ჩვენი გრძნობათა სამყარო და ამიტომ აგრეთვე რელიგიისა და ხელოვნების დარგები, რომლებიც არ ეგუებიან ცნებითს მეთოდს.

რადგან არსებობს ისეთი დარგები, სადაც ორმხრივი მიდგომა საჭირო, ორივე სახის მოვლენებს შორის უნდა მოიძებნოს მჭიდრო კავშირი ფსიქო-ფიზიკური პარალელიზმის პრინციპის თანახმად. ეს მოთხოვნა დაფუძნებულია იმ გარემოებაზე, რომ ანალიზის ორივე ფორმა ერთსა და იმავე გამოცდილების შინაარსს ეხება. სამაგიეროდ პარალელობის პრინციპი ვერ გავრცელდება ცნობიერების იმ შინაარსებზე, რომლებიც ფსიქოლოგიური გამოცდილების სპეციფიკურ და ერთადერთ შინაარსს შეადგენს. ასეთია უწინარეს ყოვლისა ფსიქიკური ელემენტებისა და შენაერთების ის თავისებური კავშირები და მიზნობრივი ცნებები, რომელთა მიხედვით ჩვენი გრძნობა აფასებს შინაგან განცდებს.

ამგვარად, მიუხედავად იმისა, რომ პარალელიზმი ემპირიულად ფართოდ ფლობს ფსიქოლოგიურ გამოცდილებას, სულიერ ცხოვრებას მაინც განსაკუთრებული და საკუთარი კანონზომიერება გააჩნია. ბუნების მოვლენებში თანამომქმედ ძალთა რეზულტანტი კომპონენტების ჯამს უდრის. ფსიქიკურ სფეროში კი მუსიკალური ტონების თანაჟღერა, მისი გრძნობითი და წარმოდგენითი რაობის მხრივ, ყოველთვის უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ ჯამი ცალკე ტონებისა. და იგივე ითქმის ყველა ფსიქიკურ შენაერთებზე. ფსიქიკურ რეზულტანტში მჟღავნდება შემოქმედებითი სინთეზის პრინციპი, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ ბუნებისმეტყელებას მხოლოდ ოდენობათა კვანტიტატურ საზომთან აქვს საქმე, მაშინ როცა ფსიქიკური გაზომვა კვალიტატურ ღირებულებითი საზომის მიხედვით წარმოებს. – ფსიქიკური რეზულტანტის პრინციპს ავსებს ფსიქიკური კაუზალობის მეორე პრინციპი: ფსიქიკურ მიმართებათა პრინციპი. ყოველ

კერძო ფსიქიკურ შინაარსს აზრი აქვს მხოლოდ იმ მიმართებაში, რომელშიაც იგი ცნობიერების დანარჩენი ფსიქიკური შინაარსებისადმი დგას. ასე, მაგალითად, ერთმა და იმავე შთაბეჭდილებამ, ცნობიერების საერთო მდგომარეობისდა მიხედვით, შეიძლება მოახდინოს მეტი ან ნაკლები გავლენა; ბუნებაში კი ერთი ძირითადი კანონი მეფობს: ერთნაირი მიზეზი, – შედეგიც ერთნაირი. მესამე განსხვავება ბუნების მექანიკური კაუზალობისაგან ის არის, რომ ფსიქიკურ სფეროში კონტრასტები, ურთიერთმონინაალმდევე ფსიქიკური მოვლენები, სათანადო პირობებში აძლიერებენ ერთიმეორეს, ბუნებაში კი მონინაალმდევე მოვლენები ასუსტებენ ან სპობენ ერთიმეორეს. სულიერი ცხოვრების ამ სამ პრინციპს შეესაბამება სულიერი განვითარების სამი ზოგადი კანონი: გონითი ზრდისა, მიზანთა ჰეტეროგონიისა ანუ მიზანთა გამრავალმაგებისა და, ბოლოს, ნინაალმდეგობათა გზით განვითარების კანონი.

ფსიქოლოგიის ისტორიაც ემორჩილება ამ უკანასკნელს – ნინაალმდეგობათა გზით განვითარების კანონს – და ვუნდტის ფსიქოლოგიის თავისებურებაც განსაკუთრებით ნათელი გახდება, თუ იგი იმ მიმართულებებს დაუჟპირისპირეთ, რომელნიც მან დაძლია.

მეთოდურად იგი, როგორც ექსპერიმენტალური ფსიქოლოგია, წმინდა თვითდაკვირვების ვულგარული რეფლექსიის ფსიქოლოგიას ებრძვის. თუ კი მას შემდეგ ექსპერიმენტის, როგორც ფსიქოლოგიური კვლევა-ძიების პრინციპის მიმართ რაიმე ეჭვი დაბადებულა, ეს უფრო იმას უნდა მიეწეროს, რომ იგი ცუდადაა ყოფილა გამოყენებული; თვით მის დამფუძნებელს კი ასეთი რამეს ვერ დავწამებთ. ვუნდტი ხომ მუდამ იმას გაიძახოდა, რომ ექსპერიმენტი მხოლოდ დამხმარე იარაღი უნდა იყოს ფსიქოლოგიური კვლევა-ძიებისათვის, რომ იგი კი არ გამორიცხავს თვითდაკვირვებას, არამედ სწორედ შესაძლებელყოფს მას. ხშირად გაისმის ამ ბოლო ხანებში: თითქოს მისი ფსიქოლოგია ატომისტურად ანაწევრებს სულიერ ცხოვრებას და შემდეგ კი უნაყოფოდ ცდილობს ამ ნანილაკებისაგან ხელახლა შეადგინოს ნამდვილი ცოცხალი მთლიანობა. პირიქით, ვუნდტი სულ იმას იმეორებს, რომ ფსიქიკური ელემენტები და შენაერთები

მხოლოდ აბსტრაქციებია, მეცნიერული კვლევა-ძიების მიზნით შემოტანილი, რომ შინაგან გამოცდილებაში იზოლირებული ელემენტები რეალურად არც კი არსებობს, რომ, პირიქით, ყოველივე ერთ დიდ სისტემაშია მოქცეული, სადაც ერთი მოქმედობს და ცოცხლობს მეორეში. ფსიქიკურ მიმართებათა კანონში ნათლადაა გამოთქმული ის აზრი, რომ თითოეული ცალკე სულიერი მოვლენა თავის ღირებულებასა და აზრს მხოლოდ სულიერი ცხოვრების მთლიან სისტემაში პოულობს.

სულიერი ცხოვრების ეს ერთობლიობა ვუნდტს საბოლოოდ „ნებელობაზე“ დაყავდა. მაგრამ აქაც, სადაც ძირითადად ემპირიული ფსიქოლოგიის პრობლემაზე კი აღარ არის ლაპარაკი, არამედ მეტაფიზიკაზე, ხაზი უნდა გაესვას იმ სიფრთხილეს, რომელსაც იგი ასეთი დასკვნის ან, უკეთ რომ ვთქვათ, ასეთი ჰიპოთეზის შემუშავების დროს იჩენს. ზუსტმა გამოკვლევებმა გამოარკვია, რომ შინაგან გამოცდილებაში მხოლოდ მოვლენებთან, პროცესებთან გვაქვს საქმე. აქედან გაკეთდა ის დასკვნა, რომ არა შედარებით მყარ წარმოდგენათა შენაერთები არიან „ტიპიური“ სულიერი ცხოვრებისათვის, არამედ ნებელობის პროცესები. კონკრეტულმა ანალიზმა გამოარკვია შემდეგ, რომ როგორც უმარტივესი, ისე ურთულეს სულიერი შენაერთების შექმნისას შინაგანი ცხოვრების აქტიობა და სპონტანობა გადამჭრელ როლს თამაშობს. არსად – პასიობა, ყველგან მიზანმდებელი და ამოცანათა დამსახველი მოქმედება. მხოლოდ ასეთი ფრთხილი ანალიზის ნიადაგზე გაბედა მან იმ ჰიპოთეზის მიღება, რომ „ნებელობა“ არის მთელი შინაგანი ცხოვრების საფუძველი. დასასრულს, ეს ნებელობა მან საბოლოოდ განმარტა როგორც „ინდივიდუუმის მთელი ფსიქოლოგიკური ენერგია“ და ამიტომ, თავისთავად ცხადია, იგი, როგორც ასეთი, ყოველი სულიერი მოვლენისათვის უნდა დაედვა საფუძველად.

ესეც რომ არ იყოს, ვუნდტს მაინც ვერ დავუძრახავთ ახსნითი ფსიქოლოგიის აგების ცდას. შეუძლებელია, რომ შინაგანი ცხოვრების კვლევა-ძიება ოდესმე დაკმაყოფილდეს სულიერი ფენომენების მხოლოდ აღწერით ისევე, როგორც ბუნებისმეტყველებაც; მაგრამ ახსნის ცდა მუდამ კონკრეტულ გამოკვლევას უნდა ემყარებოდეს და აქედან გამოტანილ დასკვნებს

სათანადო სიფრთხილითა და დაფიქრებით აზოგადოებდეს. ასეთი სამაგალითო სიფრთხილით იქცეოდა სწორედ ვუნდტი. საკმარისია მოვიგონოთ მისი ნაწერები ფსიქოფიზიკური პარალელიზმის შესახებ. ფილოსოფია და ემპირიული ფსიქოლოგია აქ მკაცრად არიან გამიჯნული.

იმ გარემოებას, რომ გონების მუშაობაში ასოციაციური მექანიზმის ნაცვლად ყველგან აპერცეპციის თვითმოქმედება შემოდის ძლიერ დიდი მნიშვნელობა აქვს პედაგოგიკისათვის. მის წინაშე ახალი ამოცანები დგება – ნებისყოფის გამომუშავება გრძნობებზე ზეგავლენის გზით, მყარი მიდრეკილებებისა და ჩვევათა შემუშავება. აღზრდის ამოცანაა გონებრივად განსწავლულის ნაცვლად ნებისყოფის მქონე ადამიანი აღზარდოს. მოითხოვს რა, რომ ინდივიდის აღზრდა საზოგადოებისა და საზოგადო ნებისყოფის საშუალებით ხდებოდეს, ვუნდტი კვლავ პესტალოცის სოციალ-პედაგოგიური იდეებისაკენ მიგვიწოდებს. მის მოძღვრებაში მრავალი ახალი აზრია, რომელთა გამოყენებას პედაგოგიკა მხოლოდ ახლა იწყებს. განსაკუთრებული გავლენა ექსპერიმენტის მეთოდურმა პრინციპმა მოახდინა. ექსპერიმენტალური პედაგოგიკისა და დიდაქტიკის მდიდარი ლიტერატურის წყალობით ზოგიერთმა მნიშვნელოვანმა პედაგოგიურმა საკითხმა თავი დააღწია აზრთა სხვადასხვაობას და ობიექტური გადაჭრა პოვა. ზოგიერთმა ფსიქოლოგიურმა ლაბორატორიამ, თეორიული ამოცანების გარდა, პედაგოგიკურ კვლევა-ძიებას მოჰკიდა ხელი. მთელს მოძრაობას შრომის სკოლისაკენ ვუნდტის ფსიქოლოგიამ მისცა ბიძგი.

თუ ამჟამად ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ფსიქოლოგიის განვითარების ახალი გზა კვლავ დაშორდა ვუნდტს, მის დამაარსებელს, ჩვენ შეგვიძლია აქ დავინახოთ მის მიერვე წამოყენებული კანონის – წინაარმდეგობათა გზით განვითარების კანონის, – გამართლებას.

## ვიურცბურგის სკოლა

*პროფ. დრ. ავგუსტ მესერი, ქ. გისენი*

ახალს ბუნებისმეტყველებაში, რომელიც XVI საუკ. დამლევინ-დან ეგზომ გავლენას ახდენს მთელ ჩვენ კულტურასა და გონითს (ინტელექტუალურ) ცხოვრებაზე, XX საუკუნემდის გაბატონებული იყო იდეა, რომ მთელი მატერიალური სამყარო – არაორგანული ბუნებაც და ორგანულიც, – ერთგვარი მექანიზმის სახით უნდა იქნას წარმოდგენილი. თანახმად ამ შეხედულებისა ეს სამყარო შედგება უმცირესი მატერიალური ნაწილაკებისაგან (ატომებისაგან), რომლებიც მიზიდულობის კანონის წყალობით მჭიდრო ურთიერთ კავშირში არიან; ამასთანავე, ყოველი მოვლენა და თვით სიცოცხლეც შეიძლება დაყვანილ იქნას მოძრაობებზე, რომელთაც ზუსტი კაუზალობა განაგებს.

თუ ამ ზუსტი მექანიკური სისტემის კონსტრუქცია სწორად ასახავს სინამდვილეს, მაშინ შესაძლებელი უნდა იქნას ბუნების კანონზომიერების შესწავლის ნიადაგზე მისი დამორჩილება და ადამიანის მიზნებისათვის გამოყენება. ძლიერების წყურვილი, შემოქმედებისადმი ლტოლვა – თანამედროვე ევროპული კულტურა ხომ არსებითად შემოქმედების კულტურაა! – ეს იყო ის მძლავრი ფარული ტენდენცია, რომელმაც წარმოშვა ეს მექანიკური იდეალი. რომ ეს კონცეპცია სინამდვილის ერთ მხარეს მართლაცდა სწორედ ასახავდა, ნათელყო იმ ფაქტმა, რომ ამ მექანიკური ბუნებისმეტყველების ნიადაგზე წარმოიშვა თანამედროვე ტექნიკა და მისი საოცარი მიღწევები.

ამას შედეგად მოჰყვა ნატურალისუტ-მექანიკური თვალსაზრისის გადაჭარბებული შეფასება. ფიქრობდნენ, რომ ეს თვალსაზრისი გარე სამყაროს მხოლოდ ერთ ნაწილს კი არ ასახავს, არამედ იგი მთელ სინამდვილეს ამოწურავს; ამიტომ ცდილობდნენ ეს თვალსაზრისი „შინაგან“ სამყაროზე, ე. ი. ფსიქიკურ ცხოვრებაზეც გაეგრცელებიათ. ეს თეორია ხიბლავდა თავის სიმარტივითა და იმით, რომ ადვილი გასაგები

იყო. ამგვარად ფსიქოლოგიაში გაჩნდა აზრი, რომ ფსიქიკური ცხოვრებაც შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მექანიკურად და ატომისტურად, როგორც უმარტივესი ნაწილებისგან შემდგარი და სასტიკი კანონზომიერებით განსაზღვრული რამ. ასეთ შემადგენელ ნაწილებად (ელემენტებად) მიჩნეულ იქნა ის, რაც თვითდაკვირვების დროს თითქოს ყველაზე უფრო ნათელია და გამოკვეთილი: შეგრძნებები (და მათი განახლება მეხსიერებაში, ე. ი. წარმოდგენები), რომელთაც სიამოვნებისა და უსიამოვნობის გრძნობასაც დაუმატებდენ ხოლმე (თუ კი გრძნობას შეგრძნების თვისებად ან თანმხლებ მოვლენად არ მიიჩნევდენ).

ფსიქიკური ცხოვრების მთავარ კანონად მიჩნეულ იქნა ასოციაციის კანონები, რომლებიც (გარე სამყაროში მომქმედი მიზიდულობის კანონის მსგავსად) ელემენტებისაგან უფრო რთულ შენაერთებს ქმნის და მათ აწესრიგებს.

ჯერ კიდევ მე-17 და მე-18 საუკ. ინგლისურ ფსიქოლოგიაში (ლოკი, იუმი, ჰერტლი, პრისტლი) გაბატონდა სენსუალისურ<sup>\*</sup> – მექანიკური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც ცნობიერების ყველა შინაარსები შეგრძნებებისაგან და მათი რეპროდუქციებისაგან – წარმოდგენებისაგან შედგებიან და მათი ფსიქიკური განვითარებაც ასოციაციის კანონით აიხსნება; ამ თვალსაზრისმა დიდი გავლენა იქონია გერმანულ ფსიქოლოგიაზედაც. ამ გავლენამ მე-19 საუკ. მეორე ნახევრამდისაც მიაღწია, როდესაც ჩვენში, გერმანიაში, უმთავრესად ფეხნერისა და ვუნდტის მეშვეობით, საფუძველი ჩაეყარა ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიას. ფეხნერი, უპირველეს ყოვლისა, ცდილობდა გამოეკვლია ის კანონზომიერი დამოკიდებულება, რომელიც შეგრძნებასა და მის გამომწვევ გარეგან გ ა ლ ი ზ ი ა ნ ე ბ ა ს შორის არსებობს; ვუნდტმა განაგრძნო შეგრძნების კვლევა; ისიც ცდილობდა ცნობიერების ყოველი შინაარსი შეგრძნებებიდან და გრძნობებიდან გამოეყვანა; „აპერცეპციის“ ცნების შემოტანით მას უნდოდა მოეცა წარმოდგენათა ასოციაციური მიმდინარეობის წარმმართველი ფაქტორი; მაგრამ ამ აპერცეპციის თეორიას ბევრი მოწინააღმდეგე აღმოუჩნდა. ებინჰაუზი, რომელმაც

---

\* სიტყვისაგან: სენსუს – „გრძნობა“. „გრძნობები“ წარმოშობენ შეგრძნებებს.

თავისი ნაშრომით მეხსიერების შესახებ საფუძველი ჩაუყარა მეხსიერების ექსპერიმენტალურ კვლევას (1885), მხოლოდ ასოციაციის კანონებით კმაყოფილდებოდა, ისევე, როგორც გეორგ ელიას მიუღერი, რამაც კიდევ უფრო გააღრმავა და გააფართოვა მეხსიერების კვლევა. შემდეგ, ებინჰაუზმა, რომელიც მეხსიერებას უმთავრესად უაზრო მარცვლების საშუალებით იკვლევდა, უგულბელყო სწორედ ის, რისი შეგრძნებებზე დაყვანაც ფსიქოლოგიურ სენსუალიზმს არ შეეძლო, სახელდობრ: აზრი.

მეცნიერი, რომელიც პირველად შეებრძოლა სენსუალისტური და ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის ბატონობას გერმანიაში და რომელმაც გზა გაუკაფა ახალ შეხედულებას, იყო ოსვალდ კულპე. ის დაიბადა 1862 წელს ლანდაუში (კურლანდია); 1887 წლიდან 1894 წ-მდის იგი ვუნდტის ასისტენტი იყო ლაიპციგში, 1894 წლიდან კი ფილოსოფიის ორდინალური პროფესორი ვიურცბურგში, სადაც მან ფსიქოლოგიური ინსტიტუტი დააარსა და სადაც 15 წელს (1909წ.-მდის) მოღვაწეობდა; ამიტომ მის მოწაფეებსა და მიმდევრებს „ვიურცბურგის სკოლა“ ეწოდა. ბონში ხანმოკლე მოღვაწეობის შემდეგ, იგი მიიწვიეს მიუჰენში, სადაც 1915 წლის დამლევს გარდაიცვლა.

კულპე იყო არა მარტო ფსიქოლოგი, არამედ გამოჩენილი ფილოსოფოსიც, რასაც მოწმობს მისი მრავალჯერ გამოცემული „ფილოსოფიის შესავალი“ და მისი დიდი გნოსეოლოგიური ნაშრომი „რეალიზირება“ (Realisierung) (ორივე შრომა ს. ჰირცელის გამოცემ. ლაპციგში); სწორედ ფილოსოფიურ, ან უკეთ, გნოსეოლოგიურ პრობლემაზე მუშაობამ მიიყვანა კულპე აზროვნების ფსიქოლოგი კვლევამდის, რომლითაც მან მთელი ეპოქა შექმნა ფსიქოლოგიაში. აი რას გვიამბობს იგი თავის წერილში „აზროვნების ახალი ფსიქოლოგიის შესახებ“ (მეცნიერების, ხელოვნებისა და ტექნიკის ინტერნაციონალური ყოველთვიური ტ. VI [1912], გვ. 1095 და შემდეგ) „მე დამებადა აზრი, რომ გარე სამყაროს ობიექტებზე, როგორიცაა მატერიალური სხეულები, ან მეტაფიზიკურ საგნებზე, როგორიცაა პლატონის იდეები ან ლაიბნიცის მონადები, ჩვენ შეგვიძლია ვიფიქროთ უშუალოდ, ამ საგნების (თვალსაჩინო) წარმოდგენის გარეშე. აქედან მე გამოვიყვანე ის დასკვნა, რომ აზროვნება არა თუ მხოლოდ თავისე-

ბური ფორმაა ჩვენი სულის აქტივობისა, არამედ, რომ ის ამას-თანავე სულ სხვაგვარ დამოკიდებულებაშია თავის ობიექტებთან, ვიდრე შეგრძნება ან წარმოდგენა. ეჭვს გარეშეა, რომ ესენი თავის ობიექტს ასახავენ არა ისე, როგორც ის არის თავისთავად, არამედ სახეშეცვლილს. მაგ., ორგანოს ხმის წარმოდგენა მისი ზუსტი ასლი კი არაა, არამედ გაღიზიანების რომელიღობითი გადასხვაფერება.

ჰაერის ტალღები, რხევადი სხეულები – აი რა არის გამღიზიანებელი; ბგერის სმენითი წარმოდგენა კი სულ სხვა რამეა. აზროვნებას კი, პირიქით, თითქოს შეუძლია ზუსტად ასახოს, როგორც პირველი, ისე მეორეც, მათი ობიექტების შეუცვლელად. ორგანოს ხმა ორგანოს ხმად დარჩება, როდესაც მე მხოლოდ გავიაზრებ მას; ჩვენ შეგვიძლია ჰაერის რხევაც იმ სახით გავიაზროთ, როგორც მას ფიზიკა აღწერს“.

ის გარემოება, რომ შეგრძნებასა და აზროვნებას განსხვავებული შემეცნებითი ფუნქციები ახასიათებს, ბადებს კითხვას, – განსხვავდებიან თუ არა ისინი ფსიქოლოგიური დაკვირვების თვალსაზრისითაც და თუ განსხვავდებიან, სახელდობრ რით.

აზროვნებისა და, უპირველეს ყოვლისა, მისი ძირითადი ელემენტალური პროცესის – მსჯელობის – ფსიქოლოგიური განხილვის ცდას წინ ელობება. უცნაური სიძნელე: თავდაპირველად მკვლევარს ისეთი შთაბეჭდილება აქვს, თითქოს *is vis vis de vien*, ე. ი. არარაობის წინაშე დგას; ის რასაც ეძებენ, თითქოს სრულიად არ მოიპოვება ცნობიერებაში. ამიტომ, *კარლ მარბე*, კულპეს უმცროსი კოლეგა და შემდეგ მისი მიმდევარი, მსჯელობის კვლევის დროს დაადგა იმ აზრს, რომ მსჯელობა საერთოდ ცნობიერების პროცესი არ არის და რომ იგი არაცნობიერად ხორციელდება.

მაგრამ ამ შედეგებით არ დაკმაყოფილდენ და გაამახვილეს თვითდაკვირვება. თვითდაკვირვებაში განრთვნილ პირებს, უშუალოდ ცდის შემდეგ გამოკითხავდენ იმის შესახებ, რასაც ისინი ცდის დროს განიცდიდენ; ცდის პირს უნდა მიეცა სრული და გულახდილი ანგარიში, რომელიც, რაც შეიძლება უფრო დანვრილებით იწერებოდა. აღმოჩნდა, რომ, თუმცა აზროვნების განცდის დაკვირვება თვით აზროვნების პროცესის დროს შეუ-

ძლებელია, მაგრამ უშუალო რეტროსპექტიული დაკვირვების საშუალებით, როდესაც მოგონება ჯერ კიდევ ცოცხალია, ბევრი რამ შეიძლება ითქვას ამ პროცესების შესახებ. ამასთანავე დადასტურდა, რომ ცნობიერების სამი ელემენტის – შეგრძნების, წარმოდგენის, გრძნობის – ცნებები, რომლებითაც ფსიქოლოგია აქამდის მუშაობდა, საკმარისი არ არის იმის ანალიზისა და აღწერისათვის, რაც თვითდაკვირვებაში გვეძლევა. ამის გამო ნარცის ახმა ახალი ცნება შემოიტანა – „ცნობიერობა“, რომლითაც იგი არათვალსაჩინო ცნობიერების შინაარსს, არათვალსაჩინო ცოდნას აღნიშნავდა, რომ ასეთი რამ ნამდვილად არსებობს, დადასტურდა უატის, ტეილორის, მესერის, შულცეს, ბიულერის, კოფკას, ზელცისა და სხვ. გამოკვლევებში.

ექსპერიმენტი ძლიერ მარტივი იყო. მაგ., ცდის პირს (ც. პ.) აძლევდნენ ოპტიკურად სიტყვებს; ამოცანა მდგომარეობდა იმაში, რომ ც. პ. უნდა მოენახა მოცემული სიტყვის თანა-ქვემდებარე, უფრო ზოგადი ან ქვემდებარე ცნება; უშუალოდ ამის შემდეგ, მას უნდა აენერა ის განცდები, რაც მას მოცემული სიტყვის აღქმისა და გაგების დროს და აგრეთვე ამოცანის შესრულების დროს ჰქონდა. აქ აღმოჩნდა, რომ სიტყვის გაგებაც კი არ მოითხოვს სრულიად იმ საგნის ან საგანთა ვითარების თვალსაჩინო წარმოდგენას, რომელსაც ეს სიტყვა აღნიშნავს (რაც მოსალოდნელია სენსუალისტური თვალსაზრისით). ხშირად ასეთ თვალსაჩინო წარმოდგენას სრულიად არ ჰქონდა ადგილი, სიტყვის გაგება კი (სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი მნიშვნელობის საზრისის, ცნების განცდა) ნათელი და მტკიცე იყო. ზოგჯერ თვალსაჩინო წარმოდგენებიც ჩნდება, მაგრამ ისინი სრულიად ბუნდოანი და გაურკვეველია და საჭირო ხდება კიდევ მათი გააზრება, მათ მიღმა ამა თუ იმ საგნის ხედვა. მაგ., ც. პ. შემდეგნაირად აღწერს თავის განცდას: „ბუნდოვანი წარმოდგენა რაღაც სრულიად გაურკვეველი ცხოველისა. ეს შეიძლება იყოს ხარი, ცხენი, ძაღლი“. ის, რაც ამ გაურკვეველ თვალსაჩინო შინაარსს გარკვეულ საზრისს აძლევს, თვითონ არათვალსაჩინო აზროვნებითს განცდას წარმოადგენს, რომლის უფრო დაწვრილებითი აღწერა შეუძლებელია და რომლის წყალობით ეს თვალსაჩინო შინაარსი გარკვეულ საგანს მიეკუთვნება.

რაც ცალკე სიტყვის მნიშვნელობის განცდაში გვეძლევა, იმავეს გვაძლევს მთელი წინადადების გაგების განცდაც. აი ამის მაგალითი: ც. პ-ს ეკითხებიან: „გესმით თქვენ წინადადება: აზროვნება იმდენად ძნელი საქმა, რომ ზოგიერთნი საკითხის გადაჭრას არჩევენ?“ ოქმი გვიამბობს: „როცა წინადადება დასრულდა, მე უკვე ვიცოდი თუ რაში იყო საქმე, მაგრამ აზრი ჯერ სრულიად გაურკვეველი იყო. აზრის ნათელსაყოფად მე ნელ-ნელა ვავიმეორე წინადადება. დავასრულე თუ არა, აზრიც ჩემთვის ნათელი გახდა. ამ აზრს მე შემდეგნაირად გამოვთქვამდი: „საკითხის გადაჭრა“ ზერელე ლაპარაკს და საკითხის დაუფიქრებელ გადაწყვეტას ნიშნავს, წინააღმდეგ ნამდვილი კვლევითი აზროვნებისა. წინადადებაში გაგონილი და ჩემ მიერ რეპროდუქცირებული სიტყვების გარდა, ცნობიერებაში არაფერი წარმოდგენისებული (ე. ი. თვალსაჩინო) რამ არ ყოფილა.“

თავის რეფერატში ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის კონგრესზე (1908წ.) ბიულერმა კიდევ უფრო დანვრილებით დაახასიათა არათვალსაჩინო ელემენტი, რომელსაც „მნიშვნელობის ცნობიერება“ შეიცავს: ეს არის „აჰა-განცდა და „ლოგიკური ადგილის მიჩენა.“ ამ სიტყვებს ბიულერი შემდეგნაირად განმარტავს: როდესაც ც. პ-ს მეტად თუ ნაკლებად ძნელი აზრი ეძლევა გასაგებად, იგი ჯერ დუმს, მერე თანდათან, ან უეცარი „შინაგანი ბიძგი“ ცნობიერებაში ჩნდება მნიშვნელობა, რასაც ხშირად თან ახლავს ჩუმი „აჰა“ – ეს აჰა-განცდა ყოველთვის მიმართების განცდა იყო. რეპროდუქცირებული იყო ძველი ც. პ-სათვის ჩვეული აზრი და ახლა ცნობიერებაში გაჩნდა გარკვეული ლოგიკური მიმართება ამ ძველისა და ახლის გამოსაცნობად მიცემულ აზრს შორის. ეს მიმართება მრავალგვარია. ამით აზრი იდეალურად მოთავსებულია, მხატვრულად რომ ვთქვათ, იგი თავის ლოგიკურ ადგილს იჭერს ც. პ-ის აზრთა სამყაროში და სწორედ ამიტომ არის გაგებულნი.“

ცნობიერების არათვალსაჩინო შინაარსთა კვლევის შედეგებმა შეარყიეს „სენსუალისტური“ შეხედულება, რომ ყოველივე ცნობიერების შინაარსს თვალსაჩინო (შეგრძნებისეული) ხასიათი აქვს. ამასთანავე გამორკვეულ იქნა, რომ უბრალოდ მოცემული, ასე ვთქვათ, პასიური შინაარსების გვერდით, ცნობიერებაში

მოიპოვება „აქტები“ (ანუ „ფუნქციები“, როგორც მათ უწოდებენ ზოგჯერ). ამგვარად – დაასკვნის ვულპე – აღმოჩენილ იქნა მრავალი ისეთი აქტი, რომლებიც აქამდის ფსიქოლოგიისათვის არ არსებობდა: შემჩნევა და შემეცნება, ნდომა და უკუგდება, შედარება და გარჩევა და მრავალი სხვა. ყველა ისინი მოკლებული არიან თვალსაჩინობას, რომელიც შეგრძნებისა, წარმოდგენისა და გრძნობისათვის არის დამახასიათებელი, მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი შეიძლება ახლდენ კიდეც ამ აქტებს. ძველი ფსიქოლოგიის უძლურება სწორედ იმაში გამოიხატა, რომ იგი ცდილობდა ეს აქტები ამგვარი თანმხლები მოვლენებით აეხსნა. ასე, მაგ., ყურადება მისთვის დაძაბულობის ანუ კუნთების შეგრძნებათა ჯგუფი იყო, რადგან ეს შეგრძნებები ე. წ. დაძაბულ ყურადღებას ახლავს. ამგვარადვე ნებელობა დაყვანილი იყო მოძრაობის წარმოდგენებზე, რადგანაც ასეთი წარმოდგენები ჩვეულებრივ წინ უძღვის მოქმედებას. აშკარა ხელოვნურ კონსტრუქციებს ნიადაგი გამოეცალა, როცა აღმოჩენილ იქნა ახალი, სპეციფიკური ფსიქიკური აქტები და ამით გაუქმდა შეგრძნებებისა და წარმოდგენების თვითმპყრობელობა ცნობიერებაში.

ამან სრულიად შეცვალა არსებული შეხედულებანი ცნობიერების (ანუ სულის) რაობაზე: ცნობილ იქნა მისი აქტიობა და მიზანშეწონილი მოქმედება; რეცეპტიობა და წარმოდგენათა რეპროდუქციის ასოციაციური მექანიზმი მეორე ხარისხოვან ფაქტად იქცა. გამოირკვა, რომ ჩვენს ცნობიერებას, ასე ვთქვათ, „მონარქიული“ ორგანიზაცია ჰქონია. კულპე ამას მხატვრულად აღწერს: „მე“ ტახტზე ზის და მართავს ყოველივეს. ამჩნევს, აღიქვამს, ადატურებს იმას, რაც მის სამფლობელოში შემოდის; ამასთანავე იგი ეთათბირება თავის გამოცდილ მინისტრებს: ამ ახელმწიფოს ძირითად დებულებებსა და ნორმებს, შეძენილ ცოდნას და შეხედულებებს, ანმყოს შემთხვევით მოთხოვნილებებს, და გამოაქვს განაჩენი: უყურადღებოდ დატოვოს ცნობიერებაში შემოჭრილი, მისცეს მას გამოსადები ფორმა, თუ წინააღმდეგობა გაუწიოს.“

მხატვრული სახეების გარეშე რომ ვილაპარაკოთ: მე – აქტები (აზროვნებისა და ნებისყოფის აქტები) გარკვეულ „ამოცანების“

(მიზნების) ხაზით მიიმართებიან. ეს ამოცანები წარმოდგენათა და აზრთა მიმდინარეობის წარმართველ ძალას – „დეტერმინაციის ტენდენციას“ წარმოშობენ.

„ამოცანების ასეთი გავლენა შეიძლება ექსპერიმენტალურად იქნას დადასტურებული; ყოველი ინსტრუქცია (მითითება), რომელიც ცდის პირს ეძლევა ხომ ასეთი „ამოცანაა“. თუ კი ც. პ. ესმის ამოცანა და სურს მისი შესრულება, ეს შინაგანი „განწყობა“ გავლენას ახდენს მისი განცდების მიმდინარეობაზე, ისევე, როგორც წარმოდგენათა რეპროდუქციაზე. მაგრამ ამ ფაქტებს ასოციაციონური ფსიქოლოგია ველარ ახსნის. მართლაც და, ამგვარი „ამოცანები“ როდი უდრიან ჩვეულებრივ „რეპროდუქციის მოტივებს“. „ამოცანა“ ეძლევა არა შეგრძნებებს, წარმოდგენებს, გრძნობებს, არამედ სუბიექტს; ეს „ამოცანა“ მხოლოდ მაშინ, თუ სუბიექტს ესმის იგი, აქტიურად ლეზულობს მას, რომ შემდეგში ამოცანისდა მიხედვით აბსტრაქცია ან კომბინაცია მოახდინოს, იმსჯელოს ან დაასკვნას, შეადაროს ან განასხვავოს, აღმოაჩინოს ან სხვადასხვაგვარი მიმართებანი დაამყაროს. რომ ასოციაციონური ფსიქოლოგია ვერ ახსნის ამოცანის მოქმედებას, ეს განსაკუთრებით ნათლად ახმა დაამტკიცა: მან დაგვანახა, რომ ძლიერ მტკიცე ასოციაციებიც კი შეიძლება დაძლეულ იქნას საინანაღმდეგო მიმართულებით მომქმედ ამოცანათა საშუალებით. მაგ., მან, მრავალ განმეორებათა საშუალებით, შეუმუშავა ც. პ.-ს მტკიცე ასოციაცია ორ მარცვალს შორის; შემდეგ იგი აძლევს ც. პ.-ს ასეთ ამოცანას: როდესაც პირველი მარცვალი გამოჩნდება მასთან ასოციაციურად დაკავშირებულ მეორე მარცვალს კი ნუ იტყვის, არამედ მოუგონოს ამ მარცვალს რითმა. აქ ნებისყოფის სათანადო დაძაბვის წყალობით შესაძლებელი ხდება ასოციაციის შეფერხება და ცნოიერებაში მაშინვე ჩნდება მარცვალი – რითმა.

უდავოდ დამტკიცდა აგრეთვე, რომ ცდაში გაცილებით უფრო მეტი მნიშვნელობა ამოცანას აქვს, ვიდრე მოცემულ სიტყვა-გამლიზიანებელს; ამას გარდა, გამოირკვა რომ ც. პ. ინსტიქტიურად ან გამოცდილების საფუძველზე ამოცანის გადასაწყვეტად საგანგებო მეაოდებს შეიმუშავენს ხოლმე. შემდეგ ბიულერის ცდებში დამტკიცდა, რომ აზრთა წყვილეთლის ასო-

ციაცია (მაგ., ცოდნა არის ძალა – ბუნების დამორჩილება) გაც-  
ილებით უფრო მალე მუშავდება და უფრო მყარია, ვიდრე ცალკე  
სიტყვების ან უაზრო მარცვლების ასოციაცია. ამ ორი აზრის  
შინაგან ნათესაობას გაცილებით მეტი შემაკავშირებელი ძალა  
აქვს, ვიდრე მხოლოდ გარეგან მექანიკურ თანაარსებობას ან  
თანამიმდევრობას. ზოგჯერ ისედაც ხდება, რომ აზრი სწორად  
არის რეპროდუქცირებული, მაგრამ ც. პ. მას სხვა სიტყვებით  
გამოთქვამს. ცხადია, ეს სიტყვები მეორეხარისხოვან როლს თა-  
მაშობს. როდესაც ამ ცდებს კიდევ უფრო თავისუფალი ხასიათი  
მისცეს გამოირკვა, რომ ის აზრებიც-კი, რომლებიც ც. პ-ს არ  
ეძლევა უშუალო თანამიმდევრობით, ერთმანეთს უკავშირდ-  
ებიან, თუ კი მნიშვნელობით ენათესავენებიან ერთიმეორეს (რაც  
ასოციაციის მექანიკური კანონებით ვერ აიხსნება).

ამგვარად, „ვიურცბურგის სკოლის“ გამოკვლევებმა ნათე-  
ლყო, რომ სენსუალისტური და ასოციაციონური ფსიქოლოგიის  
ძირითად დებულებათა საფუძველზე შეუძლებელია აიხსნას  
ცნობიერების ე. წ. „უმაღლესი“ პროცესები, განსაკუთრებით  
აზრიანი მეტყველება, აზროვნება, ნებელობა და მოქმედება;  
ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ აქამდის გაბატონებული  
მიმართულების ბელადები – ვილჰელმ ვუნდტი და გეორგ ელიას  
მიუღერი ცხარე კრიტიკით შეხვდენ აზროვნების ფსიქოლო-  
გიას. ვუნდტის აზრით აზროვნების ფსიქოლოგიას არც კი ჰქონ-  
და ექსპერიმენტალური კვლევის ხასიათი; ამით მან დაამტკიცა,  
რომ ექსპერიმენტის ცნება სრულიად უმართებულოდ, მეტად  
ვინროდ ესმოდა. ვერც მიუღერმა შესძლო იმის დამტკიცება,  
რომ „ამოცანის მოქმედება“ უბრალოდ „კონსტელაციის მოქ-  
მედებაა“ და მეტი არაფერი. ასოციაციონური ფსიქოლოგია ამ  
ცნების ქვეშ იმ საერთო ფსიქიკურ მდგომარეობას გულისხმობ-  
და, რომელსაც უნდა განესაზღვრა, სახელდობრ, რომელი წარ-  
მოდგენა შემოვა ცნობიერებაში ამ მრავალ რეპროდუქცირებულ  
წარმოდგენათა შორის. რომელიმე სიტყვის, ვთქვათ, „ვარდის“  
კვალი მესხიერებაში მრავალ სხვა კვალთანაა ასოცირებული.  
მაგ. „ყვავილთან“, „სინითლესთან“, „ეკალთან“ ან „ბალთან“  
და სხვ. ის, თუ რომელი მათგანი იქნება რეპროდუქცირებუ-  
ლი, ეს დამოკიდებულია, ამბობენ ამ შეხედულების მომხრენი,

ცნობიერების საერთო კონსტელაციაზე. თუ, მაგ., ფერებზეა საუბარი, მაშინ ამოტივტივდება „წითელი“; თუ სუბიექტმა გაიგონა სიტყვები „ყოველ ვარდს აქვს“... მაშინვე გაჩნდება სიტყვა „ეკალი“. მაგრამ, ოტო ზელცმა ნათლად დაგვანახა, რომ, როცა კონსტელაციის ცნებით უდგები ფაქტებს, ნათელი ხდება, რომ მართლაც „უძლიერესი ასოციაცია“ ცნობიერების წინანდელ განცდებთან ერთად სრულიადც არარის ფსიქიკური ცხოვრების მიმდინარეობის ერთადერთი განმსაზღვრელი მომენტი; და რომ მეორე მხრივ, იგი საკმარისი არ არის „მონესრიგებულ“, ე. ი. მიზანშენიანი სისტემატური აზროვნების ასახსნელად. ამ მკვლევარმა დაამტკიცა, რომ გაცილებით უფრო დიდ როლს, ვიდრე ცალკეული სარეპროდუქციო მოტივები, თამაშობენ წინასწარი მეტად თუ ნაკლებად აბსტრაქციული ჭვრეტითი მთლიანობანი ან ცოდნათა კომპლექსები, სადაც, ასე ვთქვათ, სქემატური სახით უკვე ანტიციპირებულია ამოცანის გადაწყვეტა; შემდეგში რეპროდუქცია ამ სქემას კონკრეტული შინაარსით ამოავსებს. პროდუქციული აზროვნების თეორიაში ზელცმა გვიჩვენა, თუ რა გზას ადგება ჩვენი ფსიქიკა, როცა იგი ახალ რამეს ქმნის; სრულიად ახალ რამეს ამოაჩენს თუ აქამდის მხოლოდ ზოგადად ცნობილ საშუალებას კონკრეტული მიზნის განსახორციელებლად გამოიყენებს. შესაძლებელია აგრეთვე, რომ ესა.თუ ის საშუალება აქამდის ერთი მიზნისათვის იხმარებოდა, ახლა კი მას რაიმე ახალი მიზნისათვის გამოვიყენებთ.

ყოველ შემთხვევაში, ზელცმა დაამტკიცა, რომ „კონსტელაციის თეორია“ უნდა შევსებული იქნას „კომპლექსობის თეორიით“, რომელიც ფსიქოლოგიაში არსებული ყოველგვარი „ატომისტური“ ტენდენციების წინააღმდეგ ნათელყოფს, რომ ფსიქიკურ ცხოვრებას ორგანული ხასიათი აქვს, რომ მასში „ყველაფერი მთელშია ჩაქსოვილი“ („alles sich Zum Ganzen webet“) და ყოველი ცალკეული ფაქტი მთლიანობიდან უნდა იყოს გაგებული. ამ ძირითადმა შეხედულებამ, ისევე, როგორც პირადმა ურთიერთობამ და ურთიერთ გავლენამ „გიურცბურგის სკოლა“ მჭიდროდ დააკავშირა იმ ახალ მიმართულებასთან, რომელსაც მისი მეთაურები (მაქს ვერტჰაიმერი, ვოლფგ. კელლერი, კურტ კოფკა) „გეშტალტ ფსიქოლოგიას“ უწოდებენ.

მაგრამ „ვიურცბურგის სკოლის“ გავლენა მხოლოდ ფსიქოლოგიით როდი შემოიფარგლა: ფსიქოლოგიის სრულიად ახალმა ორიენტაციამ, რომელსაც ეს სკოლა მოასწავებდა, ნაყოფი გამოიღო სხვა დისციპლინებშიაც. მისი წყალობით, მაგ., ესთეტიკა განთავისუფლდა იმ ნატურალიზმისაგან, რომელსაც საფუძვლად ის ყალბი აზრი ედვა, რომ არსებობს მხოლოდ თვალსაჩინო, შეგრძნებისებური რეალობა და რომ ხელოვნება ამ რეალობის ზუსტი ასახვა უნდა იყოს და სხვა არაფერი. თურა დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მას რელიგიის ფსიქოლოგიისა და ამით რელიგიის ფილოსოფიისათვისაც, ეს ნაჩვენებია ჩვენს შრომაში რელიგიის ფსიქოლოგიის შესახებ. შემდეგ ახალმა მიმართულებამ ხიდი გადო ერთი მხრივ ფსიქოლოგიასა და მეორე მხრივ ლოგიკასა და შემეცნების თეორიას შორის; სენსუალისტურმა და ასოციაციონურმა ფსიქოლოგიამ ხომ ვერ შეძლო, თუნდაც ფსიქოლოგიურის მხრივ ნათელეყო აზროვნებისა და შემეცნების არსი.

და ბოლოს ახალმა თვალსაზრისმა პედაგოგიკას მიუთითა იმაზე, თურა დიდი მნიშვნელობა აქვს თვალსაჩინოების გვერდით(დათვითთვალსაჩინოებისათვის) აზროვნებას; აზროვნების აქტიურობის დამტკიცებით მან ფსიქოლოგიური საძირკველი ჩაუყარა ახალი პედაგოგიკის ერთ-ერთ მეტად ნაყოფიერ იდეას – „შრომის სკოლის“ იდეას.

## პროფესორი დოქტორი ვ. შტერნი. ჰამბურგი

ეს სახელწოდება გულისხმობს ფსიქოლოგიის არა ერთ რომელიმე დარგს, არამედ მთელი ფსიქოლოგიაა ახალ ორიენტაციას, თუ გნებავთ, მის ახალ საფუძვლებზე აგებას თეორიაში და პრაქტიკაში. სიტყვა „ახალი“ აქ მხოლოდ პირობით შეიძლება იქნას ხმარებული; მიტომ რომ, ერთის მხრით, ეს ახალი თვალსაზრისი უკვე ოცი წელია ყალიბდება მეცნიერულ სისტემად, და, მეორე მხრით, თანამედროვე ფსიქოლოგიურ მოძრაობაში, რომელმაც ამ უკანასკნელ წლებში, მეტადრე გერმანიაში, სისტემატურ გადატრიალებათა ხასიათი მიიღო, – ჩანს ერთი საერთო ნაკადი, რომელსაც შეიძლება „პერსონალისტური“ ეწოდოს. მართალია, აზრთა სხვაობა არსებულ სკოლებსა და მიმდინარეობათა შორის ჯერ კიდევ ძლიერ დიდია და ბევრიც შეგვედავება ასეთი

---

\* Person und Sache. System des kritischen Personalismus. 3 Bde Leipzig Barth (I Ableitung und Grundlehre 2 Aufl. 1923 - II. Die menschliche Persönlichkeit. 3 Aufl. 1923 - III. Wertphilosophie 1925). ჩენი პრობლემისათვის მნიშვნელოვანია უნინარეს ყოვლისა II და III ტომი, თავები 6-8 ნერილი „Die Psychologie und der Personalismus“ (Ztschr. f. Psych. Bd I-78, 1917) ჩემს ახლანდელ შეხედულებებს აღარ ეთანხმება. ამონაბეჭდი აღარ იშოვება. მის მაგივრად 1928 წ. უნდა გამოვიდეს დანვრილებითი შრომა პერსონალისტური ფსიქოლოგიის შესახებ. – მოკლე შესავალს იძლევა ნერილი: Die menschliche Persönlichkeit und ihr psychisches Leben. (Ztschr. f. pädag Psychologie Bd 21. 1920). კრებული „Philosophie der gegenwart in selbstdarstellungen“ მე-6 ტომში (1926) შეიცავს ჩემ პერსონალისტურ შეხედულებათა განვითარების ისტორიას ფსიქოლოგიურ მუშაობასთან დაკავშირებით. ეს ტომი ცალკეც გამოვიდა (Leipzig. Felix Meiner). – ჩემს სპეციალურ ფსიქოლოგიურ ნაშრომებშიც არის საუბარი პრინციპულ საკითხებზე; მაგალ., „Psychol. der frühen Kindheit“-ში თავი: „Zur personalistischen Psychologie des Strebens“. დაბოლოს, მიეუთითებდი W. O. Döring-ის ნერილზე: „Die Bedeutung der Personalismus für die Pädagogik.“ Ztschr. f. pädag. Psychol. Bd. 23. 1922.

რედ. დამატება: აღნიშნულ გამოკვლევათა შემდეგ გამოვიდა ავტორის შემდეგი მნიშვნელოვანი შრომები, რომელნიც პერსონალისტური ფსიქოლოგიის საკითხებს ეხებიან:

1. Personlichkeitsforschung und Tasmethode - Jahrb. f. Charakterologie, 1929, B. 6.
2. Studien zur Personwissenschaft, I Teil. Personalistic als Wissenschaft 1930.

სახელწოდების სისწორეში. მაგრამ ერთი, საყოველთაოდ გაბატონებული ტენდენციის წინაშე – ელემენტთა შესწავლის ნაცვლად „მთლიანობას“ დავუბრუნდეთ, – ეს სხვაობანი მეორეხარისხოვან ფაქტად უნდა მივიჩნიოთ.

განა არის ადამიანის ცხოვრებაში უფრო უშუალო, ნამდვილი და ღრმა მთლიანობა, ვიდრე „პიროვნების“ მთლიანობა?! ამგვარად, ფსიქოლოგიის პერსონალისტური კონცეპცია ძალდაუტანებლად დაიტევს თანამედროვე ფსიქოლოგიის მრავალ სხვა მიმდინარეობას.

## I. პიროვნება

ცნება „პიროვნება“ მარტო ფსიქოლოგიის ცნება კი არ არის, არამედ იგი წარმოადგენს ფსიქოლოგიის (და ადამიანის შესახებ ყველა კერძო მეცნიერებათა) იმ ზემდებარე მეცნიერების – „პერსონალისტიკის“ – ძირითად ცნებას, რომელიც ახლახან ყალიბდება. პიროვნებას ისეთი ნიშნები ახასიათებს, რომლებიც ფსიქიკურისა ფიზიკურის წინააღმდეგობის მიღმა დგანან; და როცა ჩვენ მას ვახასიათებთ როგორც თვითმომქმედ და თვითშემომქმედ მიზანმსწრაფ აზრიან მთლიანობას, ეს განმარტება ცნობიერების შინაარსებს კი არ გულისხმობს თავისთავად ან და სხეულებრივ ფუნქციებს თავისთავად, არამედ იმ პირველადს დაუნანვერებლობას, რომელშიაც სულიერი – აქ, სხეულებრივი – იქ მხოლოდ დამოკიდებული მომენტი არის და იქნება კიდევ. პიროვნება, მაშასადამე, ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალურია. და იგივე ითქმის მის ძირითად თვისებებსა და ფუნქციებზე.

ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალურთან გვაქვს საქმე, როცა პიროვნების მიზანთა სისტემაზე ვლაპარაკობთ, რომელიც აზრსა და მიმართულებას აძლევს პიროვნების თვითმომქმედებას. ჩვენ აქ დავინახავთ ერთი მხრით უშუალო საკუთარ მიზნებს, რომლებიც ან თვითდაცვის, ან თვითგაშლის სახით გვევლინება; მეორე მხრით – „სხვათა – მიზნებს“, რომლებიც უფრო მაღალ მთლიანობაში (ერი, კაცობრიობა) ან სხვა

პიროვნებებში (თანამომქმენი) და აბსტრაქტულ იდეალებში სუფევს. მაგრამ ეს ორი საწინააღმდეგო მიმართულების ტენდენცია დაარღვევდა ინდივიდუალური არსების ერთიანობა, რომ ისინი არ ექვემდებარებოდნენ მიზანთდების მესამე სახეს, ინტროცეპციას, სხვათა მიზნის მიღებას საკუთარ მიზნად. ჩვენ აქ – უფრო მეტად, ვიდრე სადმე სხვაგან, – პიროვნების საიდუმლოების წინაშე ვდგევართ. როცა პიროვნება ობიექტურ ღირებულებებს თავისი მოქმედების მიზნად ადასტურებს, იგი უცხო ძალის უბრალო მონად, პასიურ „საგნად“ როდი იქცევა, ვინაიდან იგი ამავე დროს თავის თავს ადასტურებს ამ ამოცანის თვითმოქმედ შემსრულებლად და, მონაწილეობს რა ამით ობიექტურ ღირებულებათა განხორციელებაში, თვით ანხორციელებს თავის თავს. <sup>1)2)</sup>

ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალურია აგრეთვე პიროვნების მოქმედება, რაც მიზანთა განხორციელებისაკენ არის მიმართული. ასე, მაგალითად, ნებითი მოქმედებისათვის მარტო ის კი არ არის დამახასიათებელი, რომ აქ ერთი მხრით ცნობიერების განცდებს (მოტივთა წარმოდგენებსა და სხვ.) და მეორე მხრით სხეულის მოძრაობებს აქვს ადგილი, არამედ ის, რომ აქ შინაგანი, გაუნანევრებელი იმპულსიდან ობიექტურ სამყაროზე მიმართული მიზანმსწრაფი მოქმედება იბადება, შემდეგ მხოლოდ ამ ამოცანის შესასრულებლად ჩნდება ის ორი მჭიდროდ გადაკვანძული ნაწილობრივი მომენტი – ფსიქიკური და ფიზიკური ფაქტორი, რომელთაც ჩვენ ნებითი მოქმედების ანალიზის შედეგად ვღებულობთ. იგივე ითქმის პიროვნების ყოველგვარი სხვა აქტიობის შესახებ: მოვიგონოთ მეტყველება, მხატვრული შემოქმედება და სხვ. ფსიქიკური ნაწილისა და ფიზიკური ნაწილის გამოყოფა მუდამ შემდეგში ხდება და იგი ხელოვნურ იზოლაციას წარმოადგენს, რომელსაც ხშირად მხოლოდ მეცნიერული კვლევა-ძიების მიზნით ვანარმოებთ.

ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური მოქმედების წიაღში შეიძლება განვასხვავოთ ზოგი რამ: უწინარეს ყოვლისა რეაქციე-

<sup>1</sup> ინტროცეპციის ეს ცნება ჩემი წიგნის „Wertphilosophie“-ს ცენტრში დგას.

<sup>2</sup> გამოთქმა „მიზანთა მიღება“ ცნობიერ მიმხრობას კი არ გულისხმობს; ცნება უფრო ფართოა.

ბი და სპონტანური მოქმედებანი, განვასხვავოთ იმის-  
და მიხედვით, თუ საიდან მოდის ბიძგი, – გარედან თუ შიგნიდან.  
როგორ არიან გადაკვანძული ერთმანეთში რეაქციები და სპონ-  
ტანური მოქმედებანი, რა და რა სახით გვევლინება მოქმედების  
ორივე ფორმა – ამაზე აქ დანერილებით ვერ ვილაპარაკებთ.

ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია შემდეგ „კონვერ-  
გენციის“ მოვლენა, რომელიც ინდივიდუალურ ვითარებას  
განსაზღვრავს. პიროვნებისა და გარესამყაროს კაუზალურ  
დამოკიდებულებას აქამდის ან ნატივისტურად ხსნიდენ, და  
თვით პიროვნება (ან და წინაპართაგან გადმოცემული, თან-  
დაყოლილ უნართა კრებული) საკუთარი ანმყოსა და მომავლის  
წინასწარ და ერთმნიშვნელოვნად განმსაზღვრელ ფაქტორად  
იყო გამოცხადებული; ან და ემპირისტულად ხსნიდენ და მაშინ  
პიროვნების ჩამოყალიბების მთელს პროცესს გარესამყაროს  
გავლენებს მიაწერდენ. კონვერგენციის თეორიაში სავსებით  
დაძლეულია ორივე უკიდურესობა. „კონვერგენცია“ ნიშნავს  
გარესამყაროს და პერსონალური მიზანსწრაფვის ურთიერთ-  
მოქმედებას. მთავარშიც და უმნიშვნელოშიც, ყოველ აქტუა-  
ლურ მოქმედებაში ისევე, როგორც პიროვნების ყოველ მყარ  
თვისებაში მუდამ ორივე მონაწილეობს: შინაგანი ტენდენცია და  
გარეგანი გავლენა. გარესამყაროს მხოლოდ ის ნაწილი იქცევა  
პიროვნებისათვის გარემოდ, რომელიც ეხმარება ან ეწინააღ-  
მდეგება პიროვნების შინაგან სწრაფვას ამა თუ იმ მიმართულე-  
ბით. და მხოლოდ ის შინაგანი პერსონალური მიზანსწრაფვა შეი-  
ძლება განხორციელდეს და პერსონალური ცხოვრების კონკრე-  
ტული ჩამოყალიბება გამოიწვიოს, რომლისთვისაც გარეგანი  
პირობები გამლიზიანებლად, მასალად, ამოცანად, იძულებად ან  
გამხნეველად იქცევა.

მაშასადამე, ის რაც პიროვნებას შიგნიდან მოაქვს, მხოლოდ  
პოტენციებს, ლატენტურ ენერგიებს წარმოადგენს, რომლე-  
ბიც ერთი რომელიმე მიზნისაკენ არიან მიმართული, მაგრამ  
ჯერ კიდევ არ არიან ერთმნიშვნელოვნად ფიქსირებული:  
ე. წ. დისპოზიციები, სიცოცხლის დასაწყისში მერყეენი და  
მრავალმნიშვნელოვანნი (ვითარცა „ნასახნი“), შემდეგში თან-  
დათან, გარესამყაროსთან მუდმივი კონვერგენციის გამო, ერთს

გარკვეულ კალაპოტში ყალიბდებიან, ერთმნიშვნელოვანდებიან (როგორც „თვისებები“). და სწორედ ესაა რომ პერსონალური სახვის უნარიანობის („პლასტიკურობის“) შესაძლებლობას და განსაზღვრულობასაც ქმნის – ყოველი პედაგოგიკის ფუნდამენტალურ რწმენას. ნასახზე შეგიძლია იმოქმედო, თვისებას კი ანგარიში უნდა გაუწიო. პედაგოგიკას ფართო, მაგრამ არც თუ უსაზღვრო სარბიელი აქვს. მას არ შეუძლია პიროვნება რომელიმე გარედან მოტანილი იდეალისამებრ გამოაცხოს, მაგრამ უნდა ეცადოს შინაგანი თვითჩამოყალიბების პროცესში ერთმნიშვნელოვანობა შეიტანოს.

დისპოზიციები დამოუკიდებელი და ურთიერთგათიშული „ნიჭები“-კი არაა, მთლიან-ენტელეხიის ცალკე სხივები არიან და, რადგან ყველა სხივები ამ ენტელეხიას ეკუთვნის, ამიტომ მათ შორის მრავალმხრივი კორელაციაა. თითოეული ცალკე დისპოზიციის იზოლირებული განხილვა (მაგ., ზოგადი ნიჭიერების სახეობა, ნებისყოფის თავისებურება) მეცნიერულად აუცილებელია, მაგრამ ეს არ კმარა და იგი მთლიანობაშიც უნდა იქნას განხილული და ამგვარად შევსებული.

ყოველი დისპოზიცია შეიცავს ერთდროულად უნარსაც და მიმართულებასაც. მაგრამ იმისდა მიხედვით, თუ ამ მომენტთა შორის რომელი სჭარბობს, ჩვენ შეგვიძლია განვასხვავოთ „აღჭურვილობისა“ და (Rüstungs – Disposition) და „მიმართულების დისპოზიციები“ (მოვიგონოთ განსხვავება ზოგად გონიერებასა და ინტერესს შორის).

პიროვნების იმ ნიშანთა რიცხვს, რომლებიც ფსიქიკურისა და ფიზიკურის განსხვავებულობის მიღმა დგანან, ეკუთვნის აგრეთვე სტრუქტურა. როგორც მრავალთ-ერთიანობა („unitas multiplex“) პიროვნება იყოფა მრავალსა და სხვადასხვა საფეხურის ნაწილ-მთლიანობებად: ორგანოები, ფუნქციები, მიზანთ-მიმართულებანი, განცდები, შემოქმედების სფეროები; ყველა ეს ნაწილ-მთლიანობანი კორელაციაში იმყოფებიან ერთიმეორესთან და მათი მომენტები მეტად თუ ნაკლებად გადაკვანძული არიან ურთიერთთან, ექვემდებარებიან ან ბატონობენ ერთიმეორეზე. თითოეული ნაწილ-მთლიანიც თითონაც დასტრუქტურებულია ისე, რომ ამ სტრუქტურის წიაღში თითოეულ ქვემდებარე

მომენტს თავისი საგანგებო ადგილი და ამოცანა აქვს მიჩენილი, შეიძლება ითქვას კიდევ, რომ ეს მომენტი მხოლოდ ამ სტრუქტურის წყალობით არსებობს. პიროვნებაში არ არის არაფერი ისეთი, რომ სრულიად იზოლირებული იყოს დანარჩენისაგან; პიროვნება არამც და არამც არ წარმოდგება „ელემენტების“, ე. ი. მარტივი ძირითადი შემადგენელი ნაწილების სუმატური შეკონინებით, არამედ არადამოუკიდებელი მომენტებისაგან შედგება. მთელი წინ უსწრებს ნაწილს და მთელი უფრო რეალურია, ვიდრე ნაწილი (ფსიქოლოგიისათვის ეს იმას ნიშნავს, რომ უარყოფილ უნდა იქნას ყოველგვარი „ელემენტთა ფსიქოლოგია“, რომელსაც სწადია სულიერი ცხოვრება ცნობიერების მარტივ ატომების უბრალო შეკრებით ააგოს).

არის ისეთი სტრუქტურა, რომ მთელ პიროვნებას მოიცავს, მას, ასე ვთქვათ, ერთ განსაზღვრულ პერსპექტივაში ამარტივებს: აი, მაგალითად, ბიოლოგი რომ „კონსტიტუციაზე“ ლაპარაკობს, ფსიქოლოგი – „ტიმპერამენტზე“, გონისმეცნიერებათა ადვოკატი – ადამიანის გონით ტიპზე.<sup>\*</sup> იმისდა მიხედვით, თუ რა პერსპექტივას აირჩევ, შეიძლება იგივე ადამიანი სხვა სტრუქტურულ ტიპს მიეკუთვნოს (ამიტომაც შემცდარია ზოგიერთი ახალი ტიპოლოგიური მოძღვრების ცდა ერთი გარკვეული საყოველთაო ტიპოლოგიური კლასიფიკაცია შეიმუშაონ).

მეორე მხრით, როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, არსებობს ნაწილ-სტრუქტურები და მათთვისაც მთავარია მთელი სადმი დამოკიდებულების ფორმა. პიროვნების ყოველი ასეთი ნაწილობრივი მომენტი და მისი ცხოვრება გამოყოფილიცაა მთელისაგან და ამავე დროს ჩართულიც მთელში. ამ გამოყოფილობისა და ჩართულობის პროპორციას მრავალი საფეხური აქვს: საფეხურთა მწკრივის ერთ პოლუსზე დგანან შედარებით დამოუკიდებელი სტრუქტურები, რომელნიც იმდენად ეწინააღ-

---

<sup>\*</sup> ეს მაგალითები კვლავ ნათლად გვიჩვენებს სტრუქტურის ცნების ფსიქოფიზიკურ ნეიტრალობას. და მართლაც ამ უკანასკნელ დროს ფიზიოლოგიასა, ბიოლოგიასა და პათოლოგიაში შემუშავდა „კონსტიტუციის მოძღვრება“, რომელიც ფიზიკური ადამიანის პერსონალისტიკა და მეტი არაფერი. მეორე მხრით შპრანგერის მიერ მოხაზული ტიპები მთლიან სტრუქტურებს წარმოადგენენ, რომელნიც ფსიქიკურის გადაღმაც, ობიექტურ ღირებულებათა სამყაროში გადადიან.

მდეგებიან მათ ირგვლივ თავმოყრილ მომენტებს პიროვნებისა, რომ მკაცრად ემიჯნებიან მათ და თვისი შედარებით მთლიანი ხასიათის გმო – თავის იერს აძლევენ ყოველივეს, რაც კი მათ ეკუთვნის; ეს არის „გეშტალტები“, რომლებისათვისაც ამის გამო გეშტალტ-კანონზომიერებანი უნდა იქნას დადგენილი. მაშასადამე ახალი გეშტალტ-ფსიქოლოგია ამით პოულობს თავის ადგილს პერსონალისტური ფსიქოლოგიის წიაღში. მაგრამ ეს „გეშტალტები“ (ფიზიკური იქნება, ფსიქიური თუ ფსიქოფიზიკური) ნამდვილად ავტონომიური როდი არიან; ერთობლიობა და ფსევდომთლიანობა მათ მხოლოდ „პიროვნებისაგან აქვთ ბოძებული“: არ არსებობს გეშტალტი გარეშე გამაგეშტალტებელი სა.

მაგრამ პიროვნებაში შემავალი ყველა სტრუქტურა არ არის ამდენად „გეშტალტური“. გამოყოფილობა-ჩართულობის პროპორციის კიბური მიგვიყვანს ისეთ სტრუქტურებამდის, სადაც ერთი მკაცრად დანაწევრებული ცენტრის გარშემო განლაგებულია მკრთალი კიდური ზონები, რომელთა საშუალებით ეს სტრუქტურები უშუალოდ და უმიჯნოდ ერთვიან პიროვნების მთლიანობას; წარმოვიდგინოთ, ვთქვათ, განცდათა ისეთი კომპლექსი, როგორიცაა „მონოდება“ რაიმე ხელობისადმი ანდა მოლოდინის ფსიქოფიზიკური მდგომარეობა, როცა პიროვნებაში ანმყოს გარკვეული განცდები ბუნდოვან მომავალს ერთვიან და სხვ. ასეთი მჭიდროდ ჩართული ნაწილობრივი სტრუქტურები, რა თქმა უნდა, უფრო ძნელი შესამჩნევია, ვიდრე შედარებით იზოლირებული გეშტალტები, და ამიტომაც არის, რომ მათი მნიშვნელობა ჯერ სუსტადაა შესწავლილი.

ფსიქოლოგიისათვის ზემონათქვამიდან ასეთი დებულება გამომდინარეობს: ყოველი ფსიქიკური ფაქტი არა თუ მხოლოდ თვით არის დასტრუქტურებული, არამედ ჩართულია კიდევ უფრო მაღალ სტრუქტურულ ერთეულში, საბოლოოდ კი – პიროვნებაში. იგი ვერ გაიგება და ვერ იხსნება ვერც თავისთავად და ვერც ელემენტებიდან, არამედ მხოლოდ ამ პერსონალურ მთლიანობაში.

უკანასკნელი ფსიქოფიზიკურად ნეიტრალური ნიშანი პი-

როვნებისა – განვითარებაა. თუ პიროვნება არ არის ელემენტთა ჯამი, მისი ცხოვრებაც არ არის ფაქტების უბრალო თანმიმდევრობა, არამედ პიროვნების, როგორც მთელის, აზრიანი თვითგაშლის პროცესია. ამ განვითარების გზაზე გადადგმული ყოველი ნაბიჯი მთელს ადამიანში იწვევს ცვლილებას. ამიტომ, მაგალითად, „პუბერცეტის ხანა“ არის არა ისეთი პერიოდი, სადაც ერთი მხრით სხეულებრივი, მეორე მხრით სულიერი ცვლილებები შეიძლება დავადასტუროთ, არამედ ერთი მთლიანი შინაგანი რევოლუციაა, რომელიც ფიზიკაზეც ვრცელდება, სულზეც და კულტურისადმი დამოკიდებულებაზეც, და რომელიც განვითარების ამ მომენტების განსაკუთრებით მჭიდრო ურთიერთკავშირს იწვევს.

განვითარების პროცესში მყოფ პიროვნებას სამი სტრუქტურული ნიშანი ახასიათებს, რომელთა გათვალისწინებაც განსაკუთრებით მოზარდის ფსიქოლოგიისათვისაა მნიშვნელოვანი.

ზრდა – პერსონალური ცხოვრება იზრდება სიცოცხლისა და განცდის შინაარსებისა და მათი მოქმედების მოცულობისა და მრავალფეროვანობის მხრით.

„დანანევრება“ – პერსონალური ცხოვრება პრიმიტიული ბუნდოვანობისა და დიფუზიურობის მდგომარეობიდან გადადის სტრუქტურუიანობის მდგომარეობაში ე. ი. ისეთ მდგომარეობაში, როცა ერთსა და იმავე დროს უფრო ფართო მთლიანობასაც წარმოადგენს და უფრო მეტადაც არის შინაგნად დიფერენცირებული. ქმნადობა – პერსონალური ცხოვრება იშლება კვალიტატურად განსხვავებული, მაგრამ შინაგნად დაკავშირებული ფაზების ნყებად.

## II. ფსიქიკური

ახლა ჩვენ უკვე შეგვიძლია ვთქვათ, თუ რა ადგილი უჭირავს პერსონალისტიკაში მოძღვრებას ფსიქიკურის შესახებ.

ნეგატიურად, – უწინარეს ყოვლისა ნათელია, რომ ფსიქიკური არ უნდა იყოს რაღაც თავისთავად, არსებული და თავისთავად გასაგები რამ. ამიტომ უკუგდებულ უნდა იქნას ცდა

ფსიქიკურის გამოცხადებისა განსაკუთრებულ სუბსტანციად ანუ სულიერ არსებად, რომელიც ადამიანში მატერიალურ სუბსტანციას, სხეულს უპირისპირდება თითქოს; ასევე მიუღებელია მეორე ცდაც: ფსიქიკური წარმოდგენილ იქნას როგორც ჯამი, აგრეგატი ცნობიერების უმცირესი ელემენტებისა, რომლებიც წმინდა ფსიქიკური კანონებისამებრ (ვთქვათ, ასოციაციის-ამებრ) დაკავშირებული არიან თითქოს ერთმანეთთან. პირიქით, ფსიქიკური „პიროვნებისაკენ“ მოგვიწოდებს და ეს პიროვნება, როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი სუბსტანცია და ერთადერთი ჭეშმარიტი მთლიანობა, ფსიქიკურის არსებობისა და ფუნქციონის წინამძღვარს წარმოადგენს და ფსიქიკურს აზრს აძლევს. მოკლედ – პიროვნების ფუნდამენტალური არსის მიმართ ფსიქიკური რალაც დასკვნილს წარმოადგენს, პიროვნების სუბსტანციალური არსის მიმართ – აქციდენციალს (კუთვნილს, თვისებას) პიროვნების მთლიანობის მიმართ – ნაგლეჯს, პიროვნების აზრისმქმედ თვითღირებულოვანობის მიმართ – სხვისი აზრის მიძღვებას და სხვისი ღირებულების მქონეს.

აქ შეიძლება დაგვებადოს შთაბეჭდილება, თითქოს ამით შეზღაღულია სულიერის მაღალი ღირსება; მაგრამ ეს მხოლოდ იმის ბრალი იქნება, რომ ჩვენ აქამდის შეცთომით თვით ფსიქიკურს ვაკუთვნებდით მრავალ ისეთ ნიშანს და ისეთ ღირებულებას, რაც ნამდვილად პიროვნების კატეგორიას ეკუთვნის. ყოველ შემთხვევაში ფსიქოლოგიამ აქედან ასეთი დასკვნა უნდა გამოიტანოს: მას არ შეუძლია მოითხოვოს სრული ავტონომია, რადგან მისი მთავარი პრობლემაა – ფსიქიკურის ადგილი და წონა პიროვნებაში; მაშასადამე იგი უნდა დაემყაროს პერსონალისტიკას, როგორც თავის მეცნიერულ წინამძღვარს.

რადგან პიროვნება გარკვეულ გარემოცულობაში ცხოვრობს, იგი ორგვარად მუღავნდება, მაგრამ ისე, რომ მისი მთლიანობა არ ირღვევა; ერთი მხრით იგი თავისთვის („შიგნით“) მუღავნდება, მეორე მხრით – სხვისთვის („გარეთ“). ამით მოცემული გვაქვს ფსიქიკურისა და ფიზიკურის განსხვავებულობა პიროვნებაში. ამგვარად, აქ ორი, მუღამ პარალელურად მიმდინარე, მყარი ატრიბუტი კი არ არის (როგორც სპინოზას და

თანამედროვე პარალელიზმს წარმოუდგენიათ), არამედ – ორი გზა მომქმედი პიროვნების მთლიანი არსის გამოყვანებისა, პიროვნების პირველადი აქტიობის განხორციელებისა. ყოველივე სხეულებრივი – „გამოვლენა“ პიროვნებისა, სულიერი კი – „შინავლენა“ (Innerung) (იგი შიგნით მიიმართება).

„გამოვლენა“ და „შინავლენა“ მჭიდროდ არიან დაკავშირებული ერთიმეორესთან, მაგრამ ისე კი არა, რომ სხეულებრივი არსისა და სიცოცხლის ერთი ნატეხი სულიერის ერთ-ერთ ნატეხს შეესაბამებოდეს (ეს ხომ იგივე დაშლა იქნებოდა პიროვნებისა მექანიკურად გაგებულ ელემენტებზე), არამედ ისე, რომ ორივე მთელს ეკუთვნოს და ამის გამო ისინი მიზანთა და აზრთა უამრავ სისტემაში შედიან.

აქ მხოლოდ მოკლედ შეიძლება აღინიშნოს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ზემოთქმულს აღმოცენების პერიოდში მყოფი, გამოხატულებათა შემსწავლელი მეცნიერებისათვის (ფიზიოგნომიკა, გრაფოლოგია და სხვ.). ესა თუ ის სხეულებრივი ფაქტი (სახის მოხაზულობა, ხელის წერიტი მოძრაობა და სხვ.). ერთი რომელიმე იზოლირებული სულიერი ფაქტის ნიშანი კი არ არის, არამედ – უშუალოდ თუ შუალობით, ფარულად თუ აშკარად – მთელი პიროვნების თავისებურებაზე მიგვითითებს, ისეთ თავისებურებაზე, რომელიც მეორე მხრით გარკვეულ სულიერ მოვლენებშიც მჟღავნდება. ამიტომ ქარაქტეროლოგია, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ასეთ მეთოდთან, ფსიქოლოგიის დარგი კი არ არის, არამედ პერსონალისტიკისა, რაგან სხეულებრივ გამოხატულებათა წვდომა მისთვის ისევე აუცილებელია, როგორც შინაგანი ფსიქიკური განცდებისაც.

მაგრამ ჩვენ აქ უფრო „შინავლენა“ გვიანტერესებს ანუ პიროვნების ის აქტი, რომელიც მასში ფსიქიკურს ქმნის. პიროვნება თავის ყოფნას ცნობიერ-ყოფნად აქცევს, თავის ცხოვრებას განცდად. როგორ ხდება ეს, ამას ვერავინ იტყვის. სამაგიეროდ ამ ფაქტის აზრის შესახებ შეიძლება ზოგი რამ ითქვას.

რომ ამ გაცნობიერების აზრი გავიგოთ, ჩვენთვის უკვე ცნობილს კონვერგენციის ცნებას კონფლიქტის ცნებაუნდადავუპირისპიროთ. კონვერგენცია ქმნის და წარმართავს პიროვნების

ცხოვრებას, კონფლიქტი კი წარმოშობს ამ ცხოვრების განცდას. სანამ პიროვნების ცხოვრება წყნარად მიმდინარეობს ჩვეული ან თავისთავად ცხადი და მისაღები გზებით, სანამ კონვერგენცია გარეპირობებისა და შინაგანი დისპოზიციების შეთანხმებულს ურთიერთ ზემოქმედებას ნიშნავს, მანამდის ცხოვრებაც თვით-კმარია და თავის თავის დანახვას არ საჭიროებს. და მხოლოდ მაშინ, თუ რაიმე შინაგანმა ან გარეგანმა შეუთანხმებლობამ, შეფერხებამ ან წინააღმდეგობამ იჩინა თავი, – ეს შეჯახება ცნობიერების ნაპერწკალს ისვრის. ამიტომაც არის, რომ ცნობიერება მთელ ცხოვრებას კი არ ისახავს, არამედ მხოლოდ მის მეზობლ მხარეებს: „მე“-ს – ცნობიერებაში, – „მე“-ს მეზობლ მხარეებს, ობიექტის ცნობიერებაში – სინამდვილის მხოლოდ იმ ნაწილს, რომელიც დაძლეულ ან აცდენილ უნდა იქნას.\*

მაგრამ, რადგან, რაც უფრო მაღალი ორგანიზაციისაა პიროვნება, მით უფრო მეტ შინაარსებს, ფაქტებსა და ღირებულებებს შეიცავს, და რადგან მთლიანობაში მათს მოსათავსებლად უფრო მეტი დაბრკოლება და სიძნელეა დასაძლევია, ამიტომ განვითარებასთან ერთად ცნობიერებაც მატულობს: შევადაროთ ცხოველი და ადამიანი, ბავშვი და მოწიფული, პირველყოფილი ადამიანი და კულტურული ადამიანი. სწორედ ამიტომ ცნობიერება მაღალგანვითარებულ პერსონალურ ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს. მაგრამ ეს როლი მაინც ნაწილობრივია და მის აუცილებელ შევსებას არა ცნობიერი წარმოადგენს. ეს ცნება, რომლის შემოღება და გარკვევა უკანასკნელი საუკუნის ერთ-ერთ დიად საქმედ უნდა ჩაითვალოს, მხოლოდ ახლა, პერსონალისტიკის წყალობით, პოულობს თავის გამართლებას. რადგან, თუ აქამდის ეს წმინდა ნეგატიურად მოხაზული პოტენცია ჰაერში ეკიდა, როგორც მისტიური აჩრდილი (მაგალითად, ედუარდ ფონ ჰარტმანისა და აგრეთვე ფრეიდის მოძღვრებაშიც), ახლა იგი პოზიტიური პერსონალური ცხოვრების გამოვლინებად იქცევა, რამდენადაც იგი გარკვეულ მიმართებაში დგას ცნობიერებისადმი, თუმცა თავისთავად „შინავლენის“ სახეს არ ღებულობს. არაცნობიერია ამიტომ პერსონალური ცხოვრების

\* Wertphilosophie – გვ. 198/199.

ის უწყვეტობა, რომლის წყალობით ცნობიერების ცალ-ცალკე ნაპერწკლები (ისინი რომ იზოლირებულად განიხილო, წერტილთა ქაოსი გამოვა) აზრიანად გაერთიანებული არიან.

არაცნობიერია, შემდეგ, ცნობიერი განცდის კვალი (Nachwirkung), რამდენადაც იგი პიროვნების (ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურ) ცხოვრებაში გადადის და განახლებისას (როგორც მესხიერების შინაარსი) ისევ „შინავლენის“ ხასიათი შეუძლია მიიღოს. არაცნობიერია ის მოქმედება, რომელიც, ემსახურება რა პერსონალურ მიზნებს, ცნობიერების საშუალებებს აამოქმედებს (მოქმედება, შემოქმედება); არაცნობიერია, დასასრულ, ის იშვიათი უკიდურესი მდგომარეობანიც, სადაც ცნობიერების გამომწვევი კონფლიქტები დროებით ცხრება (აღტაცება, მისტიკური ჭვრეტა). ამგვარად პერსონალი მიზანსწრაფვის არაცნობიერი სვლა ბუნდოვანს, მაგრამ აზრის მიმცემ ფონს წარმოადგენს, რომელსაც ცნობიერების სხვადასხვა ფერისა და სხვადასხვა სინათლის განცდები გამოიყოფა.

ცნობიერი და არაცნობიერი ერთად ცნების - ფსიქიკურის - შინაარსს წარმოადგენენ. „ფსიქიკური“ არის პიროვნება, რამდენათაც იგი შიგნით არის მიმართული (als Inbegriff ihrer Innenbezogenheiten), ე. ი. რამდენადაც მის ცხოვრებაში ფაქტიურად „შინავლენები“ ხორციელდება ან რამდენადაც ეს ცხოვრება რაიმე კავშირში იმყოფება ამ შინავლენებთან.\*

ყველაზე უფრო სწორი იქნება აქედან „განცდის“ ცნებაზე გადავიდეთ. ავიღოთ პიროვნების ცხოვრების მიმდინარეობაში ერთ-ერთი ტალღა, რომელიც, როგორც დანანევრებული სტრუქტურა, გამოკვეთილა დანარჩენ შინაარსებს შორის (მაგ. ნებითი მოქმედება) და ვუნოდოთ „ცოცხლობა“ (Lebnis); იგი ჯერ-ჯერობით ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურია. თუ ეს „ცოცხლობა“ „შინავლენად“ გადაიქცა, იგი „განცდა“ (Erlebniss) გახდება; ან და უფრო სწორად (რადგან „ცოცხლობა“ მთლიანად არ პროექტირდება ცნობიერებაში) იგი, რამდენადაც „შინავლენად“ იქცევა, იმდენად „განცდა“ ხდება. განცდა სესხულოს „ცოცხლობისაგან“, რომელსაც იგი ეკუთვნის, აწმყოობას, ცენტრალობას (მასში ამ დროს კონცენტრირებულია პერსონალი

\* Wertphilosophie, გვ. 201.

ცხოვრება), სტრუქტურთანობას: მას აქვს ცენტრი და პერიფერია, იგი გამოკვეთილია, შინაგანად დანაწევრებულია.

მაგრამ განცდა თავისთვის კი არ არსებობს და მისი აზრი მასშივე კი არ ამოიწურება\* „მხოლოდ ის ტრანსცენდენტი, რაც განცდის უბრალო არსებობსი მიღმა ძევს, აძლევს ამ განცდას აზრს“. რას ნიშნავს ეს?

პიროვნება ცოცხლობს – ეს უეჭველია. მაგრამ იგი განიცდის – რალაცას. რა არის ეს „რალაცა“? მოვიგონოთ, რომ გაცნობიერებას კონფლიქტი წარმოშობს, რომელიც კონვერგენციას ეღობება. ნეიტრალური „ცოცხლობის“ კონვერგენციაში პიროვნება ჯერ სავსებით შერწყმულია სინამდვილესთან; განცდაში კი პიროვნება ისწრაფის დაარღვიოს ეს შერწყმულობა. ყოველი განცდა ამავე დროს „განცოცხლებაა“ (Lerleben), „მე“-სა და გარესინამდვილის, სუბიექტისა და ობიექტის გათიშვაა. ამიტომ თითოეულ განცდას ერთი უპირატესი მიმართულება აქვს; მისი სპეციფიკური საგანი ან საკუთარი პიროვნებაა: მაშინ ამ პიროვნების მდგომარეობა განიცდება როგორც გრძნობა, მისი აქტიობა – როგორც ნებისყოფა, მისი მყარი არსება – როგორც თვითცნობიერება; ანდა მისი საგანი – გარესამყაროა, რომლის აწინდელი მდგომარეობა განიცდება როგორც აღქმა, წარსული და მომავალი – როგორც წარმოდგენა და აზრი, მისი მყარი არსება – როგორც იდეა.

ცხადია, ამ ნიადაგზე შესაძლებელია ცნობიერების შინაარსთა ძირითადი კლასიფიკაცია; მაგრამ თუ წინანდელ ფსიქოლოგიაში ეს ძირითადი ჯგუფები დადგენილი იყო, როგორც სულიერის პირვანდელი და დაუყვანადი ძირითადი რომელობანი, ახლა ისინი პიროვნებიდან გამომდინარედ და პიროვნების მიერ აზრდებულად გვევლინებიან.

განცდათა ეს მიღმამდებარე მნიშვნელობა შეიძლება სიმბოლურად იქნას წოდებული, რითაც გამოთქმულ უნდა იქნას ის აზრი, რომ იგი კიდევ გამოხატავს და კიდევ ფარავს ნამდვილ ვითარებას. ეს ნიშნავს შემდეგს: გრძნობისა ან ნებისყოფის განცდაში სიმბოლიზირებულია ჩვენი მე; იგი როგორღაც

---

\* ეს ყოველგვარი „განცდის ფილოსოფიის“ წინააღმდეგ ლაპარაკობს. უფრო დანერვილებით ამაზე იხ. Wertphilosophie, გვ. 204 და შემდ.

პროექტირებულია განცდაში, მაგრამ არა ზუსტად და სრულად, არამედ მხოლოდ ფრაგმენტულად და მიახლოებით – შეიძლება (იხილე ქვემოთ) დამახინჯებლადაც. ეს მიტომ ხდება, რომ მე-ს უღრმეს ფენებს ცნობიერება პრინციპულად ვერ სწვდება. და სწორედ ასევე – აღქმაში ან მოგონებაში სიმბოლიზირებულია ობიექტური სამყაროს მხოლოდ ერთი ნაწილი; ცნობიერების შინაარსი ვერც აქ იძლევა სინამდვილის სრულ ასახვას არამედ მხოლოდ მიახლოებითს, ზოგიერთი მხარის შერჩევას, მის მოდელურ გადამუშავებას; ეს მიტომ არის ასე, რომ, რა გინდ დიდი არ უნდა იყოს მისწრაფება ობიექტივაციისადმი, მე-სა და გარესამყაროს კონვერგენცია არასდროს არ ირღვევა სავსებით. ადამიანს მხოლოდ საკუთარი სუბიექტივობის დამაჩრდილებელი და შემაფერადებელი სათვალევებით შეუძლია სჭვრიტოს, მოიგონოს და იაზროვნოს ობიექტი.

ჩვენ რომ განცდის სიმბოლიურობის ნეგატიური მხარე ავილოთ, ნავეანყდებით ცნებას ცნობიერების ცთუნების შესახებ – განცდის შინაარსსა და იმ საგანს შორის, რომელზედაც ეს შინაარსია მიმართული და დავინახავთ, რომ აქ შეუსაბამობა არსებობს. ეს ილუზიები – ობიექტგანცდების სფეროში – დიდი ხანია ფსიქოლოგიაში პრობლემადაა მიჩნეული: შეგრძნებების, მოგონებათა და აზროვნების ილუზიებს (ყალბი დასკვნების, შემცდარ მსჯელობებისა და სხვ.) გულდასმით იკვლევენ. ზემონათქვამიდან კი გამომდინარეობს, რომ ამისდა შესაფერისად მასუბიექტივირებელ განცდების სფეროშიც უნდა იყოს ცნობიერების შეცთომები: ჩემს გრძნობას შეუძლია შეცთომაში შემყვანოს ჩემი ნამდვილი მდგომარეობის შესახებ, ნებისყოფის ცნობიერად განცდილ მოტივს – ჩემი ქცევის ნამდვილი მამოძრავებელი ძალების შესახებ, მე-ს ცნობიერებას – ჩემი ნამდვილი მე-ს შესახებ. არ არის დიდი ხანი გასული, რაც ჩვენთვის – ნაწილობრივ ფსიქონალიზის გამოკვლევათა წყალობით – ნათელი გახდა, რომ არსებობს ცნობიერების ასეთი შეცთომები. მაგრამ მხოლოდ პერსონალისტიკა იძლევა მათ გაგების საშუალებას; რადგან მისთვის პიროვნება რაღაც განსხვავებულს და უფრო ღრმა რამეს წარმოადგენს, ვიდრე ცნობიერება, რომელიც მას აქვს. და მართლაც: როგორც ობიექტ-განცდა ვერ გვაძლევს

„საგანს თავისთავად“, ისე სუბიექტ-განცდაც ვერ გვაძლევს „მე-ს თავისთავად“.

მაგრამ, – და ამით გადავდივართ პოზიტიურ მხარეზე – თუ ჩვენ არასდროს არ შეგვიძლია წმინდად განვიცადოთ „საგანი თავისთავად“ და „მე თავისთავად“, სამაგიეროდ ჩვენი განცდა მაინც მუდმივს (რა თქმა უნდა, დაუბოლოებელ) გზას წარმოადგენს ორივესაკენ. ყოველი ობიექტ-განცდა აღქმასა, წარმოდგენასა და აზროვნებაში წარმოადგენს დაუცხრომელ სწრაფვას ობიექტისადმი მიახლოებისა, ილუზიათა დათრგუნვისა, როგორც კი მათ აღმოვაჩინთ. ყოველი სუბიექტ-განცდა („თვითშემეცნება“ კი არ არის – იმ აზრით, თითქოს აქ ჩვენს თავს „თავისთავად“ შევიცნობთ), არამედ თვითძიებაა, თავის თავის აღმოჩენისაკენ სრბოლაა.

ფსიქოლოგების წინაშე აქ დგება ამოცანა – ინტერპრეტაცია მიეცეს განცდათა სიმბოლიკას. რადგან განცდა თავისთავად კი არ ნიშნავს რამეს, არამედ რაღაც ისეთზე მიგვიითიებებს, რაც უფრო ღრმად ძევის, ამიტომ ჩვენ ვალდებული ვართ გამოვარკვიოთ განცდის ეს ღრმად მდებარე აზრი. ამის გამო ინტერპრეტაცია (Dentung) აუცილებელ ფსიქოლოგიურ მეთოდად იქცევა, რომლის უფლება ჯერ კიდევ დასაპყრობია და რომელიც ჯერ კიდევ შესამუშავებელია, რომ სწორად იქნას ხმარებული. ზოგიერთ სპეციალურ ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში უკვე კარგა ხანია გამოყენებულია ინტერპრეტაციის მეთოდი – მოვიგონოთ სიზმრების ახსნა ფსიქოანალიტიკოსების მიერ, ხელნაწერის ინტერპრეტაცია გრაფოლოგების მიერ, ტესტების ინტერპრეტაცია ფსიქო-ტექნიკოსების მიერ. მაგრამ ჯერ კიდევ არა გვაქვს ამ მეთოდების დასაბუთება, და ინტერპრეტაციის გამოყენებაში ადგილი აქვს საშინელ თვითნებობას და არამეცნიერულ განზოგადოებებს. – საკმარისია მოვიგონოთ ცნობილი ცდები ყველა განცდების ინტერპრეტაციისა სექსუალური ქვეპროცესების საშუალებით. მას შემდეგ რაც პერსონალისტიკამ მოგვცა ცნობიერების მოვლენათა ინტერპრეტაციის თეორიული დასაბუთება, ინტერპრეტაციის მეთოდოლოგიის დამუშავება მეცნიერული ფსიქოლოგიის უმთავრეს ამოცანად იქცევა.

ჩვენ უნდა დავკმაყოფილდეთ აქ იმით, რომ ზემოთ დაახლოვებით დავსახეთ პერსონალისტური ფსიქოლოგიის ზოგიერთი ფილოსოფიური წინამძღვრები. ამ წერილის ვიწრო ფარგლებში შეუძლებელია ამ მეთოდის გამოყენების ილუსტრაცია და ლაპარაკი სპეციალურ ფსიქოლოგიურ გამოკვლევათა კატეგორიებსა და მეთოდებზე და პერსონალისტიკის დამოკიდებულებაზე ფსიქოლოგიის აქამდის არსებულ და თანამედროვე მიმართულებებთან და მეთოდებთან. ამისთვის მკითხველს მივუთითებდით ჩვენს სპეციალურ შრომაზე, რომელიც ახლა მზადდება და ამ თემისათვის არის მიძღვნილი.\*

---

\* ამ ნაშრომის I ნაწილი უკვე 1930 წ. გამოქვეყნდა: Studien zur Personwissenschaft von W. Stern. Erster Teil. Personalistik als Wissenschaft. Leipzig. I. A. Barth.

## ბონისმაცნიერებითი ფსიქოლოგია

რ. პაულ ბოდე,  
პედაგოგ. აკადემიის დოცენტი – ელბინგი

ფსიქოლოგია არის „მეცნიერება ცალკეული სუბიექტის შესახებ“ (Spranger. Lebensformen, გვ. 7). მეცნიერული ხასიათი მას მხოლოდ გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან აქვს. ბუნებისმეტყველებისაგან, რომელიც ყვაოდა იმ დროს, მან კვლევა-ძიების მეთოდები ისესხა. იგი ცდილობდა, მაგალითად, ცნობიერების შინაარსები, ბუნებისმეტყველების მსგავსად, ელემენტებად დაეშალა, რათა შემდეგში გამოეყვანა ის კანონები, ცალკეულ სულიერ ფუნქციებს რომ მართავს.

ფსიქოლოგიამ ბუნებისმეტყველებიდან გადმოიღო აგრეთვე კვლევა-ძიების ერთი მეტად ღირებული და უსაჭიროესი იარაღი – ექსპერიმენტი. ფსიქიკური მოვლენის ზუსტი შესწავლისათვის საგანგებოდ ქმნიდენ წინასწარ პირობებს მისთვის და შემდეგ გალიზიანების საშუალებით იწვევდენ კიდევ მას.

ამ ნატურალისტურად განწყობილი ფსიქოლოგიის ინტერესი მიმართული იყო მხოლოდ სულიერ ფუნქციათა შესწავლისაკენ, სულიერ შინაარსებს კი მხედველობაში არ ღებულობენ. მართალია, მისი მნიშვნელობა ცალკეულ ფუნქციათა კვლევისათვის უდავოა, მაგრამ ვერაინ ვერ იხსნის მას იმ საყვედურისაგან, რომ იგი ცალმხრივია; რადგან „ადამიანის შინაგანი მხარე მუდამ გარკვეულ მიმართებაშია ობიექტურთან, „ობიექტურის ქვეშ კი პირველ რიგში ცალკე ადამიანისაგან დამოუკიდებელი, მის წინ მდგომი, მე-ზე ზემომქმედი რალაც უნდა იქნას ნაგულისხმევი (Spranger, იქვე, გვ. 5).

მაგრამ რა წამს ფსიქოლოგია გარე-სამყაროსა და შინა-სამყაროს შორის არსებული მიმართების გარკვევას მოინდომებს, მაშასადამე, იკითხავს, მაგალითად: არიან თუ არა საგნობრივი სამყაროს ობიექტები ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების გამომხატველი ფორმები; შეიძლება თუ არა მათი ინტერპრეტაცია და სხვ., – ფსიქოლოგია გაშორდება

ბუნებისმეტყველების მეთოდებს და დაუახლოვდება გონის-მეცნიერებათა მეთოდებს. „ისინი ხომ თავისი კვლევის უდიდეს ნაწილს – ლიტერატურული, მხატვრული, მეცნიერული ნაწარმოებებისა და სოციალური, სამეურნეო, პოლიტიკური და რელიგიური ინსტიტუტების ინტერპრეტაციას თავიდანვე მათ შემოქმედებას ფსიქოლოგიის მხრიდან უდგებოდენ; ისინი მათ როგორც აზრთა, სულიერ განწყობილებათა და მეტად თუ ნაკლებად გაგებული შინაარსის თვალთახედვით კი არ არკვევდენ და ანალიზირებდენ, არამედ იხილავდენ და არჩევდენ როგორც ანაბეჭდს, გამოსახულებას, თვითგამომჟღავნებას იმ ადამიანის თუ ერის პერსონალური თავისებურებისა, რომელმაც ეს ნაწარმოები ან ინსტიტუტი წარმოშვა ( A. Fischer: Die Lage der Psychologie in der gegenwart und ihre Folgen für die psychologische Jugendforschung. Ztschr für päd. Psychologie 1925, გვ. 390). და სწორედ აქედან წარმოსდგა სახელწოდება: გონისმეცნიერებითი ფსიქოლოგია.

ცხადია, ამ მოკლე წერილში ვერ შევხებით ყველა იმ მომენტებს, რომლებმაც ფსიქოლოგიის ამ მეორე მიმდინარეობის წარმოშობას შეუწყო ხელი. ისინი მჭიდროდ არიან დაკავშირებული ჩვენი გონითმეცნიერების მთელს განვითარებასთან.

ვისაც სურს დაწვრილებით გაეცნოს ამ საკითხს, მას შემდეგ ლიტერატურაზე მივუთითებთ:

Bühler, Karl. Die Krise der Psychologie. Kant - Studien S. 455. - Die Krise der Psychologie. Jena. 1927.

Büschmann, A. Über den gegenwärtigen stand der jugendpsychologie in Deutschland. Der Wegweisen für Schüler - waltung und Schulaufsicht. Zeitschrift des Landcsuerbandes der Schülräte. Langensalza, 1924 Beltz.

Dilthey, Wilhelm. Einleitung in die Geisteswissenschaften. Bd. I. Leipzig 1923, Tenbner.

Fischer, Aloys. Die Lage der Psychologie in der Gegenwart und ihre Folgen für die psychologische Jugend - forschung. Ztschr. für päd. Psychologie, 1925.

Entwickelung, gegenwartigen Stand und pädagogische Bedeutung der psychologischen Jugendforchüung. In Jügendkunde und Schule. Herausgegeben von Zentralinstitut für Erziehung und Unterricht. Langeslza 1926. Beltz:

Selz, O. Veränderungen in der psychologischen Grundlagen der Pädagogik seit Herbart. Ztschr. für päd. Psychologie. 1925.

Spranger, E. Die Frage nach der Einheit der Psychologie. Bericht der Berliner Akademie. XXIV, 1925.\*

მკითხველი ვერც იმას მოგვთხოვს, რომ ამ წერილში ამოიწუროს გონისმეცნიერებითი ფსიქოლოგიის ყველა პრობლემა. ამ წერილის მიზანია ზოგადი ხაზები მისცეს მკითხველს და შემდგომი მუშაობის სურვილი აღუძრას.

როცა ინჟინერი ისეთ რამე იგონებს, რაც წარმოებაში, სანავი მასალის დაზოგვასთან ერთად მანქანის ძალოვანობასაც ზრდის, ეს გამომგონებლის მიერ შექმნილ ღირებულებას წარმოადგენს. იგი ეკონომიური ღირებულებაა, რომელიც, როგორც ასეთი, თუმც თვალთ არა ჩანს, მაგრამ თვით გამონაგონშია მოცემული და თავის გამოხატულებას ამ გამონაგონში პოულობს.

ინჟინერის იმ გონითს მოქმედებას, რომელმაც ეს გამონაგონი შექმნა, ჩვენ გონითს აქტს ვუწოდებთ, ახლად შექმნილ ღირებულებას კი – გონითს მინალწევს (Leistung). „სხვადასხვა სულიერ ფუნქციათაგან სტრუქტურულად ჩამოქნილს ჩვენი მე-ს მოქმედებას, რომლითაც იგი ზეინდივიდუალური აზრის მქონე გონითს მინალწევს ქმნის, ჩვენ გონითს აქტს ვუწოდებთ“ (Spranger, იქვე, გვ. 21).

ჰუსერლის მიხედვით „აქტები რაიმეზე მიმართულობის განცდებია, „ინტენციონალური განცდებია“. ასეთი ინტენციონალური განცდები მრავალგვარია და ეს მიმართულობა შეიძლება შეგრძნების, მსჯელობის... ნდომის ფორმით გამოვლინდეს (აქტის რომელობა). ყოველი ინტენციონალური განცდა ან თვით არის გამაობიექტირებელი აქტი ანდა დაფუძნებულია ასეთ აქტზე (მფუძნებელი და ფუძვნილი აქტები). „ჰუსერლის ეს აქტები მე-ს შუაგულს ვერ სწვდება და ცნობიერების მხოლოდ პერიფერიულს, შემეცნებითს ფენაში მიმდინარეობს. შპრანგერის აქტებში მონაწილეობს თვით სიცოცხლის ცენტრი, ღირებულებათა შემოქმედი ან ღირებულებათა განმცდელი მე“ (Kerschensteiner, Theorie der Bildung, გვ. 107).

\* ქართულად: ა. ბოჭორიშვილი, ახსნითი და გაგებითი ფსიქოლოგიის ურთიერთ-მიმართებისათვის. ქუთაისის პედინსტიტუტის შრომები I. 1934. რედ.

ადამიანის სულს, – ჩვენ ამ სიტყვის ქვეშ ვგულისხმობთ „ამა თუ იმ მე-ში შეკავშირებულ განცდებს, აქციებს და რეაქციებს (Spranger, იქვე, გვ. 14), – ამგვარ ღირებულებათა განხორციელების, ობიექტივაციის მიდრეკილება აქვს. პოეტი, რომელიც მის თანამედროვე თაობას ახალი ნაწარმოებით ამდიდრებს, ქმნის ესთეტიკურ ღირებულებებს; ასევე მხატვარიც – თავისი ნახატით და კომპოზიტორი – მუსიკალური ნაწარმოებით. შპრანგერი თავის წიგნში *Lebensformen* ცდილობს ყველა ის ღირებულება, რასაც სული ამა თუ იმ დარგის ნაწარმოებში განასახიერებს, რამდენიმე ძირითად ფორმაზე დაიყვანოს. აქ იგი ასახელებს თეორიულს, ეკონომიურს, ესთეტიკურს, სოციალურს, პოლიტიკურსა და რელიგიურ ღირებულებებს. „გულისყურის მიმართვა საგნობრივ-ზოგადისადმი თეორიულ აზრს ქმნის, ხოლო ხატოვანისა, შთაბეჭდილებითისა და აღბეჭდილებითი ხასიათისადმი – ესთეტიკურ ღირებულებას; ჩემი ფსიქო-ფიზიკურ ძალთა სისტემისა და ჩემი ცხოვრების რეალური მიზნების თვალთ ყველაფრის ანონ-დანონვა ეკონომიურ განწყობას შეესაბამება; ყველა ამ ცალკეული ღირებულების განცდათა შეფარდება ინდივიდუალური სიცოცხლის მთლიანი გონითი ღირებულებისადმი – რელიგიურს (Spranger, იქვე, გვ. 43). ამათ გვერდით შპრანგერი ასახელებს ღირებულებათა სფეროების მეორე წყებას „დამაორგანიზებელ ღირებულებათა განმგებელი ძალა და გამაერთიანებელი, ღირებულებათა შემაკავშირებელი განწყობა, ეს არის პოლიტიკური და სოციალური ღირებულებანი“ (Spranger, იქვე, გვ. 62). წმინდა ფორმით ისინი იშვიათად გვხვდებიან, უფრო კი – კომბინაციებში ისინი მუდამ საგნობრივი ფორმით გვევლინებიან, მაგალითად მათემატიკური დებულების, მანქანის, სურათის და სხვ. ფორმით; მხოლოდ ასეთ ობიექტივაციაში შეგვიძლია ჩვენ მათი აღქმა. მთელი, ჩვენს ირგვლივ გაშლილი სამყარო, საკუთრივ ბუნების საგნების გარდა, ასეთ განსახიერებულ ღირებულებათაგან შედგება.

ზემონათქვამის ნათელსაყოფად ჩვენ გვინდა კიდევ რამდენიმე მაგალითი მოვიყვანოთ. როცა ორთქლმავლის შემანქანე დაკეტილ სემაფორს დაინახავს, იგი აჩერებს გაქანებულ მატარებელს სემაფორის წინ, რადგანაც ეს უკანასკნელი მას ანიშნებს,

რომ ის ლიანდაგი, რომელზედაც მის მატარებელს უნდა გაეწელო, არ არის თავისუფალი. იგი მხოლოდ მაშინ დაძრავს ისევ თავის მანქანას, თუ სემაფორი ძირს დაეშვა; რადგან ეს ნიშნავს: ხაზი განთავისუფლდაო.

უფრო მარტივი ნიშნების საშუალებითაც შეიძლება ამცნო ადამიანს ასეთი აზრები, ბრძანებები ან წესები ისე, რომ არც თვით ბრძნების გამცემი იყოს საჭირო და არც ბრძანების გადამცემი ვინმე. როცა გლესს არ სურს, რომ სოფლელებმა მის ნაყანევში იარონ ან და მწყემსმა საქონელი აძოვოს, იგი დაარჭობს ჩაღიან ჯოხს (ჰანოვერის პროვინციაში ხშირად ხმარობენ ასეთ ჩაღის ნიშანს), მას აღარ სჭირდება თავის მამულის თავში გაჩერება და ყოველი გამველელ-გამომველელისათვის თავისი პირით თქმა; ჩაღის ნიშანი თავისთავად აუწყებს ხალხს: შემოსვლა აკრძალულიაო.

რა თქმა უნდა, იმ წუთში, როცა მამულის პატრონი ივანე თავის ნაყანევზე ჩაღის ნიშანს არჭობს, აქ მისი პირადი აზრი მჟღავნდება და სოფლელებიც სწორედ მას ამოიკითხავენ ამ ნიშანში: ივანე გვიკრძალავს მის ყანაში გავლასო; მაგრამ ასეთ ნიშანს იმავე მნიშვნელობით ივანეს წინაპრებიც ხმარობდნენ და სხვა კუთხის მცხოვრებლებიც ხმარობენ ამჟამად ამავე ნიშანს. მას ზეინდივიდუალური მნიშვნელობა, ზეინდივიდუალური აზრი აქვს, სახელდობრ: შემოსვლა აკრძალულია.

მართალია, ჩვენ უნდა დავუშვათ, რომ ოდესღაც ვიღაც ერთმა ადამიანმა პირველად მისცა ამ ნიშანს ის მნიშვნელობა, რომელიც მას აქამდის შერჩენია; ეს აზრი ამ ნიშანში ფორმად იქცა და შინაგან სფეროდან ობიექტურ სამყაროში გადავიდა, ობიექტივაცია განიცადა, მაგრამ ეს პიროვნებისადმი მიკუთვნებულების აზრი დიდი ხანია რაც წაიშალა. ამ ნიშანს ახლა საკუთარი ღირებულება აქვს. სემაფორის ამათუიმ მდგომარეობასაც სრულიად გარკვეული აზრი აქვს, ყოველგვარი პირადი კუთვნილების, ამა თუ იმ კერძო ადამიანისადმი მიმართების გარეშეც, თუმცა ამ აპარატის გონივრულად გამართვაში მრავალ ადამიანს მიუღია მონაწილეობა.

იმის დასამტკიცებლად, რომ ასეთი განსახიერებელი ღირე-

ბულებანი სრულ დამოუკიდებლობას და საკუთარ კანონ-ზომიერებას პოულობენ, შეიძლება მოიყვანოთ ისეთი შემთხვევაც, როცა მსმენელი ან მაყურებელი ხელოვნების ნაწარმოებში ისეთ რამეს გაიგონებს და დაინახავს, რაც ამ ნაწარმოების ავტორს მისი შემოქმედების პროცესში აზრადაც არ ჰქონია. შესაძლებელია აგრეთვე გამოცანა ისეთი გზით გადაიჭრას, რომ მის შემდგენელს რაიმე ამის მსგავსის შესახებ არც კი ეფიქროს (მაგალითია გ. ზიმელის წიგნში: *Der Begriff und die Tragödie der Kultur*. Leipzig 1911, გვ. 269).

მაგრამ მართო საგნები – პირველყოფილ ხალხთა ხელსაწყოებითა და ნახატებით დაწყებული, ვიდრე ტექნიკის საოცარ მიღწევებამდის – კი არ უნდა ჩაითვალოს განსახიერებულ ღირებულებებად, არამედ არსებული ზნე-ჩვეულებანი, კოლექტიური ცხოვრების ფორმებიცა და ცალკე ადამიანის განათლებაც. ჰანს ფრაიერი თავის შესანიშნავ წიგნში (*Hans Freyer. - Theorie des objektiven geistes*. Leipzig. 1923. Teubner. ვისაც სურს უფრო დანვრილებით გაეცნოს ამ კულტურულ-ფილოსოფიურ საკითხებს, მან ამ წიგნს უნდა მიმართოს) ობიექტივაციის შემდეგ მთავარ ფორმებს ასახელებს, ესენია: ხელოვნების ნაწარმოებნი, ხელსაწყოები, ნახატები, სოციალური ფორმა და განათლება (*Bildung*).

„ნაწარმოები მაშინ არის ობიექტური ფორმა, თუ მისი აზრითი შინაარსი ძირითადად სხვა აზრებზე კი არ მიგვიითითებს, როგორც კორელატებზე, არამედ თავისთავადაც სრულღირებულია, ყოველგვარი გარეთ მიმართული რელაციის გარეშეც“. ასე, მაგალითად, „ნაწარმოების“ უწმინდეს ფორმას ხელოვნების ნაწარმოები წარმოადგენს, რადგან „ყველა მისი ნაწილი შიგნით არის მიმართული და აზრითი შინაარსი, როგორც მთლიანობა, თვითკმარ ერთეულს წარმოადგენს“. ხელოვნების ნაწარმოები განსხვავდება „მხატვრული პლაკატისაგან“, რადგან ამ უკანასკნელს კიდევ სხვა „მნიშვნელობა“ აქვს: სახელდობრ, რაიმეს შექება და რჩევა. „ხელსაწყო“ ისეთი ფორმაა ობიექტური გონისა, რომლის აზრითი შინაარსი მიზანშეწონილ მოქმედებათა მთელი სისტემის ერთ-ერთ ნაწილს წარმოადგენს. იგი, თავისი აზრის მიხედვით, არსებითად ნაწილია და მუდამ ნაწილი

იქნება; ის თვითკმარი არ არის, არამედ შრომა-საქმიანობის მთლიან სისტემაში უნდა მოთავსდეს, როგორც საშუალება. იგი მუდამ თავის გარეთ მიგვივითებს. მას არასდროს თვითკმარი, დასრულებული აზრი არა აქვს, არამედ მოითხოვს მის შევსებას ახალი აქტით – ხელსაწყოს გამოყენებით. მაშასადამე, მისი აზრითი შინაარსი ცენტრიპეტალური კი არ არის (როგორც ხელოვნების ნაწარმოებში), არამედ ვექტორული აგებულობისაა. იგივე ითქმის მხატვრობის შესახებაც. მისი აზრითი შინაარსი „ორმწვერვალოვანია“: მას აქვს საკუთარი უშუალო აზრი, მაგრამ ამის გარდა, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, ამის გამო კიდევ საგანზეა მიმართული (ძეგლი, პლაკატი). სოციალური ფორმა იმით ხასიათდება, რომ „მის აზრითს შინაარსს, სოციალური მიმართულებანი შეადგენენ. იგი სოციალურია არა მარტო წარმოშობის მხრივ, როგორც ყველა დანარჩენი ფორმები, არამედ აზრითი შინაარსის მხრითაც (მისაღმება, ზნე-ჩვეულებანი), მისი შინაარსი წმინდა მიმართებაა „განათლება“ – სუბიექტის პერსონალური ცხოვრების სფეროში ძვეს... იგი სუბიექტის პერსონალურ სტრუქტურაში იჭრება. ადამიანის სიცოცხლის ყველა ფენა – ღრმა ფენებიც და ზედაპირიც – განიცდიან გავლენას და ცვლილებას, და საქმე იმაში კი არ არის, რომ ობიექტური გონის საზღვარი სქემატურად იქ გაავლო, სადაც პერსონალური ცხოვრება იწყება. შრომის მეთოდები ჩვეს წარმოებაში მხოლოდ მატერიალურ იარაღებში და მათი გამოყენების – თავის თავად აღებულ – ნესებში კი არ მდგომარეობს, არამედ ძირითადად ადამიანის მიერ შექმნილ და ვარჯიშის საშუალებით განმტკიცებულ ოსტატობასა და დისციპლინაში, სიზუსტის, გემოვნებისა და სხვა სულიერ კონსტანტების ერთგვარ შენადნობში, ფსიქოფიზიკური პიროვნების ერთგვარ ფორმადქცეულ მდგომარეობაში“ (H. Freyir, იქვე, გვ. 45-56).

შმიდ-კოვარჩიკი თავის ნაშრომში „გონითის ობიექტივაცია“ (Die Objectivation des geistigen, Leipzig, 1927, Barth) ავსებს და სისტემაში მოჰყავს ფრაიერის კატეგორიები. ასე, მაგალითად, იგი უმატებს ახალ ფორმას – სურათს, რომელიც იმით ხასიათდება, რომ „დასურათებულის რაობა სავსებით შეესაბამება თვით სურათის რაობას, მაშინ როცა დახატულსა და ნახატს შეი-

ძლება ძლიერ ცოტა რამ ჰქონდეთ საერთო (Schmid-Kowarzire, iqve 13 გ., იხილეთ აგრეთვე მისი სიცოცხლის ობიექტივაციებისა და გონის ობიექტივაციების ფორმათა ტაბულა).

ამ ისტორიული ცხოვრების მანძილზე სახიერებულ ღირებულებებს, რომლებიც თავისი აზრისა და მნიშვნელობის მხრით ინდივიდუალური სიცოცხლის ფარგლებს სცილდება, ჩვენ გონს, გონითს ცხოვრებას ან ობიექტურ კულტურას ვუნოდებთ (Spranger, იქვე, გვ. 14). გონი განსახიერებულ ღირებულებებში სუფევს, ისინი გონის ობიექტივაციებია.

ჩვენ გვინდა ერთი ნუთით კიდევ შევჩერდეთ ამ დებულეზაზე. ლექსი, მაგალითად, შეიძლება განვიხილოთ, როგორც პოეტის განსაკუთრებული სულისკვეთების გამომჟღავნება. ამ თვალსაზრისის მიხედვით იგი გვანვდის ცნობებს პოეტის დამოკიდებულების შესახებ ცალკე პირებისადმი, პერსონალური განცდებისადმი და სხვ. ეს არის ამ ნაწარმოების სულიერი შინაარსი (რაობა), რომელიც პოეტის პიროვნებისადმი მიმართების გარეშე გაუგებარია. მაგრამ ამის გვერდით ლექსი კიდევ სხვა ღირებულებასაც შეიცავს, მაგალითად, ესთეტიკურს, ეთიკურს ან რელიგიურს ესენი ზეინდივიდუალური ხასიათის მარადიული ღირებულებებია. ამ ღირებულებათა მხრით განხილული ლექსი – გონის ობიექტივაციაა.

ლექსი, როგორც თხზულება, ეკუთვნის „ფსიქიკურ“ სამყაროს; როგორც სულიერი შინაარსის გამომჟღავნების ფორმა იგი „ფსიქიკურ“ სამყაროსაც ეკუთვნის და ამის გარდა კიდევ ერთგვარ „იდეალურ“ სამყაროსაც (spranger. Zur Theorie des Verstehens und zur geisteswissenschaftlichen Psychologie. München, გვ. 362).

ამგვარად, გონი ანდა „კულტურა“, როგორც არსებული რამ, ობიექტურ-ფიზიკურთან არის დაკავშირებული (ნიგნები, ნახატები, ძეგლები, მანქანები), მაგრამ თვით ეს თვალსაჩინოდ მოცემული ფიზიკური ჯერ კიდევ კულტურას არ წარმოადგენს. სხეულთა სამყაროს ამ უსულო ნაკვეთს, რა გინდ რომ აუცილებელიც იყოს იგი კულტურის არსებობისათვის, ასე ვთქვათ, სიცოცხლე უნდა დაემატოს. ეს სიცოცხლე იმაშია, რომ სათანადო

ფიზიკური ობიექტების გარკვეულ მიმართებაში არიან მათი განმცდელი ფსიქიკური სუბიექტებისადმი (განცდა – ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით). ამ აქტუალ-ფსიქიკურ არსებობას კიდევ პოტენციალ-ფსიქიკური არსებობა უნდა დავუმატოთ, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მაგალითად, ესა თუ ის მეცნიერული თეორია, კიდევ რომ მასზე ამ წუთში არავინ ფიქრობდეს, მაინც არსებობს. მაგრამ აქ ყურადღება უნდა მიექცეს სხვა რამესაც.

„ჭეშმარიტება მაინც ჭეშმარიტებაა, შევიცნობთ ჩვენ მას ამ წამს აქტუალურ მსჯელობაში თუ არა. ეს თავისთავად ჭეშმარიტება მეტია, ვიდრე განცდის პოტენციალური შესაძლებლობა მხოლოდ; იგი არსებობის ან საგნობრიობის განსაკუთრებული, უწინარეს ყოვლისა აზრებისათვის დამახასიათებელი ფორმაა, იგი – იდეალური არსებობაა. კულტურას არსებობის ეს ფორმაც უნდა მიენეროს. კულტურის იდეალური არსებობა განსხვავდება თავისთავად ჭეშმარიტ ჭეშმარიტებათაგან, იგი დროის გარეშეა, არ ეკუთვნის ვრცეულსა და დროულ სამყაროს. ამ ჭეშმარიტებებს, კანონებსა და ნორმებს იდეალური, აზრითი არსი აქვთ. კულტურა ესწრაფის ამ მწვერვალს, მაგრამ წამდვილად ამ მანძილის მხოლოდ ერთ ნაკვეთს სძლევს. იმ მანძილს კი რაც მას ამ კულტურას მწვერვალამდის დააკლდა, იგი ინაზღაურებს მით, რომ მისი იდეალური ნაწილი რეალურ ნაყოფ სიძლევა, როგორც ფსიქიკურის, ისე ფიზიკური რეალობის სფეროშიც. განცდაში განჭვრეტილს რომელიმე ესთეტიკურ ღირებულებას, მაგალითად, ხელოვნების ხელსახები ნაწარმოებიც მოჰყვება. ამ გზით კულტურის იდეალური ნაწილი თვით ფსიქიკურსა და ფიზიკურ რეალობაში შემოდის.

კულტურის ყოველი ნაწარმოები დროში არსებობს, რამდენადაც თავისი შინაარსის მხრით დამოკიდებულია ვრცელუღროულ სამყაროს კონკრეტულ ფაქტორებზე, რომლებიც მას, ასე ვთქვათ, აღმოცენება-წარმავლობის სამყაროსაკენ იზიდავს. მაგრამ იგი ამავე დროს ზე-დროულია, რადგან თავისი აზრით იმისათვის კი არ არის განკუთვნილი, რომ იგი ამა თუ იმ სუბიექტმა შეიცნოს. ამ ზედროულ დროულობაშია კულტურის საიდუმლოება. თავისი ზოგიერთი მწვერვალის საშუალებით იგი

ზედროულს (იდეალურს) ეზიარება, მაგრამ მეორე მხრით მრავალი ფესვი აქვს გადგმული სულიერი და სხეულებრივი სამყაროს რეალობაში. იმ ნაწილებში კი, სადაც ასეთი რამ არ მომხდარა, იგი თითქოს გარიყული დგას და ჰაერში კიღია... ზეგარდმო განძი ჩვენ მხოლოდ მინიერ სამოსელში გვეძლევა – ფსიქიკური განცდისა და ფიზიკური მოვლენის სამოსელში" (Spranger. Zur Theorie des Verstehens und zur geisteswissenschaftlichen Psychologie. გვ. 263-266).

აქედან ნათელია, რომ კულტურა „არც ერთს ამ სამყაროთაგანს – არც ფიზიკურს, არც ფსიქიკურსა და არც იდეალურს – არ ეკუთვნის სავსებით, არამედ თავისებურად შერთულია სამივეში" (Spranger, იქვე).

მაგრამ, თუ სული გონით ღირებულებებს ახორციელებს, მას ამისი უნარიც ჰქონია. გონისმეცნიერებითი ფსიქოლოგია სულის სტრუქტურაზე ლაპარაკობს და ამიტომ სტრუქტურულ ფსიქოლოგიად იწოდება. „სულის გონითი სტრუქტურის ქვეშ იგი გულისხმობს განცდისა და მოქმედების დისპოზიციას დაბ-შულ კავშირს, რომელიც ღირებულებათა სფეროების მიხედვითაა დანაწევრებული, მაგრამ გონითი მე-ს სახით თავისი ცენტრიც აქვს.

მაშასადამე, ცალკეულ პიროვნებაში შთანერგილით მიდრეკილება ღირებულებათა ყველა შესაძლებელი სფეროსადმი. მაგრამ უპირატესობა ზოგიერთ სფეროს ეკუთვნის, ისინი ცენტრს წარმოადგენენ და ახშობენ სხვებს.

ვაჭარში, მაგალითად, გაბატონებულია მიდრეკილება ეკონომიურ ღირებულებათა სფეროსადმი, ესთეტიკი კი ეს მხარე შეიძლება სრულიად დახშული იყოს. მაგრამ არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს მხოლოდ ერთ რომელიმე სფეროს ეჭიროს მთელი ადგილი; არა, ერთი რომელიმე მთავარი ხაზი სჭარბობს და დანარჩენები კი მასთან არიან მიკედლებული. ვაჭარსაც შეიძლება ჰქონდეს ესთეტიკური მიდრეკილებანი და თავისი შემოსავლის საგრძნობ ნაწილს ხელოვნების ნაწარმოებთა შექმნას ახმარებდეს, რადგანაც ისინი მას დიდ სიამოვნებას ჰგვრიან, მაგრამ ადამიანის სტრუქტურული თავისებურების დამახასიათებელი მაინც მთავარი მიდრეკილებაა.

ამის მიხედვით შპრანგერი ასხვავებს ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ ო ბ ი ს

შემდეგ ძირითად იდეალურ ტიპებს: თეორიულ, ეკონომიურს, ესთეტიკურს, სოციალურს, პოლიტიკურს (ძალაუფლების ადამიანი) და რელიგიურ ადამიანს.

„თეორიული“ განწყობა საბოლოოდ მხოლოდ ტენდენციაა, რომელიც ცოცხალ ადამიანში არ შეიძლება სრულიად იზოლირებულად და აბსოლუტურად დასრულებული იდეალური სახით იყოს მოცემული... სინამდვილეში წმინდა თეორიული ადამიანი არ არსებობს და ცოცხალი არსება შეიძლება მიუახლოვდეს მას, თუკი მასში განსაკუთრებით სჭარბობს შემეცნებითი განწყობა“. „ეკონომიური ადამიანი საერთოდ ის არის, ვინც სიცოცხლის ყველა საკითხში პირველობას სარგებლიანობის ღირებულებას აძლევს. მისთვის ყველაფერი სიცოცხლის შენარჩუნების საშუალებაა, არსებობისათვის ბუნებრივი ბრძოლისა და საამო ცხოვრების საშუალებაა... მისი საქმიანობის აზრი თვით მოქმედებაში კი არ არის, არამედ იმ სასარგებლო ფექტში, რომელიც ამ მოქმედებას მოსდევს“. „ესთეტიკური ადამიანის არსი მოკლედ ასე გამოითქმის: იგი ყველა თავის შთაბეჭდილებას გარე გამოსახულებაში აფორმებს. სოციალური ადამიანის სულის ძირითადი მამოძრავებელი ძალა და ცხოვრების მთავარი ხაზი – კოლექტიური გონია... სოციალური განწყობა მოქმედობს მასში როგორც დამაორგანიზებელი პრინციპი გონითი ცხოვრებისა“ (Spranger, იქვე, გვ. 171). ძალაუფლების ადამიანის ძირითადი ხაზია – ყველაფერში თავისი პიროვნების, თავისი მე-ს განმტკიცება, – ვიტალობა, სიცოცხლის ენერჯია, – ოღონდ რაციონალურად დასახული მიზნების სახით კი არა, არამედ უშუალო სასიცოცხლო ლტოლვის სახით (Spranger, იქვე, გვ. 189). რელიგიური ადამიანი ის არის, რომლის მთელი გონითი სტრუქტურა მიმართულია უზენაეს, სრული კმაყოფილების მომგვრელ ღირებულებათა განცდისაკენ“ (Spranger, იქვე, გვ. 214).

როგორც უკვე ნათქვამი იყო ზემოთ, ესენი იდეალური ტიპებია, რომლებიც ამ სახით სინამდვილეში არ არსებობენ; მაგრამ, თუ ზემო მოყვანილი დახასიათებებით იხელმძღვანელებთ, ყოველ ადამიანში მოხერხდება მისი ძირითადი ღირებულების მიმართულება აღმოაჩინო; და გონისმეცნიერებითი ფსიქოლოგიის საქმე სწორედ ამ მიმართულებათა გარკვევაა.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ ღირებულებათა განსახიერება, გო-

ნის ობიექტივაცია გონითი აქტის საშუალებით ხდება. სტურქტურული ფსიქოლოგიისათვის ძირითადი ფაქტი ის არის, რომ აქტში და სხვა დანარჩენ ფსიქიკურ მოქმედებაში ჩვენი სული მთლიანად მოქმედებს. მაშინაც კი, როცა ამ აქტს შედეგად, მაგალითად, თეორიული ღირებულება მოჰყვება და, მაშასადამე, სულის ინტელექტუალური მხარე მოქმედობს, – ამ რეზულტატზე, ამა თუ იმ სახით და ხშირად, ჩვენგან შეუცნობლად, სულის ყველა დანარჩენი მხარეები ახდენენ გავლენას. სული სტრუქტურულ მთლიანობას წარმოადგენს და, როცა სულის ნიალიდან ესა თუ ის შენამოქმედი გამოდის, მისი წარმოშობისა და გაფორმების გარშემო სულის მთელი ენერგია გროვდება, თითქოს სულში ერთგვარი ფესვების ბადე იყოს ჩანწული და ყოველი მისი შენამოქმედი თავის ცხოველმყოფელ წვენს აქედან ღებულობდეს.

ამ ღირებულებას, რომელიც ობიექტივაციებში სუფევს, ჩვენ აზრს ვუწოდებთ. მაგრამ კონკრეტული განსახიერებული ღირებულებები ერთი-მეორის გვერდით კი არ არის დალაგებული, არამედ ჩაქსოვილია უფრო მაღალ ღირებულებებში. ასე, მაგალითად, ორთქლმავალში ორთქლის მილები, ქვაბი და მისი ნაწილები, კოლბები და სხვ. – გონის კონკრეტული ობიექტივაციებია, რომლებიც აზრიანად გაერთანებული არიან ერთ მთლიან ღირებულებაში – ორთქლმავალში. „აზრი აქვს იმას, რაც ერთ მთლიან ღირებულებაშია ჩაქსოვილი, როგორც მისი კონსტიტუციონალური ნაწილი. მაშასადამე, აზრი აქვს იმ წევრთა წყობასა და სიტემას, რომლებიც ერთს მთლიან ღირებულს რამეს შეადგენენ, ერთს მთლიან ღირებულს ეკუთვნიან ან და მთლიან ღირებულის წარმოშობას უწყობენ ხელს“ (Spranger, Psychologie des Jugendalters. Leipzig, 1924. Quelle u Meyer. იქვე, გვ. 3). აზრიანი სისტემის შექმნა, სადაც ღირებულებები ხორცს ისხამს, ეს არის ადამიანის სულის ძირითადი ტენდენცია. „რომ მისი ნიალიდან ამგვარი ობიექტური ღირებულებები წარმოიშობა, ეს არის ერთ-ერთი უძირითადესი, არსებითი კანონი სულიერი ცხოვრებისა“ (H. Freyer, იქვე, გვ. 28).

აქ საგანგებოდ ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ამ

ტენდენციას უკვე ბავშვის სულიც იჩენს, და რომ ეს გარემოება უნდა მიღებულ იქნას მხედველობაში ბავშვის აღზრდა-სწავლების დროს. „მასწავლებელი ცდილობს სოფლის ბავშვს მისცეს ცოდნა, შეუმუშაოს ჩვევები. აქ დიდი ენერჯია იხარჯება; ბავშვმა შეიძლება დაისწავლოს კიდევ ყველაფერი ეს მეხსიერების საშუალებით; მაგრამ სწორედ სოფლის სკოლებში ბევრია ისეთი მონაფე, განსაკუთრებით კი ვაჟი, რომელსაც არაფერი აკავშირებს ყოველივე ამასთან. რაშია აქ საქმე? ეს მასალა არ შედის მის აზრთა სისტემაში, ვერ სწვდება მის სამყაროს, რომელიც გარეთ არის – ტყესა და მიწოდორში, სახლსა და თავლაში; აქ არის მისი აზრი და სიცოცხლე. ის, რასაც მას სკოლა აწვდის, არა თუ მოკლებულია მისთვის აზრს, არამედ ნაწილობრივ აზრის საწინააღმდეგოცაა და მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას. არიან ვაჟები, რომელნიც გარეთ – თავის სამყაროში – არაჩვეულებრივად ინტენსიურად ცხოვრობენ და ამდენად უკვე ღირებულნი არიან“ (Bode und Fuchs. Psychologie des Landkindes. Halle 1925. Schroedel).

ჩვენ აქამდის „აზრის წარმომშობს“ ცალკეულ სულზე ვლაპარაკობდით; ახლა კი დავაყენოთ საკითხი, თუ როგორ ზეგავლენას ახდენს სულზე გარე სამყარო თვის აზრთა სისტემით. მაშასადამე გადავდივართ „აზრის განმცდელ“ სუბიექტის განხილვაზე.

მაგრამ რას ნიშნავს განცდა? ყოველდღიური სიტყვახმარებიდან ვიცი, რომ ჩვენ მხოლოდ მაშინ ვლაპარაკობთ განცდაზე, როცა ისეთი განსაკუთრებული რამ შეგვემთხვევა, რაც ღრმად იჭრება ჩვენს სულიერ ცხოვრებაში: – სიხარული, შიში და სხვა ამგვარი. ასეთივეა, მაგალითად, ომის კრიტიკული მომენტები, უბედური შემთხვევის დანახვა და სხვ.

მეორე მხრით, თანამედროვე პედაგოგიურ ლიტერატურაში ეს ცნება ხშირად ისეთი მნიშვნელობით იხმარება, თითქოს იგი ყოველდღიური მოვლენა იყოს და მას არავითარი განსაკუთრებულობა და სიღრმე არ მოეთხოვებოდეს. განცდას უწოდებენ იმ შთაბეჭდილებასაც კი, რომელსაც ლანდშაფტის ცქერა ახდენს ჩვენზე და კიდევ უფრო ფართო მნიშვნელობით იმ უამრავ სულიერ მოვლენებს „რომლებსაც ოდესმე – სუსტად თუ მკვეთ-

რად, სწრაფად თუ ხანგრძლივად, – ჩვენს სულში გაუვლია“ (Bode u Fuohs. გვ. 23).

როცა აქ განცდებზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ „სულიერ მოვლენებს, რომლებიც ყოველდღიურ და ჩვეულ მოვლენათაგან მით განსხვავდება, რომ ძლიერ გრძნობებს აღვიძებს, აფექტებს აღძრავს, ნებისყოფას ზოგჯერ მსხვერპლს გააღებინებს ან დიად საქმეს ჩაადენინებს და საერთოდ, ღრმად იჭრება მე-ში და მთლიანად იპყრობენ მას“ (Barth. Was heisst Erleben? Zeitschr. Verthehen und Bilden. Halle, 1926. Schroedel, გვ. 16)

ეს მცირეოდენი ფაქტებიც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ განცდებზე შეიძლება ვილაპარაკოთ „ფართო“ და „ვინრო“ მნიშვნელობით. პირველთა რიცხვს ეკუთვნის „ყოველი სულიერი მოვლენა, რომელსაც კი რაიმე შინაარსი აქვს“. აგრეთვე ჰუსერლის უკვე ცნობილი ინტენციალური გონითი აქტები. ვინრო მნიშვნელობით აღებულ განცდასთან – დილტაი განმარტავს მას (Erlebnisse und Dichtung) როგორც „სიცოცხლის იმ მომენტს, როცა ჩვენ წინ ცხოვრების ესა თუ ის გზა იშლება“, – ორი აუცილებელი მომენტია დაკავშირებული: ერთია – ინდივიდუალური გონითი სასიცოცხლო მნიშვნელობის აზრი, რომელიც სუბიექტს სრული უშუალოებით ევლინება; მეორე – სუბიექტის ქცევა, რეაგირება, ესა თუ ის მთლიანი სულიერი დისპოზიცია, რომელიც მან მოვლენილი განცდის შინაარსის მიმართ დაიკავა და რაშიაც ამ შინაარსისათვის განმცდელის შინაგანი მზადყოფნა და მთელი მისი გონის მიდრეკილება გამოიხატება. ორივე მომენტი, როგორც სუბიექტური ისე საგნობრივი, სტრუქტურულად მჭიდროთაა გადახლართული და ურთიერთმიმართული; მაგრამ ეს ურთიერთმიმართება არ არის უცვლელი და არ ნიშნავს იმას, თითქოს ერთი რომელიმე „პოლუსი მთლიანად ბატონობდეს და განსაზღვრავდეს მეორეს ან და იმას, თითქოს სუბიექტური დისპოზიციის სტრუქტურასა და განცდის საგნობრივ შინაარსს შორის ერთი გარკვეული სახის ჰარმონია სუფევდეს. იმისდა მიხედვით – ერთი რომელიმე პოლუსი ბატონობს, თუ ორ პოლუსს შორის სუფევს სრული ჰარმონია, შეიძლება მივიღოთ განცდის რამდენიმე ძირითადი ტიპი, რომელთაც შეიძლება „სუბიექტური“, „ობიექტური“ და „ჰარმონიული“ ეწოდოს

და რომელნიც თავს იჩენენ ყოველ განცდაში, რა ჯგუფსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი თავისი შინაარსით: რელიგიურს, ესთეტიკურს თუ ეთიკურს. ამ ორ მომენტს, ხშირად, მაგრამ არა აუცილებლად ემატება ერთი თანმხლები მომენტი: განმცდელი სუბიექტის თავგადასავალი ან შემთხვევები, სადაც ცხოვრების სიაკვარგე თითქოს ხორცშესხმული ევლინება განმცდელს ან და უქმნის მას ერთგვარ სულიერ განწყობას: გონის გარკვეულ გამოვლენების მიმართ მზადყოფნის განწყობას.

ეს უკანასკნელი გარეგანი თანმხლები მოვლენა როდი წარმოადგენს აუცილებელ მომენტს გონითი განცდისას. არამეცნიერული სიტყვახმარება ჩვეულებრივ უბრალოდ აიგივებს ასეთ გარეგან შემთხვევებს და განცდებს (G. Kneisel. Das bildende Erlebnis. Zur Entwicklung des Erlebnisbegriffes innerhalb der geisteswissenschaften und der Pädagogik. Die Erziehung. I. Jahrgang Heft 11.1926). ასე, მაგალითად, მე და ჩემი მეგობარი ვსაუბრობთ ქუჩაში; უეცრივ გამოგვიქროლა ავტომ და გაიტანა ჩემი მეგობარი; ეს უბედური შემთხვევა ჩემთვის „გარეგანი შემთხვევაა“, რომელშიაც „ცხოვრების სიაკვარგე“: სიცოცხლის წუთიერება თითქოს ხორცშესხმული მევლინება.

რადგან გონისმეცნიერებითს ფსიქოლოგიაში განცდას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ჩვენ აქ კიდევ ზოგიერთ დამახასიათებელ ნიშანს მოვიხსენიებთ, რათა იგი სხვა დანარჩენი სულიერი მოვლენებისაგან განვასხვავოთ (ჩვენ აქ უწინარეს ყოვლისა ვეყრდნობით ნოიბერტს (Waltraut Neübert Das Erlebnis in der Pädagogik. Göttingen Studien zur Pädagogik. 3 Heft. გვ. 12)

ადამიანი ქვეყნიერებისა და ცხოვრების გაგებას ამ გზით ცდილობს: იგი აღქმათა, ნიადაგზე წარმოდგენებსა და ცნებებს აგებს და ამგვარად თავის ინტელექტუალურ ძალთა საშუალებით სინამდვილის სურათს ანესრიგებს. „მაგრამ განცდა როგორც აღქმული ან წარმოდგენილი რალაც, როდი დგას ჩემს წინაშე, იგი მე მოცემული კი არა მაქვს; არა, განცდა მიტომ არის ჩემთვის რეალობა, რომ იგი ჩემშია, რომ იგი ამა თუ იმ მხრით უშუალოდ მეკუთვნის“ (W. Dilthey. Gesammelte Schriften. Bd. 6, გვ. 133. Leipzig. Teubner) „განცდის ძირითადი თვისება ის უშუა-

ლობაა, რომლითაც ინდივიდი ცხოვრებას სწვდება (W. Neibert იქვე. გვ. 12).

განცდის ეს ძირითადი თვისება (იხილე აგრეთვე განმარტება) უკვე მოწმობს, რომ იგი განირჩევა ანდა ზოგ შემთხვევაში, შეიძლება განსხვავებულ იქნას ცნობიერების სხვა დანარჩენი მოვლენებისაგან და განხილულ იქნას როგორც სპეციფიკური მოვლენა. იგი „დანანევერებული ერთობაა“ და შესაფერის პირობებში მეხსიერებაშიც ამ სახით რჩება.

ერთ-ერთ მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს აგრეთვე განცდის „მთლიანობა“ (Totalitäts charakter). მოვიგონით, რომ გონისმეცნიერებითი ფსიქოლოგია სულის სტრუქტურულ ხასიათზე ლაპარაკობს. თუ, მაგალითად, ხელოვნების ნაწარმოებმა ჩვენში რაიმე განცდა გამოიწვია, შეუძლებელია, რომ ამ განცდის გარეშე სულის, თუნდაც ერთი ნაწილი დარჩეს; მისი ყველა ძირითადი ნაწილი მონაწილეობს ამ განცდაში, აღრმავებს ანდა იმ თავისებურ იერს აძლევს, რაც მას ამა თუ იმ სულიერ სტრუქტურაში აქვს, ან შეიძლება ჰქონდეს.

თუ კი განცდა ასეთს ყოველმხრივ გავლენას ახდენს ჩვენ სულზე და ასე აფორიაქებს მას, გასაგებია, რომ იგი არ ქრება ისე, რომ მტკიცე კვალი და ცვლილებები არ დატოვოს მასში. ამიტომაც არის, რომ განცდათა რიცხვი და სიღრმე თავის ბეჭედს ასვამს ინდივიდუალობას – ესაა „განცდათა ისტორიულობა“. მეორე მხრით, განცდა, რომელიც ერთხელ გვექონია ამა თუ იმ სახით გავლენას ახდენს შემდგომ განცდაზე. ამ მხრივ შესაძლებელია ლაპარაკი განცდის „განვითარების უნარზე“, რაც იმაში იჩენს თავს, რომ ხელოვნების ამა თუ იმ პროდუქტის განმეორებითი განცდისას იგი უფრო ღრმა განცდას წარმოშობს ადამიანში, თუ კი მას იმ პირველი განცდის შემდეგ მრავალი მხატვრული და სხვაგვარი განცდა ჰქონია.

„ამჟამად ღირებულ ღირებულებათა განცდასთან დაკავშირებით ლტოლვა სულ ახალ და ახალ ღირებულებათა რეალიზაციისაკენ“ (Kerschensteiner. Theorie der Bildung) ისე, რომ განცდა „დინამიკური მთლიანობის ხასიათს“ (Dilthey) ღებულობს. ამ მომენტზეა დაფუძნებული განცდის განვითარება.

განცდის უკანასკნელი ნიშანი – „ობიექტივაციისადმი

მიდრეკილებაა. როცა განცდა აღარ სჯერდება გრძობის სფეროს, სცილდება მის ფარგლებს და განსახიერებასა და გაფორმებას ესწრაფვის. მაშინ და მხოლოდ მაშინ ჩვენი მე განიცდის ამ გაფორმებას როგორც შინაგანი შინაარსის გაძლიერებას; იგი გაფორმების პროცესს განიცდის როგორც საკუთარი ძალის მოწმობას, მის დასრულებას კი, როგორც საბუთს შინაგანად განცდილის ნამდვილობისას. მოკლედ, განცდა მხოლოდ განსახიერების პროცესში აღწევს სისრულეს, მხოლოდ გრძობად ფორმებში ამოწურავს მთელს თავის სიღრმეს (lit. Individuum und gesellschaft. გვ. 68).

ახლა დავუბრუნდეთ ისევ აზრის განმცდელ სულს. ზემოთ ვთქვით, რომ ჩვენ გარშემო გაშლილი სინამდვილე, ჩვენი კულტურა შეიცავს განსახიერებულ ღირებულებებს, რომლებსაც გარკვეული აზრი აქვს და რომლებიც აზრიანადაა განლაგებული. დავასახელებთ აგრეთვე ტიპური ღირებულებები. მეორე მხრით დავინახეთ, რომ ჩვენ სულს აქვს ტენდენცია ასეთი ღირებულებების განაღდებისა და რომ იგი განწყობილია ამა თუ იმ ღირებულებების მიმართულებით.

როცა რომელიმე ასეთი განსახიერებული ღირებულება, მაგალითად, ესთეტიკური – ლექსის სახით ობიექტივაციამნილი – სხვა ადამიანის სულზე მოქმედობს, ამ იბიექტივაციის (ლექსის) ნიადაგზე აზრი მასთან მეტყველებას იწყებს და შეუძლია მასში განცდა გამოიწვიოს. შეუძლია გამოიწვიოს განცდაო, იმიტომ ვამბობთ, რომ ჩვენს სულში ჩამარხულია განწყობა ყველა ღირებულების მიმართულებით. გაჩნდება ნამდვილად განცდა თუ არა, – ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი სტრუქტურული აღნაგობა აქვს ამ ადამიანის სულს, რომელი მიმართულებაა გაბატონებული მასში.

ჩვენ ასეთ ილუსტრაციას გაუკეთებდით ამ მოვლენას: უნდა ვიფიქროთ, რომ ჩვენს სულში იმდენივე სიმია დაჭიმული, რამდენი ღირებულების მიმართულებაც არსებობს. ამ სიმებს შორის მხოლოდ ზოგიერთია ისე მიმართული, რომ სწორ ტონს იძლევა. ეს ის სიმებია, რომელთაც ხშირად ვხმარობთ; სხვები კი, მართალია არსებობენ, მაგრამ აუნყოფელი არიან და დაჟანგულან. როდესაც გარედან რაიმე ისმის, იგი მხოლოდ მაშინ ააჟღერებს შესატყვის სიმს.

სწორად და სრულად, ეს სიმი ყოველდღიურად ხმარებულთა და მიაშრთულთა რიცხვს ეკუთვნის, თუ არა და იგი მხოლოდ ნაწილობრივ ააქლერებს მას ან და შეიძლება სრულიადაც ვერ შეარხიოს იგი.

გარედან მოსული აზრი მხოლოდ მაშინ იქცევა განცდად, თუ იგი სულის მთავარი მიმართულების ხაზზე შევა. „ამისდა შესაფერისად, არსებობს სხვადასხვა, სპეციფიკური იერის მქონე – ინტელექტუალური, ეკონომიური, ესთეტიკურ-სოციალური და პოლიტიკური – განცდების წრეები, განცდის სახეობანი (დარგები) (Spranger, Psychologie des jugendalters, გვ. 325 – Bode. Der Erlebniskreis des Landkindes. Verstehen und Bilden. Heft 9. 1926).

მაგრამ ეს ღირებულებათ-მიმართულებანი მხოლოდ ზრდა დასრულებულ ადამიანშია ჩამოყალიბებული საბოლოოდ. ბავშვში კი ჯერ ეს არ მომხდარა. ეს რომ ასე არ იყოს, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა ყოველმხრივი ზემოქმედება ბავშვზე. „გაშლა-განვითარების პროცესში მყოფ ინდივიდუალობას ჯერ არ გააჩნია გარკვეული ცენტრი. განვითარების ძირითადი მომენტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ინდივიდისათვის მის გარშემო გაშლილ აზრთა სამყაროდან ხან ერთი და ხან მეორე შინაარსი „იქცევა განცდად“. რაც ჩვენს სულში ასეთის მნიშვნელოვანობის იერით იჭრება. ის აფორმებს კიდევ ძირითადში მის სტრუქტურას. განვითარების თვალსაზრისით განცდას, მაშასადამე, წარმოადგენს ყოველივე ის, რაც სუბიექტური გონის მასაზრდოებელ ძალებს იძლევა, რაც არყევს ან სიმტკიცეს აძლევს მას, რაც ენერგიულად იჭრება სიცოცხლის შუაგულში და პერსონალურ ღირებულებათა სტრუქტურას ქმნის. ასეთი განცდის უნარიანობა – პერსონალური პლასტიკურობის მაჩვენებელია და რაც უფრო დიდია ეს უნარი, მით უფრო მეტია პლასტიკურობა; ასეთი აღგზნების ნერტილები ისეთი ნერტილებია, სადაც თვით აღზრდის ინსტიქტისა და სხვათა აღზრდის ნებელობის ბერკეტის მიბჯენილი“ (Spranger. Psychologie des jugendalters, გვ. 326).

ამ აზრების ნიადაგზე გასაგები ხდება კენშენშტიინერის ძირითადი აქსიომა აღზრდის პროცესისა: ინდივიდის აღზრდა შესაძლებელი ხდება იმ კულტურული დოვ-

ლათის საშუალებით, რომლის გონით სტრუქტურა მთლად ან ნაწილობრივ შეესაბამება ინდივიდუალური სიცოცხლის ფორმის განვითარების ამათუშ იმ საფეხურის სტრუქტურას (G. Kerschensteiner. Das grundaxiom des Bildungsprozesses, გვ. 42).

ამათუშ იმობიექტივაციის აზრი, მაშასადამე, ადამიანის სულში ინვეეს განცდას; და სწორედ ასევე ხდება განცდის გადაცემაც, როცა ერთ ადამიანს სურს გადასცეს მეორეს თავისი განცდა. იგი მხოლოდ მაშინ მოახერხებს ამას, თუ აზრისობიექტივაცია მოახდინა. „სხვა ადამიანს შეუძლია, რა თქმა უნდა, გადმომცეს თავისი განცდის აზრი. იგი ამისათვის მოახდენსობიექტივაციას – სიტყვიერ ფორმაში ფიქსირებული შემეცნება იქნება ეს, ხელოვნების ნაწარმოები, თუ რაიმე ტექნიკური პროდუქტი; და როცა მე ვეზიარები ამ გაობიექტივებულ აზრს, ჩემშიც წარმოიშვება შესატყვისი, ე. ი. იმავე აზრისადმი მიმართული გონითი აქტი“ (Spranger, იქვე, გვ. 20). რა თქმა უნდა, ეს აქტი მთლად ისეთივე არ იქნება, რადგან ყოველ სულს განსხვავებული სტრუქტურა აქვს და ამ ორ აქტში მონაწილე ფუნქციები ერთმანეთს არ ემთხვევიან სავსებით. ასეთი გადაცემა შესაძლებელი ხდება მხოლოდ მაშინ, როცა აზრი აქაც და იქაც ერთი და იგივეა. „ინდივიდუალური სული, როგორც აზრის შემოქმედი და აზრის განმცდელი, ერთვის ამ გზით ზეინდივიდუალურ გონს“ (Spranger, იქვე, გვ. 20).

განცდა იმ გაგებით, როგორც აქიყო ლაპარაკი, ჩვენს წინაშე გონისმეცნიერებითი ფსიქოლოგიის ერთს ცენტრალურ პრობლემას აყენებს.

არსებობს „სპეციფიკური გონის – მეცნიერებითი მეთოდი შემეცნებისა“ (Spranger, Psychologie des jugendalters, იქვე, გვ. 3), რომლის საშუალებითაც სუბიექტური სულიობიექტურ გონს ეზიარება, რადგან შეიცნობს გონის თვალსაჩინოობიექტივაციის აზრს“, „იჭრება ერთ-ერთი ასეთი გონითი პროდუქტის ღირებულებათა „კონსტელაციაში“ ანდა „შეიცნობს ადამიანის (ან ადამიანთა ჯგუფის) ყოფისა და მოქმედების, განცდისა და ქცევის შინაგან აზრთა ნყოფას“ (Spranger, იქვე, გვ. 365-8). „გაგება ფართო

მნიშვნელობით ნიშნავს: ობიექტურად ღირებულ შემეცნების ფორმებში მისწვდე გონითი კავშირების აზრს. ჩვენ შეგვიძლია გავიგოთ მხოლოდ აზრიანი რამ. აზრთანყოობის ძიება – აი ის ნიშანი, რომლითაც გაგების მეთოდი განსხვავდება ცნებითი შემეცნებისაგან და ახსნითი მეთოდისაგან, მაგალითად, გარეგანი თანმიმდევრობის კანონების საფუძველზე აგებული კაუზალური ახსნისაგან. გაგება თითქოს შინაგან ნყობაში იჭრება. იგი შეიცნობს აზრს, ასე ვთქვათ, აცოცხლებს და ავსებს მის გონითს მომენტს და მხოლოდ ამ მთლიან აქტზე აგებს აქტის აზრის შემეცნიებას“ (Spranger. Psychologie des jugendalters, იქვე, გვ. 3).

„გაგება ეყრდნობა გრძნობად-ალქმითს შემეცნებას იმ გამოხატველი მოძრაობებისა ან და მათი შედეგებისა, რომლებიც სხვის გონითს ცხოვრებას გვიხატავენ ან გვანიშნებენ“ (Benno Erdmann, Erkennen und Verstehen. Sitzungsbericht der Berliner Akad. der Wiss. Nr. 53, გვ. 1259).

ეს გაგება ობიექტივაციამნილი ფორმის უბრალო განახლება კი არ არის, იგი მართალია უკვე მზა-მზარეული დევს ჩვენს წინაშე და ჩვენ უნდა გავიგოთ მასში მოცემული აზრი. მიუხედავად ამისა, გაგება მაინც გულისხმობს სუბიექტური სული სულ რეს აქტიობას. არ არის საჭირო ხელახლა განვიცადოთ სიცოცხლის ყველა გამომჟღავნებანი, ხელახლა გავიაროთ ის გზები და ბილიკები, რაც მისი შემოქმედების დროს იყო გავლილი; ობიექტივაციამ, ასე ვთქვათ, გაკვალა გზები, მაგრამ გაგება მაინც შემოქმედებაა. მხოლოდ შემოქმედებაში შეიძლება, რომ გაობიექტივებული კვლავ შეერწყას სულიერ ცხოვრებას. ყოველი აქტიური ოპერაცია, გონით გაყლენთილ მატერიაზე მოხდენილი, მის მიმართ რაიმე პრაქტიკული დამოკიდებულება, მისი გაგებით ცდაც კი გაყლენთილია ერთგვარი აქტიობით, რომელიც, მართალია, მთლად ისეთივე არ არის, როგორც პირველ-ნარმომშობი აქტები, მაგრამ ენათესაება მათ მიმართულებისა და რომელობის მხრით“ (Freyer. Theorie des objektiven guistes. გვ. 64).

ამ გაგიებს აქტის შედეგი – აზრის წედომაა. იტყვიან: წინადადების, ტექნიკური გამოგონების, ადათის აზრი გავიგეო. ჩვენ ამ შედეგს მხოლოდ გონებას ვუმადლით და ვლაპარაკობთ

აზროვნებაზე, რომელმაც კაუზალობის პრინციპის მიხედვით დაუკავშირა ერთიმეორეს ცალკე აზრები. მაგრამ ესეც აქტია (ზემომოყვანილი გაგებით), რომლის წყალობითაც ჩემში კვლავ ცოცხლდება ობიექტური გონი.

გამოცდილება გვეუბნება, რომ მეცნიერული ნაშრომის აზრს უფრო უკეთ გავიგებთ, თუ განმეორებით ნავიკითხავთ; ასე რომ განვითარების უნარი გაგებასაც ჰქონია. მეორე მხრით ჩვენ უფრო სწრაფად და უფრო სწორად გავიგებთ ამა თუ იმ ნიგნის აზრთა წყობას, თუ იგი, ვთქვათ, ჩვენს სპეციალობას ანდა ჩვენთვის უკვე ცნობილ დარგს ეკუთვნის. და ეს მარტო გონითი მუშაობის შესახებ კი არ ითქმის. „ყოველი გაგებაც საერთოდ, საგნობრივის ყოველი შეცნობა მით უფრო მეტად გვეხერხება, რაც უფრო მეტი გაფორმების უნარი გვაქვს ამა თუ იმ დარგში (Freyer, იქვე, გვ. 63).

რომ გაგების ასეთი აქტი შემოქმედებითს ტენდენციებს შეიცავს, ეს თუნდ იქიდანაც ჩანს, რომ გაგებულ აზრს, – რამდენადაც მას ჩვენი საკუთარი სიტყვებით გამოუხატავთ, – ახალ ფორმებში ვაობიექტივებთ და ეს აგრეთვე იქიდანაც ჩანს, რომ წარსული გამოცდილების ნიადაგზე, შეიძლება კიდევ გავაფართოვოთ ეს აზრი ან მიმართულება შევუცვალოთ მას და ამით ხელი შევუწყოთ კულტურის წინსვლას. მაგრამ ეს მაშინ სუბიექტური სულის ღვანლი იქნებოდა, რომელიც გონის ახალ ობიექტივაციად უნდა ყოფილიყო მიჩნეული და რომლის აზრსაც ახლასხვა ინდივიდუალური სული სწავდებოდა გაგების აქტით, რათა მასში ახალი ცვლილება და განვითარება გამოენვია. სუბიექტურსა და ობიექტურ გონს ამ გზით, ასე ვთქვათ, უფრო მალალ საფეხურზე აჰყავთ ერთმანეთი (Freyer, იქვე, გვ. 69. Sale ünd Werk).

მაგრამ გონის ყოველი ობიექტივაცია ოდესღაც ხომ ინდივიდუალური სულისაგან წარმოიშვა. ამიტომ ყოველგვარი გაგება ბოლოს და ბოლოს პიროვნების გაგებისკენაა მიმართული.

მაგრამ თუ გაგება სულის აქტიობას, აქტს ნიშნავს, მასზე ზემოთქმულის თანახმად, გავლენა უნდა მოახდინოს სუბიექტური

სულის სტრუქტურულმა თავისებურებამ, მისი მთავარი ღირებულების მიმართულებამ. მაშასადამე რადგან ინდივიდუალურ სულთა შორის დიდი განსხვავება არსებობს, – რაც, მაგალითად, სამეურნეო, პროფესიონალურს, ეროვნულსა და მსოფლმხედველობითს სფეროში იჩენს თავს, – უნდა წამოვაცენოთ საკითხი, შესაძლებელია თუ არა საერთოდ ურთიერთის გაგება და ხომ არ მოითხოვს იგი კულტურის აღზრდა-განათლებისა და სხვ. ერთგვარობას?

მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია, მაგალ., ვიკითხოთ, შეუძლია თუ არა ქარხნის პატრონმა გაიგოს ქარხნის მუშა? ურთიერთგაგების საფუძველი ის არის, რომ ორივეს სულს პოტენციალურად საერთო ძირითადი გონითი სტრუქტურა ჰქონდეს ყველა ზემოხსენებული ღირებულების მიმართულებებითურთ – შპრანგერი ამას სულთა „დარ-კანონიანობას“ (Gleichgeserigkeit) უწოდებს – თუნდაც რომ ფაქტიურად მათში სხვადასხვა მთავარი მიმართულება შემუშავებულიყოს.

ვთქვათ, რომ მე, – სხვა პროფესიონალურის, კულტურულისა და ეკონომიური წრის ადამიანს, – მსურს გავიგო ქარხნის მუშა; ამისათვის საჭიროა უპირველეს ყოვლისა დაუფკვირდე მის ოჯახურსა და საბინაო პირობებს, მის შრომას, მის წრესა და ინტერესებს. ამ მონაცემების საფუძველზე ფანტაზიის საშუალებით უნდა მოვხაზო ამ ადამიანის მთლიანი სურათი და გამოვარკვიო მისი სულიერი ცხოვრების ძირითადი ღირებულებათ-მიმართულებანი. შეიძლება გამოიკვეს, რომ მასში ეკონომიური და სოციალური ღირებულებებია გაბატონებული, რომ იგი მთელი თავისი არსებით ფულის შოვნაზეა მიმართული, რათა მისმა შვილებმა მაინც იცხოვრონ ოდესმე მასზე უკეთესად.

მე უნდა განვანყო ჩემი თავი ამ მიმართულებით და ამ ახალი, ჩემში, ასე ვთქვათ, ხელოვნურად შექმნილი სულირი მდგომარეობის თვალსაზრისით შევაფასო მუშის ეკონომიურ-სოციალურ ღირებულებათ-მიმართულება, მისი აზროვნება, გრძნობა და მოქმედება.

თუ ამ განწყობის თვალსაზრისით მთელი მისი ქცევა აზრიანი მეჩვენა, მე გამიგია მუშა. უთუ არა და, ჩემ მიერ დასახულს

მთლიან სურათში რალაც ცვლილებები უნდა შევიტანო და ახალი თვალსაზრისით უნდა მივუდგე.

მაგრამ გაგების პროცესი მაინც არ მოინურება ამით, რადგან, ბოლოს და ბოლოს, მე მაინც „ჩემი საკუთარი სუბიექტური ცხოვრების სამოსელში“ ვახვევ მას, ვისი გაგებაც მნადია, მე მხოლოდ ვუახლოვდები სხვის გაგებას, რადგანაც ასეთი „თვითგარდაქმნა“ სხვა ინდივიდად, ისე რომ ორივე პიროვნება, ასე ვთქვათ, იდენტური გახდეს, შეუძლებელია.

მაგრამ ყოველი ადამიანი აზროვნობს, გრძნობს და მოქმედებს სრულიად გარკვეულ ფარგლებში (ჰორიზონტი), რომლის გადაღმა იგი ვერას ხედავს და რომელსაც სხვა ინდივიდი – სხვა ანდა უფრო ფართო ჰორიზონტის პატრონი, – ნაწილობრივ ან მთლად მოავლებდა თვალს. ამიტომაც არის, რომ ფართო ჰორიზონტის მქონე ადამიანი უკეთ გაიგებს ვინრო ჰორიზონტის ადამიანს, ვიდრე ეს უკანასკნელი – თავისთავს, რადგან პირველი მალლიდან დასცქერის მას.

მაშასადამე, რაც უფრო ღრმად ვიჭრები მუშის გარემოს გონითს სტრუქტურაში, იმ სამეურნეო და სოციალურ ურთიერთობებში, რომელშიაც იგი ცხოვრობს, რაც უფრო ფართოა ჩემი „ცხოვრების ჰორიზონტი“, მით უფრო მეტად გავიგებ მას.

ამ მომენტს მნიშვნელობა აქვს, უპირველეს ყოვლისა, მასწავლებლისა და აღმზრდელისათვის, რომელსაც ბავშვის გაგება სჭირია, თუ კი რაიმე აღმზრდელობითი გავლენა სურს მოახდინოს გამლა-განვითარების პროცესში მყოფ სულზე. ბავშვში ჯერ არ არის ჩამოყალიბებული ძირითადი ღირებულებათმომართულელები. მასწავლებელმა, მაშასადამე, ბავშვის გარემოს მიხედვით მისი საერთო განწყობილება უნდა გამოარკვიოს, რომ მისი სულის მთლიანი სურათი მიიღოს. მასწავლებელს მიტომ აქვს ცხოვრების უფრო ფართო ჰორიზონტი, რომ იგი ხნოვანობითაც და განათლებითაც სჯობნის ბავშვს; ფსიქოლოგიური განათლება და ბავშვის გარემოს დანვრილებითი შესწავლა კიდევ უფრო დაეხმარება მას ბავშვის ქცევის გაგებაში.

ამგვარად, ნათელია, თუ რა განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს გაგებას, როგორც შემეცნების მეთოდს ჩვენი გონისმეც-

ნიერებითი ფსიქოლოგიისათვის: მხოლოდ ამ გზით ეზიარება სუბიექტური სული გონის ობიექტივაციებს და სხვის სულს და ამ გზით ვითარდება. რადგან გაგებას ასეთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, ამიტომ ჩვენ მიერ მოხაზულ ფსიქოლოგიას აგრეთვე გაგებითი ფსიქოლოგია ეწოდება.

თავი მოვუყაროთ ნათქვამს:

სუბიექტური სულის არსს წარმოადგენს გონის ღირებულებათ-სამყაროს განსახიერება გონითი აქტიების საშუალებით და, მეორე მხრით, ობიექტივაციებში ფორმადქცეული ობიექტური გონის კვლავ გაცოცხლება. სული და სამყარო ამიტომ განუყრელ კავშირში არიან. „აზრისმქმედი“ და „აზრისგანმცდელი“ სული მუდამ მთლიანად მოქმედებს. აქტიობა ადამიანის სულის მთავარი ძარღვია. სავსებით იგივე ითქმის ბავშვის სულზედაც. იგი იფურჩქნება „აზრისგანმცდელ“, „აზრისგამგებ“ და „აზრისმქმედ“ მოქმედებათა გზით.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ ცდა ფსიქონალიზის არსისა და ძირითადი პრობლემების გაშუქებისა ისეთ მცირე ადგილზე, როგორსაც წინამდებარე კრებულის ინტერესები მოითხოვს, ძალიან ძნელი საქმეა. ჩვენ მას მხოლოდ იმ იმედით ვკისრულობთ, რომ მკითხველი ამ წერილის ქვემოდასახელებული ლიტერატურის დახმარებით სიღრმის ფსიქოლოგიაში

ე.ი. ფსიქოალიზში ცოდნის გაღრმავებას მიიჩნევს და ყოველ შემთხვევაში თავს შეიკავებს საბოლოო მსჯავრის გამოტანისაგან, სანამ პირველწყაროების მიხედვით არ შეძლებს მოძღვრების დეტალურად შესწავლას.

ეს თავშეკავება მით უფროა აუცილებელია, რომ ამ მოძღვრების გაგებას არა მარტო წერილის სიმოკლე აძნელებს, რის გამოც ალბათ მკითხველი უკეთესი და უფრო დანვრილებით შრომებისათვის მიმართვას მოისურვებდა, არამედ განსაკუთრებით ის გარემოებაც, რომ ფსიქონალიზის მიერ დადასტურებული ფაქტები და დასკვნები ცხოვრების უაღრესად მნიშვნელოვანი სფეროების მიმართ მკითხველში ძლიერ გრძნობებს გამოიწვევენ, რომლებიც ფსიქონალიზის მიუდგომელი შესწავლის უნარს აქვეითებენ, და ამით „განდევნის“ ფენომენს წარმოშობენ, რომელიც, როგორც მისი გაგებისათვის, ისე მისი გადალახვისათვის ფსიქონალიზის ცოდნას უკვე წინაწარ გულისხმობს.

ფსიქონალიზს საფუძველი ჩაუყარა ზიგმუნდ ფროიდმა (რომელმაც 1927 წ. მაისში დაბადებიდან 70 წლის თავი იღლესასწაულა). 1926 წლის ალმანახში (ფსიქონალიზური საერთაშორისო გამომცემლობისა, ვენაში). პატარა წერილში მან მეტად მოხდენილად განიხილა ფსიქონალიზის წინააღმდეგ მიმართული მოსაზრებანი. უკვე იმ გარემოებამ, რომ სფიქონალიზურ პირველ მასალას ავადმყოფები წარმოადგენდენ და რომ ძირითადი თეორიაც მათზე იქნა აგებული, მისდამი უარყოფითი განწყობა გამოიწვია, რადგან ჯანმრთელი ადამიანი ჯანმრთე-

ლობასა და ავადმყოფობას შორის უფსკრულს ხედავს, მით უმეტეს თუ საქმე სულით დაავადებას ეხება და ეს წინააღმდეგობა სწორედ ფსიქონალიზმმა აღმოაჩინა საგულისხმო ფაქტები, რომლებსაც ნორმალური ადამიანის ფსიქოლოგიისთვისაც მყარი მნიშვნელობა აქვს და რომლებიც ალბათ ვერც აღმოჩნდებოდა, რომ დაავადებულ ადამიანში გარკვეული ფენომენები ისე მკვეთრად არ იჩენდნენ თავს, რომ მათი პრობლემად გადაქცევა მეცნიერებისათვის აუცილებელი არ იყოს. ამ მიმართულებით გამახვილებული ჭვრეტა ნორმალურ სულიერ ცხოვრებაშიაც მსგავს მოვლენებს დაინახავს. მაგრამ თუ ამით გამოწვეული წინააღმდეგობა ფსიქონალიზისათვის ადვილი დასაძლევია, მით უფრო ძნელია მეორის დაძლევა.

ავადმყოფურმა სულიერმა მოვლენებმა, რომლებისაგანაც მიიღო ფსიქონალიზმმა ამოსავალი, ნათელყვეს იმ ინსტიქტის მოქმედება, რომელსაც თანამედროვე კულტურული ადამიანი მაინც თავისებურ შეფასებას აძლევს, რაც სწორედ ამ ინსტიქტის მიუდგომლად განხილვას არაჩვეულებრივად აძნელებს. ამ ინსტიქტის, სქესობრივი ინსტიქტის, სიმძლავრისა და მნიშვნელობის განსაკუთრებული განხილვა საჭირო არ არის. აღნიშვნის ღირსი კია ის, თუ როგორ უჭირს ადამიანს თვალი გაუსწოროს მას. მართლაც მაინცდამაინც არ უნდა გვიკვირდეს, რომ ადამიანის ეს თავისებური განწყობა იმ ინსტიქტისადმი, რომლის სრულ დახშობას კაცობრიობის მოსპობა უნდა მოჰყოლოდა, სულიერ სფეროში შეიძლება ძალიან თავისებურად და ავადმყოფურადაც გამოვლინდეს. აბა ვცადოთ ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა კვების ინსტიქტსაც რომ იგივე ბედი სწევოდა, ინსტიქტს, რომლის დაკმაყოფილება სრულიად უვნებლად ხდება და რომელიც უშიშრად, სრულიად ახდილად და შეგნებულად მოქმედებს. ამის მიუხედავად, ის მოსაზრება, რომ გარკვეული სულიერი დაავადებანი სქესობრივი ინსტიქტის დამახინჯებული დაკმაყოფილების სუროგატებად უნდა იქნან აღიარებულნი, – მზადა ვართ სიყალბედ მივიჩნიოთ. სიძნელე, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მატულობს, როდესაც ნორმალურსა და ავადმყოფ ადამიანს შორის მდებარე უფსკრულზე ხიდი უნდა იქნას გადებული და ადამიანის თვით უმაღლესი კულტურული მიღწევებიც

ერთგვარად დაკავშირებული უნდა იქნას ამ ინსტიქტის განდევნასთან. დაკავშირებული არა იმგვარად, რაგვარადაც დაკავშირება ჩვენს აზროვნებას ემარჯვება: თითქოს ამ ინსტიქტის განდევნა ათავისუფლებდეს სულ სხვაგვარად აგებულსა და სხვა წყაროებიდან გამომდინარე ძალებს, რომლებსაც ეგოდენ დიდ მიღწევებს გვაძლევენ, არამედ იმგვარად, რომ ამ ინსტიქტის თავის უახლოესი მიზნებისაგან გადახრა საერთოდ კი არ ასუსტებს მას, არამედ აიძულებს სხვა მიმართულებით იმოქმედოს. ამ მოქმედების შედეგია ის მიღწევები, რომელთაც ჩვენ, როგორც ადამიანის კულტურის გაფურჩქვნას ძალიან მაღლა ვაყენებთ და რომელთა დაკავშირება ინსტიქტთან, რომლის შესახებ ლაპარაკიც კი უხერხულია – ჩვენი ფიქრით მხოლოდ უკიდურესად გათახსირებულ ადამიანს შეუძლია.

რაკი, გარდა ამისა, ფსიქოანალიზმა – რაც განსაკუთრებით პედაგოგისათვის უნდა იყოს საინტერესო, – სქესობრივი ინსტიქტის პირველადი გამომჟღავნება ფიზიოლოგიური მომნიშვნელობის ხანისთვის კი არ გადადო, არამედ თვით ადრეული ბავშვობის ასაკში გადაიტანა, წინააღმდეგობა ამ მოძღვრების მიმართ კიდევ უფრო გაძლიერდა და თითქმის დასაბუთდა შთაბეჭდილება, „რომ ეს, ვითომცდა ახალი მეცნიერება ფანტაზიებისა და დამახინჯებათა ქსელია და მეტი არაფერი“.

აფექტური დაბრკოლებანი, რომელთაც ხვდება ფსიქოანალიზური გაგება ცნობიერ „მე“-სა და უძღვევამოსილეს არაცნობიერს შორის არსებული ურთიერთობისა, ფროიდს თავმოყვარეობის მძიმე შეურაცყოფად მიაჩნია. მას იგი ფსიქოლოგიურ შეურაცყოფას უწოდებს და უპირისპირებს დარვინის თეორიით გამოწვეულ ბიოლოგიურს, ან კოპერნიკის აღმოჩენით გამოწვეულ ადრინდელ კოსმოლოგიურ შეურაცყოფას, რომელიც დღეს უკვე შეურაცყოფად აღარ მიგვაჩნია.

ოსკარ პფისტერი თავის შრომას „ფსიქოანალიზური მეთოდი“, შემდეგნაირად განასაზღვრავს ფსიქოანალიზს:

„ფსიქანალიზი (ასო ონს ანის წინ სიტყვა ფსიქოანალიზში იგი შეგნებულად არ ხმარობს) არის ზიგმუნდ ფროიდის მიერ დაარსებული მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდი, რომელიც იხმარება როგორც ნევროტიკოსებისა და სულით ავაღ-

მყოფების, ისე ნორმალური ადამიანების მიმართ. უარყოფს რა ძალდატანებითს შთაგონებასა და ჰიპნოზს, იგი ასოციაციათა დაგროვებისა და ახსნის გზით ცდილობს გამოიკვლიოს ცნობიერების ზღურბლის ქვევით მდებარე სულიერი ცხოვრების მამოძრავებელი ძალები და შინაარსები და გავლენა იქონიოს მათზე“.

იგი ამრიგად ერთი მხრივ არის კვლევის მეთოდი რომელიც სულიერი ცხოვრების ახალ არეს – არაცნობიერს, – არკვევს, იკვლევს მის ურთიერთობასა და გავლენას ცნობიერზე (ამ სიტყვის ჩვეულებრივი მნიშვნელობით) ეს სიღრმის ფსიქოლოგიის მიმართულებით აფართოებს ფსიქოლოგიის საზღვრებს. მაგრამ, მეორე მხრივ, იგი ტექნიკური მეთოდიც არის, რომელსაც სურს გავლენა იქონიოს მკურნალობასა თუ აღზრდაზე. ამ უკანასკნელთა შორის, ამასთანავე, არაჩვეულებრივად მჭიდრო კავშირი უნდა იქნეს დადასტურებული.

თვით ცნება არაცნობიერისა მცირე სიძნელეს არ მოასწავებს ჩვენი ჩვეული განწყობისათვის, რადგან თუ ადვილად ხდება სწორედ ცნობიერისა და ფსიქიკურის გაიგივება, – არაცნობიერი ფსიქიკური *contradictio in adjecto*-დ გვეჩვენება. ახალი ფსიქოლოგიის განვითარების თვალსაზრისით ეს საკვებით გასაგებია.

გასაგებია იგი, სახელდობრ ექსპერიმენტის გამოყენებით, უნინარეს ყოვლისა ისეთ ფენომენებს სწავლობდა, რომლებიც ცნობიერების ნათელ შუქში ხვდებოდნენ, ისე რომ ეს ძლიერი გაშუქებულობა სწორედ სულიერის ნიშნად იქცა. ინსტიქტი, ნებელობა და აგრეთვე გრძნობაც ამდენად დამუშავებული არ ყოფილან, ხოლო თუ კი ასეთ რამეს ჰქონია ადგილი – ინტელექტუალურისაკენ გადახრის საშიშროება არასოდეს არ ყოფილა თავიდან აცილებული. თუ მოვიგონებთ ლაიბნიცის მონადებს ან და კიდევ ჰერბარტის ფსიქოლოგიას არაცნობიერების ცნება ნაკლებ გვეჩვენება.

ამიტომ არაცნობიერების ფსიქოლოგიის დამაარსებლის ნინამე უნინარეს ყოვლისა ნამოიჭრა ამოცანა: ფსიქიკურის ცნება ისე გაეფართოებია, რომ ცნობიერება სულიერის არსებითი ნიშანი აღარ ყოფილიყო. ნათელი და ცხადი ცნობიერებისაგან

ჩვენ საფეხურებით მივდივართ. ბუნდოვან ცნობიერსა და წინა ცნობიერამდის. სამნუხაროდ ადგილის სიმცირე ნებას არ გვაძლევს ვცადოთ მკითხველს ეს გზა მაგალითებით გავუშუქოთ. დანვრილებითი დისკუსიის გარეშე კი მკითხველი ადვილად შესაძლებელია შეცდომაში შევიდეს და იფიქროს, თითქოს ამ შემთხვევათა გარკვევა ჩვეულებრივი ხერხებით შეიძლება. ფროიდმა სწორედ მთელი რიგი ისეთი ფსიქიკური მოვლენები მიიღო მხედველობაში, რომლებიც საბედნიეროდ პათოლოგიით არ განისაზღვრება და უმთავრესად სავსებით ჯანმრთელი ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას ეკუთვნის. საუბარი ეხება მცდარ მოქმედებათა დიდ ჯგუფს: სიტყვის წამოცდენას, შეცდომა წერაში, კითხვაში, მცდარ გაგებას, დავინყებას, რომელთაც განიხილავდენ უწინარეს ყოვლისა როგორც შემთხვევითებს და მუდამ როგორც უაზროებს. საუკეთესო შემთხვევაში დაღლილობის ან ყურადღების გადახრის მდგომარეობათა შემწეობით ცდილობდენ მათს ახსნას. ფროიდი სრულიადაც არ დავობს, რომ შეცდომებში შეიძლება ეს მოვლენებიც ილებდენ მონაწილეობას, მაგრამ ეს განმარტება მას საკმარისად არ მიაჩნია, მცდარ მოქმედებათა აღმოცენებას იგი ჩვეულებრივი აზრით გაგებულ ცნობიერ მოვლენებზე არაცნობიერის გავლენას მიაწერს. ლოგიკურ-მეთოდოლოგიურად ეს დასკვნა არაცნობიერის შესახებ ასე უნდა ყოფილიყო განმარტებული: გამოცდილებაში ჩვენ გვეძლევა პროდუქტი, მოქმედება, მცდარი საქმიანობა; მათი გამომწვევი მიზეზებით გამოცდილების სავსებით იმავე სიბრტყეში არ მდებარეობს; გათვალისწინება ყოველივე იმისა, რასაც ამ მოვლენათა ურთიერთდამოკიდებულებაში გამოცდილება გვიჩვენებს, დამაკმაყოფილებლად ვერ გვიშუქებს საკითხს; არაცნობიერის დახმარებით კი ეს შემთხვევები გასაგები ხდება. ამიტომ არაცნობიერი განხილულ უნდა იქნას როგორც ისეთივე რეალური რამ, როგორიც არის ჩვეულებრივი აზრით გაგებული ცნობიერი. ეს მცდარი მოქმედებანი გასაგები ხდებიან ორმაგი ტენდენციის არსებობის დაშვებისას. მხოლოდ ერთს, ჩვენთვის ცნობიერ ტენდენციას რომ ემოქმედა, მაშინ მივიღებდით არამცდარ მოქმედებას, არამედ სწორ რეაქციას. მაგრამ ჩვენში ცოცხლობს და მოქმედებს კიდევ ერთი მისი მონ-

ინააღმდეგე ტენდენცია, რომელიც ცნობიერ ტენდენციას ეხლართება და ამგვარად მცდარ მოქმედებას გვაძლევს. თუ ვინმეს ავინყდება შეთანხმებულ პაემანზე მისვლა, გარემოებათა შემდგომი ვითარება გვიჩვენებს, რომ როდესაც მას მისვლა დაავინყვდა, საკითხი წინასწარ წყდებოდა: მას ურთიერთობის შეწყვეტის არაცნობიერი სურვილი ჰქონია და მისვლაც სწორედ ამიტომ დაავინყვებია. ფროიდს შეუძლია განასხვავოს ამ არაცნობიერი ტენდენციის სხვადასხვა საფეხურები. არსებობს მცდარი მოქმედების ისეთი შემთხვევები, როდესაც ინდივიდუუმის ცნობიერებაში შედის ორივე ტენდენცია მოქმედების მომენტშივე ან უშუალოდ მის შემდეგ; შემდეგ ისეთი შემთხვევები, როდესაც სხვა პირის მიერ არაცნობიერი ტენდენციის მითითების შემდეგ უკანასკნელი შეიძლება შეტანილ იქნას ცნობიერებაში. მაშასადამე ინდივიდუუმი აღიარებს, რომ ასეთი სურვილი მას ჰქონია, თუმცა მოქმედების მომენტში ცნობიერებამდის მისული არ ყოფილა. დაბოლოს, არსებობს მესამეგვარი შემთხვევებიც, როდესაც ინდივიდუუმი აღშფოთებით უარყოფს, რომ ტენდენცია, რომელსაც მას მიაჩნერენ, მართლაც ჰქონებოდა. მაგრამ ეს უარყოფა ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ამ ტენდენციის უარყოფის აფექტური ხასიათი განსაკუთრებულად აძლიერებს ეჭვს და შემდეგი ვითარებაც საკმაოდ ხშირად გვიჩვენებს, რომ იგი მართლაც არსებობდა.

ამრიგად, მცდარ მოქმედებათა წინამძღვარს მომქმედი ინდივიდუუმის არაცნობიერი განზრახვა წარმოადგენს, რომელიც განხორციელებას ესწრაფის, მაგრამ ინდივიდუუმის მიერ იდევენება. უკანასკნელს არ ძალუძს ამ განდევნით იგი სრულიად უმოქმედო გახადოს. იგი მოქმედების დამახინჯებაში ხორციელდება და ამგვარად შეცდომას წარმოშობს, რომელიც ცნობიერი სურვილის მიმართ უაზროა და ადამიანის უპირატესად პრაქტიკული განწყობისას შემთხვევითად გვეჩვენება. ხოლო, თუ მას არაცნობიერთან დავაკავშირებთ, ვნახავთ, რომ იგი სავსებით კანონზომიერად მიმდინარეობს და ამრიგად აზრს მოკლებული არ არის, საიდანაც ადვილი გასაგები ხდება, რომ ინდივიდუუმი მხოლოდ ძნელად აღიარებს მას, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში განდევნისათვის არავითარი საბუთი არ ექნებოდა.

ამრიგად, ჩვენ გადავდივართ განდევნის ფაქტის განხილვაზე, რომელიც დიდ როლს თამაშობს ფსიქოანალიზში.

ადამიანში რომ სულ სხვადასხვა ინსტიქტები თვლემს, რომელთა შორის გარკვეული წინააღმდეგობა არსებობს და რომელნიც ერთმანეთს ვერ ეგუებიან და ერთმანეთს აფერხებენ, – ეს საკმაოდ ცნობილი უნდა იყოს. ინსტიქტების თავისუფალი მოქმედების ამ შეფერხებას სხვაც უერთდება, რასაც ადამიანის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და ახლაც აქვს. არსებობის მარტივ სფეროს ადამიანისათვის უპირისპირდება ვალდებულებათა სფერო, ღირებულებათა სისტემა, რომლის შემწეობით მხოლოდ ახერხებს იგი ადამიანად გახდომას. უკვე პატარა ბავშვში შეაქვს დიდ ადამიანს ღირებულებათა ეს სისტემა ბრძანებებისა და აკრძალვების სახით. იგი გაგებულ უნდა იქნას, როგორც ინსტიქტების მიმდინარეობის მომწესრიგებელი უარყოფითი შეფასება რაიმე ქცევისა, რომელიც შეიძლება ინსტიქტის მიერ იქნეს გამოწვეული, ძალიან ხშირად ხელს უშლის ქცევის განხორციელებას. გარეგნულად ეს ისე ჩანს, თითქოს მისი საფუძველმდებელი ინსტიქტი უმოქმედოდ იყოს ქცეული, ნამდვილად კი მან უპირველესად ყოვლისა მხოლოდ და მხოლოდ საჭირო ქცევის მიმართულებით ვერ იმოქმედა, ვერ მონახა თავისი ბუნების შესატყვისი გზა რეალობისაკენ. ცნობიერებასთან დაკავშირებულ ქცევად გახდომის გზაზე იგი შეფერხებულ და ჩახშობილ იქმნა მასზე უფრო ძლიერი მოთხოვნის მიერ. იმავე დაბრკოლებებს ხვდება განხორციელების განმეორებითი ცდები, მაგრამ ეს დაბრკოლებანი ვერ ახერხებენ საერთოდ უმოქმედოდ აქციონ, სავსებით მოკლან იგი და მხოლოდ აიძულებენ მას არაცნობიერი არსებობა განაგრძოს. ვინაიდან მისი ენერგია შენარჩუნებულია, იგი ეძიებს რაიმე გზას რეალობისაკენ. ასეთია, მაგალითად, მცდარი მოქმედების შემთხვევები. იგი გვევლინება სახეშეცვლილი ფორმით, როგორც მაგ: მცდარ მოქმედებათა შემთხვევაში, რომელნიც ინდივიდუუმს ზოგჯერ კომიკურ მდგომარეობაში აყენებენ, სავსებით პოზიტიური სახით – მნიშვნელოვანი კულტურული მიღწევების სახით. უკანასკნელ შემთხვევაში ჩვენ სუბლიმაციასთან გვაქვს საქმე. ან და კიდევ იგი ავადმყოფობას აფარებს თავს, ინვეცს ნორმალური სული-

ერი ცხოვრების დამახინჯებას და ამის გარდა ფუნქციათა დარღვევას, რომელსაც ჩვეულებრივ ორგანიული მიზეზები აქვს, მაგ; სიბრმავეს, სიყრუეს, სიდამბლეს. სწორედ ამ წმინდა ფუნქციონალურ აშლილობათა მკურნალობის ნიადაგზე განვითარდა უმთავრესად განდევნის თეორია. სახელდობრ განდევნილი ინსტიქტების ან სურვილების შემდეგში გაცნობიერების გზით მოხერხდა სულიერ ან და კიდევ სხეულებრივ გამოვლინებათა თავიდან აცილება, იმგვარად, რომ მათი აღმოცენების მიზეზად მხოლოდ გარკვეულ პირობებში მომხდარი მათი განდევნა შეიძლებოდა ყოფილიყო აღიარებული.

თუ კი შევძლებთ შევითვისოთ ეს განდევნის თეორია განსაკუთრებულად განსაცვიფრებელს აღარაფერ ვნახავთ იმაში, რომ სხვადასხვაგვარი ინსტიქტი სხვადასხვაგვარი ხარისხით მონაწილეობს განდევნის შემთხვევებში და იმიტომ, რომ ჩვენ სხვადასხვაგვარ შეფასებას ვაძლევთ მათ და თითოეულის რეალიზაციას სხვადასხვაგვარი ძალის დაბრკოლება ელოდება წინ. უნდა ვიფიქროთ, რომ უხშირეს შემთხვევებში განიდევენება ის ინსტიქტები, რომლებიც ყველაზე უფრო მეტადაა ჩვენ მიერ შეზღუდული რადგანაც ისინი თვითონაც ძლიერი არიან. რომ სქესობრივი ინსტიქტი სწორედ ასეთ პირობებში იმყოფება, ეს განსაკუთრებულ აღნიშვნას არ საჭიროებს. თუ განვიხილავთ მის რეალურ მოქმედებას ქორწინებაში, ვნახავთ, რომ კულტურის ზრდასთან ერთად ქორწინება თანდათან უფრო და უფრო გვიან ასაკში ხდება, რომ მრავალი ქორწინება სულ სხვადასხვა საფუძველზე ხდება, რის გამოც თვით ქორწინებაშიც აღმოცენდება დაბრკოლებანი. ინფანტილური სექსუალობის შესახებ თუ ვილაპარაკებთ, უნდა ვთქვათ, რომ ამ ინსტიქტის განდევნისათვის მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ ჩვეულებრივი სქესობრივი მომნიჭების შემდეგ წლებს. ამის გამო თავისთავად გასაგები უნდა იყოს, რომ განდევნათა შორის ასეთი დიდი მნიშვნელობა მიეკუთვნა სქესობრივ ინსტიქტს. პირველად კი ამ გარემოებას ფსიქოანალიზის მიმდევრების ცალმხრივობით ხსნიდნენ. ცხადია, არ უნდა დაივიწყოთ, რომ სქესობრივ ინსტიქტთან ურთიერთობაში მყოფ ფაქტებს ისე კარგად ვერ ვხედავთ, როგორც დავინახავდით, საქმე ისეთ ფაქტებს რომ შეეხებოდეს, რომელე-

ბიც ნაკლებ უარყოფითად არის ადამიანის მიერ შეფასებული. ესეც აგრეთვე განდევნის შედეგი ან მისი ერთ-ერთი სახეობაა. უნდა აღინიშნოს, რომ ლიბიდოს ცნება უკვე თვით ფროიდს მეტად ფართოდ ესმის და რომ იგი სრულიადაც არ უდრის იმას, რაც ჩვეულებრივ სექსუალობაში იგულისხმება.

მცდარ მოქმედებათა შემთხვევები გვიჩვენებენ, რომ განდევნილი სურვილი ან ინსტიქტი, თუმცა დამახინჯებული ფორმით, მაგრამ მაინც პოულობს გზას რეალობისაკენ და ამით – ცნობიერებისაკენ. მეტაფორა რომ ვიხმართ, ცნობიერების ზღურბლს დარაჯობს გუმაგი, ცენზურა, რომელიც არ უშვებს მას ცნობიერებაში და იმისათვის, რომ თავისი გაიტანოს, იგი იძულებული ხდება სახე იცვალოს. ამ სახეცვლამ შეიძლება მას სრულიად აზრი დაუკარგოს, ან და მისი საკუთარი მნიშვნელობისაგან განსხვავებული აზრი მისცეს. ამიტომ მიაჩნიათ საჭიროდ ფსიქოანალიტიკოსების ამ სახეცვლათა და დამახინჯებათა მოხსნა, ერთი შეხედვით უაზროსათვის ან სხვაგვარი აზრის მატარებლისათვის მისი პირველადი აზრის დაბრუნება. ფსიქოანალიზიური ლიტერატურისაგან შორს მდგომთ და შეიძლება აგრეთვე იმათაც, ვისაც ანალიზის ცდები თვითონ არ ჩაუტარებია, – შეიძლება არაჩვეულებრივად გაუძნელდეს ფსიქოანალიტიკოსის განმარტებათა აღიარება და შეთვისება. შეიძლება თქვენ, რომ ინტერპრეტაციის სისწორის ერთად ერთ კრიტერიუმს ყოველ კერძო შემთხვევაში შედეგი წარმოადგენს. ფსიქოანალიტიკოსს არ ძალუძს თვალყური ადევნოს არაცნობიერი სურვილის სახეცვლის პროცესს, არამედ იგი იძულებული ხდება მხოლოდ ამ სახეცვლილების ნიადაგზე დაასკვნას რომ ასეთი სურვილი მართლა არსებობს. თუ სახეცვლილება გარკვეულ ფუნქციონალურ აშლილობაში გამოიხატება, რომელიც სურვილის ცნობიერყოფისთანავე ქრება მაშინ ადვილია განმარტების მართებულობის აღიარება. მაგრამ სინამდვილეში მდგომარეობა ასეთი მარტივი არასოდეს არ არის.

მაშ რა საშუალებები არის ჩვენს განკარგულებაში რომ ის, რაც ცენზურის ან დაბრკოლების წყალობით თვითონ ვერ შევიდა ცნობიერებაში, – მისთვის მისანვდომად გაეხადოთ? თავისთავად ცხადია, არ კმარა პირში ვუთხარათ ინდივიდუუმს:

საქმე განდევნილი სექსობრივი ინსტიქტის შფოთვაში არისო, თუნდაც რომ იგი აქ მართლაც თამაშობდეს ერთგვარ როლს. საჭიროა აღდგენილ იქნას ცნობიერებაში ის კონკრეტი სიტუაცია, რომელშიც ამ კერძო ინდივიდუუმის ცხოვრებაში ადგილი ჰქონდა განდევნას. მხოლოდ სავსებით ინდივიდუალურმა მიდგომამ შეიძლება მოგვცეს შედეგი. ფსიქოანალიტიკომა უნდა დაზვეროს ინდივიდუუმის ცხოვრებაში ადგილი, სადაც ნამდვილად მოხდა განდევნა, რომელმაც პირველად შეიძლება მხოლოდ მრავალი წლის შემდეგ იჩინა თავი. ამ ნიადაგზე ფსიქოანალიზმა შექლო ინდივიდუალური ფსიქოლოგიისთვისაც მიენოდებია ძვირფასი მასალა. ამ ადგილის მოსაძებნად ხშირად ადრეულ ბავშვობამდის დაბრუნება ხდება საჭირო. მაგალითების მოყვანა აქაც ძალიან მომხიბლავი იქნებოდა. გზას ინდივიდუუმის პირად წარსულში მოგონება წარმოადგენს. მაგრამ მოგონება, სიტყვის ჩვეულებრივი აზრით, შეიძლება მხოლოდ მისი, რასაც თავის დროზე ცნობიერების ზღურბლი გადაულახავს. გარდა მაგისა, ჩვენ ვიცით, რომ განდევნა თვით ინვეეს დავინწყებას და თუ სულ შეუძლებელ არ ყოფს ყოველ შემთხვევაში აძნელებს გახსენებას. მაგრამ ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავთ აგრეთვე იმას, რომ განდევნილი სურვილი სახეშეცვლილი ფორმით კვლავ პოულობს გზას ცნობიერებისაკენ; ამ სახეცვლილებიდან უნდა მიდიოდეს გზა არაცნობიერებისაკენ და ეს გზა განცდათა ასოციაციური კავშირია. ამიტომ აქვს ფსიქოანალიზისათვის ასეთი დიდი მნიშვნელობა თავისუფალ ასოციაციებს. არა მარტო როგორც არაცნობიერის კვლევის, არამედ როგორც მკურნალობის მეთოდსაც. ჩვენ რომ სიამოვნებით ვივინწყებთ იმას, რაც უსიამოვნო ელფერის მატარებელია და სიამოვნებით ვიგონებთ იმას, რასაც ჩვენთვის სიხარული მოუნიჭებია, – ამას ზერელე დაკვირვებაც გვიჩვენებს, რომელიც მაშინაც შეიძლება მოხდეს, ფსიქოანალიზის შესახებ არასოდეს რომ არაფერი გაგვეგოს ამ გარემოების წყალობით, წარსული ჩვენ მუდამ ვარდისფრად გვეჩვენება, ვიდრე იგი სინამდვილეში იყო, წარსული მუდამ „დალოცვილი ძველი დრო“ არის. განდევნილი განცდა ამავე დროს უსათუოდ უსიამოვნო განცდაა, და სწორედ ამიტომ ხდება მისი განდევნა. ამიტომ მას არ შეუძლია საკუთარი ძალით ცნო-

ბიერებაში დაბრუნება და თუ შეუძია, მხოლოდ სახეშეცვლილი ფორმით. მაგრამ ასოციაციური ექსპერიმენტი შესაძლებლობას იძლევა სხვადასხვა მხრივ მივუდგეთ დავინყებას, ხელიდან გამოვგლიჯოთ მას მისი მსხვერპლი და ამგვარად გზა გავუკაფოთ უკანასკნელს ცნობიერებისაკენ, სადაც მას შეუძლია ცნობიერების სხვა შინაარსებს დაუკავშირდეს და ინდივიდუუმის სულიერ ცხოვრებაზე დამლუპველად იმოქმედოს.

განდევნილი განცდა ცნობიერებაში თავის ნებით მხოლოდ დამახინჯებული ფორმით შედის, რომელიც თვით ინდივიდუუმს უაზრობად მიაჩნია. ინდივიდუუმი ცნობიერებად ვერ გაიხსენებს იმას, რადგან ცნობიერად მხოლოდ აზრიანი შეიძლება იქნას გახსენებული. მაგრამ უაზრო შეიძლება გზად გამოდგეს ამისათვის. მართლაც, ადამიანის განცდებს შორის არის ისეთებიც, რომლებსაც უაზრობის დალად აზის და რომლებსაც არავითარი მნიშვნელობა არ მიენერერებოდა, თუ მხედველობაში არ მივიღებთ წინანდელ ხანას ან ხალხურ რწმენას. ეს განცდები – სიზმრებია.

ისტორია გვასწავლის, რომ იყო დრო, როდესაც სიზმრების მიმართ სხვაგვარად იყვნენ განწყობილი და მათ დიდ მნიშვნელობას მიაწერდნენ, რადგან ფიქრობდნენ, რომ მათში ისეთი რამ იმარხებოდა, რაც მუდამ აინტერესებდა კაცობრიობას თუნდაც წმინდა პრაქტიკული მოსაზრება, სახელდობრ: მომავალი. რა თქმა უნდა, შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიზმრების ამგვარად გაგება არა მარტო იმიტომ დაკარგა აზრი, რომ ეს გზა მომავლისაკენ ძალიან არასანდო იყო, არამედ იმიტომ, რომ მეცნიერებმა ადამიანს მისცა მომავლისათვის ნილაბის ახდის საშუალება ვინრო საზღვრებში მაინც: კაუზალური კავშირის კვლევა შესაძლებლობას გვაძლევს ცნობილი მიზეზებისაკენ დავასკვნათ მოსალოდნელ შედეგთა შესახებ.

ფსიქოანალიზმა, დეე არსებითად შეცვლილი სახით, კვლავ აღადგინა სიზმრების ახსნა. რა თქმა უნდა, იგი მომავლისკენ კი არ იყურება, არამედ წარსულზე მიუთითებს. განდევნის ფაქტს თუ მოვიგონებთ, ეს ჩვენთვის გასაგები გახდება. სიზმრის თეორიაზე, რომელიც ცნობიერების გარკვეულ თეორიასაც შეიცავს, ჩვენ, სამწუხაროდ, უარი უნდა ვთქვათ. სიზმარში ფსიქოანალი-

ტიკოსი ასხვავებს გამოვლინებულ შინაარსს, რომელიც ჩვეულ-რივ უწყინარი ან უაზროა ფარული (ლატენტური) შინაარსისაგან. სწორედ ამიტომ არის აუცილებელი სიზმრის ახსნა. ფსიქონალიზი ფიქრობს, რომ ძილის მდგომარეობაში ცნობიერების ზღურბლზე მდგომი დარაჯის, ცენზურის ფუნქციობა სავსებით მოხსნილი არაა, მაგრამ დასუსტებული კი არის. კავშირი ცნობიერსა და არაცნობიერს შორის უფრო ინტიმურია. ცნობიერებაში შესვლა არაცნობიერს შეუძლია, თუმცა კი რამდენადაც ცენზურა სულ მოხსნილი არაა, – მუდამ მხოლოდ ნილაბაფარებულს სწორედ ეს ხდის საჭიროდ სიზმრის შინაარსის ახსნას. სიზმარში არაცნობიერის უფრო ძლიერად წამოჭრა გამოყენებულ უნდა იქნას, სიზმრის ცალკეული ნაწილის შესახებ, ინდივიდუუმის თავისუფალი ასოციაციების, თავისუფალი ფიქრების დახმარებით იმისათვის, რომ მიგებულ იქნას განდევნილი ინდივიდური განცდის კვალი. სიზმრების რიცხვი უამრავი უნდა იყოს და ისინი დიდად განსხვავდებიან ურთიერთისაგან; მაგრამ ეს სიზმრის მხოლოდ გამოვლენილ შინაარსს შეეხება, და მრავალფეროვნებაც აქ ერთგვარად შეზღუდულია. ვინმე რომ ცდილიყო მეტი ყურადღება მიექცია თავისი სიზმრებისათვის შეამჩნევდა, რომ არსებობს ტიპიური სიზმრები, რომლებიც, მართალია, აბსოლუტურად იმავე სახით არა, მაგრამ მაინც ძალიან ხშირად მეორდება. სიზმრების შინაარსის ვარიაბილობა კიდევ მეტად შეიზღუდება, თუ ვცდით სიზმრის გამოვლინებული (მანიფესტური) შინაარსიდან დაფარულ შინაარსზე გადასვლას. სიზმრების ენა – სიმბოლოების ენაა. აქაც ვერ გავამართლებ მკითხველის მოლოდინს და სიზმრების სიმბოლიკაზე ვერ შევჩერდები. მას, ამ სიმბოლიკას, უაღესად ინტერნაციონალური მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც ენას სიზმრებში მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და მასში უმთავრესად მხედველობითი სახეები და პროცესები არის გაბატონებული. თუ გვსურს წარმოდგენა ვიქონიოთ სიზმრების ახსნის არსისა და შესაძლებლობათა შესახებ, სპეციალურ ლიტერატურას უნდა მივმართოთ. ცოტა რამ მაინც უნდა ვთქვათ სიზმრის არსის შესახებ, რაც ამართლებს მას, როგორც ინდივიდუალური განცდის წვდომის საშუალებას, – იმ განცდისა, რომლის განდევნას მძიმე შედეგები მოყვა

პიროვნების განვითარებისათვის. ფროიდს სიზმარი ესმის როგორც სურვილის შესრულება. ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ერთ დროს განდევნილმა სურვილმა სიზმრის სახით პოვა გზა ცნობიერებისაკენ. შეიძლება გვეფიქრა, რომ სიზმარი რომ არ არსებულებოდა, განდევნის გავლენა ინდივიდუუმისათვის კიდევ უფრო უარესი იქნებოდა. ეს, ცხადია, იმას არ ნიშნავს, როგორც ზოგიერთს ჰგონია, რომ სიზმარმა ჩვენ მხოლოდ სიამოვნება უნდა მოგვგვაროს. ამ შემთხვევაში ივინყენებ, რომ არსებობს ისეთი სურვილები, რომლებიც თვით ჩვენს წინააღმდეგ არის მიმართული. და რომლებიც ფხიზელ მდგომარეობაში სწორედ ამიტომ უარვეყოფთ. ისინი სიზმარში ხორციელდებიან და მასში ვინანიებთ ჩვენს დანაშაულს, რომლის აღიარებაც სიფხიზლეში არ გვსურდა. უკვე ეს მითითება ცხადყოფს რომ, როგორც ზემოდ იყო აღნიშნული, ეს სურვილები მხოლოდ და მხოლოდ სქესობრივი ბუნების არ ყოფილია.

მკითხველს საკითხი დაებადება იმის შესახებ, თუ რა მნიშვნელობა აქვს ფსიქოანალიზს აღმზრდელისათვის. უდიდესი სიამოვნებით მიიღებდა იგი მთელ რიგ წინადადებებს რომლებიც შეუმსუბუქებდნენ მას ისედაც მძიმე აღმზრდელობით სამუშაოს. მე მსურს მივუთითო მხოლოდ იმაზე, რომ ბავშვის მიმართებას მშობლებისა და და-ძმისადმი, ისევე, როგორც აღმზრდელისადმი, ფსიქოანალიზმა ახალი გაშუქება მისცა, რომ იგი სასჯელის არსისა და მოქმედების საყურადღებო ახსნას გვაძლევს, აგრეთვე გვაძლევს ზნეობრივი და რელიგიური აღზრდის სტიმულს და თავისთავად იგულისხმება, სქესობრივი აღზრდის სტიმულსაც; სტიმულს, რომელსაც პასუხიმიგებლობის გრძნობით გამსჭვალული აღმზრდელი გვერდს ვერ აუხვევს. მაგრამ მე უარს ვამბობ აღმზრდელის ამ გასაგები სურვილის ასრულებაზე ორი მოსაზრებით: ჯერ ერთი, თეორიულ მოსაზრებებს მე აქ ისე ღრმად და დანვრილებით ვერ გავაშუქებდი, რომ ისინი პედაგოგიურ პრაქტიკულ ღონისძიებათა დასასაბუთებლად სავსებით გამომდგარიყვენ; და მეორეც: მე მეტისმეტად კარგი აზრისა ვარ აღზრდისა და აღმზრდელის შესახებ იმისთვის, რომ ადგილის ძალაუნებური ეკონომიის გამო გავბედო რამდენიმე „რეცეპტის“ წამოყენება, რომელიც აღზრდაში – საერთოდ, აქ კი – განსაკუთრებით, სრულიად შეუფერებელია.

აღნიშნულ უნდა იქნას აგრეთვე ჩემი უკრიტიკო მიდგომა. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე ფსიქონალიზს en bla ვეთანხმები, თუმცა არ შემიძლია, მიუხედავად ყურადღების ღირსი მონინააღმდეგეების არსებობისა, იგი მცდარ გზად ვაღიარო. კრიტიკულ შეფასებას, – თუნდაც რომ იგი ცალკეული პრობლემებით განისაზღვრებოდეს, – წინ უნდა უძლოდეს ფსიქონალიზის საფუძვლიანი ცოდნა, ანდა დართული უნდა ჰქონდეს დაწვრილებითი განმარტება. მით მეტი საბაზი აქვს მკითხველს თვითონ მიმართოს ფსიქონალიზურ ლიტერატურას.

*დ-რ ალფრედ ადლერი,  
კენის პედ. ინსტიტუტის დოცენტი*

მეცნიერება ადამიანის შესახებ, რომელსაც ავტორმა ჩაუყარა საფუძველი, დღეს ინდივიდუალფსიქოლოგიის სახელით უკვე ფართოდ არის გავრცელებული. ამის მიზეზი, უპირველეს ყოვლისა, არის მისი მოსახმარისობა ძნელად აღსაზრდელი და უპატრონო ბავშვებისა და ნერვიული პირებისა გაგებისა და მკურნალობისათვის. სულ უფრო მეტად და მეტად აღიარებენ აგრეთვე მის ღირებულებას სულიერი განვითარების ამ აშლილობათა პროფილაქტიკისათვის, ე.ი. მის აღმზრდელობით მნიშვნელობას და დღეს ალბათ აღარც არსებობს სულის შესახები მეცნიერების არცერთი მიმართულება, რომელიც მას მრავალ პუნქტებში არ ეთანხმებოდეს. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა ორიენტაციის მონიალმდეგენი თავიდანვე აწარმოებდნენ შეტევას მის წინააღმდეგ, – თავის მეცნიერულ საფუძველებში მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა მას დღემდის არ დასჭირებია.

თავის პირველ ამოცანას იგი სხეულისა და სულით ურთიერთობის პრობლემის უკეთ გაშუქებაში ხედავდა. განხილვის ამოსავალი წერტილი მან ბიოლოგიის და სამკურნალო პათოლოგიისაგან ასესხა და დაადასტურა, რომ ბავშვი თავისი ორგანიზმის ღირებულობასა და ვარგისობას განცდის. ნაკლულოვანების ხანგრძლივი გრძნობით გამოწვეული სულიერი განწყობის შემთხვევაში იგი ესწრაფის სრულღირებულობის, ტოტალობისა და ბუნებასა და სოციალურ ურთიერთობათა სიძნელეების დაუფლების გრძნობის მიღწევას. მისი უკმარობისა და გარეგან სიძნელეთაგან გამომდინარე ძლიერებისადმი სწრაფვა შეიცავს გეზის მიმცემ ტენდენციებს, რომლებიც ცდილობენ ყველა მისი შინაგანი ძალები და შესაძლებლობანი განავითარონ ბუნდოვანად წარმოდგენილი სრულყოფის მიზნის მიმარ-

\* Adler, Studie über Niderev der Organe Wien 1907, Verland Urban u. Schwarzengert.

თულებით. ის, რაც შემდეგში სულიერი მოვლენების, მოძრაობების, გამომხატველი ფორმებისა და სხვ; აგრეთვე უნარებისა და „ნიჭების“ სახით გვევლინება, გამომდინარეობს ინდივიდუალურად წარმოებული წრთვნიდან, თითოეული ცალკე ადამიანის შემოქმედებითი ძალიდან, რომელიც ცდებითა და შეცდომებით თავისი ფიქტიური საბოლოო მიზანისაკენ, თავისი ფინალისაკენ ისწრაფის. ამის გამო ჩვენ სრული უფლება გვაქვს ჩვენს მეცნიერებას ინდივიდუალფსიქოლოგია ვუნოდოთ.

მაგრამ ბავშვის შემოქმედებითი მისწრაფება აგრეთვე ინდივიდუალურად მოცემულ გარემოში წარმოებს, რომელიც მას ინდივიდუალურ სიძნელეებს უყენებს. შედეგად ამისა საბოლოო მიზნისადმი ბავშვის მისწრაფების დაწყებისთანავე – მისი „მე“-ს მონახვის შესაძლებლობისად უკვე ცხოვრების პირველს ორ წელში, – ყველა სულიერი ფენომენები წარმოადგენენ საპასუხო განწყობილებას იმ დაძაბვაზე, რომელსაც ბავშვი გარკვეული სიტუაციის მიმართ განიცდის. გადამწყვეტი არის, მაშასადამე, ორგანოებისა და ორგანოთა ფუნქციების რელატიური და არა აბსოლუტური ღირებულება, მათი ურთიერთობა გარემოსთან. ვინაიდან უკანასკნელსაც ბავშვი ინდივიდუალურად განიცდის, ამიტომ სულიერი აღნაგობის საფუძვლად აბსოლუტური ღირებულებანი კი არ უნდა მივიჩნიოთ, არამედ ბავშვის ათასგვარ გავლენასა და შეცდომაზე დამოკიდებული შთაბეჭდილებანი, რომელნიც არა კაუზალურად, არამედ მხოლოდ შთაგრძნობის, ინდივიდუალური ცხოვრების სტილის წვდომის გზით შეიძლება იქნან გაგებულნი.

ამასთან, ამგვარი მსჯელობა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს. თავი რომ დავანებოთ იმას, რომ ადამიანი შეიძლება განხილულ იქნას მხოლოდ როგორც მთლიანად მიმართული არსი და ამდენად როგორც მიზნისეულად და გეგმიანად მოქმედი მთლიანობა, – სიცოცხლე და მისი გეგმიანი მოძრაობანი მთლიანი მიზნის ხანგრძლივად არსებობას მოითხოვენ. სიცოცხლისა და ყველა უმცირეს მოძრაობათათვისაც კი საჭირო მიზანდასახულობა აუცილებელყოფს პიროვნების მთლიანობას და მის ინდივიდუალურ აღნაგობას – ცხოვრების სტილს. ამგვარად, თუმცა ადამიანის სულიერი ცხოვრების ტელეოლოგია იმანენ-

ტურ აუცილებლობაზე არის აგებული, მაინც მის თავისებურებაში შედის ინდივიდუუმის შექმნა.

ჩვენთვის რომ ცნობილი ყოფილიყო პიროვნების მიზანი, რომელიც ზემოხსენებულ სიძნელეთა დაძლევის ფორმით სრულიად გაურკვეველად გვევლინება, – ჩვენ შევძლებდით გაგვეშუქება და გაგვეგო, თუ რას გვეუბნებიან სულიერი ფენომენები, რატომ წარმოიშვენ ისინი, რა არის მათში თანშობილი მასალისაგან შექმნილი და რატომ სწორედ ასე და არა სხვაგვარად არის შექმნილი იგი; როგორ უნდა იყოს მისი ხასიათის ნაკვეთები, აფექტები, გრძნობები, ლოგიკა, მორალი და ესთეტიკა, რათა მათი საშუალებით იქნას მიღწეული მიზანი. ჩვენ იმის დადასტურებასაც შევძლებდით, თუ რატომ და რამდენად არის იგი გადახრილი ჩვენი, ასე ვთქვათ ნორმალური, წყობისაგან, თუ შევძლებდით დაგვედასტურებია, რომ მისი მიზანი ძალიან დაშორებულია ჩვენი მიზნისაგან, ან კიდევ უფრო: ა დ ა მ ი ა ნ თ ა . თ ა ნ ა ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ლ ო გ ი კ ი ს ა გ ა ნ . ნ ა ნ ი ლ ი ს მ თ ლ ი ა ნ ო ბ ა ს - თ ა ნ უ რ თ ი ე რ თ ო ბ ი ს ნ ი ა დ ა გ ზ ე , ჩ ვ ე ნ ძ ა ლ გ ვ ი ძ ს უ ც ნ ო ბ ი მ ე ლ ო დ ი ა ნ ა ც ნ ო ბ ა ვ ე ტ ო რ ს , ა ნ გ ა რ კ ვ ე უ ლ ი ჩ უ ქ უ რ თ მ ა ხ უ რ ო თ მ ო ძ ვ რ ე ბ ი ს გ ა რ კ ვ ე უ ლ ს ტ ი ლ ს მი ვ ა კ უ თ ე ნ ო თ . ც ხ ო ვ რ ე ბ ი ს ა ს ე და ს რ უ ლ ე ბ უ ლ ი ფ ო რ მ ი თ ა ლ რ ი ც ხ ვ ა ვ ე რ ხ ე რ ხ დ ე ბ ა . უ ს უ ს უ რ ი ტ ი პ ო ლ ო გ ი ა ვ ე რ ა ფ ე რ ს გ ვ ე უ ბ ნ ე ბ ა ინ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ი შე ც დ ო მ ე ბ ი ს შე ს ა ხ ე ბ . რომ შეგვძლებოდა ადამიანის ჩუქურთმებისა და მელოდიების მიხედვით მისი ინდივიდუალურად გაგებული მიზნის შესახებ დასკვნა გამოგვეტანა და ამით მთელი მისი ცხოვრების სტილი ნათელგვეყო, მაშინ ჩვენ შევძლებდით თითქმის ბუნებისმეტყველური სიმტკიცით, თითქმის მათემატიკური სიზუსტით მოგვენახა მისთვის ადგილი, ჩვენ შევძლებდით დაგვემტკიცებია ინდივიდუალფსიქოლოგიის გამოკვლევათა ღირებულება; ჩვენ შევძლებდით გვეთქვა, თუ როგორ მოიქცევა ესა თუ ის პირი ამა თუ იმ სიტუაციაში.

ინდივიდუალფსიქოლოგიის სკოლა ფიქრობს, რომ დაულალავი შრომის შემწეობით მან ეს ამოცანა უკვე გადანყვიტა.\* იარალი, რომლითაც დღეს ჩვენ ვსარგებლობთ ადა-

\* *ib. Adler, Über den nervösen Charakter. 3. Aufl. – Praxis und Theorie. 2. Aufl. – Handbuch der Individual-Psychologie herse. v. Wexberg-Heilen u Binden. 2. Aufl. Alle im verlag Berg – manon, München.*

მიანის, – ბავშვი იქნება იგი თუ დიდი, უპატრონო თუ ნერვიული, – მიზნისა და ცხოვრების სტილის გამოსარკვევად, იმ იმპერიულ ფაქტებზე არის აგებული, რომელიც შეიძლებოდა ყველასათვის მისაწვდომი ყოფილიყო. ჩვენ მხოლოდ მათი ფინალისტურის განხილვის ნყალობით უკეთ გავაშუქეთ ისინი და მათი გაერთიანება და განლაგება უკეთ შეეძელით. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ სიცოცხლის მიმდინარეობა სულიერ სფეროშია ცარკვეული მიზნისაკენ მიმართული მოძრაობაა. თუ ამ შეხედულებაში მეტს ვიგულისხმებთ, ვიდრე უბრალო გამოთქმას, თუ ამ მტკიცებას სერიოზულად მოვეპყრობით, აქედან გამომდინარეობს, რომ საბოლოო მიზნის გავლენით ყოველი ცალკეული სულიერი მოვლენა მოქმედებათა მთლიან რიგში არის ჩართული და მომდევნო მოვლენისათვის წინასწარ მომზადებას წარმოადგენს. ხოლო მთლიანი მოქმედების უღრმეს აზრს ტოტალობად განვითარება შეადგენს. ამიტომ ყოველი ნაბიჯი ცხოვრების გზაზე ამავე დროს გამთლიანებისადმი მისწრაფების გეგმიანი შესრულება არის. კომპენსაციის ამოცანა ნაკლის შევსება, „ქვევით“-იდან „ზევით“-ის მიღწევაა.

ეს კომპენსატორული მოძრაობა ადამიანის ცხოვრების უღრმესი აზრი, შემოქმედებითი ძალაა. მან შექმნა კულტურა კაცობრიობის უზრუნველსაყოფად ისევე, როგორც ქმნის იგი ცალკეული ადამიანის გამოვლენის ყველა ფორმებსა და მისი ცხოვრების სტილს, როგორც გარესამყაროს მიერ გამოწვეულ დაძაბვათა პასუხს ან როგორც დაულალავ ცდას და ზრუნვას, რომ ადამიანი, ბუნება – საზოგადოების ძალთათამაშში წონასწორობის მდგომარეობა იქნას დაცული. ამისდამიხედვით ყველა სულიერ მისწრაფებათა მიზანი უნდა იყოს: შეთანხმება, სიმტკიცე, შეგუება, ტოტალობა.

ამგვარი შეთანხმების ან შეუთანხმებლობის დადასტურება, ცხადია, მეცნიერული, მათემატიკური პრინციპებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ინდივიდუალურად განცდილი შთაბეჭდილებიდან, რომელიც თავის მხრივ სავსებით არის დამოკიდებული ინდივიდუალურად კონკრეტიზირებული სრულყოფის საბოლოო მიზანზე. შედეგად ამისა, თუ ვინმე რეალობასთან შეგუებისას თავის მტკიცე საბოლოო მიზანს მეეტლის, მოძ-

ღერის, სარდლის, ექიმის, ან კაცობრიობის მხსნელის როლში ხედავს, როგორც ეს ბავშვის ფანტაზიაში ან პროფესიის აღჩევ-აში გამოსჭვივის, მან უნდა იგრძნოს და შეაფასოს იგი მიღებუ-ლი თვალსაზრისით. ყველა ამ რეალურად გასაგებად ქცეული, „კონკრეტიზირებული“ საბოლოო მიზნების უკან მუდამ დგას ნონასნორობის მიღწევის შემოქმედებითი სურვილი, აგრეთვე რეალური ცხოვრებისათვის განაფულობა, უწინარეს ყოვლისა კი სიმხნევე და საკუთარი თავის რწმენა. ისინი განსაზღვრავენ ადამიანის ქცევას, თავისებურებას, ანუ ფსიქოლოგიაში მიღებ-ული ტერმინებით რომ ვილაპარაკოთ: ხასიათს, ტემპერამენტს, აფექტებს, გრძნობებს, სურვილებს; მისი ლოგიკის სივინროეს თუ სიფართოეს, ყურადღების მიმართულებას, მოქმედებას. ამ სისტემაში უკანასკნელ გადამწყვეტ ინსტანციად ღირებულების ან პიროვნების გლძნობა შეიძლება მივიჩნიოთ. მისი მეტი თუ ნაკლები დაკმაყოფილებით არის გამოწვეული პიროვნების მოძრაობები ინდივიდუალურად გაგებული სასიცოცხლო ამო-ცანების მიმართ.

მთელ ამ სისტემაში მოცემული არ არის არცერთი მათემა-ტიკურად სანედომი ოდენობა. მომდევნო ცხოვრების განმავ-ლობაში მყლავნდება არა სხეულებრივი თუ სულიერი ფაქტები, არა მემკვიდრეობითი ნიჭი, არამედ სიცოცხლის პირველ სამ წელში შექმნილი ცხოვრების სტილის ფარგლებში მათი გამოყ-ენება. ასე, მაგ., „სმენითი ნიჭი“ (თუ კი დავუშვებთ ასეთი რამის არსებობას) გადაჭარბებული ან არასაკმარისი ზრუნვის წყალო-ბით შეიძლება სრულიად განუვითარებელი დარჩეს. ან და მარ-თებული სწავლებით და შესაფერისი ნახალისებით, გაღვიძე-ბული კი არა, შექმნილიც კი იქნას. კარლოს დიდის შესახებ მისი ბიოგრაფი მოგვითხრობს, რომ მას ყოველგვარი ღონისძიების მიუხედავად, წერა-კითხვა ვერ უსწავლია, რადგან საამისო თან-შობილი ნიჭი არ ჰქონია. დღეს, მას შემდეგ, რაც პესტალოცისა-გან და სხვებისაგან შევითვისეთ, სწავლების მეთოდები ასეთ ნი-ჭებს ანგარიშს აღარ ვუწვეთ. გენიალური მიღწევებს უტყვ თაყ-ვანისცემას, ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში გადავლახავთ, თუ უფრო ახლო გავიგებთ მათს წარმოშობას. ამისათვის ანგარიში უნდა გავუწიოთ ინდივიდუალ-ფსიქოლოგიის შეხედულებებს

და მხედველობაში მივიღოთ წინასწარი სწავლება, სიძნელეებთან განუწყვეტელი მხნე ბრძოლა და შესაფერისი ვარჯიშის ადრევე დანყება.

სწორედ ამგვარადვე უარყოფილ უნდა იქნას სიტუაციის, გარემოსი ან ბავშვის განცდების კაუზალური მნიშვნელობა. მათი მნიშვნელობა და მოქმედება პირველად, ასე ვთქვათ, ინტერმედიალურ სულიერ ნივთიერებათა გაცვლა-გამოცვლაში იშლება.

ადრევე შეძენილი ბავშვის ცხოვრების სტილი მათს ასიმილაციას ახდენს. შესაძლებელია, რომ უეჭველად ზნეობრივ ოჯახში მავნე პირი აღიზარდოს, ზნეობრივად დაქვეითებული წრიდან – ღირსებით აღსავსე ადამიანი გამოვიდეს. ერთი და იგივე განცდა ორ ადამიანზე სულ ერთნაირად არასდროს არ მოქმედებს და გამოცდილება მხოლოდ იმდენად აჭკვიანებს ადამიანს, რამდენადაც ცხოვრების სტილი იძლევა ამის საშუალებას. როგორც ჩანს, ადამიანს არ შეუძლია აბსოლუტურად სწორი დასკვნის გამოტანა და მის თანახმად მოქმედება. შეცდომის შესაძლებლობათა ფართო სფეროში შეუძლებელი უნდა იყოს მიზეზობრიობის არსებობა. ამიტომ და აგრეთვე მოპირდაპირე მიზეზების განუზომელი მრავალფეროვანობის წყალობით, სულიერი ცხოვრების კაუზალურად განხილვა მარტოოდენ უიმედო სურვილად რჩება.

ამის შედეგად მთელი სიცოცხლე და მისი გამოხატულების ყოველი ცალკეული ფორმა იმ მთლიან მოქმედების გეზს მისდევს, რომელიც პიროვნებას უდევს საფუძვლად. და ყოველი სულიერი ფენომენი იმაზე მეტს ნიშნავს, რასაც მასში common sense სჭვრეტს. მხოლოდ მისი ურთიერთობის მთელ წრესთან დაკავშირებით შეიძლება გამოირკვეს, ტრაბახს ნიშნავს სიცრუე თუ შეცდომას, მოწყალება სათნოებაა თუ დიდკაცობა, სათნოება სოციალურ გრძნობას ამჟღავნებს, თუ ამპარტავნობას. მსგავსი ბგერები ერთს გამოხატავს რიჰარდ ვაგნერის, და სხვას – ლისტის შემთხვევაში. სულიერი გამოიმყლავნების ყოველი ფორმები უპირატესობისადმი მისწრაფების ირგვლივაა დარაზმული. ყველას აქვს ეს მისწრაფება ინდივიდუალური ნიუანსებით და აგრეთვე სიდიადე სოციალური გრძნობისაც, რომელიც ამ ინდივიდუუმს სხვებთან აკავშირებს.

უკანასკნელი, თანშობილი ადამიანისათვის, ადრე ბავშვობიდანვე მოყოლებული მუდმივ განვითარებას საჭიროებს. მისი განვითარების გარეშე, ცალკეულ ადამიანს საზოგადოებისადმი შეგუებისას სიძნელეები ელობება წინ. დასკვნა მარტოოდენ სოციალური მოსაზრებებით არ არის ნაკარნახევი, როგორც ბევრები ფიქრობენ. არც ჩვენი პირადი სურვილით და რწმენით, რომ უკეთესი დღე კაცობრიობა მხოლოდ სოციალური გრძნობის განვითარების შემთხვევაში ეღირსება. პირიქით, ჩვენ აქ ორიგინალობით ვერ დავიტრიახებთ. ყველა რელიგიური, საკანონმდებლო, სახელმწიფოებრივი, სოციალური მიმართულებანი წარმოადგენენ, უპირველესად ყოვლისა, ცდებს ადამიანთა ერთობლივად ცხოვრების გაადვილებისა და კეთილმონწყობისას, ერთეული ადამიანებისათვის ცხოვრების ისეთი ფორმების აღიარებისას, რომლებიც თითქოს უნდა უზრუნველყოფდნენ კაცობრიობის დაცვას. ამ მისწრაფებებს ინდივიდუალური ფსიქოლოგიაც იზიარებს, მხოლოდ იგი სხვაზე მეტად მიუთითებს დაბრკოლებებზე, რომლებიც წინ ელობება სოციალური გრძნობის გავრცელებას და უკეთეს მეთოდებს სთავაზობს.

ცხოვრებაში ყოველი ღირებულება სოციალურ გრძნობებზე არის დაფუძნებული. აბა დაასახელეთ თუნდ ერთიც მათი ღირებული მოვლენა, რომ მის საფუძველს სხვა რამ წარმოადგენდეს, თუ არ ის გარემოება, რომ ის კაცობრიობისათვისაა სასარგებლო! ასე ვითარდება და იზრდება უძღურობით პირობადებული ბავშვის ნაკლულოვნობის გრძნობა, როგორც კი შეიცნობს იგი ან ბუნდოვნად იგრძნობს საზოგადოებისათვის თავისი ღირებულების უკმარობას.

თავისთავად ცხადია, რომ პირადი, ძლიერების მისწრაფების გაცხოველება სოციალური გრძნობის ვითარებას აფერხებს. ასეთი ნაკლი კი არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანია ბავშვის სულიერი განვითარებისათვის, მისი ცხოვრების სტილისათვის, რადგან სოციალურ გრძნობასთან შინაგანად არის დაკავშირებული უმნიშვნელოვანესი სულიერი ფუნქციები და მათი წარმატებანი. მეტყველების, გონების, მორალის, ესთეტიკის გავარჯიშება და განვითარება სხვა ადამიანებთან კავშირს საჭიროებს. ადამიანებთან ურთიერთობა და ადამიანის ცნობა წინასწარ პირო-

ბას წარმოადგენს თუ თეორიულად მისი დაუფლება შეუძლებელია. ვინაიდან ჭეშმარიტი ბედნიერება გაზიარების, მიცემის დათმობის გრძნობასთან განუთიშველად არის დაკავშირებული, ცხადია, რომ საზოგადოებრივი ადამიანი ბევრად უფრო ახლო დგას ბედნიერებასთან, ვიდრე ისეთი ადამიანი, რომელიც უპირატესობას იზოლირებულად ესწრაფის. ინდივიდუალფსიქოლოგიამ განსაკუთრებული ხაზგასმით მიუთითა იმაზე, რომ ყველა სულით ღატაკი, ნევროზით შეპყრობილი ან უბედური იმ ადამიანთაგან წარმოდგება, რომელთაც საშუალება არ ჰქონდათ ახალგაზრდობის წლებში სოციალური გრძნობა და ამასთან ერთად სიმხევე, ოპტიმიზმი და საკუთარი თავის რწმენა განეფითარებიათ, ე. ი. ის, რაც უკვალოდ გამომდინარეობს კაცობრიობისადმი კუთვნილების გრძნობიდან. კუთვნილების გრძნობა, რომელზედაც ეჭვს არავინ მიიტანს, რომლის საწინააღმდეგოდ არავითარი არგუმენტი არ არსებობს, მხოლოდ და მხოლოდ ერთად თამაშში, ერთად მუშაობაში, ერთად ცხოვრებაში შეიძლება იქნას შექნილი, მხოლოდ სხვებისათვის სარგებლობის გზით, საიდანაც ღირებულობის ხანგრძლივი რეალური გრძნობა წარმოიშვას, რომელთა გადანყვეტაში ირკვევა ადამიანის სოციალურობის ხარისხი. ეს საკითხებია: „მე“-ს მიმართება „შენ“-ისადმი – პროდუქტიული საქმიანობაში სიყვარული იმისდა მიხედვით, თუ როგორ უდგება ესა თუ ის ადამიანი ამ საკითხებს, რამდენად შორს უჭირავს მათგან თავი ან როგორ ცდილობს მათს გადაჭრას – საუკეთესოდ შეიძლება ადამიანის სტილის წვდომა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გადანყვეტილების მიღება აუცილებელია. ადვილად გასაგებია, რომ ადამიანი რომელიც საზოგადოებაში მაგრად გრძნობს თავს და ამისათვის მომზადებულია, აქაც შეინარჩუნებს სიმართლეს და საკითხის გადაჭრას სწორი მხრივ მიუდგება. სხვაგვარად იქცევა ის ტიპი, რომლისთვისაც კაცობრიობა და მისი პრობლემები უფრო შორეული და უცხოა. იმაზე მეტად იგი საკუთარი თავით და პირადი ძლიერებით არის დაინტერესებული, მაგრამ მაინც სხვების აზრზე არის დამოკიდებული. იგი ფიქრობს, რომ ყველას მისთვის ცუდი უნდა და ყველა მტრად მიაჩნია. გაუბედავად, ბეჩავად ელის იგი გამარჯვებას, მაგრამ უფრო მეტად დამარცხების წინაშე თრთის. იგი

გრძნობს, რომ მისი მხდალი პატივმოყვარეობა მის წინ აზიდულა და გზას უჭრი დამარცხების თავიდან ასაცილებლად. გაკვირვებული არ უნდა იყოს, თუ უმრავლესობა ამ ადამიანთაგან კვლავ ისინი აღმოჩნდებიან, რომლებშიც კიდევ უფრო მეტად იმატა ნაკლულოვანობის გრძნობამ, ვინაიდან სოციალური გრძნობის განვითარებას არაფერი არ ელობება წინ ისე ძალიან, როგორც ნაკლოვანობის ძლიერი გრძნობა.

ინდივიდუალფსიქოლოგიას თითქმის უკვე გადაჭრილი აქვს ამოცანა იმ შეცდომების ნათელსაყოფად, რომლებიც ცხოვრების სტილის ჩასახვისთანავე ნაკლულოვანობის გრძნობის გაძლიერების საბაბს იძლევიან. პირველი მცდარი ნაბიჯები, რომლითაც ზოგიერთი ბავშვი იწყებს ცხოვრებას, ყველა მისი დამლუპველი შედეგებით მხოლოდ საკუთარი თავის ღრმა მოაზრებას შეუძლია შემდეგში გამოასწოროს. ნერვიული, უპატრონო ან ძნელად აღსაზრდელი ადამიანის ცოტად თუ ბევრად მძიმე შემთხვევებს ამის ძალა არ შესწევს. აქ იწყება ინდივიდუალფსიქოლოგიის მეთოდი თავისებური ტექნიკით, რომელიც არსებითად განუსაზღვრელი გამხსნევეების მეთოდია. უწინარეს ყოვლისა ეს ნიშნავს, რომ უკუგდებულ უნდა იქნას ყველა წინასწარმიღებული აზრები თანშობილი გონიერების არსებობის შესახებ. ყველა დიდი მიღწევები ჩვენ კარგი სწავლების, მოუდრეკელი სიმხნევის, მართებული ვარჯიშის მონაცემებად მიგვაჩნია.

ამ სამი ფაქტორის საწინააღმდეგოდ შეუძლებელია რაიმე მოსაზრებათა დაშვება. ხოლო ყოველი საწინააღმდეგო მოსაზრება ნაკლულოვანობის სულმოკლე გრძნობის მიერ – საკუთარი თავის ღირებულების შეფასების თავიდან ასაცილებლად, – მოგონილ სულმოკლე ხრიკები უნდა იქნას შეფასებული. ან და კიდევ ისინი გვევლინებიან უსარგებლო ადამიანის მიერ – როგორც მაგ.: უპატრონობის ან ბოროტმოქმედობის შემთხვევაში, – რაიმე მნიშვნელოვანობის მისაღწევად ხმარებულ ცდებად. რთული სიმპტომები და ძნელად აღსაზრდელების შეცდომები წარმოადგენენ სამუხრუჭო საშუალებებს, საწინდარსა და მონესრიგებულ დაბრკოლებებს, თვითბლოკადას ნაკლულოვანად შეფასების თავიდან ასაცდენად. ამ კვლევათა წარმოე-

ბის დროს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა მთელი ცხოვრებისათვის პირველდანიებითი სიძნელეების გადალახვა. ასე რომ ჩნდება ერთი შეხედვით პარადოქსული თვალსაზრისი: დიდი მიღწევები რეგულარული შედეგია დაბრკოლებათა მხნედ დაძლევისა, ხოლო ეს დაძლევა თითქოს არა პირველადი ნიჭის, არამედ სწორედ ამ „ნიჭის“ უკმარობის ნიადაგზე უნდა ხდებოდეს.

მაგრამ ინდივიდუალფსიქოლოგიამ ერთი ამოცანაც გადანიჭა. მან გამოააშკარავა ის უმნიშვნელოვანესი სიძნელეები, რომლებიც ქმნიან სიცოცხლის პირველ სამ წელიწადში ნაკლულოვანობის უძლიერეს გრძნობას და ამით სიცოცხლის პრობლემური სტილს, რომელიც ნორმისაგან გადახრებს რეგულარულად აძლევს საბაბს.

ამით აღზრდისა და ნევროზებისაგან დაზღვევის საქმეში პროფილაქტიკას ფართო გასაქანი ეძლევა. ამ გარემოებათა ინდივიდუალფსიქოლოგია პედაგოგების მიერ მის აღიარებას უნდა უმაღლოდეს. ამასთანავე ადამიანის შემეცნებისათვის ვარგისი მეცნიერული მეთოდი მხოლოდ იგი აღმოჩნდა, რადგან იგი საშუალებას იძლევა ცალკეული ნაკვთების, მოგონებების, სიზმრების, ფანტაზიების, ცნობიერი და არაცნობიერი ზრახვების ნიადაგზე გამოიტანოს დასკვნები ერთეული ადამიანისა მასის ცხოვრების სტილის შესახებ. იგი ბავშვის, მოხუცის, ქალის თანაბარ-ღირებულებას ქადაგობს, ხოლო არათანაბარი შეფასების საფუძველს ჩვენი კულტურისა და გონების თავიდან ადვილად ასაცილებელ ნაკლებში ეძიებს.

ნაკლულოვანობის ძლიერი გრძნობის გამომწვევი ღრმა მიზეზები ნორჩი ბავშვის განვითარების სამგვარ სიტუაციაში შეიძლება იქნას დადასტურებული. ძირითადი ზიანი, რომელიც მათ მოაქვთ, მხოლოდ და მხოლოდ შემდეგში მდგომარეობს: ბავშვებისათვის, რომელიც თავის „მე“-ს პოულობს – რაც გარკვეული ცხოვრების პირველი წლის დასასრულ ხდება, ისინი მეტის მეტად საგრძნობლად ხდიან მის სისუსტეს გარე სამყაროს მოთხოვნილებებთან შედარებით. ამ სიტუაციიდან ბავშვს გამოაქვს პერსპექტივა, რომელიც მთელი ცხოვრების განმავლობაში მოქმედობს და რომელიც მის მიერ მსოფლიოს

გაგებაში დიდი ხნით შეაქვს სიყალბე. ხდება მისი კომპენსატორული ცდების გადაგვარება. ყოველ მის ქცევას მუდამ თან ახლავს დაურწმუნებლობა. ხასიათის მხოლოდ ის ნაკვთები ძლიერდება და მტკიცდება, რომლებიც შეესატყვისება მის მისწრაფებას უპირატესობისადმი, ან და ეშმაკური შემოვლილი გზების გაყოლის საშუალებას იძლევა. მტკიცედ წამოიჭრებიან ეგოისტური სწრაფვანი, იზოლირებისადმი მიდრეკილება. პესიმისტური შეტევები, ახალი სიტუაციების შიში, გადახრებისადმი განწყობა იჩენენ თავს ყოველი მიმართულებით. ადვილად წარმოიშობა გაუბედავობა, რომელიც დაწყებული ქცევის ჩაშლას იწვევს. სხვა ადამიანებთან კონსტაქტი მუდამ ნაკლულოვანია. ისინი უმეტეს შემთხვევაში ძალიან მგრძნობიარე არიან ქების მიმართ. ძაგება ხშირად მეტისმეტად აჩლუნგებს მათ.

ასეთი ბავშვების პირველ დიდი კატეგორიად ჩვენ ისინი მიგვაჩნია, ვინც ამ ქვეყნად ნაკლულოვანი ორგანოებით მოვიდა და ვინც ნაკლს ცხოვრების სიძნელედ განიცდის. მათი მდგომარეობის შემდეგდროინდელი გაუმჯობესება არ ცვლის ცხოვრების საკითხებისადმი მიმართებას, რადგან მათ იმთავითვე შეუმუშავდათ ცხოვრების სტილი, რომელიც განსაზღვრავს ყველა განცდებს და გამოცდილებებს და მათს ასიმილაციას ახდენს. მათი ნაკლის, განსაკუთრებით გრძნობის ორგანოების ნაკლის გადალახვა ხშირად ფაქიზ ტექნიკურ მიღწევებს იძლევა, რაიცა მათ ხელოვნებისათვის ვარგისად ხდის. შესაფერისი იარაღის, ქონება, უეჭველია, ნაკლებ საბაბს იძლევა ხელოვნური ნიჭის განვითარებისათვის, იგი არ ხდის მას აუცილებლად. ისტორია იცნობს მრავალ მუსიკოსს ცუდი სმენით, მრავალ მხატვარს და პოეტს ცუდი მხედველობით. ცაცობაც ასეთსავე თანშობილ ნაკლს წარმოადგენს. ცხადია, საკუთარი თავის განმტკიცებისათვის წარმოებული ბრძოლის საბოლოო შედეგი მრავალ ფაქტორებზე არის დამოკიდებული, რომელთა შორის გამხნევება უდიდეს როლს თამაშობს.

მეორე დიდ კატეგორიას, შესაძლოა უდიდესს ყველა სხვა კატეგორიათა შორის; განებვივრებული ბავშვები შეადგენენ. ისინი სიმბიოტურად ცხოვრობენ და ამ ნიადაგზე შესაძლებლობა არა აქვთ შეიძინონ საკუთარი ღირებულების მეტად

თუ ნაკლებად ძლიერი გრძნობა. ცხოვრების მანძილზე, სადაც განებივრებულობა საქმეს ველარ შველის, როდესაც მათ, ასე ვთქვათ, სამოთხიდან აძევებენ ცხოვრებაში, მათ მუდამ აკლიათ თავდაპირველადი სითბო და სხვებთან ერთსულოვნებას ვერასოდეს ვერ მიაღწევენ ხოლმე.

მესამე კატეგორიისათვის მოძმის განცდა არასოდეს არ არსებობს. ამ კატეგორიას უგულოდ აღზრდილი ბავშვები შეადგენენ. მათ მუდამ მტრები ხვდებოდნენ და აქედან შესაფერისი განწყობაც შეექმნათ როგორც მტრების ქვეყანაში.

არსებობს მრავალი ვარიანტი და საფეხური. ზიანის მიყენება ხანდახან შეუძლია: გადაჭარბებულად გამახვილებულ მოლოდინს, მძიმე განწყობილება და-ძმებს შორის, არარსებულ ნიჭის ცრუ რწმენას და სხვ.

მკურნალობის მეთოდების – დანვრილებითი განხილვა აქ ზედმეტი იქნებოდა. იგი ავტორის სხვა შრომებშია მოცემული. როგორც ძირითადად აღვნიშნავთ, რომ განვითარებულ უნდა იქნას სიმხნევე და დამოუკიდებლობა, მოთმინება მძიმე მდგომარეობაში, ავტორიტეტის ყოველგვარი უმიზნო მოქმედების თავიდან აცილება, დაცინვის, შეურაცყოფის, დასჯის ყოველგვარი გავლენის თავიდან აცილება. უნინარეს ყოვლისა: არც ერთ ბავშვს არა აქვს უფლება დაკარგოს თავისი მომავლის რწმენა.

ფ. კრიუგერის ანუ ლაიპციგის მეორე ფსიქოლოგიური სკოლის ძირითადი თემებია: გრძნობა, კომპლექს-კვალიტეტი, გეშტალტი, სტრუქტურა და განვითარების ცნება. აღნიშნული თემატიკა შემთხვევით არ არის შერჩეული: მიუხედავად იმისა, რომ თითოეული მათგანი საკუთარს, დამოუკიდებელ ანალიზს ეგუება მათ შორის მაინც მტკიცე შინაგანი კავშირია, რომლის საფუძველსაც მთლიანობის ცნება წარმოადგენს თვით თეორია ცნობილია როგორც მთლიანობის თეორია და სხვადასხვა სახე-ელწოდების ცნებებში სწორედ ეს მთლიანობა უნდა გამოსჭვივოდეს. მაგრამ ეს ხელს არ გვიშლის, რომ თითოეული ცნება ცალკე განვიხილოთ და იმავე დროს ანალიზის საფუძველზე მათი შინაგანი კავშირიც აღმოვაჩინოთ.

დავინყოთ გეშტალტის ცნებიდან, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა ამ სკოლის ისტორიაში და რომელსაც ახლაც საპატიო ადგილი უჭირავს მასში.

როგორც ცნობილია, განსაკუთრებით ერენფელსის შემდეგ, ამ ცნების გარშემო განუწყვეტელი კამათი წარმოებს და უნდა აღინიშნოს, რომ აზრთა სხვადასხვაობას მუდამ განსაზღვრავდა არა იმდენად პრობლემის გადაჭრის ცდა, რამდენადაც თვით პრობლემის ბუნების სხვადასხვაგვარი გაგება. სხვადასხვა მიმდინარეობანი ფსიქოლოგიაში დღესაც არ არიან შეთანხმებული იმაში, თუ რაში მდგომარეობს გეშტალტის პრობლემა, რატომ არის იგი პრობლემა და რა მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს მის გადაჭრას ფსიქოლოგიური თეორიისათვის.

ამ პრობლემის კლასიკურ პერიოდში, ძირითად ამოცანად ითვლებოდა იმ „მეტი“-ს წყაროს მოძებნა, რომელიც გეშტალტს, მის ე.წ. ნაწილებისგან განსხვავებით, ახასიათებდა. ამ კვალიტატური თავისებურების ახსნას ემსახურებოდნენ ცნებები: შემოქმედებითი სინთეზი, პროდუქციის პროცესი, შეერთების ფუნქციები, შერწყმა, ყურადღების კოლექცია და სხვა... ყველა ამ ცნებებს ერთი შეუमონმებლად მიღებული აზრი ედო საფუძ-

ვლად: გეშტალტი (გეშტალტ-კვალიტეტი) შეიცვს ნანილების უბრალო ჯამს და კიდევ რალაცას, რაც ამ ჯამის თვისებებიდან განსხვავდება და არსებობისათვის დამატებით საკუთარ ფაქტორს საჭიროებს.

კრიუგერის სკოლის შეხედულებით, აქ ხსენებული წინამძღვარი ძირითადად შემცდარია: იგი ასოციაციონიზმისგან გადმოღებულს ელემენტის უცვლელობით თეზისს ემყარება, რომელიც ასოციაციონურმა ფსიქოლოგიამ ბუნებისმეტყველების ნაბაძულობით შემოიღო. კ რ ი უ გ ე რ ი ამ დებულებას რადიკალურად ეწინააღმდეგება და მას საგნობრივ უცვლელობის დოგმის სახელწოდებას აძლევს. ფ რ ი დ . ზ ა ნ დ ე რ ი: ვუნდტის „შემოქმედებითს სინთეზში ორი მომენტი უნდა განვასხვავოთ: ერთის მხრით იგი გვითვალისწინებს იმ დამოკიდებულებას ფსიქიკურის სხვადასხვა საფეხურებს შორის, რომელიც მყარდება ფსიქიკის განვითარების პროცესში და მეორე მხრით იგი ეხება იმ „შენადგენის“ ბუნებას, რომელიც მიღებულია ელემენტებით შეერთების გზით.

როდის შეიძლება დაისვას კითხვა იმის შესახებ არის თუ არა „შენადგენი“ მეტი, ვიდრე მასში შემავალი „ელემენტები“. რა თქმა უნდა, ფსიქოლოგიური დასაბუთება ამ კითხვას მხოლოდ მაშინ ექნება, თუ წინასწარ დამტკიცებული იქნება, რომ წარმოდგენაში, „შენადგენში“ ყოველგვარ აბსტრაქციის გარეშე მოსახერხებელი იმ ელემენტების აღმოჩენა, რომელთაგანაც არის თითქოს იგი შედგენილი. მხოლოდ მაშინ შეიძლება კანონიერად ჩავთვალოთ კითხვა: არის ეს „შენადგენი“ მექანიკურ სუმარული ბუნების, თუ შემოქმედებითი სინთეზის ნიშნის მატარებელია. მაგრამ აქედან პირდაპირ გამომდინარეობს ის დასკვნა, რომ ვუნდტის თეორიის დასაბუთებისათვის საჭიროა წინასწარ დასაბუთებულად მივიჩნიოთ ასოციაციონიზმის ის ძირითადი დებულება, რომ მთელი ნანილებისგან შედგება და ეს ნანილები, რადგან მათი მთელში აღმოჩენა ყოველთვის შესაძლებელია, უნდა ვიგულოთ მუდმივ ელემენტებად, მსგავსად ფიზიკური ელემენტებისა, საიდანაც შენდება მთელი ფსიქიკური სამყარო. ვუნდტი შემოქმედებითი სინთეზის ცნებაში ხედავდა ერთ-ერთ უდავო საბუთს იმისას, თუ რამდენად შემცდარია ასოციაციონ-

ური ფსიქოლოგიის წარმოდგენა ფსიქიკურ პროცესებზე. ეს ასე-  
დაც არის, რამდენადაც ამ ცნების იმ მომენტს მივიღებთ მხედ-  
ველობაში, რომელიც ფსიქიკურის განვითარებას ეხება. ხოლო  
რამდენადაც ვუნდტი ცდილობს ამ ცნების ამგვარ გამოყენებას,  
რომ მან ჩვენთვის ცხადი გახადოს „ელემენტის“ და „შენად-  
გენის“ ურთიერთდამოკიდებულება, ის არსებითად ასოცია-  
ციონიზმის ნიადაგზე დგას და თავისავე აზრს ეწინააღმდეგება:  
ვუნდტისავე შეხედულებიდან ვიცით, რომ პირველად მოცე-  
მულს მთელი წარმოადგენს, ხოლო ფსიქიკური „ელემენტი“, მაგ;  
შეგრძნება აბსტრაქციის გზით არის მიღებული. ცხადია, რომ  
ამ შეხედულების თანახმად, „ელემენტის შენადგენში“ კონკრე-  
ტული დანახვა შეუძლებელია, და ეს იმას ნიშნავს, რომ მთელი  
არ შედგება „ელემენტებისგან“ და, მაშასადამე მათ ჯამზე და  
იმ მიმართებაზე ლაპარაკი, რომელიც მყარდება მთელსა და  
სუმარულ ჯამს შორის, ხელოვნურად შექმნილ პრობლემას ემ-  
სახურება. „შემოქმედებითი სინთეზი“ შეიცავს კომპრომისს ელ-  
ემენტის ფსიქოლოგიასთან: აქ არის უშუალოდ განცდილი მთე-  
ლის გვერდით, აბსტრაქტულად მიღებული ელემენტი. კეთდება  
ასეთი წრე: პირველად, არის მოცემული მთელი, მისი ანალიზის  
ნიადაგზე ვლებულობთ ელემენტებს და შემდეგ მათ კვლავ ვაერ-  
თიანებთ ერთ სინთეტურ ერთეულში და რადგან აბსტრაქტული  
ელემენტების გაერთიანება ვერასოდეს ვერ გვაძლევს პირვე-  
ლად განცდილ მთლიანობას და აქ მიღებული სინთეზი არ არის  
ჩვეულებრივი, უბრალო შეერთების პროცესი, საჭირო ხდება  
შემოქმედებითი სინთეზზე ლაპარაკი, ე.ი. ისეთ თავისებურ  
პროცესზე, რომელიც მოცემული ელემენტებიდან ყოველთვის  
შექმნის თავისებური რომელობის მქონე ორგანულ მთლიანს. ამ  
პროცესმა უნდა ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც არსებობს  
აბსტრაქტულ ჯამსა და განცდილ მთლიანობას შორის.

3. ფოლკეტი: გეშტალტ-კვალიტეტის გაგება, რომელიც  
მოგვცა ერენფელსმა, მიუღებელია. მას ეს ფენომენი საგნო-  
ბრივი ბუნების მქონედ ჰქონდა წარმოდგენილი: ერთი განცდა  
არსებობს მეორეს გვერდით და გეშტალტ-კვალიტეტი დაერთ-  
ვის განცდათა ჯამს, ე. ი. ნაწილები, „ელემენტები“ წინ უსწრე-

ბენ მთელს, ნამდვილად კი პირველადია ყოველთვის მთელი; ნაწილზე ჩვენ ვლაპარაკობთ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც მხედველობაში გვაქვს მისი ანალიზის შესაძლებლობა. ნაწილი არასოდეს არ არის მთელში. ნაწილზე ლაპარაკი მხოლოდ ექსტენსიური სინამდვილის მიმართ შეიძლება. ფსიქიკური კი თავის მენტანურ მთლიანობაში. არის არა ექსტენსიური, არამედ ინტენსიური სიდიდე. ცნებები: ნაწილი, მთელი, ფიზიკიდან არის მიღებული და მათი ხმარება ფსიქოლოგიაში განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. „კორელატები“ „ნაწილი“ და „მთელი“ არსებითად არიან არა ფსიქოლოგიური, არამედ ბუნებისმეტყველური ცნებები“. („Um Grunde sind die Korrelata Teil und Ganze nicht psychologische, sondern naturwissenschaftliche Begriffe“) (16).

მთელში არავითარი რეალური ნაწილები არ არსებობს. კომპლექს-კვალიტეტი არ არის რაღაც დამოუკიდებელი რომელობა, რაც ამ მთელის ნაწილების გვერდით არსებობს, როგორც ერენფელსს ჰქონდა წარმოდგენილი; მხოლოდ მთელის კომპლექს-კვალიტეტს აქვს უშუალო ფსიქოლოგიური რეალობა. მისი ნამდვილი აზრი ის არის, რომ ის ამბობს: ერთადერთი დამოუკიდებელი რომელობა არის მთელის რომელობა. არ არსებობს ორი განცდა – მთელის და ჯამის, – როგორც იგულისხმება ერენფელსისა და ვუნდტის თეორიებში, არამედ მხოლოდ მთელის, და თუ, მიუხედავად ამისა, ამტკიცებენ ნაწილებისა და მათი ჯამის ცნობიერების არსებობას. ეს არის ნაკარნახევი არა უშუალოდ განცდილი სინამდვილის მიერ, არამედ იმ უკრიტიკო თეორიის მიერ, რომლის თანახმად გამლიზიანებელის არსებობა განცდის არსებობასაც ნიშნავს, ე.ი. იმ თეორიის მიერ, რომელსაც კრიუგერმა ელემენტის საგნობრიობის დოგმა უწოდა (ვ. კელერი ამასვე აღნიშნავს „კონსტანტობის ჰიპოთეზის“ სახელწოდებით). „ამგვარად“, კომპლექს-კვალიტეტის ცნება მიუთითებს, – და ეს არის მისი ნამდვილი აზრი, – მარტოდენ კომპლექსური მთელის რომელობის დამოუკიდებლობაზე“. (Volkelt, I -88) (“Der Begriff der Komplexqualitat weist alsohin und das ist slein eigentlicher sinnauf die alleige sebestandigkeit der Qualitat des komplexen Ganzen”).

კომპლექსური მთელის დამოუკიდებლობა არ არის აბსოლუტური: ყოველი კომპლექს-კვალიტეტი დამოკიდებულია მასთან

ერთდროულად არსებულ უფრო რთულ კომპლექს-კვალიტეტზე. სრულიად დამოუკიდებელია მხოლოდ დროს გარკვეულ განაკვეთში მოცემული განცდის მთელი ჯამი. რაც უნდა გამოკვეთილიც მთელი ჯამი. რაც უნდა გამოკვეთილიც არ უნდა იყოს კომპლექს-კვალიტეტი, იგი მაინც დამოკიდებულია ცნობიერების საერთო მთლიანობაზე, რომელსაც ტოტალურ მთლიანობას უწოდებენ.

[კრიუგერის სკოლაში „კომპლექს-კვალიტეტს] ორგვარი მნიშვნელობა აქვს: ფართო და ვიწრო. პირველი მნიშვნელობა შეიცავს მთლიანობის სხვადასხვა სახეობას (იხ. ქვევით), რომლებშიაც შედის აგრეთვე კომპლექს-კვალიტეტი“ ვიწრო მნიშვნელობით. აქ ნაგულისხმეია ისეთი მთელი, რომელიც გრძნობასა და გეშტალტს შორის მდებარეობს თავისი ფენომენოლოგიური ბუნების მიხედვით (შეად. ქვევით) აქამდის ლაპარაკი იყო „კომპლექს-კვალიტეტზე“, როგორც მთლიანობის ნიშნის შემცენებაზე და ამიტომ ნათქვამს ძალა აქვს აგრეთვე გეშტალტისათვის.]

ზემონათქვამიდან გამომდინარეობს შემდეგი: კრიუგერის სკოლის მიერ გეშტალტის პრობლემა არ არის გაგებულნი ისე, როგორც ერენფელსის, ვუნდტისა და მაინანგის სკოლის მიერ. აქ პრობლემას გეშტალტის „მეტობა“ არ წარმოადგენს, რადგან არ არსებობს თითქოს ორი რამ, რაც შედარების საშუალებას მოგვცემდა. ფსიქიკურს ნაწილი არა აქვს, რადგან ასეთი მხოლოდ ექსტენსიური სინამდვილისთვის არის დამახასიათებელი. („მხოლოდ ექსტენსიურს აქვს ნაწილები (Volkelt I-87). („Nur Extensives hat Teile“).

გეშტალტი არც უნივერსალური ფსიქიკური ფენომენია: ის მხოლოდ განცდათა ერთერთი კლასია და, როგორც დავინახავთ, არც იმდენად სიმპტომატურია ფსიქიკური სინამდვილისთვის, რომ მას სხვა ფენომენების წინაშე უდავო უპირატესობა ჰქონდეს.

დესკრიპციული თეორიის თვალსაზრისით აქ გასარკვევია შემდეგი საკითხები:

- ა) რა სპეციფიკური თვისებები ახასიათებს გეშტალტს.
- ბ) რით განსხვავდება იგი ფენომენოლოგიურად სხვა განცდებისაგან და

გ) რა სისტემატურ-ფენომენოლოგიური ღირებულება აქვს მას ფსიქიკურის საერთო სისტემაში.

ექსპლიკაციური თვალსაზრისით გეშტალტის პრობლემა უნდა განხილულ იქნას შემდეგი თვალსაზრისით:

ა) რა უძევს საფუძვლად ამ ფენომენის თავისებურებას,

ბ) როგორ ხდება მისი წარმოშობა და

გ) რა საშუალებას გვაძლევს გეშტალტის დესკრიპციული ბუნების შესწავლა იმ სინამდვილის წარმოსადგენად, რომელსაც იგი უნდა ემყარებოდეს და რომლითაც უნდა აიხსნას იგი.

გეშტალტი, კრიუგერის სკოლის თანახმად, ფენომენოლოგიურად შეგრძნებისგან არ განსხვავდება, რამდენადაც საკითხი მოცემულობას შეეხება. იგი მეორეობითი, სულის აქტიობის მიერ შექმნილი კი არ არის, როგორც ამას ამტკიცებდნენ მაგ; გრაცის სკოლის წარმომადგენლები და თ. ლიპსი, არამედ პირველად, სუბიექტისადმი „გარედან“ მოცემული ფსიქიკური ფაქტია. გ. იპსენი: ყოველგვარი კვლევა შემეცნების შესახებ უნდა ეხებოდეს არა მარტო პროცესს, არამედ შემეცნების საგანსაც. ასეთი საგანია გეშტალტები; ისინი ჩვენს აღქმას არ ეძლევა, როგორც სპონტონური აქტების შედეგი. პირიქით, ისინი ქმნიან ჩვენი აღქმის ტრანსცენდენტობას და ამით ხორციელდება ის, რომ აღქმა საგნისებური ბუნების ხდება. ათვისება (Auffassung) პოებს გეშტალტებს როგორც ერთგვარ წინააღმდეგობას, რომელსაც მან ანგარიში უნდა გაუწიოს; ათვისების პროცესი უნდა მიჰყვეს იმ მოთხოვნილებებს, რომლებსაც უყენებს მას გეშტალტი.

როგორია გეშტალტის ცნების ბუნება? ფსიქიკურის რომელობის, შინაარსის გამოხატულებაა იგი, თუ მხოლოდ მის ფორმას, სტრუქტურას ეხება.

ხშირად იყო ცდა გეშტალტის რომელიმე ფსიქიკურ შინაარსზე დაყვანის ან მასთან დაახლოებისა. კრიუგერის სკოლა არსებითად იზიარებს ფორმალურ გაგებას: გეშტალტი არის ფსიქიკურის ფორმის, მისი სისტემისა და სტრუქტურის თავისებურების გამოხატულება. მაგრამ გეშტალტი მაინც არ არის უნიერსალური ფორმალური ცნება, რომელიც ფსიქიკურს ფორმის მხრივ მაინც მთლიანად გვითვალისწინებს: ის მხოლოდ ერთ-ერთი კლასია ფსიქიკურის სისტემის, მისი მთლიანობისა.

ყოველგვარი გეშტალტი მთლიანობაა, მაგრამ ყოველგვარი მთლიანობა არ დაიყვანება გეშტატზე: არსებობს მთლიანობის შემცველი ისეთი ფსიქიკური ფენომენი, რომელიც გეშტალტი არ არის.

გ. იპსენი: ყოველგვარ მთლიან პროცესს ახასიათებს საზღვრულობა (Begränzung), ნევრების ურთიერთ მოქმედება და მთელის უპირატესობა (Ipsen, II. 441). ამ ნიშნებს გარდა, გეშტალტს ახასიათებს შინაგანობა (Innigkeit), წესრიგი და პლასტიკურობა (Bildung). ეს სამი ნიშანი ქმნის სამ განზომილების სისტემათა კორდინაციას, რომლითაც გეშტალტი განისაზღვრება.

შინაგანობის ცნებაში აღსანიშნავია სამი მომენტი:

1) სრული სინთეზი და სრული ანალიზი ასიმპტოტურად მისდევენ ერთმანეთს, ე.ი. შინაგანობა, როგორც ზევით – სინთეზის, ისე ქვევით – ანალიზის მიმართულებით, განსაზღვრულია და თან იგი ყოველთვის შეიცავს ამ ორ მომენტს.

2) მოხსნის პრინციპი: ყოველი ახალი მომენტი, რომელიც შედის შინაგან მრავალსახიანობაში, ისპობა, როგორც დისკრეტული სიდიდე, მაგრამ იმავე დროს ინახება კიდევ.

3) დიფუზომის კანონი: ყოველი ელემენტი, რომელიც შედის მთლიანში, ცდილობს თავისი ელფერი მისცეს ყველაფერს. ეს მოქმედება ხდება მთელის კონტექსტში, მთელის მოქმედების ელფერთან შეთანხმებულად.

წესრიგის პრინციპი ამბობს: გეშტალტს არ გააჩნია ნაწილები, არამედ მხოლოდ ნევრები, რომლებიც მთელისას მხოლოდ მომენტებს წარმოადგენენ. ისინი მთელის მთელ შინაარსს თავის ბუნებაში ატარებენ და ამდენად ისინი „უდრიან მთელს, მაგრამ, როგორც ცალკეობანი (Besonderungen) ისინი მაინც განსხვავებული არიან. დანაწევრება შეიცავს „იგივეობის და „სხვაობის“ ერთად არსებობას.

ძნელია გეშტალტის მესამე ნიშნის სიტყვიერად გამოხატვა. მიზანშეწონილია პლასტიკურობის ცნების გამოყენება: აქ ლაპარაკია გეშტალტის წარმოშობის პროცესზე. გეშტალტი არ ატარებს გაყინულ ფორმას არამედ შეიცავს ნათლად გამოხატულ შინაგან დინამკას. აქედან არის წარმომდგარი ცნება „მეტ-ნაკლებად-გეშტალტებისა. ამ გეშტალტიზაციის პროცესს აქვს

მიმართულება „შიგნიდან-გარეთ“. გეშტალტის პლასტიკურობა (Bildung) აკლებს, თუ მისი შინაგნობა განსაზღვრულ ხარისხს სცილდება, ე. ი. თუ ის ან ძალიან დიდია ან ძალიან პატარა.

გეშტალტს ორგვარი ცნობიერი ფენომენი შემოფარგლავს: მის ერთ მხარეზე მოთავსებულია ელემენტები, რომელთა შორის არ არის შინაგანი კავშირი, ხოლო მეორე მხარეზე დიფუზიური მთლიანი, რომელიც მოკლებულია გარეგან მკაცრ შემოფარგულობას და მისგან გარკვეულ დანაწევრების. ერთი საზღვარია, მაშასადამე, მთლიანობას მოკლებული ელემენტები და მეორე კი – ელემენტებს მოკლებული მთლიანობა.

გეშტალტისათვის დამახასიათებელია აგრეთვე აზრიანობა. გ. იპსენი: გეშტალტის ფენომენში ყოველთვის რაღაც არის ნაგულისხმევი, რაც იმავე დროს გეშტალტის მთლიანობას მოასწავებს. გეშტალტის მთლიანობა, რომლის გამო ჩვენ მას, მაგ; სამკუთხედს, ან სიტყვას ვეძახით, არის მისი აზრი (Ypsen I 450). აზრი წარმოიშობა მხოლოდ გეშტალტიზაციაქმნილი სიმრავლის საფუძველზე და იგი, რა რომ ერთჯერ გარკვეულ ფორმას მიიღებს, მუდამ ბატონობს და ყოველგვარი შინაარსში თავის ბუნების გამომჟღავნებას ცდილობს.

გეშტალტს არა მარტო ფენომენოლოგიურ გენეტიურ პრიმატობა ახასიათებს; იგი ფუნქციონალურადაც უძლიერესი და უფრო მეტად მგრძნობიარეა. ბანდერის ხელმძღვანელობით ელ. ლიპერტმა, კ. შნაიდერმა და სხვებმა დაამტკიცეს ექსპერიმენტულად მდიდარი, რთული გეშტალტის უპირატესობა, მგრძნობელობის მხრივ მარტივთან შედარებით. მაგ; მრგვალი მოძრაობა უფრო მგრძნობიარეა, ვიდრე სწორხაზოვანი, – მრგვალ მოძრაობათა შორის კი ის, რომელიც წრეს უახლოვდება (ეს ფაქტები, სხვათა შორის, ეწინააღმდეგება ტრადიციულ მოძღვრებას ყურადღების მოქმედების ოპტიმალური პირობების შესახებ).

მაშასადამე: 1) გეშტალტი არის ცნება, რომელიც სულიერი ცხოვრების აგებულობას, ფორმას (და არა შინაარსს) ეხება.

2) იგი არ ახასიათებს ყოველგვარ ფსიქიკურ მოვლენას, არამედ

3) შუამდებარეა უკიდურეს მთლიანობასა და იმ სიმრავლის შორის, რომელსაც მხოლოდ კავშირი და გააჩნია.

4) გემეტალტი არის დანაწევრებული მთელი, რომელსაც სამი განზომილება აქვს.

5) ფენომენოლოგიურად და ფუქციონალურად მას უპირატესობა აქვს იმ ფონის მიმართ, რომელიც მუდამ საფუძვლად უდევს: ცნობიერების წინარეგში დგას და მეტი სიძლიერე, სიცხადე და გამძლეობა ახასიათებს.

რა განსაზღვრავს გემეტალტის ბუნებას? როგორც უნდა წარმოვიდგინოთ მისი რეალური საფუძველი და არის მის ფენომენში მოცემული ისეთი, რომელიც ამ საკითხის გარკვევაში მოგვეხმარება?

ფრ. ზანდერი: გემეტალტის ერთ-ერთ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს ის, რომ იგი მიისწრაფის დასრულებისაკენ, გამოკვეთილობისაკენ და მას შემდეგ, რაც მიზანი უკვე მიღწეულია, ცდილობს ეს მდგომარეობა დიდხანს შეინარჩუნოს. ეს თვისება დამახასიათებელია გემეტალტის ყოველი სახის წარმოშობისათვის. განცდაში ეს პროცესი შემდეგნაირად იჩენდა თავს: სანამ გემეტალტის სისრულე მიღწეული არ არის ჩვენ განვიცდით უსიამოვნებას; დაუკმაყოფილებლობის გრძნობას და გვაქვს ერთგვარი მისწრაფება დასრულებული ფორმის მიღწევისაკენ; როცა მას მივალწევთ, განვიცდით სიამოვნებას და დამშვიდებას. აღნიშნული სულიერი მდგომარეობა მიგვითითებს გემეტალტის წარმოშობის იმ (შედარებითი) მუდმივ პირობებზე, რომლებიც იმგვარადვე ტრანსფენომენალურია, როგორც ყოველგვარი პირობა გამლიზიანებელის კონსტელაციისა. პიროვნების მთლიანი სტრუქტურა არის ტრანსფენომენალური არსებობა და მოქმედება, რომლის ცენტრალურ ნაწილორივ სტრუქტურას წარმოადგენს გემეტალტის პირობების კონსტანტ-სტრუქტურა.

სტრუქტურულსა და გამლიზიანებლის მონაცემებს შორის არსებული დისკრეპანტობა თავს იჩენს დაძაბულებით სავსე დინამიკაში, რომელიც ლებულობს მოძრაობის მოვლენების თვისებას და თვით გემეტალტს აძლევს გამოკვეთილობის ხასიათს. რომელიმე ცალკე გემეტალტის ცნობიერებაში ცალკე გამოკვეთა არ არის დამოკიდებული მის ხშირ გამეორებაზე, არამედ იმ დისპოზიციონალურ სტრუქტურაზე, რომელიც პიროვნებას აქვს. ასიმილაცია და კონტრასტი სისტემის წევრ-

თა შორის მთელს უწყობს გეშტალტიზაციას, რაც იმ მხრივაც იჩენს თავს, რომ აქ ყოველგვარი გაუგეშტალტებელი ელემენტი არაბუნებრივად, არალირებულად ითვლება და, ადრე თუ გვიან, ისპობა კიდევ. გეშტალტის ამ თვისებას ზანდერი უწოდებს აქტუალ-გენეზისს. ამ პროცესის ექსპერიმენტალურად შესწავლის დროს დადასტურებულ იქნა ერთი ახალი ცნება, რომელსაც წინარე გეშტალტური განცდა (Vorgestalterlebnis) ეწოდება. ის არის კომპლექსურ=მთლიანი ხასიათის და ჭარბად შეიცავს გრძნობის ელფერს.

შესაძლებელია ხელოვნურად შევექმნათ ისეთი მდგომარეობა, სადაც იმ პირობების დანახვა ხდება, რომელიც გეშტალტიზაციას საფუძვლად უდევს: აქ წინარე-გეშტალტური განცდა საფეხურებად ნაწილდება და ვლებულობთ ე.წ. წინარე-გეშტალტს. ეს არის მცირედ დანაწევრებული, უფრო მთლიანი, ვიდრე დასრულებული გეშტალტი და ატარებს მძლავრ „ტენდენციას გეშტალტისაკენ“. განცდების დინამიკური“ კვალიტეტი და ხიდოგენური მოძრაობა შედეგია იმ დაძაბულობისა, რომელიც არსებობს სტრუქტურული გეშტალტოტენდენციას და გამლიზიანებელის კონსტელაციის მოთხოვნილებას შორის (ზანდერი, II 59).

ეს დაძაბულობა იჭრება მაშინ, როცა გამლიზიანებლის პირობები იმარჯვებს და პირველად ლაპილურ განცდებს გარკვეულ ფორმას აძლევენ. ეს წინარეგეშტალტური პერიოდი არის არსებითად გრძნობისებური. თვით წინარე გეშტალტები სრულიად თავისებურად არიან შერწყმული მთლიანი განცდის დაძაბულობით სავსე და მიმართულების მქონე მთელში. მხოლოდ გეშტალტად გადაქცევის დროს ხდება მისი გაცივება და დაშორება სუბიექტისგან, მისი საგნად, ობიექტად მოვლინება სუბიექტისადმი აქტუალ გენეზისის. შესწავლის დროს ირკვევა, რომ ფსიქიკურისთვის როგორც ფილო-და ონტოგენეტურად, ისე კერძო გეშტალტის წარმოშობის შემთხვევაშიაც დამახასიათებელია ის, რომ იგი ვითარდება შედარებით დაუნაწევრებელი მთლიანისაგან, რომელიც გრძნობისებურ კვალიტეტს არსებობს. ეს უკანასკნელი გეშტალტის უბრალო თანმხლები კი არ არის, არამედ მისი ქმნადობის საფუძველი: გარეშე ამ

პირვანდელი განცდილი მთლიანობისა შეუძლებელი იქნებოდა ზედა ფენებში რაიმე პროდექტიული გეშტალტ-წარმოშობა. აქ მულავნდება აგრეთვე დისპოზიონალურ სტრუქტურის გეშტალტური ტენდენცია, განცდის გეშტალტისაკენ მისწრაფება. ჩვენი დისპოზიციონალური არე, ჩვენი პიროვნება მუდამ ისწრაფის დაბშულობისა და მთლიანობისაკენ, სიმარტივისა და წესისაკენ, სიმეტრიულსა და დანაწევრებისკენ.

როგორც აღნიშნული იყო, გეშტალტი მხოლოდ ერთ-ერთი სახეობაა მთლიანობისა. ამ გარემოებას კრიუგერამდის არ ექცეოდა სათანადო ყურადღება. Cornelius-იკრიუგერის მასწავლებელი, ქმნის გრძნობების გეშტალტურ თეორიას: ამ თეორიის თანახმად, გრძნობებს არ უნდა ვუყურებდეთ როგორც ელემენტებს ან მათს უბრალო ჯამს: ისინი მთლიანობას წარმოადგენენ, და ეს მთლიანობა, ეს ფორმა ფსიქიკური ფენომენების სტრუქტურისა არის ის, რაც გრძნობის არსს ქმნის. კრიუგერი არსებითად იღებს ამ თეორიას, მაგრამ მას საკმარისად აცხადებს და მის შესაფერ განვითარებას ცდილობს.

უპირველესად ყოვლისა, კრიუგერს არ მიაჩნია მიზანშეწონილად ყოველგვარი მთლიანს, ყოველგვარ კომპლექსს, რომელიც უბრალო ჯამს არ წარმოადგენს, გეშტალტის სახელწოდება მიეცეს. საჭიროა ახალი ცნების, ახალი ტერმინის შექმნა ისეთი შინაარსის აღსანიშნავად, რომელიც გეშტალტის სპეციფიკურ, დამახასიათებელ თვისებებს არ ატარებს, მაგრამ მაინც უეჭვოდ მთლიანობას წარმოადგენს. 1906 წ. კრიუგერმა თავის წერილში კონსონანსის თეორიის შესახებ (Krueger 1381) პირველად შემოიღო ამ მიზნით ახალი ტერმინი „კომპლექს-კვალიტეტი“.

რა არის კომპლექს-კვალიტეტი? გ. იპსენი: ცნების გასაგებად უნდა გამოვიდეთ ფსიქიკურის კვალიტეტის ცნებიდან. ყოველგვარი ფსიქიკური მოცემულობა ერთგვარი მთელია და ატარებს საკუთარ ელფერს. ყოველი ნაწილის კვალიტეტი იხსნება (მოხსნა) მთლიანის კვალიტეტში და ეს არის ერთ-ერთი გამომჟღავნება ე.წ. შინაგანობის პრინციპისა (Innigkeit) აქედან მომდინარეობს კომპლექს-კვალიტეტის თავისებურება რომელიმე შინაარსი, იქნება იგი ანალიზის თვალსაზრისით მარტი-

ვი თუ რთული, მაინც ატარებს მარტივი თვისებების ელფერს. (Ipseii | 250).

კომპლექს-კვალიტეტი არ არის რომელიმე განსაზღვრული ფენომენების სახელწოდება. ყოველგვარი სირთულე, შინაარსი მოცემული ერთ მთლიანობაში ატარებს კომპლექს-კვალიტეტის თვისებას. მაგრამ გასარკვევია: როგორ არის შესაძლებელი მისი სპეციფიკურობის განცდა, თუ იგი ელემენტარული განცდისგან არც სახეობით და არც სიმარტივით არ განსხვავდება? რა აზრით შეგვიძლია ვილაპარაკოთ კომპლექს-კვალიტეტზე, როგორც რთულზე? პსენის აზრით აქ გასარჩევია ორი მომენტი: ერთი, როდესაც მხედველობაში გვაქვს ერთი და იგივე შინაარსი მარტივად ან ნაწილებში აღქმა, ხოლო მეორე, როცა ვგულისხმობთ, რომ ყოველი „უკანასკნელი ელემენტი“ კიდევ ატარებს ანალიზის შესაძლებლობას. პირველის მაგალითს გვაძლევს ტანის ან ცდის ანალიზი, მეორისას ყოველგვარი მეცნიერული ანალიზი, რომელიც გარკვეულ ადგილზე მხოლოდ იმიტომ ჩერდება, რომ იმ დროს მას არ შესწევს ძალა ანალიზის გზაზე უფრო შორს წავიდეს. აქედან: ფსიქიკურის ყოველი კვალიტეტი არის კომპლექსური, რადგან ნაადრევია მისი ანალიზის დასრულებაზე ლაპარაკი და პირიქითაც: ყოველი განცდა არის მარტივი, რადგან უსათუოდ ატარებს სპეციფიკურ თვისებას, და ეს თვისება არის მარტივი. ეს ორი ნიშანი გამომდინარეობს იმ ფაქტიდან, რომ ფსიქიკური ყოველთვის კვალიტეტია. კომპლექს-კვალიტეტის ქმნადობა ექვემდებარება ე.წ. კვალიტეტის სინთეზს: ყველა სპეციფიკური, ცალკეული კვალიტეტი თანდათან ქრებიან, როგორც დისკრეტული ნაწილები და ქმნიან ერთ მთლიან რომელობას. ეს მთლიანი, ნაწილებთან შედარებით, წარმოადგენს ახალს, რომლის დაყვანა არ შეიძლება არც აწილების ჯამზე და არც მათ შენარევზე. ეს იმ ფაქტიდან გამომდინარეობს, რომ ფსიქიკურის ყოველგვარი ცვლილება, ანალიზის თუ სინთეზის მიმართულებით, კვალიტატური ხასიათისაა, ე. ი. მარტივი, დაუნაწევრებელი, ორიგინალურია. კომპლექს-კვალიტეტი ნაკლებიც არის თავის „ნაწილებზე“. ის ამ მომენტებს დისკრეტულად, ინდივიდუალურად უკვე აღარ შეიცავს: რადგან „ელემენტები“ შევიდენ მაღალ მთლიანობაში; როგორც „ელემენტები“ ისინი

გაქრენ. ნაწილებზე აქ ლაპრაკია, მაშასადამე, „შერწყმის“ შესაძლებლობის მნიშვნელობით და არა იმ აზრით თითქოს ნაწილები მთელშია ც როგორღაც განაგრძობენ თავისი პირვანდელი სახით არსებობას.

კვალიტეტური სინთეზის მუშაობა ნაწილების შერწყმაში გამოიხატება და იმისდამიხედვით, თუ რამდენად სრულია შერწყმა, კომპლექს-კვალიტეტის სხვადასხვა სახეობანი გვეძლევა, რომლებიც ერთმანეთისაგან წევრთა მეტნაკლები დამოუკიდებლობით განსხვავდებიან.

შინაგნობის ხარისხის მაქსიმალური და დიფერენციაციის მინუმუმს ამჟღავნებს ე.წ. ადაპტაციის ფენომენი. აქ, გამლიზიანებლის ხანგრძლივი მოქმედების გამო, თანდათან ქრებიან ცალკე ელემენტები და ქმნიან ერთ მთლიან, დიფუზურ კომპლექს-კვალიტეტს. ადაპტაცია მარტო ენერგია არ არის: გარკვეული შინაარსების გაქრობა არარაობას კი არ ნიშნავს არამედ ერთგვარ მთლიანს, დაუნანევრებელ განცდას. მენისქვილეს რომ წისქვილის გაჩერება აღვიძებს, ეს ამის საბუთად გამოდგება: ჩანს წისქვილის ხმაურობა, თუმცა არა ადეკვატურად, მაგრამ მაინც როგორღაც მოცემულია ცნობიერებაში, რაკი მისი აღკვეთა ფსიქიკურ რეაქციას იწვევს.

კომპლექს-კვალიტეტის მეორე კლასს გრძნობები წარმოადგენენ. ადაპტაციასთან შედარებით, აქ საქმე გვაქვს მეტ სირთულე-დიფერენციაციასთან. მაგრამ მთლიანად გრძნობა მაინც დიფუზური მდგომარეობაა, რომელიც სხვა კომპლექს-კვალიტეტებიდან იმით განსხვავდება, რომ მისი დიფუზურობა და კომპლექს-ხასიათი ღირებულების ელფერს ატარებს.

დიფერენციაციის მესამე საფეხურს დინამიტურ კვალიტეტს უწოდებენ (გ. იპსენი): აქ ნაწილები მთელში არ არის გათქვეფილი, მაგრამ მათ არც იმდენი დამოუკიდებლობა აქვთ, რომ საკუთარ „ღირებულებას“ წამოადგენდნენ. მთელსა და ნაწილს შორის აქ ბრძოლაა გამართული, რომელიც ყოველთვის მთელის სასარგებლოდ თავდება, მაგრამ ისე კი არა, რომ ნაწილები სავსებით ქრებოდენ მთელში, როგორც ადაპტაციასა და გრძნობის შემთხვევაში, არამედ ისინი, თუმცა „დამორჩილებული“ მაინც რჩებიან.

კომპლექს-კვალიტეტის განვითარების, დიფერენციაციის უმაღლეს წერტილს გეშტალტი წარმოადგენს. აქ ფენომენში, როგორც დავინახეთ, ნაწილების ძალა მნიშვნელობა იმდენად იზრდება, რომ საკუთარ ღირებულებას აღწევს.

კომპლექს-კვალიტეტი, ცხადია, აქ არის აღებული ფართო გაგებით. ლაიპციგის სკოლას აქვს მისი ვინრო გაგებაც. ამ შემთხვევაში გრძნობა და გეშტალტ კომპლექს-კვალიტეტის ერთ-ერთი სახეობა კი არ არიან, არამედ თანასწორუფლებიანი, მეზობლად მდებარე ცნებები. კომპლექს-კვალიტეტისგან განსხვავებით (ვინრო მნიშვნელობით), გრძნობა არც გარეგანი კონტურებით არის შემოფარგლული და არც შინაგანად დანაწევრებული. გეშტალტისგან განსხვავებით კომპლექს-კვალიტეტი, თუმცა შინაგანად დანაწევრებულია, მაგრამ არა ისე, რომ ნაწილები, წევრები ანალიზის უწინარესად იყვნენ მოცემული, (როგორც ეს გეშტალტის ფენომენშია), არამედ ისინი მოცემული არიან, როგორც ანალიზისთვის მისაწვდომი, მისი დახმარებით მოცემული (Volkelt, I). ამ გაგებაში კომპლექს-კვალიტეტი მთლიანობის ერთ-ერთი სახეობაა, ხოლო ამ ცნების ფართო გაგება ემთხვევა მთლიანობის ცნებას.

კომპლექს-კვალიტეტი მუდამ ატარებს გრძნობის ელფერს, მაგრამ გრძნობად იგი მაინც ვერ გადაიქცევა რადგან წარმოადგენს მხოლოდ განცდათა ნაწილს. ჰერმანი: გრძნობა არის კომპლექს-კვალიტეტის ზღვრული ცნება, სახელდობრ: ის არის მთელი ცნობიერების კომპლექს-კვალიტეტი (Hermann, გვ. 500).

კომპლექს-კვალიტეტის ცნებას, ამგვარად, პირადაპირ მივყევართ კრიუგერის გრძნობის თეორიამდის. ეს თეორია კორნელიუს-კრიუგერის თეორიის სახელსაც ატარებს, რადგან მის შექმნაში ორივე მკვლევარს აქვს წილი. კრიუგერი ამ თეორიის წარმოშობას 1897 წლით ათარიღებს, ე.ი. იმ დროით, როცა გამოვიდა Cornlius-ის ცდისეული მეცნიერება („Psychologie als Erfahrungswissenschaft“).

მეტაფიზიკასთან კავშირის განწყვეტის შემდეგ, ფსიქოლოგიამ თავისი მუშაობის იდეალად და მისაბაძ მაგალითად აღიარა არა ბიოლოგია, რომელთანაც მას მეტი ნათესაობა ჰქონდა, არამედ ფიზიკა და მექანიკა, საიდანაც არა მარტო ექსპერიმენტა-

ლური მეთოდის სახეობა, არამედ თვით საკითხების დასმის წესი და ძირითადი ცნებები გადმოიღო. აქედან ფსიქოლოგიამ მიიღო მექანიკური შემეცნების იდეალი, რომელიც სიცოცხლისა და განვითარების ყოველგვარ ნიშანს მოკლებულ სინამდვილეს გულისხმობს. განვითარებისა და მექანიკის ცნებები, კრიუგერის აზრით, გამორიცხავენ ერთმანეთს; ამიტომ, სადაც განვითარებაზეა ლაპარაკი, იქ მექანიკის ცნებების ხმარებაზე უნდა ავიღოთ ხელი. ვუნდტი, რომელიც ითვლება ახალი ერის დამწყებად ფსიქოლოგიაში, უკანასკნელ დრომდის ვერ განთავისუფლდა გრძნობის საკითხში ასოციაციონური ფსიქოლოგიის გავლენისაგან. როდესაც კორნელიუსმა ერენფელსის მიერ შემოღებული გეშტალტ-კვალიტეტის ცნება გრძნობების მიმართაც გამოიყენა, მხოლოდ მაშინ განთავისუფლდა გრძნობა მისთვის შეუფერებელი ატომიზაციისგან.

ასოციაციონური ფსიქოლოგიის ავტორიტეტის დაცემის შემდეგ განსაკუთრებით გაძლიერდა გეშტალტ-ფსიქოლოგია და აზროვნების ფსიქოლოგია. ე.წ. ვურცბურგის ფსიქოლოგიურმა სკოლამ, ესკპერიმენტული მონაცემებით შეიარაღებულმა, გაილაშქრა ასოციაციური ფსიქოლოგიის (ფსიქოლოგიურ) სენსუალიზმის წინააღმდეგ. გეშტალტ-ფსიქოლოგიამ, სტრუქტურულ ფსიქოლოგიასთან ერთად, სპეციალურად მიზანში ამოიღო ასოციაციონიზმის ატომისტური აქსიომა. კრიუგერის თავისებურება ასოციაციონიზმთან ბრძოლაში იმაში უნდა დავინახოთ, რომ მან განსაკუთრებით წინ წამოსწია ემოციონალიზმი ინტელექტუალიზმის წინააღმდეგ, რომელიც აგრეთვე ახასიათებდა ასოციაციონიზმს. მაგრამ არა მარტო მას. მთელი თანამედროვე ფსიქოლოგია ატარებს აშკარა ინტელექტუალიზმის დაღს. თვით ტერმინი „გეშტალტ-კვალიტეტი“ შეუფერებელია, რადგან ვიზუალურად მთელი შთაბეჭდილებისათვის არის შექმნილი (Krueger 221); თანამედროვე გეშტალტ-თეორია უმთავრესად სწორედ ოპტიკურ გეშტალტებს იკვლევს; ვერტჰაიმერი თავის პროგრემულ წერილში (Psychologische Forschung, I ტომი) პედანტურად ამძიმებს შრომას აუარებელი სინონიმებით და გრძნობას სრულიად არ ახსენებს (Krueger IV გვ. 100); კელერი ლაპარაკობს მაიმუნების ქცევაზე ისე, რომ სრულიად

არ აქცევს ყურადღებას მათს ემოციონალურ მდგომარეობას. საერთოდ ზოოფსიქოლოგიები ცალმხრივად აყენებენ კითხვებს ცხოველთა ფსიქიკის შესახებ: ისინი აქ ეძებენ მხოლოდ ინტელექტუალურ პროცესებს (Krueger V, გვ. 80). თითქმის ბავშვისა და პრიმიტიული ცნობიერების მკვლევარების (მაგ. ლევი-ბრიული) შესახებაც.

გრძნობა პირველადია, ფსიქიკური განვითარების პირველი საფეხურია. წარმოდგენა და გეშტალტი განვითარების დასასრულია, მისი უმაღლესი საფეხური ნორმალური ადამიანის ნამდვილი ყოველდღიური ცდა შეიცავს უმთავრესად შემოუფარგვლელ, დიფუზურ, ოდნავად სრულიად დაუნაწევრებელ განცდათა კომპლექსს, რომლის წარმოშობაშიც ყველა ორგანოები, ფუნქციათა სისტემები ლეზულობენ მონაწილეობას. ფაქტია ერთგვარი მრავალმიანობის არსებობა, მაგრამ „ელემენტების“ სრული ატომიზაცია განუხორციელებელია: ყოველგვარი სიმრავლე ფსიქიკურში ემყარება ერთგვარ მთლიანს, ჩართულია მასში. ეს მთლიანი განიცდება როგორც გრძნობა: „ამ საერთო მთლიანობის განცდითი კვალიტეტები არიან გრძნობები“. (Krueger III 104). (Die Erlebnisqualitäten dieses gesamtganzen sind gefühle). არსებობს პარციალური და ტოტალური მთლიანობის კვალიტეტი. გრძნობა მხოლოდ ამ უკანასკნელს ეწოდება: ის არ არის დროს გარკვეულ განაკვეთში არსებული რომელიმე ცალკეული კომპლექსი; იგი არ არის არც ერთ-ერთი განცდა სხვა განცდათა შორის. იგი მთლიანი შინაარსების კრედიკატია.

გრძნობისებურება ყოველგვარ კომპლექსს ახასიათებს და ის კომპლექსი უახლოვდება უფრო მეტად გრძნობას, რომელიც მეტს, უფრო დიდი კომპლექსს წარმოადგენს. გარდა ამისა, კომპლექსი მით უფრო ჰგავს გრძნობას, რაც უფრო ნაკლებად არის იგი გამოთიშული სხვა განცდებისაგან და მცირედ ან სრულიად არ არის შინაგანად დანაწევრებული.

მართალია, ყოველგვარი მთლიანობა ფსიქიკურში გრძნობის ელფერს ატარებს. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მთელი ფსიქიკური სინამდვილე ემოციონალურ განცდებად გამოვაცხადოთ. არა! არსებობს არაემოციონალური შინაარსებიც, მაგრამ ფსიქოლოგიამ თავისი ამოცანა მათ გამოცალკეებაში

კი არ უნდა დაინახოს, არამედ იმ საფეხურების გამოძებნაში, რომლებიც ემოციონალურსა და არაემოციონალურს შორის კავშირს ამყარებენ. აქედან გასაგებია, რომ კრიუგერი გრძნობისებურის ცნებას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

არ არსებობს ისეთი კუთხე სულიერ სამყაროში, რომელიც ატომისტური, დისკრეტული შინაარსებისაგან შედგებოდეს და ამიტომ არა გვაქვს უფლება, როგორი ანალიტიკური მუშაობაც არ უნდა ვანარმოოთ, რა ფსიქიკური ფენომენიც არ უნდა ვიკვლიოთ, დავივიწყოთ გრძნობების როლი. მართალია, კულტურის წინსვლასთან ერთად ხანგრძლიობა და სიხშირე დიფუზურ, დაუნაწევრებელ განცდებისა თანდათან კლებულობს, მაგრამ კავშირის სრული განყვეტა პირველად მთლიანობასთან არსად არ ხდება. გრძნობა, როგორც უკანა ფონი, ყველგან არსებობს; მისგან არის წარმოშობილი, თანდათანი დიფერენციაციის გზით, მთელი ფსიქიკური სამყარო. (Krueger, III გვ. 111).

თუ ცოცხალი არსების შინაგანი ბუნების ცოდნა გვწადია, ყოველთვის შეგვიძლია იქ სრული უფლებით გრძნობის პროცესი ვუგულისხმოთ. თუ რამე იცვლება განცდათა სფეროში, იცვლება მყისვე გრძნობაც. გრძნობის ამ თვისებას კრიუგერი უნივერსალობას უწოდებს: არ ხდება ცნობიერებაში არაფერი, რომ მან გრძნობაში არ ნახოს თავისი გამოხატულება.

უნივერსალობის ნიშანს მჭიდროდ უკავშირდება გრძნობის კვალიტეტური სიმდიდრისა და მრავალსახიანობის ფაქტი. უბრალო ანგარიში გვიჩვენებს, თუ რა სხვადასხვა რომელობებთან შეიძლება გვექონდეს ჩვენ აქ საქმე. ჯერ თავისთავად ნაწილობრივი კომპლექსები აუარებელია, ხოლო ის სიმრავლე, რომელსაც მათი კომბინაცია გვაძლევს, პირდაპირ აურაცხელია გრძნობა კი ყოველ განსხვავებულ კომბინაციას სპეციფიკური კვალიტეტით უპასხუბეს. ამ საკითხში კრიუგერის მონაფეები ვუნდტს საკმაოდ დასცილდენ: სადაც ვუნდტი ერთისა და იმავე რომელობის სხვადასხვა საფეხურებზე ლაპარაკობდა, მათ აღმოაჩინეს ნამდვილი რომელობითი განსხვავებანი (Hermann, 498).

გრძნობის მესამე ძირითად თვისებას, კრიუგერის აზრით, მისი ლაბილობა წარმოადგენს. რადგან გრძნობა ის კვალიტეტია, რომელიც ცნობიერების მთელ შინაარსს ეძლევა, და, თუ შეი-

ძლება ასე ითქვას, ყოველ განცდის პრეზენტანტს წარმოადგენს, გასაგებია, რომ თვით უმცირესი მნიშვნელობის ცვლილებაც კი განცდათა სფეროში თავის გამოხატულებას პოებს გრძნობათა სფეროში. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ კომპლექსის ზღურბლი უფრო გრძნობიერია, ვიდრე დაბალი, მარტივი „შენადგენისა“.

გრძნობა დომინანტურ ბუნებასაც შეიცავს: ორ მეზობელ კომპლექსთა შორის ის „იმარჯვებს“, რომელიც მეტად შეიცავს გრძნობას.

1906 წელს კრიუგერი მოითხოვდა „გეშტალტ-კვალიტეტის“ მაგივრად „კომპლექს-კვალიტეტის“ ხმარებას. პ. ფოლკენტიც, 1914 წელს გამოქვეყნებულ შრომაში კომპლექს-კვალიტეტს ხმარობს ერენფელსის ტერმინის საწინააღმდეგოდ. ლაიპციგის სკოლის ეხლანდელ შეხედულებას ასეთი დაპირისპირება ამ ტერმინებისა აღარ შეეფერება. აქ ორივეს აქვს ადგილი დათმობილი, ორივე კანონიერია, რადგან ისინი აღნიშნავენ სხვადასხვა შინაარსებს. კრიუგერმა გეშტალტ-კვალიტეტის ცნება დაუპირისპირა კომპლექს-კვალიტეტისას, ხოლო ეს უკანასკნელი – უზოგადეს ცნებას – „მთლიანობას“.

ეს ცნება ძირითადია თანამედროვე აზროვნებაში. მან საინტერესო განვითარება განიცადა ფილოსოფიაში და ექსპერიმენტალურ ფსიქოლოგიაში. მართალია, ფსიქოლოგიაში დღეს მის უარყოფას არავინ ცდილობს, მაგრამ მისი არც სრული და არც სავსებით სწორი დახასიათება, კრიუგერის აზრით, ჯერ არ არის მიღწეული. მთავარი, რაც აქ აღსანიშნავია, არის ფსიქიკური მთლიანობის სპეციფიკურობა, რაც მის ფენომენალურ უშუალო მოცემულობაში გამოიხატება და მისი თავისთავადობა: მთლიანობა დამტკიცებული ან დასაბუთებული რამ კი არ არის ფსიქიკურ სინამდვილეში, არამედ უვიდენტურად მოცემული და ამდენად არსებითად განსხვავებულია ე.წ. მიღწევის მთლიანობისაგან (Leistungsganze) და მოქმედების მთლიანობისგან (Wirkungseinheit). „თუ რა არის მთლიანობა, ამას ჩვენ განვიცდით უშუალოდ და ყოველგვარ ეჭვს გარეშე მყოფი დარწმუნებით ჩვენს განცდებში“ (Krueger, IV, გვ. 19) მთლიანობა უნდა იქნას გაგებული არა როგორც ნაწილების ლოგიკური კორელატი, არამედ დესკრიპტულად, როგორც განცდის მთლიანობა.

ზემონათქვამი მთლიანად ეხება კრიუგერის სკოლის დესკრიპტულ თეორიულ შეხედულებებს. ახლა საკითხი დგება იმის შესახებ, თუ რა უდევს ამ მოვლენებს საფუძვლად; როგორია ის სინამდვილე, რომელმაც განაგები უნდა გახადოს ცნობიერი ფენომენების სხვადასხვა ნიშანდობლივი თვისებები. ასეთი ახსნით დისპოზიციონალური ცნების როლს კრიუგერის თეორიაში თამაშობს „სტრუქტურა“.

ფსიქოლოგიაში ეს ცნება დილტაიმ შემოიტანა, მაგრამ ის ვერ ახერხებს ამ ცნების გამოთიშვის ფილოსოფიურ ნორმისაგან ერთის მხრით და გაუზალური მიზეზობრიობისაგან, მეორე მხრივ. ამას ის უარყოფითი შედეგი მოჰყვება, კრიუგერის აზრით, რომ ფსიქიკური კანონზომიერებები არ იქნა შესწავლილი. ამ დეფექტის შევსება არ შეიძლება არც კულტურულ-მეთოდოლოგიურად და არც ბუნებისა და შინაგანი განცდის უბრალო დაპირისპირებით. მხოლოდ სტრუქტურის თეორიის საშუალებით არის შესაძლებელი ამ ნაკლის შევსება. სტრუქტურა არ არის მეტაფიზიკური. ჩვენ განცდებისათვის მიუწვდომელი რეალობა: დილტაი ებინგჰაუსთან კამათში მართალი იყო, როცა ამტკიცებდა, რომ სტრუქტურებიც განიცდება. ის რაც აზრიანად სტრუქტურის შინაარსში იგულისხმებაო, წერს კრიუგერი, განიცდება კიდევ უშუალოდ; სახელდობრ, ისეთ კომპლექსში, სადაც ადვილად შესამჩნევია ის მოცემულობანი რომელნიც არიან მომდინარე განცდის სიღრმიდან (Krueger II 39).

ამ განცდების პირველადი (გენეტურად) ფორმები დაუნანვერებელი არაგემტალტური ხასიათისაა. გრძნობის სიღრმითი განზომილებაა ის განცდები, სადაც ყველაზე ნათლად არის გამოვლენილი სტრუქტურიზაციის საფეხურები და სახეობანი. აქ მულავნდება ის, რაც არის პიროვნება, ხასიათი, კონსტიტუცია (დისპოზიციონალური ნიშნები). ეს განცდები – სიღრმის, გრძნობის ყოველ განცდაშია მეტნაკლებად გამოამკარავებული. დილტაის სკოლის ნაკლი, კრიუგერის თქმით, იმაშია იჩენდა თავს რომ მას სურდა სტრუქტურის ცნების შემუშავება ცალკეული განცდების ნიადაგზე. ეს არ არის საკმარისი; საჭიროა მთლიანი ფენომენოლოგიური კვლევა, ეგზაქტური დაკვირვე-

ბა, შედარებითი აღწერა და ანალიზი, რომლის საშუალებით ფსიქოლოგიურად მისაღებ ფორმაში. მოხდება სტრუქტურასთან დაკავშირება ძირითადი ცნებებისა: განცდის მთლიანობის, გრძნობა, კომპლექს=კვალიტეტისა და გეშტალტის (Krueger II 40). საერთო, ყველა ამ უკანასკნელად დასახელებულ ცნებებში, ის არის, რომ ისინი არიან განცდის შინაარსი და არა მისი პირობები. ამათგან განსხვავებით სტრუქტურა არის ნაწილობრივი, მაგრამ არსებითი პირობა ყოველგვარი განცდისა.

რამდენადაც, სტრუქტურა ისეა გაგებული რომ იგი შეიძლება ერქვას ფიზიკურის, ქიმიურისა და ფსიქიკურის ყოველ ნაკვეთს, როგორც ამას აქვს ადგილი კელერისა და კოფკას სიტყვა-ხმარებაში, ჩვენ საქმე გვაქვს კვლავ ფსიქოლოგიურ ატომიზმთან. სტრუქტურა შეიძლება დაიშალოს, შედგეს, გაჩნდეს ერთის მაგივრად მეორე და ასე დაუსრულებლად; ასე რომ, მთლიანობა როგორც პიროვნების მარადი კუთვნილება, როგორც დისპოზიოციონალური სინამდვილე აქ არა ჩანს. პირიქით, სტრუქტურა როგორც სიტყვის მნიშვნელობა გვიჩვენებს, რომ არის მთლიანობისკენ მიმართული ძალებისაგან შემდგარი ხანგრძლივი სისტემა, ისეთი ძალებისაგან, რომლებიც დამოკიდებულია საერთო წყობაზე და რომლებიც იმავე დროს ინვევენ მის დანაწევრებას და გამთლიანებას.

სასიცოცხლო პროცესების სფეროში სიტყვა „სტრუქტურაში“ იგულისხმება მრავალგვარი გამოცდილების თავყრილობა; საბოლოოდ მთლიანად ცოცხალ არსებას, რომელიც ამ გამოცდილების მოვლენებს ატარებს, აქვს სისტემის ხასიათი, შეიცავს დანაწევრებულ აღნაგობას, აქვს შენახვისა და ზრდის უნარი და ყველა თავის შექნილ და თანდაყოლილ თვისებებს მთლიან დისპოზიოციონალურ ერთეულში ამთლიანებს. სტრუქტურა ნიშნავს არსებულის დანაწევრებულ და თავის თავში დახშულ მთლიანობას (Krueger II 44). იგი მეტია ვიდრე განცდის, ქცევის, გამოხატულების მთლიანობა და დანაწევრება. სტრუქტურული სულიერი არსება არის რეალურად არსებული, აუცილებლად ნაგულისხმევეა წინამძღვარი ყოველივე იმისა, რასაც ჩვენ ფსიქიკურ ფენომენებში ვნახულობთ.

არსებობს პარციალური სტრუქტურებიც: მეხსიერების,

მუსიკალური პროცესების, აღქმის პროცესებისა, მთლიანი და პარციალური სტრუქტურის დამოკიდებულება და დაპირობება ყველაზე ძლიერად თავს იჩენს ე.წ. სულიერი მოძრაობის (gemüt) არეში. მისი მოქმედება ამოძრავება უმთავრესად დამოკიდებუ-  
ლია ჩვენი გრძნობისა და ნებელობის იმ პროცესებზე, რომელ-  
თაც ჩვენ შეფასებას ვეძახით. ეს უკანასკნელი არის დომინან-  
ტური მომენტი სულის ცხოვრებაში. შეფასების მომენტი ის,  
რაც მთავარია სტრუქტურისა ცილის საქმეში. ამაში მუდამდება  
აღამიანის მისწრაფება, მთელი მისი პიროვნება. აქ ყოველთვის  
უნდა მკაცრად განვასხვავოთ ერთიმეორისაგან ფსიქოლოგი-  
ური და ნორმატიული თვალსაზრისი, რასაც ვერ ასხვავებდა  
დილტაი და რის დამაკმაყოფილებელი განსხვავებაც შპრან-  
გერმა მოგვცა.

პარციალური მონაცემების სინთეზ-ანალიზის ნიადაგზე  
შესაძლებლობა გვეძლევა პარციალური ბუნების სტრუქტურ-  
ის შესახებ დავასკვნათ. სტრუქტურულ-თეორიულად ჩვენ  
შეგვიძლია პარციალური მთლიანობიდან დავასკვნათ ტოტალ-  
ური მთლიანობის შესახებ და პირიქით, ყოველი „ნაწილი“ თავის  
აზრს ღებულობს მთელისაგან და აქედან შეიძლება მისი „შემეც-  
ნება“.

ფსიქიკური სტრუქტურები გვევლინება „უშუალოდ ჩვენი  
განცდების კოლორიტიში. განცდების კოლორიტი ფსიქიკური  
სტრუქტურის ბეჭედს ატარებს. ეს აადვილებს მათს შესწავლას;  
იგი განსაზღვრავს ფსიქოლოგიაში საკითხების დასმას და ჰიპო-  
თეზების დაშვებას

[რომ ეს ასე არ იყო, ე. ი. რომ „არაცნობიერი“ როგორღაც  
თავის ბუნებას არ ამუდავნებდეს და ამით აზროვნებას გზას არ  
უკვლევდეს, შემთხვევითი იქნებოდა მისი აღმოჩენა და მეც-  
ნიერების წინსვლა. უნდა განვასხვავოთ: 1) უშუალოდ მოვლინე-  
ბა, 2) ნიშან-სიმბოლოს სახით მოვლინება და 3) დასკვნა მხოლოდ  
ნახული კანონზომიერების ნიადაგზე. კრიუგერის თვალსაზრისი  
თითქოს მეორე სახის მოცემულობას გულისხმობს]. ხასიათის  
ყველაზე ინტიმური სტრუქტურული კავშირიც კი ამუდავნებს  
თავის ბუნებას უშუალოდ განცდაში; ყველაზე ნათლად ჩვენი  
გრძნობის სიღრმის სამუდამებით. ზოგჯერ ეს დამახასიათებელი

განცდები, ე.ი. ისეთი განცდები, სადაც სტრუქტურის ელფერი ნათლად ჩანს, გვხვდება გეშტალტურსა და ნებელობით ფორმებში (Krueger II გვ. 46) სტრუქტურა არის კონსტანტური ფუნქციების ჯამი, სადაც შინაგანი კავშირი არ არსებობს, არამედ იგი წარმოადგენს მთელ ფსიქო-ფიზიკურ მთლიანობას. ის არ არის არც ცარიელი შესაძლებლობა, არამედ უდიდესი გარკვეულობის მქონე, რომელსაც ვალწევთ უშუალოდ მოცემული ფაქტების დაკვირვებისა და მათ შორის ფენომენალოგიური და კონდიციონალური კავშირების დამყარების გზით. ამ გზით ვიცით, რომ სტრუქტურა არის დანაწევრებული და შინაგანად შედარებით დახშული დისპოზიციონალური მთელი; პარციალური დისპოზიციების შემთხვევაშიაც გვაქვს საქმე მათს დისპოზიციონალურ კავშირთან ფსიქო-ფიზიკურ მთლიან სისტემასთან. ეს ნათლად ჩანს მაგ. ე.წ. *gestaltungsdrang*-ის (seifert) არსებობის ფაქტში.

თუ ფსიქიკური სინამდვილე უკავშირო განცდებისაგან შედგება, ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება, შეუძლებელია. ნიჭთა ფსიქოლოგიის ნაკლი უმთავრესად იმაში მდგომარეობდა, რომ ახდენდა ნაჩქარევ განზოგადობას, განცდების გაობიექტიბას და უკეთეს შემთხვევაში გვაძლევდა მშრალ კლასიფიკაციას. ჩვენი ამოცანაა, კრიუგერის აზრით, იზოლირებული ძალის ცნებები წინამეცნიერული ფსიქოლოგიისა და ნიჭთა ფსიქოლოგიის, დოგმატური ობიექტივაცია და მშრალი კლასიფიკაცია შევცვალოთ ფუნქციონალური კონსტანტების საშუალებით. [კრიუგერის შეხედულება „შინაარსის ცვალებადობაზე და ფუნქციის კონსტანტობაზე, ჰერაკლიტის შეხედულებასთან მსგავსება. შეად. კრიუგერის, *Entwicklungspsychologie*] უნდა შევექმნათ, მაშასადამე, ეს არის ფუნქციონალური კონსტანტი, — ეგზაქტურად აღწერილ ფსიქიკურ კანონზომიერებათა ცნება, შემონმებისათვის მისანვდომი ჰიპოთეზი იმ კავშირის აუცილებლობის შესახებ, რომელიც არსებობს ნაგულისხმევ (*gedachten*) ფსიქოლოგიურ პირობებსა და შედეგს შორის, და საბოლოოდ უნდა მივალწიოთ ფსიქიკურ კანონზომიერებათა სისტემას. ეს ამოცანა უნდა შეასრულოს სტრუქტურის ცნებამ. (აქ საქმე უნდა გვქონდეს უშუალოდ განცდილ, დესკრიპ-

ტულ კანონზომიერებათა ტრანსცენდენტაციასთან). ფსიქოლო-  
გიურ პირობათა კავშირების შესახებ კვლევა-ძიების მაგივრად,  
ფიზიოლოგიური ანალოგიების მოყვანა არ ხდის შესაძლებლად  
ახსნითს ფსიქოლოგიას.

თუმცა სტრუქტურა გულისხმობს ყოველი პარციალური  
სტრუქტურის გაერთმთლიანებას ერთ დისპოზიციონალურ  
მთელში, მაგრამ აქედან სრულიად არ გამომდინარეობს, რომ  
სტრუქტურის ცნება უსათუოდ ტელეოლოგიურ იდეებს უნდა  
დაუკავშირდეს. ეს შეცდომა მუდამ მოსდიოდა დილტაის, რო-  
გორც აღნიშნული იყო, და მხოლოდ ზოგიერთი მისი მონაფე  
განთავისუფლდა ამ შეცდომისაგან. მიმართება მიზანსა და  
საშუალებას შორის არ არის სტრუქტურისათვის არსებითი.  
არის მთელი რიგი ფსიქიკური სტრუქტურებისა, სადაც ასე-  
თი მიმართება არ არსებობს. სტრუქტურას აქვს უნარი დაუს-  
რულებლად ვითარდებოდეს და აქ ფსიქოლოგიურად საბუთ-  
დება აბსოლიტური ღირებულების იდეა. აბსოლუტური მიზნის  
ცნება უაზროა, რადგან არ არსებობს არავითარი აბსოლუტური  
მიზანი. მიზნის ცნება არა მარტო ფსიქოლოგებმა უნდა შეცვა-  
ლონ სტრუქტურის ცნებით, არამედ ბიოლოგებმაც. (საწინააღმ-  
დეგო შეხედულებებს იცავენ ვ. შტერნი და დრიში).

სტრუქტურის ცნებაში ერთი მომენტი კიდევ უნდა იქნას  
აღნიშნული, რომელიც თვითონ დილტაის მუდამ მხედველობაში  
ჰქონდა. ეს მომენტი იმაში გამოიხატება, რომ სტრუქტურა მუ-  
დამ დაკავშირებულია განვითარების ნებასთან. დილტაის სკოლა  
და განსაკუთრებით ფენომენოლოგები განზრახ გვერდს უვლიან  
განვითარების საკითხებს. ეს უნდა უეჭველ ნაკლად ჩაითვალოს:  
აქ არ არის მხედველობაში მიღებული სულიერი პროცესების სო-  
ციალური და ისტორიული დაპირობება, არ არის შეგნებული ის  
აზრი, რომ ინდივიდი მხოლოდ აბსტრაქციაა. (კრიუგერის მიერ  
ფენომენოლოგების მიმართ თქმული გაუგებრობის ნაყოფია).

არსებობს მთლიანი ფსიქო=ფიზიკური სტრუქტურა, რო-  
მელიც საფუძვლად უდევს ყოველგვარ ფსიქიკურ პროცესს  
(Krueger II გვ. 55). ყოველგვარი ცდა ერთი ფსიქოლოგიის შე-  
ქმნისა უნდა ემყარებოდეს ბიოთეორიულ კვლევასთან ერთად,  
სტრუქტურის განვითარების აზრს (Krueger II გვ. 56).

განვითარების ცნების მომარჯვება სხვათა შორის, ის მნიშვნელობაც აქვს სტრუქტურული კვლევის საქმეში, რომ ამ გზით ჩვენ სტრუქტურის ისეთ თავისებურებას ვწვდებით, რომელიც უამისოდ ჩვენთვის სრულიად დაფარული იქნებოდა. ის ფაქტი, რომელიც ველური ან ბავშვი ერთ რომელიმე მოტივს შეიძლება მოუწყენლად იმეორებდეს მთელი დღის განმავლობაში და რომ ასეთი მოტივი მონიფულ ევროპიელს ერთი გამეორების შემდეგ არასასიამოვნოდ და მომაბეზრებლად ეჩვენება, ამტკიცებს იმას, რომ სტრუქტურულ მთლიანთა სიმტკიცე სხვადასხვაა ფილო და ონტო-გენეტიური განვითარების სხვადასხვა საფეხურზე. თვით ერთისა და იმავე სუბიექტის მიმართაც შეგვიძლია აღმოვაჩინოთ ემოციონალური განცდების მეტნაკლები სტაბილურობა: ზოგი მათგანი მყისვე კარგავს თავის სიმცირეს, ემოციონალობას, მაგ, რომელიმე პრიმიტიული მოტივი, ხოლო ზოგი, მაგ: მოცარტის მელოდიები მრავალჯერ გამეორების შედეგაც როგორც სასიამოვნო განიცდება. ეს ფაქტი იმ მხრივ არის მნიშვნელოვანი, რომ დესკრიფციის მონაცემის ნიადაგზე სტრუქტურული კვლევის წარმოების დროს წინასწარ გვეძლევა სახელმძღვანელო ძაფი იმისთვის, თუ საით უნდა ვეძიოთ სტაბილური სტრუქტურული მთლიანი და როგორი სახით უნდა გვექონდეს იგი წარმოდგენილი იმ თავისებურებათა შესწავლის ნიადაგზე, რომელსაც ფენომენოლოგიური ფსიქიკური, განსაკუთრებით კი ემოციონალური სამყარო ამჟღავნებს მეტნაკლები ცვალებადობის სახით. (Krueger III გვ. 120).

1915 წელს დაიწყო ფ. კრიუგერმა განვითარების სხვადასხვა საკითხებზე მონოგრაფიების გამოცემა, ერთი მათგანი, სახელდობრ H. Volkelt-ის შრომა, უკვე იყო ზემოთ ნახსენები. ამჟამად ჩვენ გვაინტერესებს თვითონ კრიუგერის წიგნი, სადაც მოცემულია პრინციპულ-თეორიული დასაბუთება და განვითარების ფსიქოლოგიის მთავარი ხაზები, როგორც ეს კრიუგერს ესმოდა. ამ წიგნით (Krueger V) ავტორმა მოგვცა არა მარტო განვითარების ფსიქოლოგიის ერთ-ერთი სისტემის საფუძვლები, არამედ აქ არის აგრეთვე მოცემული თავისებური შეხედულება იმ სადაო საკითხზე, რომელიც შეეხება ფსიქოლოგიის ადგილს ისტორიულ და ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა შორის, საკითხს,

რომელზედაც გარკვეული პასუხის გაცემა არის გარკვეული აზრის გამოთქმა ფსიქოლოგიაზე, როგორც მეცნიერებაზე და მთელი შემდეგი ფსიქოლოგიური მუშაობის წინამძღვარი.

ისტორიულად ესქპერიმენტალური ფსიქოლოგიის შექმნას მექანიკური იდეალი ამოძრავებდა; ამ მიზნით ხდება გასაგები მისი ბუნება, მისი ნაკლი და უპირატესობაც; მას შემდეგ, რაც არა ერთგზის იყო გამორკვეული, რომ ფსიქიკური სინამდვილე არსებითად თავისებური და განსხვავებულია მექანიკის პრინციპით აგებული ანორგანული ბუნებისაგან, რჩება როგორც საგანგებო კვლევის საგანი იმ ფაქტის ახსნა, რომ ემპირიულმა, მექანიკურმა ფსიქოლოგიამ მაინც შექმნა ფსიქოლოგიაში ერთგვარი ღირებულება და დღემდის თითქმის ვერცერთ თანამედროვე ფსიქოლოგიურ მიმართულებას ვერ მოუხერხებია მასთან აბსოლუტურად კავშირის განწყვეტა და ვერ დაუთმია ასოციაციონისტური ფსიქოლოგიის ზოგი პრინციპი მაინც. მაგრამ ერთი რამ მაინც უეჭველად გამოირკვა, სახელდობრ ის რომ კლასიკური ფსიქოლოგია სრულიად უძლური იყო ჰუმანიტარული მეცნიერებისათვის მიეცა ის სახელმძღვანელო პრინციპები, რომელსაც იგი ფსიქოლოგიისაგან მოელოდა. ფსიქოლოგია სულ უფრო და უფრო ნყვეტდა კავშირს სპეციალურ გონითს მეცნიერებებთან, კარგავდა კავშირს კონკრეტულ სინამდვილესთან და გონითს კულტურასთან. ამიტომ ბუნებრივი იყო, რომ დაისვა საკითხი რადიკალურად: რით აიხსნება ეს ფაქტი? რატომ არის ასეთი უფსკრული ფსიქოლოგიასა და გონითს მეცნიერებებს შორის? არის ეს მხოლოდ დროებითი, ფაქტიური მდგომარეობა, რაც ფსიქოლოგიის განუვითარებლობას ემყარება, თუ აქ რაღაც პრინციპული ხასიათის გადაულახავ მიზეზებთან გვაქვს საქმე?

ზოგი მკვლევარი ამ საკითხების გასარკვევად ლოგიკურ მოსაზრებებს მიმართავს და ხსენებული კოლიზიის მიზეზებს ეძებს იმ ლოგიკურ-გნოსეოლოგიურ თავისებურებაში, რომელიც „ისტორიულ“ და ფსიქოლოგიურ შემეცნებას შორის არსებობს.

ჯერ ვინდელბანდმა და შემდეგ განსაკუთრებით რიკერტმა იმუშავეს ისეთი ლოგიკის შექმნაზე, რომელიც ბუნებისმეტყველების იქით მდებარე სინამდვილის კანონზომიერებას.

ითვალისწინებდა. ასეთ სინამდვილედ ისტორიული სინამდვილე ითვლება და რიკერტის მიერ შექმნილ ლოგიკასაც ისტორიული მეცნიერების ლოგიკა ეწოდება, განსხვავებით ბუნებმეტყველების ლოგიკისაგან. ამის შემდეგ ყველასათვის ნათელი შეიქმნა, რომ არსებული ორი, სრულიად ერთიმეორისაგან განსხვავებული სახე შემეცნებისა – ბუნებითი და ისტორიული, – რომელთა შორის ერთი ზოგადი კანონზომიერებისკენ მიისწრაფის და ფაქტებს მხოლოდ საილუსტრაციო მნიშვნელობას აწერს, ხოლო მეორე თვით ფაქტების ფაქტობით არის დაინტერესებული. უკანასკნელი სახე შემეცნებისა საფუძვლად ედება ე.წ. ჰუმანიტარულ გონისმეცნიერებათა დისციპლინებს, და ბუნებრივი იყო, რომ რიკერტის წინაშე დაისვა საკითხი ფსიქოლოგიის ადგილის შესახებ. სად უნდა ყოფილიყო ფსიქოლოგია მოთავსებული? რა როლი უნდა ეთამაშნა მას ჰუმანიტარულ-ისტორიულ მეცნიერებათა მიმართ ლამპრეხტი, ვუნდტი და ზიგვარდტი არსებითად იმ აზრისანი იყვნენ, რომ „ისტორიის გულს ქმნის ადამიანის შინაგანი გონითი პროცესები“ – (ზიგვარდტი – „ლოგიკა“, I ტ. გამოც. 2. გვ. 186) და ისტორიული გაგება არის მისი გონითი საფუძვლების გამოძებნა მეტი არაფერი. რიკერტის ამ საკითხში სულ სხვა შეხედულებას ავითარებს. აბსტრაქციის როლის საკითხს მეცნიერების მეთოდოლოგიისთვის აქ გადამწყვეტი ღირებულება ეძლევა. რა არის შემეცნების საგანი ბუნებისმეტყველისათვის? უშუალოდ მოცემული, თუ გონებით შექმნილი, აზროვნებით მიღწეული აბსტრაქტი? რიკერტი აზრით ეს უკანასკნელი, და როცა იგი ამ თვალსაზრისით უდგება ფსიქოლოგიას, აღნიშნავს, რომ აქაც აბსტრაქტულ მეცნიერებას აქვს ადგილი, აქაც ზოგადი კანონზომიერება კვლევის მიზნად დასახული და ამიტომ მის ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა ჯგუფში მოთავსება აუცილებელია. მივიღეთ ერთგვარი პარადოქსალური შედეგი: იმის მაგივრად, რომ ფსიქოლოგია გამხდარიყო გონით მეცნიერებათა საფუძველმდებლად, თითონ დარჩა მეცნიერებათა ამ ჯგუფის გარეშე. ფსიქოლოგია ვერაფერს აძლევს ისტორიულ მეცნიერებებს და ეს დაკანონებულია და გასაგები, რადგან ფსიქოლოგია არაფრით არ დგას ისტორიულ მეცნიერებასთან უფრო ახლო, ვიდრე ფიზიკა.

იყო თუ არა რიკერტი მართალი? ფსიქოლოგთა უმრავლესობა დღეს აღიარებს, რომ მისი ლოგიკა მოსაზრებები დაუსაბუთებელია, მაგრამ იმ მოტივებით გადალახვა, რომელმაც განსაზღვრა რიკერტის ეს შეხედულება, ჯერ კიდევ არ მომხდარა. რა იყო ეს მოტივი? რამ მისცა რიკერტს საბაზი ფსიქოლოგია არა-ისტორიულ მეცნიერებად გამოეცხადებია? კრიუგერი სამართლიანად აღნიშნავს და ვრცლად ასაბუთებს, რომ რამდენადაც საქმე იმ დროის და ნაწილობრივ თანამედროვე ფსიქოლოგიის მდგომარეობას შეეხება, რიკერტი მართალი იყო: ეს ფსიქოლოგია, გატაცებული მექანიკური იდეალით, მართლაც მოკლებული იყო ისტორიულობის ყოველგვარ ნიშანს და მისი მოთავსება ფიზიკისა და ქიმიის გვერდით უფრო შესაფერისი იყო, ვიდრე ისტორიის მეზობლად. ფსიქოლოგიის პიროვნება არ იყო რეალური, კონკრეტული, ცოცხალი პიროვნება, რომელიც იცვლება, ვითარდება და ამით ავითარებს და ქმნის კულტურას, ისტორიას, არამედ ერთ ნერტილზე გაყინული, ატომისტურად უცვლელად და ამორფულად წარმოდგენილი შეგრძნებებისაგან შემდგარი. ასეთი უსიცოცხლო პიროვნება ვერ აგვისსნიდა ცოცხალი პროცესების შესწავლას.

საჭირო იყო ფსიქოლოგიის ამ სახით შეცვლა; საჭირო იყო, თუ ფსიქოლოგია კისრულობდა პიროვნების მოქმედების გაგებას, მისი ისტორიული განვითარების ახსნას, უფრო კონკრეტულის, უფრო რეალურის შესწავლა, ვიდრე იყო საგანი ე.წ. ემპირიული ფსიქოლოგიისა.

ძირითადი დებულება კრიუგერისთვის (ამ საკითხში) არის ელემენტის საგნობრივი უცვლელობის დომის უარყოფა და განვითარების ფსიქიკურ სინამდვილის არსებით ნიშნად გამოცხადება.

ფსიქოლოგია იცნობს მრავალ კრიტიკას, მიმართულს ასოციაციონიზმის ატომიზმის წინააღმდეგ, ბევრმა განთქმულმა ფსიქოლოგმა და ფილოსოფოსმა სცადა ფსიქიკური სინამდვილე მისთვის შეუფერებელი წარმოდგენებისაგან გაეთავისუფლებია, მაგრამ შეიძლება გადაუმეტებლად ითქვას, რომ ეს ამოცანა ისე დამარწმუნებლად, ისე მეცნიერულად და ისიც ექსპერიმენტული ანალიზის საშუალებით არავის არ შეუსრულებია, რო-

გორც ეს კრიუგერმა მოახერხა. ექსპერიმენტალურ-ფსიქოლო-  
გიურ მუშაობაში უშუალო მონაწილეობა, მთელი თანამედროვე  
ფსიქოლოგიურ მდგომარეობის სისრულით შესწავლა და საჭირო  
ფილოსოფიური მომზადება, აძლევს მას საშუალებას ფსიქოლო-  
გიის ძირითადი ტენდენცია ექსპერიმენტალურად დაასაბუ-  
თოს და ზოგადი მეთოდოლოგიისა და შემეცნების თეორიის  
მოთხოვნილებებს შეუთანხმოს.

კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითად ცნებას შეგრძნება  
წარმოადგენდა. ის იგულისხმებოდა, როგორც „უკანასკნელი  
მონაცემი“, რომელიც თვით უცვლელად იყო წარმოდგენილი  
და ყოველგვარი სირთულის შემადგენელ ნაწილად იგულისხ-  
მებოდა. უუნდტი ამ ცნებაში მარტივ განცდის შინაარსს გუ-  
ლისხმობდა. შემდეგში ფიზიკურ-ფიზიოლოგიური და გენე-  
ტურ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისების მომარჯვების გამო  
შეგრძნების სიმარტივის ნიშანი უკანა რიგში მოთავსდა და  
შეგრძნობამ შემდეგი განმარტება მიიღო: ის არის ფსიქიკური  
კორელატი გარეგანდობისა, თუ ეს უკანასკნელი  
გრძნობის გარკვეულ ორგანოზე მოქმედებს და – თუ იგი  
თავისუფალია ყოველგვარი გამოცდილებით დანართისაგან.  
თუ ეს აზრი მართებულად ჩავთვალეთ, ადვილია მექანიკური  
ფსიქოლოგიის შექმნა. მთელი სირთულე განცდათა მაშინ იქნე-  
ბა მხოლოდ უცვლელ „წმინდა შეგრძნებათა“ სხვადასხვა სახის  
კომბინაცია, და შეგრძნების ძირითადი კანონებით ახსნილი და  
გაგებული იქნება პიროვნების ყოველგვარი გამოვლინება.

კრიუგერის აზრით სრულიად მიუღებელია საქმის ასე წარ-  
მოდგენა; შეცდომაა ის აზრი, თითქოს არსებობს წმინდა შეგ-  
რძნებები იმ აზრით, რომ ისინი სრულიად არ ექვემდებარებიან  
განმცდელ ინდივიდს სულიერ წინარე-ისტორიას. ფაქტიურად,  
რამდენადაც შეგრძნების განცდა შეიძლება როგორმე შემწ-  
ნეულ იქნას, ასეთი ის არასოდეს არ არის; მხოლოდ ჯერ არდ-  
ბადებული ემბრიონის შესახებ შეგვეძლო გვეთქვა, რომ ის არის  
მატარებელი იმ თვისების, რომელსაც ფსიქოლოგთა უმრავლეს-  
ობა შეგრძნების სინმინდეს ეძახის. შეგრძნების ამ საგნობრივი  
უცვლელობის დოგმას ის უდევს საფუძვლად, რომ არ იყო ერ-  
თიმეორისაგან სათანადოდ განსხვავებული განცდების ანალ-

იზი პირობების ანალიზისაგან და უკანასკნელთა კონსტანტობიდან პირდაპირ ასკვნიდენ განცდის კონსტანტობის შესახებ. მხედველობაში არ იყო მიღებული შინაგანი ფაქტორები, მაგ; ყურადღება რომელიც თავისებურად განსაზღვრავდა გარედან მომდინარე ზემოქმედებას. (კრიუგერი თავის შეხედულებას ყურადღებაზე იცვლის შემდეგ შრომებში: აქ ყურადღება აღარ იხმარება როგორც ახსნის პრინციპი). ნამდვილად არ არსებობს არცერთი ისეთი განცდა, რომელიც არ იყოს დალდასმული წინამორბედი განცდების მიერ.

კრიუგერი სასიამოვნოდ თვლის იმ მოვლენას, რომ უკანასკნელად ფსიქოლოგია გასცილდა მარტივი შინაარსების კვლევას და რთული განცდების ექსპერიმენტულ კვლევას შეუდგა. განსაკუთრებით წინ წავიდა აზროვნების ფსიქოლოგია. მაგრამ მასაც თან დაჰყვა ნაკლი გენეტური თვალსაზრისის უგულებელყოფისა. ჰერდერის, ჰუმბოლტისა და განსაკუთრებით ვუნდტის შემდეგ, დაუშვებლად უნდა ჩაითვალოს აზროვნების შესწავლა მეტყველების ფაქტებისაგან განცალკევებით; მხოლოდ ამ ფაქტების მხედველობაში მიღება გვაძლევს საშუალებას დავინახოთ განვითარების ის მომენტები, რომლებიც მასში ნაგულისხმევმა სააზროვნო ფაქტებმა განვლეს თავისი არსებობის განმავლობაში. განცდათა ყოველგვარი სირთულე არის სირთულე განვითარების გზით მიღებული და ამიტომ, რაც უფრო რთულია მოვლენა, მით უფრო მეტად არის საჭირო შედარებითი-გენეტური მეთოდის მომარჯვება მისი შესწავლისათვის და ნაკლები მნიშვნელობის მქონეა აბსტრაქტული ფენომენოლოგიური მიდგომა და ე.წ. „წმინდა აღწერის“ მეთოდი. უკანასკნელი გვითვალისწინებს მხოლოდ დროის გარკვეულ ნაკვეთში არსებულ განცდათა ბუნებას, სადაც არასოდეს არ არის მოცემული ის პირობები, რომლებმაც მისი თავისებურება შექმნეს. და რამდენადაც ამ პირობათა ცოდნა აუცილებელია ამ ფენომენის შესწავლისათვის, ჩვენ იძულებული ვართ უშუალოდ მოცემულს გავცილდეთ და სხვა მრავალი შემოვლილი გზით მოვახერხოთ იმ წინა ფორმების გათვალისწინება, რომლებიც, როგორც მარტივნი, უფრო გასაგებია და რომლებიც, ჩვენი ფენომენის წინამორბედის როლში

გამოსვლის გამო, ახსნითი ამოცანების გადაჭრის საქმეში თამაშობენ გადამწყვეტ როლს. აქ ექსპერიმენტულ=ფენომენოლოგიური მეთოდი უნდა შეესებულ იქნას შედარების მეთოდით, რომელიც, თუმცა არ არის ექსპერიმენტული, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, მაგრამ ეს მას ხელს არ უშლის ექსპერიმენტზე არანაკლები სიზუსტის იყო რომელი ფსიქიკური ფენომენიც არ უნდა ავიღოთ, მისი მარტო მშრალი მორფოლოგიური ანალიზი უკეთეს შემთხვევაშიაც მოკლებულია სისრულეს. ყოველი განცდა არის შედეგი და იმავე დროს ამოსავალი წერტილი განვითარებისა. უშუალოდ მოცემული ფსიქიკური არის მხოლოდ უკანასკნელი წვერი განვითარების რიგისა და თავისთავად განხილული, ყოველგვარი ფსიქიკური პროცესი ატარებს ცოცხალი განვითარების ცნების ნიშანს (Krueger V - 99).

როდესაც კრიუგერის გენეტურ ფსიქოლოგიაზე ვლაპარაკობთ, ყოველთვის მხედველობაში უნდა გვექონდეს ის გარემოება, რომ მისთვის დამახასიათებელია არა მარტო ის, რომ ყურადღების ცენტრში მოქცეულია ფსიქიკურის პროცესში, მის გართულებაში წამოჭრილი საკითხები, არამედ ისიც, რომ მთავარი მნიშვნელობა ენიჭება განვითარების არა ბიოლოგიურ, არამედ სოციალურ ფაქტორს. უკანასკნელია ის, რამაც ჩვენთვის განვითარების აუცილებლობა უნდა გახადოს გასაგები. არ არსებობს ფსიქიკურის განვითარება, გარეშე საზოგადოებისა ის არის უკანასკნელი საფუძველი იმ მოვლენების, რომლებსაც ჩვენ განვიცდით. თვითონ კრიუგერმა ტონების ექსპერიმენტული შესწავლის დროს ნათელი გახადა, თუ რაოდენ დამოკიდებულია მუსიკალური განცდის ფაქტები, როგორიცაა, მაგ; კონსტანტური ტონების. მსგავსება, ინტერვალის განსხვავებულობის განცდის სხვადასხვაობა, თავისებური გრძნობითი ტონის თანხლება და სხვა, იმ გამოცდილებაზე, რომლის მატარებელიც იყო თითოეული ცდის პირი. უკანასკნელი მიზეზი ადამიანთა მუსიკალური და სხვა ყოველგვარი გამოცდილებისა არის ის კულტურული საზოგადოებრივი წრე, რომელშიაც ცხოვრობენ ისინი. (Krueger V - 97).

ცხადია, რომ პიროვნება გათვალისწინებული ისეთ კონტე-

ქსტში, სადაც მხედველობაში მიღებულია მისი კონკრეტული ცვალებადი ბუნება, მისი ისტორიული და სოციალური მომენტები, სადაც უარყოფილია სულიერი ფენომენების მექანიკური აბსტრაქცია იმ რეალური პირობებისაგან, რომლებიც მთლიანად ასულდგმულებს პიროვნებას, ქმნის მის განვითარების აუცილებლობას და სავსებით განსაზღვრავს ყოველგვარ სპეციფიკურობას, რომელიც თავს იჩენს მასში, გაცილებით უფრო გამოსადეგია ისტორიულ მეცნიერებათათვის, ვიდრე ასოციაციონალური ფსიქოლოგიის ჰიპოთეტური, ამორფული შეგრძნებებისაგან შემდგარად ნაგულისხმევი ადამიანი.

კრიუგერი ებრძვის აბსტრაქტულ ადამიანს არა იმიტომ, რომ მისთვის აბსტრაქცია მიუღებელია ფსიქოლოგიაში. არა, მისთვის ყოველგვარი მეცნიერება აბსტრაქციას საჭიროებს, მაგრამ ყოველთვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, რომ სინამდვილის სხვადასხვა სფეროები თანასწორად არ ეგუებიან ამ ლოგიკურ ოპერაციას, ან უკეთ: აბსტრაქცია სინამდვილის ზოგ განაკვეთში უფრო მეტად და ზოგში უფრო ნაკლებად სწვდება იმას, რაც არსებითია მასში, რისი გათვალისწინებაც საშუალებას გვაძლევს მოვლენაზე მისი ბუნების შესაფერისი წარმოდგენა ვიქონიოთ. მექანიკის სწრაფი განვითარების საფუძველი იმაში მდგომარეობს, რომ ის ახდენს ფართო რედუქციას სინამდვილის კონკრეტული მომენტებისას ისტორიული წარსულისაგან. აბსტრაქცია არასოდეს ისე სრული არ იქნება ფსიქოლოგიაში, როგორც ეს ფიზიკაში და ქიმიაშია, აქ მხოლოდ ვინრო ფარგლებშია შესაძლებელი გატარდეს აბსტრაქცია; სახელდობრ, შეგრძნებების არეში. რომელთა შესწავლით ამიტომაც დაიწყო თავისი მუშაობა მექანიკური იდეალით გამსჭვალულმა ასოციაციონურმა ფსიქოლოგიამ. შეგრძნებათა ამ ვინრო ფარგლებში შეიძლება ნაყოფიერი მუშაობა იმ მეთოდითაც, რომელიც სრულიად არ აქცევს ყურადღებას იმას, თუ ვინ არიან ცდის პირებად აყვანილი: ინგლისელი თუ აფრიკელი, მეცნიერულად განათლებული, თუ იდიოტი. მაგრამ თვით შეგრძნებათა ფსიქოლოგებსაც, არ შეუძლიათ იმდენად შორს წავიდნენ აბსტრაქციის გზაზე, როგორც ეს შეუძლიათ ფიზიოლოგებს გრძნობის ორგანოების

ფიზიოლოგიური პროცესების შესწავლის დროს. არ არის ისეთი მარტივი გაცნობა, რომელიც ვარჯიშს და თანავარჯიშს არ ექვემდებარებოდეს. ყველა გაცნობები იმყოფება ერთმანეთის მიმართ გარკვეულ კორელაციაში. აქ ყოველთვის თავს იჩენს აგრეთვე გამცდელის და მისი საზოგადოების წინარე ისტორიის ზეგავლენაც (Krueger V 118).

ჩვენ ვუბრუნდებით ზემოთდასმულ კითხვას: სად უნდა მოთავსდეს ფსიქოლოგია, „ისტორიულ“ თუ ბუნებისმეტყველურ მეცნიერებათა არეში? კრიუგერისათვის ასეთი ალტერნატივი არ არსებობს. ის ასხვავებს ერთმანეთისაგან განვითარების ისტორიას და მის თეორიას.

ისტორიული შემეცნება ყოველთვის ეხება მხოლოდ ფაქტს, რომელიც გარკვეული დროითი და სივრცით განისაზღვრება. განვითარების თეორია კი ყოველთვის სცილდება დროულ და ვრცელ განსაზღვრულებას და ზოგადი კანონების შემცველ შემეცნებას გვანვლის; ის არის ყოველთვის კანონის მეცნიერება (gesetzeswissenschaft) მაშინაც კი, როცა ასეთი შემეცნება გამოცდილებას არ სცილდება, არ არის ფილოსოფიური ხასიათისა, იგი ზოგად კანონზომიერებას გვითვალისწინებს, რომელიც განვითარების ფაქტებს გასაგებად ხდის. ასეთ მეცნიერებაში ისტორიულ, განვითარების ფაქტებზე უფრო მეტი ლაპარაკია, ვიდრე რომელიმე სხვა კანონის-მეცნიერებაში, მაგ.; ფიზიკაში, მაგრამ ეს ხდება არა იმ მიზნით, რა მიზნითაც ისტორიული შემეცნება შეისწავლის ფაქტებს, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ გზით მიღწეულ იქნას განვითარების კანონები. ისტორიული მეცნიერებაც ხვდება კანონითს აუცილებლობას, მაგრამ იგი არა იმიტომ აქცევს მას ყურადღებას, რომ თავისთავად კანონი, აინტერესებს, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ეს მისი ისტორიული შემეცნების მიზნისათვის არის გამოსადეგი.

განვითარების თეორია იმით განსხვავდება, მაშასადამე, ისტორიისაგან, რომ ის კანონის მეცნიერებაა. მაგრამ ამის გამო იგი მაინც ვერ მოთავსდება იმავე კატეგორიაში, რომელშიაც ფიზიკაა მოთავსებული. აქ გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ კანონი ფიზიკისა და კანონი განვითარებისა არსებით-

თად სხვადასხვა ბუნებისა არიან. მხოლოდ ამ პირველის შესახებ ითქმის, რომ იგი ყოველი დროულისაგან აბსტრაქციას ახდენს და ყოველგვარ ცვლილებაში მარადიულ უცვლელს ექცევა. ამ მისწრაფებით იგი მათემატიკას ემსგავსება და მისი კანონის ღირებულება იმით განიზომება, თუ რამდენად არის იგი დამოკიდებული ფაქტების დროულ და ვრცელ თვისებებზე, და ამით მათემატიკურ ჭეშმარიტებას უახლოვდება.

ფსიქოლოგიას და გონითს მეცნიერებათა შორის არსებული კოლიზია, რომელიც ორივეს უარყოფით შედეგს უქადის, იმის შედეგია, კრიუგერის აზრით, რომ ფსიქოლოგები ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ იმ საკითხებს, რომლებიც არსებითი მნიშვნელობისაა გონითს მეცნიერებათა მუშაობაში. ეს საკითხებია: საზოგადოებრივი მოვლენების კანონიერი აუცილებლობა და მათი განვითარება. (Krueger V 36).

თანამედროვე „ზოგადი“ ფსიქოლოგია სრულიად უმართებულად ფარგლავს თავის კვლევის არეს ინდივიდით მის სტატიკაში განხილვით: ადამიანთა ერთად ცხოვრებისა და მათი ისტორიის როლი ფსიქიკურის ბუნებისათვის გაუთვალისწინებელი რჩება.

## პრიტიკა

კრიუგერის ფსიქოლოგიური თეორიის შეფასებისათვის მიზანშეწონილი იქნება თითოეულ ძირითად ცნებაზე, რომელთა დალაგება ზევით იყო მოცემული, შევჩერდეთ ცალკე და მხოლოდ ამ პარციალურ კრიტიკის შემდეგ დავსვათ კითხვა იმ ძირითადი მომენტის ღირებულების შესახებ, რომელიც ასულდგულებს ამ თეორიას.

დავინყოთ გეშტალტის ცნებიდან. – აქ ყურადღებას იპყრობს კრიუგერის შეხედულება იმ ადგილის შესახებ რომელსაც იჭერს გეშტალტი სხვა ფსიქიკურ ფენომენებს შორის და პიროვნების დისპოზიციონალური არის ის ტენდენციები, რომელთაც ააშკარავებს გეშტალტი საერთო თვისებები და რომელიც კერძოდ მის გენეზიში მჟღავნდება.

როგორც აღნიშნული იყო, ხსენებულ სკოლისათვის გეშტალტი ფორმალური პრინციპია და ამაში ის სავსებით მართალია, მაგრამ ჩვენთვის მიუღებელია ამ ცნების შემოფარგვლა მხოლოდ განცდათა გარკვეული ჯგუფით. გეშტალტი ითვლება დაკავშირებისა და დაუნანილებელი მთლიანობის შორის მდებარე ფენომენად. იგი მთლიანობის შემცველია და ამიტომ „დაკავშირებიდან“ პრინციპულად განსხვავებულია, ხოლო, როგორც დანაწევრების და შემოფარგულობის ნიშნის მქონე, იგი განსხვავდება, როგორც გრძნობისგან, ისე კომპლექს-კვალიტეტისგან. ცნება დაკავშირებისა ვერტჰაიმერმა შემოიღო ფსიქოლოგია განცდებზე იმ წარმოდგენის აღსანიშნავად, რომელიც დამახასიათებელია ასოციაციონურ ფსიქოლოგიისთვის. და მიუხედავად იმისა, რომ ვერტჰაიმერი და საერთოდ ბერლინის ფსიქოლოგიური სკოლა განუწყვეტელ ბრძოლას აწარმოებს თავის ჩასახვის დღიდგან დღემდის ამ ფსიქიკური ატომიზმის წინააღმდეგ, მაინც ვერ იქნა სავსებით გატებული ბოლომდის ანტიასოციაციონიზმი და ატომიზმს განცდათა სამყაროში. თუმცა მცირე, მაგრამ მაინც დაეთმო გარკვეული ადგილი.

ამ მხრივ შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ ლაიპციგის სკოლა საგრძნობლად წინ დგას ბერლინის სკოლაზე, თუმცა

არც ის არის სავსებით თავისუფალი ატომისტური და მექანი-  
სტური ელემენტებისგან. ამაში დარწმუნებისთვის საკმარისია იმ  
ცნების ანალიზი, რომელსაც „დაკავშირებას“ ეძახიან.

თუ ფსიქიკურში მაინც არსებობს ისეთი ელემენტები,  
რომელთა შორის არ არის მთლიანობის კავშირი, ცხადია, რომ  
ასოციაციონიზმი ნაწილობრივ მაინც მართალია. ასეთი განცდე-  
ბი უნდა შესწავლილ იქნას თანახმად მათი ბუნებისა, ე.ი. მექანი-  
კური თვალსაზრისით სადაც ყოველგვარი სირთულე უბრალო  
სიმრავლეა და მეტი არაფერი, სადაც არ არსებობს მთელის  
სპეციფიკური თვისება, მოხსნილია განვითარების შემოქმედებ-  
ითი და სინთეტურ-რომელობითი ხასიათი.

ახლა, რომ შევადაროთ ამ პრინციპების ნიადაგზე გაშლილი  
შემეცნება სულიერი ცხოვრების შესახებ იმ სურათს, რომელსაც  
მთლიანობის ფსიქოლოგია გვაძლევს მათ შორის ისეთი განსხ-  
ვავება იქნება, რომ ვერავითარი უმაღლესი სინთეზი ამ ორი  
სახის შემეცნებას ერთ სისტემაში ვერ მოუყრის თავს. შეუ-  
ძლებელია ამიტომ საკითხის კომპრომისული გადაჭრა, სადაც  
თითქოს თავისი ადგილი დაეთმობა როგორც მთლიანობას, ისე  
ატამისტურ ფსიქოლოგიას. და ჩვენ შეგვეძლო ამ მოსაზრებით  
გვეხელმძღვანელა და ფსიქიკური სინამდვილის შემეცნებაში  
გადაგველახა ყოველგვარი დუალიზმი, მაგრამ ამ საკითხზე  
ლაიპციგის სკოლის შეხედულებათა გარჩევის ჩვენ არ გვჭირდე-  
ბა ზოგადი ფსიქოლოგიური და მონიტორი შეხედულების ლოგი-  
კური საფუძვლების გამოყენება აქ ჩვენ მარტო იმანენტური კრი-  
ტიკის ნიადაგზე დარჩენითაც შეგვიძლია დავამტკიცოთ, რომ  
ცნება „დაკავშირებისა“ ჰეტეროგენული მომენტია ამ სკოლის  
შეხედულებებში და მისი დატოვება იქ შინაგან წინააღმდეგო-  
ბას ქმნის, რომელიც მთელ სისტემას საფრთხეს უქმნის იმით,  
რომ მას ერთმევა უფლება ფსიქიკურის შესახებ სისტემას წარ-  
მოადგენდეს: აქ მთლიანობის ფსიქოლოგიური სისტემის გვერ-  
დით სავსებით სწორუფლებიან ადგილს იჭერს ატომისტური  
სისტემა, და ჩვენ საშულება არა გვაქვს ლაიპციგის სკოლა ერთი  
სახელწოდებით, ან მთლიანობის და ან ელემენტების სისტემით  
აღვნიშნოთ.

თანახმად კრიუგერის განვითარების თეორიისა, პირადი

მოცულობა მთლიანობას წარმოადგენს, რომელიც დიფერენციაციისაშუაშეც გამოიხატება ფსიქიკურის განსახიერება. წინსვლა თითქოს ატომიზაციას წარმოადგენდა და შესაძლებელია მან ისეთ დონესაც მიაღწიოს სადაც დიფერენციაცია ისე შორს იყო წასული, რომ ჩვენ პირველადი მთლიანობა სავსებით დაგვეკარგოს და მარტო ელემენტების უბრალო სიმრავლე დაგვრჩეს. გერტჰაიმერიც ამას მიუთითებს, რომ ე.წ. „დაკავშირება“ მხოლოდ კულტურის განვითარების უმაღლეს საფეხურზე გვხვდება და ისიც მხოლოდ გამონაკლისის სახით).

შეიძლება თუ არა ლაიპციგის სკოლა თანამიმდევარი იყოს და ილაპარაკოს ისეთი განცდების შესახებ, რომლებიც არსებითად ატომისტურ ბუნების არიან? ჩვენი აზრით, ხსენებულ სკოლას ამის უფლება არა აქვს. ჩვენ ვიცით, რომ ელემენტური შინაარსები შეუძლებელია ცნობიერების დასაწყისში არსებობდენ, რადგან პირველადი ყოველთვის ფილო- და ონტოგენეტურად დაუნაწევრებელ მთელს წარმოადგენს. რჩება ერთი შესაძლებლობა: ფსიქიკური ატომი განვითარების დასასრულში უნდა იმყოფებოდეს, და იბადება კითხვა: რა ეწინააღმდეგება ასეთ შესაძლებლობას?

მთლიანად რომ თვალი გადავაკლოთ ამ სკოლის ჩასახვას, მის განვითარებას და იმ საერთო ტენდენციებს, რომელსაც იგი ატარებს, ჩვენში უეჭველად შეიქმნება ის აზრი, რომ უმთავრესი ამ სკოლისათვის არის ატომიზმთან ბრძოლა და უნივერსალური მთლიანობაზე დამყარების ცდა ფსიქიკურის გასწვრივ მთლიანად. ამიტომაც ენოდება მას მთლიანობის თეორია. მაგრამ ამის გარდა, ბევრ ადგილას ჩვენ ვნახულობთ ამ სკოლის დამაარსებლის პირდაპირ განცხადებას, რომ ფსიქიკურისათვის დანაწევრება დამახასიათებელია, მაგრამ არასოდეს არ ხდება პირველადი მთლიანობის სრული დაშლა, ატომებად გადაქცევა. ყოველგვარი განცდა, ამბობს კრიუგერი, იღებს თავის დასაწყისს გრძნობებში და რაც გინდ დიდად არ უნდა გასცილდეს მას, ყოველთვის მაინც მეტ-ნაკლებად ატარებს მის ელფერს. გამოდის, რომ უგრძნობის ელფერო განცდა არ არსებობს და ყოველგვარი განცდა, რომელიც საერთოდ არსებობს ცნობიერებაში შეუძლებელია გრძნობის „სითბოს“ მოკლებული იყოს. გრძნო-

ბა ხომ მთლიანობის პროტოტიპია, – მისი არსი მთლიანობაა, რადგან იგი ცალკეული კვალიტეტი კი არაა, არამედ მთლიანი მდგომარეობის დახასიათება; და ცხადი არ არის, რომ განცდა, რომელიც გრძნობის ელფერს ატარებს, შეუძლებელია ატომისტური ბუნებისა იყოს? თვითონ ზანდერიც ერთ ადგილას ისეთ შეხედულებას ავითარებს გრძნობის და გეშტალტის მიმართების შესახებ, რომ ძნელია ამის შემდეგ მას უფლება ჰქონდეს „და-კავშირითი“ განცდების შესახებ ლაპარაკისა. მისი აზრით, გრძნობები გეშტალტის უბრალო თანმხლები განცდები კი არ არის, არამედ მისი განვითარების განმსაზღვრელია არსებითად. ყოველგვარი ქმნადობა გეშტალიტიკისა გრძნობით არის დაპირობებული და ამიტომ შეუძლებელია გეშტალტის განვითარება დიფერენციაციის გზაზე – (ელემენტი ხომ ამ გზით და მხოლოდ ამ გზით შეიძლება იქნას მოცემული) იქამდის მივიდეს, რომ მისი ბუნება არამც თუ არ ატარებდეს იმის დაღს, რამაც იგი შექმნა, არამედ მის საწინააღმდეგო თვისებას დაიცავდეს.

გეშტალტის განმარტება, მისი დესკრიპციული თეორია, მაშასადამე, უკვე საჭიროებს მნიშვნელოვან შესწორებას; როდესაც რომელიმე განცდის დესკრიპციული ბუნების შემოფარგვლა გვწადია და ამ გზით ვცდილობთ მისი მოსაზღვრე ცნებები დავასახელოთ, სავალდებულოა ისინიც (მოსაზღვრე ცხენებიც) დესკრიპციული ბუნების გამომხატველნი იყვნენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, დესკრიპციული თეორია ლოგიკურად არ არის შემუშავებული. ლაიპციგის სკოლის მიერ მიღებული განმარტება გეშტალტისა ამ პირობას ვერ აკმაყოფილებს: ერთ-ერთი მოსაზღვრე ცნება დესკრიპციულ ბუნებას მოკლებულია და ამიტომ გეშტალტი თავსდება დაუნანვერებელ მთელსა და „დაკავშირებს“ შორის, რომელთაგან პირველი – დესკრიპციული ცნებაა, ხოლო მეორე – არადესკრიპციული. „და-კავშირები“ არ არსებობს ცნობიერებაში და ამიტომ, კიდევ რომ მივიღოთ, რომ საერთოდ სადმე არსებობს ასეთი სინამდვილე, ზანდერის განმარტება მაინც არაფრით სჯობს იმ განმარტებას, რომელიც იტყოდა, მაგ, ქ. ტფილისის მდებარეობს ბაქოსა და პატიოსნებას შორის.

კრიუგერს არ აქვს უფლება ცნობიერებაში ატომისტური ბუნების შინაარსი აღიაროს,<sup>\*</sup> მაგრამ ჩვენ გვინტერესებს: რა სახის საბუთი აქვს მის თეორიას უმთლიანო განცდების უარსაყოფად.

ჩვენთვის აქ ორი პრინციპულად განსხვავებული გზა არსებობს: ერთ შემთხვევაში ჩვენს შეხედულებას ფსიქიკურის მთლიანობის შესახებ საფუძვლად უდევს სულიერი ცხოვრების ხანგრძლივი და სისტემატური დაკვირვება, სადაც ჩვენ მრავლად და შეიძლება ყოველთვის ვხედავთ მთლიან განცდებს; ხოლო მეორე შემთხვევაში ფსიქიკურში უდაოდ არსებული რომელიმე ცნების ანალიზის გზით გამოგვეყავს ზოგადი ხასიათის დასკვნა, რომ ფსიქიკური უდაოდ მთლიანობას უნდა წარმოადგენდეს. პირველი გზა არის ინდუქციის მეთოდით მავალი კვლევა-ძიება, ხოლო მეორე არსებითი პრინციპული ბუნებისაა და ყოველთვის გვაძლევს აპოდიქტურ მსჯელობებს, წინააღმდეგ პირველი გზისა, რომელიც ყოველთვის ფაქტიურს ე.წ. ემპირიული მსჯელობათ გვანდის.

კრიუგერის შეხედულებაში მთლიანობის შესახებ (აქ ჩვენ გემტალტზე ვლაპარაკობთ, როგორც მთლიანობის შემცველელ ფენომენზე) ერთია ყურადსაღები: ის, დილტაისთან ერთად, აღნიშნავს, რომ ფსიქიკური მთლიანობა დამტკიცებას არ საჭიროებს, მისი უშუალოდ მოცემულობის გამო, და ამდენად მთლიანობის პრობლემა ფსიქიკურში და მის გარეთ, არსებითად განსხვავებული ბუნებისაა. ეს მოსაზრება ჩვენ ძლიერ მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და ვფიქრობთ, რომ ყოველგვარი ცდა მთლიანობის მტკიცებისა, ფსიქიკური სინამდვილის გარეშე, ვალდებულია ამ ფაქტს ანგარიში გაუნიოს, მაგრამ ჩვენ ეს სავსებით არ გვაკმაყოფილებს. განცდა ხომ საბუთია მხოლოდ თავისთავის შესახებ, მას ზოგადი მნიშვნელობა არა აქვს. რას გვიმტკიცებს ჩვენ ის გარემოება, რომ ფსიქიკურ სინამდვილეში მთლიანობა ყოველგვარ ეჭვს გარეშეა როგორც უშუალო

---

\* სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თვითონ კრიუგერი არ ლაპარაკობს „და-კავშირების“ ცნობიერებაში არსებობის შესახებ, მაგრამ რადგან მისი ხელმძღვანელობით და რედაქციით გამოცემულ შრომებში ეს ნახმარია და ამის წინააღმდეგ კრიუგერი არაფერს ამბობს, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ის ამას პირადად (და არა მისი თეორია) არ ეწინააღმდეგება.

განცდა. ეს ფაქტი სავსებით დამარწმუნებლად ამტკიცებს იმას, რომ ამ სინამდვილეში შეიძლება რამ მთლიანი არსებობდეს, მაგრამ მისი არსებობის აუცილებლობაზე იგი აბსოლუტურად არაფერს არ გვეუბნება, რომ ჩვენ ერთჯერ ან აქამდის ყოველთვის მთლიანი განცდები გვექონდა, ეს ოდნავადაც არ ამტკიცებს იმას, რომ შემდეგშიაც ეს ასე იქნება და ან შეუძლებელია ისეთი განცდებიც არსებობდეს, რომელთაც ატომისტური ბუნება ახასიათებთ.

როგორც დავინახეთ, ლაიპციგის სკოლას ფსიქიკურის უნივერსალური მთლიანობის დასამტკიცებლად, მის უშუალო განცდის გარდა, სხვა საბუთიც მოეძებნება, გრძნობა მთლიანია და რადგან ყოველი ქვეშაირიტი განცდა გრძნობის ელფერს ატარებს, ისიც მთლიანი უნდა იყოს. მაგრამ ასეთი საბუთი რასაკვირველია არაა დამაკმაყოფილებელი, რადგან მთლიანობის აუცილებლობა აქაც დასამტკიცებელია და როგორც ქვევით დავინახავთ, კრიუგერს გრძნობის მთლიანობაზე ლაპარაკის დროს არსად ისეთი საბუთი არ მოყავს, რომელიც მის მთლიანობის აუცილებლობას ამტკიცებდეს. მაშასადამე აქ ორი რამ არის დასამტკიცებელი: გრძნობა თუ არა მთლიანობის შემცველი უნდა შეუძლებელი იყოს და სხვა ყოველგვარი განცდა უსათუოდ გრძნობასთან იყოს დაკავშირებული, რომ ამით მისგან მთლიანობის თვისება მიიღოს.

კრიუგერის მასწავლებელი, კორნელიუსი, ამ საკითხში უფრო პრინციპული ხასიათის მოსაზრებას მიმართავს. ცნობიერების მთლიანობა, რომელიც კორნელიუსის აზრით, ყოველთვის ერთგვარ სირთულეს გულისხმობს, რომლის კავშირშიაც იგი მდგომარეობს, არ შეიძლება არ იყოს ცნობიერებისათვის დამახასიათებელი, რადგან განცდა, რომელსაც ჩვენს სხვა განცდებთან კავშირი არა აქვს, არ არის ჩვენი განცდა, იგი თანასწორი უფლებით შეგვიძლია სხვა პიროვნების კუთვნილებად გამოვაცხადოთ და ამდენად იგი ჩვენთვის, როგორც განცდა, არ არსებობს. ამით ისიც არის ნათქვამი, რომ შეუძლებელია წარმოვიდგინოთ ჩვენი ცხოვრების ისეთი მდგომარეობა, სადაც განცდათა ერთგვარი სიმრავლე არ იყოს მოცემული და ყოველი ცალკე შინაარსი, როგორც მთელის ნაწილი, არ იყოს განცდილი და რადგან საქმის ეს მდგომარეობა ძალაშია ყოველი შესაძლებელი განცდისთვის,

იგი ტრანსცენდენტალურ კანონზომიერებას წარმოადგენს.

კორნელიუსს სხვა საბუთებიც მოყავს ცნობიერების მთლიანობის დასამტკიცებლად, მაგრამ მათი განხილვა აქ საჭიროდ არ მიგვაჩნია მით უმეტეს, რომ მათი ბუნება ისეთივეა, როგორც მოყვანილი საბუთისა. ამ უკანასკნელში ჩვენ უჭველი ღირებულების შემცვლელად მიგვაჩნია ის, რომ გამოყენებულია ანალიტურ-ტრანსცენდენტალური მეთოდი<sup>8</sup>, რომელიც ერთადერთი გზაა ცნობიერების მთლიანობის პრინციპული დასაბუთებისა. მაგრამ საქმე ამით არ თავდება. თუ, როგორც კორნელიუსი ფიქრობს, განცდები ე.წ. შინაარსებით ამოიწურება, მაშინ გაუგებარია, რატომ არ არის შესაძლებელი ერთი ელემენტის ცნობიერება. ამ გაგებით ხომ ყოველი განცდა თვით უნდა ატარებდეს იმანენტურად ცნობიერებას, რადგან სხვა განცდისგან იგი ამ თვისებას ვერ მიიღებს?

სხვა განცდაც ხომ ისეთივე „შინაარსია“ და როგორც ასეთი ვერავითარ სპეციფიკურ თვისებას ვერ უნდა ამჟღავნებდეს.

აქ მხოლოდ ერთი გამოსავალია: არსებობს „შინაარსებს“ გარდა სხვა რამეც, რომელსაც ის საკვირველი თვისება აქვს, რომ ყოველი შინაარსი, რომელსაც მასთან კავშირი აქვს, ცნობიერი ხდება. თ. ლიპსის თქმით, ცნობიერება ნიშნავს „მე“-სთან კავშირს, „მე“-ს მიკუთვნებას. მთლიანობა იმიტომ არის პრინციპულად აუცილებელი, რომ თვით ცნობიერება მთლიანობას გულისხმობს: ცალკე ელემენტი კარგავს ცნობიერებას და ფსიქიკურობასაც, ამბობს ა. ტუმარკინი (Tumarkin გვ. 36), მაგრამ არა იმიტომ კარგავს ცნობიერებას ელემენტი, რომ იგი ელემენტია, ცალკეული შინაარსია, მარტივია, როგორც ეს ტუმარკინს ჰგონია, არამედ იმიტომ, რომ იგი ცნობიერების აქტის გარეშეა. შეიძლება რთული კომპლექსი დარჩეს ცნობიერების გარეშე და მაშინ ის იყოს უცნობიერო და პირიქით: „ყურადღება“ ნაწილს მივაპყროთ და ის ამით გახდება ცნობიერი. ფსიქიკური „შინაარსები“ არ არიან ლოგიკურად დაკავშირებული მთლიანობასთან: თუ მივიღეთ, რომ ყოველი ფსიქიკური „შინაარსი“ იმანენტურად ატარებს ცნობიერებას, მაშინ სრულ ატომიზაციას წინ არაფერი უდგას, რადგან ცნობიერების შექმნისთვის ერთ

<sup>8</sup> შეად. ფსიქოლოგიური, ლოგიკური და მეტაფიზიკური ტრანსცენდენტალიზმის შესახებ.

ელემენტს მეორე არ ესაჭიროება, ერთის განცდა მეორისას არ საჭიროებს, ხოლო თუ ცნობიერებას „შინაარსები“ აქტთან დაკავშირებაში ლებულობენ, მაშინც მთლიანობა „შინაარსებს“ გარედან ევლინება: მათ თავისთავად კი არა აქვთ ეს თვისება, არამედ მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ისინი აქტის „საგნები“ არიან. განცდის მთლიანობა და მთლიანობის განცდა არ არის ერთი და იგივე: შეუძლებელია მთლიანობის განცდა მთლიანობა არ იყოს, მაგრამ ეს იმიტომ კი არა, რომ „საგანია“ მთლიანი, არამედ იმიტომ, რომ განცდა ყოველთვის მთლიანობის მატარებელია, რაც იქიდანაც ჩანს, რომ „და“-კავშირების განცდა, მაგალითად, თვითონ „და“-კავშირის ბუნებას არ ატარებს. „და“-კავშირები და ქაოსიც, ჩვეულებრივი გაგებით, სიმრავლეს გულისხმობს, რაც აუცილებლად აპრეჰენზიის სინთეზს ემყარება (კანტი), ე.ი. თვითონ განცდის მთლიანობაა, რაც ყოველგვარი სიმრავლის განცდას საფუძვლად უდევს. ცნობიერობაა ის, რაშიაც ფენომენოლოგიურად გამოიხატება ფსიქიკურის მთლიანობა და იგივე ცნებაა, რაც ანალიტიურ ტრანსცენდენტალურ დასაბუთებას გვაძლევს ამ მთლიანობისას. (Geiser, გვ. 14).

იმანენტური პრინციპის თანახმად, კრიუგერის სკოლას არა აქვს უფლება მიიღოს, „და“-კავშირების არსებობა ფსიქიკურ სამყაროში, ხოლო არსებითად ეს სკოლა ვერ დასაბუთებს ასეთი ფაქტის შეუძლებლობას, რადგან ის არ ხმარობს ანალიტიურ-ტრანსცენდენტალურ მეთოდს და მთლიანობის საკითხს „შინაარსების“ ნიადაგზე აყენებს. პრინციპული დასაბუთება ცნობიერების მთლიანობისა კრიუგერს არა აქვს: შეიძლება ცალკე დაისვას საკითხი განცდის, როგორც ცნობიერების „შინაარსის“ მთლიანობის შესახებ. აქ განცდა გამოდის არა როგორც აქტი, ე.ი. ბრენტანის თქმით, არა როგორც ფსიქიკური და ამიტომ ამ შინაარსზე შეგვიძლია არსებითად ისევე ვიმსჯელოთ, როგორც ფიზიკური საგნისა და ბიოლოგიური სინამდვილის მთლიანობის შესახებ. აქ, სანამ არ მოგვიმარჯვებია ანალიტიური მეთოდი, ყოველთვის

ინდუქციის ამარა ვრჩებით, რასაც თუმცა მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ვერასოდეს ჰიპოთეტურ მდგომარეობას ვერ სცილდება.

თუ გეშტალტი გაგებულა როგორც განცდის აქტის დახასიათება, იგი არ შეიძლება „და-კავშირებით“ იყოს შემოფარგლული, რადგან ამ სიბრტყეზე ასეთი მოვლენის არსებობა პრინციპულად მიუღებელია, მაგრამ, თუ გეშტალტებში „შინაარსების თავისებურ მთლიანობას ვაღიარებთ, მაშინ არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ არსებობდნენ „და=კავშირები“, რომლებიც გეშტალტის საზღვარს წარმოადგენენ. ასეთი „და=კავშირების დაშვება ენინაალმდეგება მთლიანობის მხოლოდ ისეთ თეორიას, რომელიც ცნობიერების მთლიანობის დასამტკიცებლად „შინაარსებს“ მიმართავს და არა აქტს, აქტში მოცემულ ცნობიერებას, რომელიც მთლიანობას აგებს არა მექანიკურად, არამედ ანალიტურად, ბუნებრივად: (როგორც მაგალითად კანტის „ფორმები“ „შეგრძნებათა მასალისათვის“ არის ბუნებრივი, ისე ბუნებრივია ცნობიერება „ფსიქიკური ელემენტებისათვის“, რადგან უკანასკნელი შეუძლებელია არსებობდეს პირველის გარეშე.

კრიუგერი ვერც მაშინ დააღწევს თავს შეუსაბამობას, რომ „შინაარსების“ თვალსაზრისზე დადგეს და აქ „და-კავშირების“ ფენომენი და გეშტალტი ურთიერთის გვერდით მოათავსოს და ამით შეინარჩუნოს გეშტალტის ფენომენის დესკრიპციული საზღვრები. ასეთი გზა შეუძლებელია მართებულად ჩავთვალოთ, რადგან გეშტალტი ეხება არა მთლიანობის განცდას (ე.ი. არა შინაარსს), არამედ განცდის მთლიანობას – (აქტს, ცნობიერობას). მთელი აზრი გეშტალტის ცნების ბრწყინვალე ისტორიისა იმაშია, რომ ამ ცნებით აღმოჩენილი და ფსიქოლოგიურად გათვალისწინებულია ის სპეციფიკურობა, რომელიც განცდას, როგორც ასეთს, ახასიათებს (არისტოტელი).

კრიუგერის სკოლისათვის სრულიად უცხოა ფსიქოლოგიის ასეთი პერსპექტივები; გეშტალტის პრობლემაში იგი ერთ-ერთი ფსიქიკური ფენომენის მოვლენას ხედავს და ამით აიხსნება ისიც, რომ იგი მის დესკრიპციულ პრობლემას ქვედა და ზედა საზღვრების გამოძებნაში ხედავს.

თავისთავად საინტერესოა ე.წ. „და-კავშირების“ არსებობის

საკითხი შეგრძნების პრობლემასთან დაკავშირებით გაირჩეს. ვერტჰაიმერის თქმით ასეთი ფენომენები არსებობს კულტურის განვითარების უმაღლეს საფეხურზე. კრიუგერის სკოლის თანახმადაც იგი სწორედ განვითარების უმაღლეს საფეხურზე უნდა გვხვდებოდეს, რადგან პირველადი გენეტიურად ყოველთვის დაუნანევრებელ მთლიანობას წარმოადგენს, რომლის თანდათან დიფერენციაციამაც გამოიხატება, ერთი მხრით მაინც, ფსიქიკური სინამდვილის განვითარება.

სანამდის მიდის ეს განვითარება? და რა აზრი შეიძლება ჰქონდეს მას? კრიუგერი ერთი მხრით აღიარება გეშტალტის ზედა საზღვრის არსებობას, ხოლო მეორე მხრით, მას მაინც ძლიერ ეშინია ისეთი ფენომენების აღიარება არ დასჭირდეს, რომელთაც პირველი მთლიანობასთან საესებით განწყვეტილი აქვთ კავშირი. ამიტომ იგი შეგრძნებას, როგორც ელემენტს, როგორც თავისთავად და თავის თავში გარკვეულ მოვლენას, უარყოფს. მაგრამ შეგრძნებას სხვა თვისებაც ჰქონდა მინიჭებული ისტორიულად: იგი ჩვენი განცდების რთული ფსიქიკური ფენომენების დასაწყისში იყო მოთავსებული როგორც მასალა, როგორც პირველი წყარო, რომლისგანაც ყველაფერი (ფსიქიკური) უნდა განვითარებულიყო. ასეთი ცნება ლაიპციგის სკოლას მართლაც აქვს. ეს არის კომპლექს-კვალიტეტი და სხვა ანალოგიური განდდები. რომლებიც შეგრძნების მაგივრობას ასრულებენ იმ მხრივ, რომ განცდათა განვითარებას დასაბამს და ენერგიას აძლევენ. თითქოს შეგრძნების ცნების ნიშნები ორად გაიყო: მისი ელემენტარულობა და ატომისტურობა მოთავსდა ფსიქიკურის ნივთიერების დასასრულ წერტილში და მიიღო „და-კავშირების“ სახელწოდება, ხოლო მისი ის თვისება, რომლითაც იგი მთელი სულიერი სამყაროს საფუძვლად ითვლებოდა, გადატანილ იქნა ცნობიერების პირველ საფეხურებზე და გრძნობისა და კომპლექს-კვალიტეტის სახელწოდება მიიღო.

უარყოფს თუ არა ლაიპციგის ფსიქოლოგიური სკოლა შეგრძნების არსებობას? და თუ არა, სად არის იგი მოთავსებული: ცნობიერების პირველ თუ უკანასკნელ საფეხურზე? პასუხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რას ვიგულისხმებთ შეგრძნებაში. Werner-ი ცდილობს შეგრძნების ცნება გადაიტანოს, მოიძებნოს

ისეთი ზოლი ჩვენს განცდებში, სადაც აღქმა ჯერ კიდევ არ არის, მაგრამ ცნობიერების სიცარიელესთან მაინც არა გვაქვს საქმე. აქ ჩვენ განცდათა თავისებური სფერო გვაქვს, რომლის დიფერენციაციითაც იქნება მთელი ჩვენი საგნობრივი წარმოდგენები. ვერნერი ფიქრობს, რომ კრიუგერისა და მისი სკოლის მიერ ხმარებული ტერმინი „გრძნობისებურისა“ ასეთი განცდების დასახასიათებლად არ გამოდგება, მიუხედავად იმისა, რომ გრძნობასა და ამ განცდებს შორის მნიშვნელოვანი მსგავსება არსებობს, გრძნობა მაინც დიფერენცირებულია და განცდათა გარკვეულ კლასს მიეკუთვნება. შეგრძნებები კი ვიტალურ-სხეულებრივი მდგომარეობაა და ჯერ კიდევ რაიმე გარკვეულ რომელიღაც არ შეიცავს. მართალია, როგორც აღქმა ისე გრძნობაც თავის დასაწყისს ვიტალურ-სხეულებრივ მდგომარეობაში იღება (Werner გვ. 166), მაგრამ თვითონ ამ მდგომარეობაში ჯერ კიდევ ამ დიფერენციაციისა არაფერი ჩანს.

ჩვენი აზრით, აქ არსებითი განსხვავება არ არის ვერნერისა და კრიუგერის სკოლის შეხედულებათა შორის. ფოლკელტის თქმით (Voleelt II, გვ. 168) პირველადი მთლიანობა – (Urganze) არ არის არც გრძნობა და არც შეგრძნება – [აღქმა-ვერნერის ტერმინოლოგიით], იგი არ არის არც ჩვენი კვალიტეტი და არც საგნისა. გრძნობისებურს ეძახიან მდგომარეობას იმდენად, რამდენადაც იგი გრძნობის იმ თავისებას ატარებდა რომელიც მის დიფუზურობაში გამოიხატება, მაგრამ მსგავსებას მათ შორის ვერნერიც აღიარებს (გვ. 166).

განსხვავება ვერნერისა და ლაიპციგის სკოლის შეხედულებათა შორის განცდათა იმ ზოლის დახასიათებაში კი არ არის, რომელსაც ვერნერი ვიტალურ-სხეულებრივ მდგომარეობას უწოდებს, არამედ იმაში რომ ვერნერის მიერ შეგრძნებად წოდებული კრიუგერის სკოლისათვის არის კომპლექს-კვალიტეტი, პირველადი მთლიანი რომლიდანაც შემდეგი დიფერენციაციის გზით შეგრძნება უნდა წარმოიშვას. „Die ganzqualital, die solche Keime umgreift, ist dabei selber weder gefühl noch Empfindung. (Volkelt – II, 168).

ამ განსხვავებულ სახელწოდებას თავის მხრივ საფუძვლად უდევს შემდეგი წინასწარი აზრი; ვერნერის აზრით, მთავარია

შეგრძნების ცნებაში ის, რომ იგი ყველა სხვა განცდებს წინ უსწრებს და თავის წიაღიდან გამოყოფს, ხოლო ფოლკელტის აზრით, შეგრძნებისათვის საგნობრიობა არის დამახასიათებელი და ამიტომ, იგი ვალდებულია ასეთი შინაარსი ფსიქიკურის დიფერენციაციის დასასრულში იგულისხმოს. „და-კავშირება“ სწორედ ის, რაც მაქსიმალურად აკმაყოფილებს შეგრძნების ამ მოთხოვნას: აქ არის მოცემული საგნობრივი სიმარტივეც და ერთ მნიშვნელოვნად გარკვეულ განვითარებაც თითქოს აქეთკენ მიდის: პირველადი მთლიანობა უნდა მომნიშვნეულ მთლიანობად გადაიქცეს და ამ მიზნით მისი დიფერენციაცია მოხდეს, როგორც მარბურგის სკოლამ კანტის „საგანი თავისთავად“ შემეცნების დასაწყისიდან გადაიტანა მის იდეალში როგორც შემეცნების აბსოლუტურ ობიექტიობის სიმბოლო, ისე ლაიპციგის სკოლას შეგრძნება ცნობიერების დასაწყისიდან, ამ უდიფერენციაციო და ბუნდოვანი მდგომარეობის არიდან გადააქვს მის უმაღლეს საფეხურზე, სადაც იგი, როგორც უაღრესად დიფერენცირებული, თუმცა „უცივესს“, მაგრამ სამაგიეროდ უცხადეს ფენომენს წარმოადგენს. და რა უნდა იყოს მთლიანობის მოწიფულობა (Volkelt), თუ არა ეს სიცხადე და გარკვეულობა? მთლიანობა ხომ აქ მიზნად ვერ გამოცხადდება, ვინაიდან ყველაზე უმტკიცესი, უსრულესი მთლიანობა იმ თავითვეა მოცემული პირველადი მთლიანობის სახით და რა აზრი აქვს მთლიანობის მიღწევის მიზნით ისეთი პროცესის გაშლას, რომელიც მისგან დაშორებაში გამოიხატება?

იმ შეხედულების თანახმად, რომელიც ზემოთ იყო განხილული, ფსიქიკური განვითარების შედეგად შეგრძნების მიღებას პრინციპულად არაფერი არ უდგას წინ და ეს არც ცნობიერების მთლიანობას უმზადებს რაიმე საფრთხეს, რადგან ჩვენ ვლაპარაკობთ განცდებით როგორც „შინაარსების“ დიფერენციაციაზე, კრიუგერის სკოლა კი აქამდის ვერ მივა, რადგან ამის უფლებას მას არ აძლევს მისი შეხედულება მთლიანობის შესახებ. დიფერენციაციის ბუნებრივი მიმდინარეობა უნდა შეწყდეს, სრული ატომიზაცია ვერ უნდა განხორციელდეს – (კრიუგერი), რადგან იგი თეორიას ეწინააღმდეგება და ნაცვლად იმისა, რომ თეორია შეიცვალოს, იმ ფაქტების არსებობაა უარყოფილი, რომლებიც

თვით ამ სკოლის წარმომადგენლების მიერ არიან აღიარებულნი, როგორც გემტალტის ზევითა დესკრიპტულ-ფენომენოლოგიური საზღვარი (განსაკუთრებით ზანდერის შეხედულება).

გემტალტი დისკრიპტული ცნებაა. როგორც ასეთი, იგი საჭიროებს გაურკვეველ დისპოზიციას, რომელიც მის ყოველგვარ ცვლილება-განვითარებას გასაგებად გახდის. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ კრიუგერის თეორიის მიხედვით ეს დისპოზიციონალური საფუძველი? როგორც აღნიშნული იყო, აქ სტრუქტურის ცნება იხმარება, როგორც გემტალტის, ისე სხვა დესკრიპტული ფენომენების ასახსნელად. როგორ უნდა წარმოვიდგინოთ იგი? გრძნობა-კომპლექს-კვალიტეტურად, თუ გემტალტურად? უნდა ვიფიქროთ, რომ სტრუქტურა ყველაზე ახლოს გრძნობასთან დგას, რომ ჩვენ ე.წ. და-კავშირებიდან" თანდათან უნდა მივუახლოვდეთ უსრულესი და უმტკიცესი მთლიანობის შემცველ ფენომენებს, შემდეგი გზის გავლით: „და-კავშირები“, გემტალტი, კომპლექს=კვალიტეტი – (ვინრო გაგებით) და გრძნობა. სტრუქტურა წარმოადგენს კიდე ერთი საფეხურით უკან მდებარე სინამდვილეს, რომელიც კრიუგერის აზრით, ხანდახან გრძნობის ფენომენებში გამოკრთის. ამის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ სტრუქტურა გრძნობაზედაც უფრო მთლიანს წარმოადგენს, რადგან გრძნობა, როგორც ცნობიერი ფენომენი, ერთგვარ დიფერენციაციას მაინც საჭიროებს მის ცნობიერქმნისათვის, რაც სტრუქტურისათვის არ არის აუცილებელი. მაგრამ, თუ სტრუქტურა, ეს საფუძველი მთელი ჩვენი სულიერი ცხოვრებისა დაუნანევრებელ მთლიანობას წარმოადგენს, საიდან, რა ფაქტორიდან მიმდინარეობს მაშინ განცდათა დიფერენციაციასა რა დისპოზიციონალური სინამდვილეა ის, რომელსაც შეუძლია კომპლექს-კვალიტეტი და გრძნობა გემტალტად გადააქციოს? როგორ შეუძლია სტრუქტურას ერთსა და ამავდროს განაგებდეს ინტეგრაციასაც (ცალკეულ საგნებს ხომ მთლიანში აერთებს) და დიფერენციაციასაც?

კრიუგერს ამ კითხვებზე პასუხი არა აქვს. მის თეორიაში შესაძლებელია ასეთი გადაჭრა მოხერხდეს. დიფერენციაციას, რომელსაც ადგილი აქვს გემტალტის ფენომენში, ქმნის გამაღიზიანებელი საგანი. გემტალტის ბუნება ორი ფაქტორით განისაზღვრება: საგნით და დისპოზიციით, ის არის ამ ორ მომენტს

შორის გაშლილი დისკრეპანტობა (Sander - II, 52). საკითხის ასეთი გადაჭრა, რა თქმა უნდა, ლაიპციგის სკოლას არა აქვს, მაგრამ სხვა გზა იმ სიძნელიდან გამოსავალი, რომელზედაც ჩვენ მივუთითეთ, მას არ გააჩნია.

იბადება კითხვა: როგორია გეშტალტის ე.წ. აქტუალგენეზი. არის თუ არა აქ უშუალოდ მოცემული ამ ორი ფაქტორის – საგნისა და დისპოზიციის, – თანამშრომლობა? თუ არა მაშინ სად ხდება ეს თანამშრომლობა? თვითონ გეშტალტის გენეზისიც გეშტალტურად უნდა გავიგოთ: აქ არც საგანი ჩანს უშუალოდ და არც დისპოზიცია, მაგრამ საგნის კვალიც არის (დიფერენციაცია) და დისპოზიციისაც (მთლიანობა-ინტეგრაცია) და ეს ისე, რომ მათი ცალკე გამოყოფა არ შეიძლება რადგან გეშტალტი, თანახმად თავისი ბუნებისა, არის მარტივი. სინამდვილის დინამიკის ის ზოლი, სადაც ეს თანამშრომლობა ხორციელდება საგანსა და დისპოზიციას შორის, პროფ. დ. უზნაძის მიერ ქვეფსიქიკურ არედ არის ნოდებულნი.\*

გეშტალტი შუამდებარეა დაუნანევრებელ მთელსა უკავშირო ნანილებს შორის. ამაში იჩენს თავს სულის მისწრაფება: დიფუზური გააფორმოს და ქოტური გაამთლიანოს, ამბობს ზანდერი. მაშასადამე გეშტალტი შემთხვევითი პროდუქტი არ არის; იგი სულის არსის გამომჟღავნებაა, მაგრამ გაუგებარია, როგორ შეიძლება სულს ჰქონდეს ორი მოპირდაპირე თვისება, მთლიანობისკენ და დიფერენციაციისკენ მიმართული? რატომ ჩერდება სული შუა გზაზე? როცა მთლიანი ბუნების მატარებელი რამე ყველაფერს ამთლიანებს და პირიქით, ეს გასაგებია, მაგრამ სული რომ საშუალოსკენ ისწრაფის, ეს გაუგებარია. საგნის მონანილეობა აუცილებელია, როგორც ისეთი მომენტისა, რომელსაც დაუნანევრებელი მთელის ტენდენციით გატაცებული სულის მუშაობაში ერთგვარი დიფერენციაცია შეაქვს თავისი ბუნების ატომისტურობით ამით ერთგვარ ნეიტრალიზატორის როლს თამაშობს. ამას ისიც ამტკიცებს, რომ გეშტალტი იქ არის ყველაზე მდიდარი და ტიპიური, სადაც საგნის მონანილეზე მეტია. ცნობილია, რომ გეშტალტის ფენომენების სწავლის მიზნით ჩვეულებრივ ოპტიკურ აღქმებს მიმართავენ და ამაში კრიუგერი ინტელექტუალიზმის ნაშთებს

\* „ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის საფუძვლები“. – 1925.

ხედავს, მაშინ, როდესაც კომპლექს-კვალიტეტების შესწავლისათვის უმთავრესად ე.წ. დაბალ გრძნობებს მიმართავენ, სადაც საგანი იმდენად მკრთალად ჩანს, რომ აქ წარმოშობილ შეგრძნებებს გრძნობისაგან ძლივს ასხვავებენ.

ყოფკას აზრით, ქაოტური განცდები, რომელთაც ზანდერი კომპლექს-კვალიტეტს უწოდებს ჩნდება მაშინ როცა საგნის რედუქცია ხდება, როცა, მაგალითად, დალლილობის გამო, საგნის ზემოქმედება ჩვენზე სუსტდება და სისტემის, გეშტალტის მქონე განცდები იშლება, ერთი მეორეში ირევა და ქმნის იმ დაუნანევრებელ მთელს, რომელიც გრძნობას უახლოვდება და რომელსაც მძლავრად აზის მთლიანობისკენ მსწრაფი დისპოზიციური მთლიანობის დაღი. ჩვენი შეხედულებისათვის ეს ფაქტები სავსებით გასაგებია: საგანს შეაქვს სიცხადე და განსხვავებულობა და სადაც ასეთი დიფერენციაცია არ არის, იქ საგანი თავის „სიცივით“ შორს დგას და განცდები გრძნობის ელფერს იღებს. აქ სუბიექტია მთავარი და ამიტომ გასაგებია ასეთ განცდების სუბიექტურობა და ემოციონალობა.

გეშტალტი ვითარდება დაუნანევრებელი მთლიანობიდან, რომელიც გრძნობისებური ხასიათისაა. რომ ეს ასე არ იყოს, ამბობს ზანდერი, შეუძლებელი იქნებოდა რაიმე პროდუქციული გეშტალტ-წარმოშობა ფსიქიკის რომელიმე ფენაში. აქ, ამ აქტუალ გენეზში მჟღავნდება სულის სტრუქტურულ-გეშტალტური ბუნებაში. დინამიური კვალიტეტი და აიდოგენური მოძრაობა ნინარე-გეშტალტური პეროდისა არის შედეგი იმ დაძაბულობის, რომელიც სტრუქტურულ გეშტალტ-ტენდენციასა და გამლიზიანებელს შორის. მხოლოდ ამ უკანასკნელის მოქმედების სიჭარბის შემდეგ ხდება ლაბილური მდგომარეობის აღკვეთა და სუბიექტის „დამშვიდება“.

გამოდის, რომ გეშტალტის სტაბილურობის შემქმნელი-საგანია, რომელიც ჩვენზე მოქმედობს, და რომ სულსაც ასეთი ტენდენცია ჰქონდეს, ე.ი. თვითონ ცდილობდეს ლაბირულ-გრძნობისებურიდან სტაბილურ-გეშტალტურისკენ გადასვლას, მაშინ სრულიად გაუგებარია. რატომ არიან სული და საგანი კონფლიქტში ერთმანეთთან (იხ. ზანდერი – II, გვ. 59). გეშტალტის შექმნა ლაბილობის მოსპობაში გამოიხატება; ამას საგნის მეო-

დების სიჭარბე იწვევს; ცხადია, საგანია აქ ერთადერთი ფაქტორი, რომელსაც განცდები დიფერენციაციის გზით მიჰყავს. ანდა თუ სულს აქვს გეშტალტური ტენდენცია, ე.ი. მისწრაფება დიფერენციაციისკენ, საიდან არის მიღებული პირველადი მთლიანობა? რა ქმნის გრძნობის დაუნანევრებელ მთლიანობას? რატომ ითვლება ის სულთან უფრო ახლოს მდგომად, ვიდრე გეშტალში, რომელიც „გაცივებულია“, საგნისებურია და სუბიექტს, როგორც შემეცნების საგანი, ევლინება გარედან (იპსენი)?

გარდა ამისა არა ჩანს, რატომ არის აუცილებელი გეშტალტისათვის გრძნობის პრიმატობა; იმიტომ, რომ ჯერ უნდა იყოს მთლიანი (მასა), რომ აქედან განვითარდეს აღნაგობის მქონე მოვლენა, თუ გრძნობა, როგორც ძალის მქონე, აუცილებელი განვითარებისთვის, „მოდრაობისთვის“. რატომ ხდება პირველად მთლიანისგან გეშტალტის გამოყოფა და როგორ არის ეს შესაძლებელი? არა მხოლოდ მყარი შესაძლებლობაა: ეს ხდება ან საგნის, გამლიზიანებლის ზეგავლენით, ანდა გრძნობაში ფარულად გეშტალტიც უნდა ვიგულისხმოთ, რაც ფსიქოლოგიური ატომიზმის აშკარა ნიშნუში იქნებოდა, ვინაიდან ფსიქიკურ ატომიზმისთვის სწორედ დამახასიათებელია ის გარემოება, რომ სადაც დესკრიპციულ-ფენომენოლოგიური ფაქტები მას ენინაალმდეგება, იგი ფარულად-არსებულ შინაარსის ცნებებს მიმართავს. ამ გზას, რა თქმა უნდა, კრუგერი არ დაადგება. ხოლო დისპოზიციონალური სინამდვილის გეშტალტურად წარმოდგენის ნიადაგზე შეიძლება გასაგები გახდეს ფენომენოლოგიური გეშტალტის წარმოშობა საერთოდ, მაგრამ გაუგებარია, რატომ ის არ არის პირველადი პროდუქტი მისი და რატომ, რა გზით არის მიღებული საერთოდ ისეთი განცდები, რომლებიც არ არის გეშტალტური ბუნებისა? აქ სრულიად გარკვეული ალტერნატივია: ან დისპოზიციონალური სინამდვილე გეშტალტურია და მაშინ გრძნობა და გრძნობისებური ყველაფერი გაუგებარია და ან იგი გრძნობისებურია და მაშინ გეშტალტ-ტენდენცია და სხვა ამგვარი ფაქტები აუხსნელი რჩება.

გაუგებარია აგრეთვე, რატომ წარმოადგენს გეშტალტი „ცივს“, უემოციონურ განცდას. თუ პიროვნების ბუნება მიმართულია იქითკენ, რომ სულ უფრო და უფრო განავითაროს გე-

შტალტები და ყოველი წინარე გეშტალტური საფეხური ე.წ. „კარგ გეშტალტად“ გადააქციოს. ნუთუ ბუნებრივია ის, რომ პიროვნება თავის მისწრაფების განხორციელებას ინდიფერენტულად განიცდის? ყოველგვარი დაუსრულებლობა გეშტალტისა მოუსვენრობასთან არის დაკავშირებული და თუ, მიზნის მიღწევის შემდეგ, საერთოდ ყოველგვარი გრძნობა ქრება, როდისღა ხდება სიამოვნების განცდა? აქ, გეშტალტში, დაუნანვერებელ მთლიანობას ხომ არა აქვს ადგილი, რაც გრძნობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს?

ზანდერის მოხსენებიდან, რომელიც გაკეთებულია ექსპერიმენტალური ფსიქოლოგიის მე-10 ყრილობაზე ბონში, ვ. შტერნმა სამართლიანად მიიღო ის შთაბეჭდილება, რომ მომხსენებელი გეშტალტურ ფენომენებს უფრო დიდ მნიშვნელობას აძლევს, ვიდრე არა გეშტალტურს და ამიტომ ილაშქრებს ასეთი შეხედულების წინააღმდეგ, რადგან, პერსონალისტური ფსიქოლოგიის თვალსაზრისით, ის კი არ წარმოადგენს მთავარ ღირებულებას, რაც პიროვნული მთლიანობისგან ყველაზე მეტად არის დაშორებული (გეშტალტი), არამედ განცდების სწორედ ის ფენა, რომელიც პირველად მთლიანს წარმოადგენს. ამიტომ ყოველგვარი ფსიქოლოგია როდი არის გეშტალტ-ფსიქოლოგია.

ზანდერი თავის პასუხში ეთანხმება შტერნს იმაში, რომ გეშტალტის ფსიქოლოგია მხოლოდ ნაწილია მთლიანობის ფსიქოლოგიის და რომ არა გეშტალტურის, განსაკუთრებით გრძნობითი განცდების უმაღლეს ღირებულების შესახებ კრიუგერიც დიდი ხანია რაც ლაპარაკობს, მაგრამ დათანამება მოხდა შინაგანი წინააღმდეგობის მიღების ნიადაგზე: როგორ შეიძლება ხან გეშტალტური იყოს უმაღლესი ღირებულების მქონე და ხან არაგეშტალტური? და გაუგებარია, როგორ ეგუებიან ზანდერი და შტერნი იმ აზრს, რომ პერსონალური სამყარო ისწრაფის ისეთ განვითარებისკენ, რომლის დასასრული, უმაღლესი წერტილი, იმის მაგივრად, რომ უდიდეს ღირებულებას შეიცავდეს პიროვნების თვალსაზრისით, პირიქით, ყველაზე ნაკლებად ღირებულია და ყველაზე მცირედ შეიცავს პერსონალურ ელემენტებს. რა არის ის ფაქტორი, რომელმაც

სასწორი არაპერსონალურისკენ გადახარა?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აქ როგორღაც არაპერსონალური მომენტის მოქმედება იჩენს თავს, რომლის შესახებაც უკვე ვიცით ზოგი რამ გარკვეული კანონიზომიერების სახით.<sup>\*</sup> ამ შეხედულებით, მიუღებელია დაპირისპირება საგნობრივისა და პერსონალურის, რადგან უკანასკნელისათვის პირველი არ არის უცხო ელემენტი და აქედან, როგორც ლოგიკური დასკვნა, გამომდინარეობს განცდათა განვითარების დასასრულს მიღებული გეშტალტური, საგნობრივი განცდების ღირებულების უკან დაყენების მოხსნა. აქ უკანონოა დაპირისპირება: გეშტალტური და არაგეშტალტური, პერსონალური და არაპერსონალური და აღიარებულია ის აზრი, რომ თუ პიროვნების განვითარება საგნობრივ-გეშტალტურისკენ არის მიმართული, მისი ღირებულების სრულყოფაც ამაში გამოიხატება.

შეიძლება პიროვნების პოტენციალური არისათვის უცხო არ იყოს დიფერენციაციის გზით სვლა, მაგრამ ამ შესაძლებლობიდან მის რეალიზაციაში გადასვლა, საგნის მონანილეობის გარეშე, გაუგებარია. ფსიქიკური განვითარების ორი მხარე: მისი დიფერენციაცია და ინტეგრაცია-აუცილებლად გვაიძულებს დისპოზიციონალურ სინამდვილეში ორი საწინააღმდეგო ძალა ვალიაროთ, რომელთა გაერთმთლიანება გვაძლევს განვითარების სხვადასხვა მომენტს, სადაც აბსტრაქციის გზით შესაძლებელია გავარჩიოთ ხან ერთი და ხან მეორე მომენტის მონანილეობის სიჭარბე.

ვ. კელერმა მიაქცია ყურადღება ზანდერის იმ შეხედულებას, რომ არსებობს ერთგვარი გეშტალტური სწრაფვა, გეშტალტური წნევა (gestaltsdruck) და მას აინტერესებს: შეიძლება თუ არა ამ ცნების ფიზიოლოგიური ინტერპრეტაცია. თანახმად გეშტალტთეორიისა, ფუნქციონალურ-ფენომენოლოგიურ გეშტალტის საფუძველს ფიზიოლოგიური გეშტალტი წარმოადგენს.

როგორია კრიუგერის სკოლის პოზიცია. ამ საკითხში? „სტრუქტურა“, ზანდერის თქმით, არის როგორც ფსიქო-ფიზიკური დისპოზიციების ჯამი აგრეთვე ფიზიოლოგიური სტრუქ-

<sup>\*</sup> შეადგ. Узнадзе – «Психология» - 1930.

ტურის შემცვლელიც. საკითხი კი იმის შესახებ, თუ რამდენად შეიძლება განცდილი ფენომენოლოგიური გეშტალტების ფიზიოლოგიური „დაფუძნება“, ლიად უნდა დარჩეს (sander II გვ. 38).

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ზანდერის ამ მოსაზრებაში ერთგვარი შეუსაბამობაა. თუ ფიზიოლოგიური სინამდვილე „სტრუქტურის“ თვისებებს შეიცავს, საკითხი კელერის სასარგებლოდ არის გადაჭრილი პრინციპულად მაინც რა აზრი აქვს ამის შემდეგ იმის თქმას, რომ ფიზიოლოგიური დაფუძნების“ საკითხი ლიად არის?

„სტრუქტურა“ ხომ, თანახმად ლაიპციგის სკოლის შეხედულებებისა, განცდათა სამყაროს საფუძველია. და რატომ არ შეიძლება ფიზიოლოგიური „სტრუქტურა“ გახდეს საფუძველი მისი, თუ ასეთი ძალა ფსიქოლოგიურ „სტრუქტურას“ აქვს? რატომ ეწინააღმდეგება მაშინ კრუგერი ყოველ ნაბიჯზე გეშტალტ-თეორიის ფიზიოლოგიურ ინტერპრეტაციის ცდებს და მათ ქვაზი-ფიზიოლოგიურ შეხედულებებს უწოდებს? აქაც ნათელია და ქვემოთ უფრო გაირკვევა, რომ კრუგერს და მის მოწაფეებს სურთ ფსიქიკურის ფენომენალური სამყარო ახსნან არა ფსიქიკური, ან ფიზიოლოგიური სტრუქტურის საშუალებით არამედ ისეთი დისპოზიციით, რომელიც როგორც ფსიქიკურს, ისე ფიზიკურს შეიცავს, ე.ი. როგორც ზანდერი ამბობს ფსიქო-ფიზიკურ დისპოზიციას წარმოადგენს. „სტრუქტურასაც“ სწორედ ამ მთლიანს აღნიშნავს.

რა არის ფსიქო-ფიზიკური დისპოზიცია? როგორ ხდება, რომ მას შეუძლია მოგვცეს ის, რასაც ცალ-ცალკე ვერც ფიზიოლოგიური და ვერც ფსიქიკური სინამდვილე ვერ გვანვდის? ხომ არ არსებობს სინამდვილის ისეთი ზოლი, რომელიც თავისებურ მთლიანს წარმოადგენს, და როგორც ასეთი, მასში აბსტრაქციის და რეფლექსის გზით გარჩეულ მომენტების მოქმედება-თავისებურისგან განსხვავდება? როგორია თეორია და კანონზომიერება ამ სინამდვილისა.

ლაიპციგის სკოლას არა თუ თეორია არა აქვს ამის შესახებ, იგი ჩვენ მიერ დასმულ კითხვებს არც კი იცნობს და საერთოდ ამ მიმართულებით მუშაობას არ აწარმოებს და ეს მით უფრო

სამწუხაროა, რომ საბოლოოდ ყოველგვარი განცდის გაგება ამ სინამდვილის კანონზომიერების საშუალებით უნდა მოხდეს, თანახმად ამ სკოლის მოძღვრებისა. და არა მარტო ეს სკოლა ეყრება გულგრილად ფსიქიკურის დისპოზიციონალური საფუძვლის სისტემატურ კვლევას, არამედ ბევრი სხვა ფსიქოლოგიური მიმდინარეობაც. აუარებელი პრინციპული მნიშვნელობის მქონე ფსიქოლოგიურ პრობლემების გადაჭრა აქვს დაკისრებული ასეთ სინამდვილეს, მაგრამ, ამის მიუხედავად, ჩვეულებრივ მხოლოდ იმით კმაყოფილდებიან, რომ ეს სინამდვილე არის ფსიქო-ფიზიკურის ბუნების (კრუგერი), ან ფსიქო-ფიზიკურად ნეიტრალური (შტერნი), ან კიდევ არც ფიზიკური და არც ფსიქიური, არამედ მესამე (ავენარიუსი). მხოლოდ მთლიანობის ხსენებული თეორია აკეთებს პირველ ნაბიჯს ამ მიმართულებით, რომელიც იმ კანონზომიერების აღმოჩენაში გამოიხატება, რომელიც ამ სინამდვილეს ახასიათებს.

დაუბრუნდეთ გეშტალტის დესკრიპციული ნიშნების გარჩევას. ჩვენ გავარჩიეთ ჩვენი დამოკიდებულება გეშტალტის ზედა საზღვართან, „და-კავშირების“ ფენომენებთან. გადავიდეთ მის ქვედა საზღვარზე, რომელიც კომპლექს-კვალიტეტის სახელით არის ცნობილი (ფართო მნიშვნელობით). რა არის ამ ცნების ძირითადი მომენტი? იგი კომპლექსის კვალიტეტია, მაგრამ იმ აზრით კი არა, რომ არსებობს ერთგვარი ატომისტური სიმრავლე, რომელსაც დაერთვის სპეციფიკური კვალიტეტი. *volkelt*-ის თქმით, მხოლოდ მთელის კომპლექს-კვალიტეტს აქვს უშუალო ფსიქოლოგიური არსებობა; მისი ნამდვილი აზრი ის არის, რომ ერთადერთ დამოუკიდებელ კვალიტეტად მთელის კვალიტეტია აღიარებული. აქ არც იმის თქმა შეიძლება, რომ მთელი უნიწარესია ნაწილებზე, რადგან ის ნაწილები, რომელთა მიღება შესაძლებელია კომპლექს-კვალიტეტის დაშლის გზით, არ არის კომპლექსის ნაწილები. იბადება კითხვა: როგორ უნდა იქნას გაგებული აქ კომპლექსის, მთლიანის ცნება? გულისხმობს თუ არა მთლიანი სიმრავლის არსებობას და თუ კი, სად უნდა იყოს ფოლკელტის აზრით ეს სიმრავლე? ფენომენურად ეს სიმრავლე არ არსებობს ფოლკელტის მიხედვით. მაშასადამე, ან გამლიზიანებულშია ნაგულისხმევი (შეად. *Zweiklang*-ის მაგალითი), და ან

სიმრავლეზე იმ აზრით არის ლაპარაკი, რომ იგი მთლიანში პოტენციურად არსებობს. პირველი გზის მიღება თავისთავად მოხსნილია. რჩება მეორე გზა, სადაც მთლიანობის კორელატი, სიმრავლე პოტენციონალურად არსებობს მხოლოდ. მაგრამ ეს გზაც მიუღებელია მთლიანობის დასაბუთებისათვის, რადგან თუ მთლიანობა სიმრავლეს მოითხოვს, როგორც კორელატს, და ეს სიმრავლე პოტენციონალურია, მაშინ თვით მთლიანობაც პოტენციონალური ხდება, ე. ი. გამოდის, რომ არც სიმრავლე და არც მთლიანობა რეალურ განცდაში არ არსებობენ: არ არის არც მთელი და არც მისი ნაწილები. ასეთი კორელატიური გაგება მთლიანობისა ენინააღმდეგება კრუგერის თეორიას ამ საკითხზე: ის მთლიანობის ცნებაზე ლაპარაკობს, როგორც აბსოლუტურზე, როგორც უშუალოდ მოცემულ განცდაზე, რომლის უეჭველობაში ჩვენ ვრწმუნდებით პირდაპირ, ყოველგვარი დისკუსიის დაუხმარებლად.

ფოლკელტი, რამდენადაც კომპლექს-კვალიტეტს აღიარებს ერთადერთ რეალობად, აღარ უნდა ლაპარაკობდეს ნაწილებისა და ერთგვარი სიმრავლის არსებობაზე ცნობიერებაში, მაგრამ ასეთ რამეს მაინც აქვს ადგილი. კომპლექს-კვალიტეტით, ამბობს ის, დამყარებულია მასზე რთულ და მასთან ერთდროოულად არსებულ სხვა კომპლექს-კვალიტეტებზე და რაგინდ გამოკვეთილი არ იყოს იგი, მაინც დამოკიდებული ნაწილია ცნობიერების საერთო მთლიანობისა. კრუგერთან ერთად, ფოლკელტიც ლაპარაკობს მთლიანის დომინანტობის შესახებ (Volkelt I, 35) და რა აზრი აქვს მთელის ნაწილზე ბატონობაზე ლაპარაკს თუ ორივე რეალურად არ არის მოცემული განცდაში? და თუ ეს ასეა, სად არის იმის აუცილებლობა, რომ ერთდროულად მოცემულში უსათუოდ მთელი ბატონობდეს და ან რატომ უნდა იყოს აუცილებელი მთელის გენეტიური და ფუნქციონალური პრიმატი ნაწილის წინაშე? კრუგერის სკოლის მიერ მოყვანილ საბუთებს მხოლოდ ფაქტური ღირებულება აქვს (შეად. Zweiklang-ის მაგალითი). აუცილებლობა იმისი, რომ მთელი უნდა უსწრებდეს წინ ნაწილების აღქმას, არ არის დამტკიცებული. Cornelius-ი აქაც თავის ტრანსცენდენტალურ მეთოდს მიმართავს: მთელი იმიტომ უსწრებდა წინ ნაწილს, რომ ნაწილის აღქმა, როგორც ასე-

თი, მთელს როგორც ფონს, ლოგიკურად გულისხმობს. მაგრამ, ხომ არ არის პირიქითაც? ხომ არ გულისხმობს მთელიც განცდა ლოგიკურად ნაწილების წინარე არსებობას? თუ მთლიანობა სიმრავლის მთლიანობაა, მაშინ „ელემენტები“ მთლიანობის ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ პრეზუმპციებს წარმოადგენს. ატომისტი იტყოდა, რომ „ელემენტის“ აღქმა სრულიად არ საჭიროებს მთელის აღქმას და მისგან სავსებით დამოუკიდებელია, როგორც ლოგიკურად, ისე ფსიქოლოგიურადაც. ამის უკიდურესი საწინააღმდეგო შეხედულება იტყოდა, რომ აღქმა, განცდა მხოლოდ კომპლექსის შეიძლება (ფოლკელტის შეხედულება).

ჩვენი აზრით, მთელისა და ნაწილის აღქმა არსებითად ერთი და იგივე ბუნებისაა. თუ დავადგებით მთლიანობის აბსოლუტურ გაგებას, რომელსაც კრუგერი იცავს, მივიღებთ, რომ მთელია რამე იმიტომ, რომ იგი ნაწილების განცდა არ არის, უკეთ, – მთლიანად განიცდება. ატომის განცდაც შეიძლება მთელის განცდა იყოს, რამდენადაც აქაც დაკმაყოფილებულია მოთხოვნა: ეს განცდა არ იყოს ნაწილების განცდა. ვამბობთ „შეიძლება“, რადგან საქმე გვაქვს მთლიანობის აბსოლუტურ გაგებასთან, ე. ი. მთლიანობის განცდასთან: თუ ასეთი განცდა დაერთო ელემენტის განცდას, ის ისეთივე ბუნების იქნება, როგორც კომპლექსის მთლიანობა. ასე რომ ამ ხაზზე უკიდურესი შეხედულებები გადადის ერთიმეორეში.

ფსიქოლოგიურად რომ მთელის და ნაწილის აღქმა არსებითად ერთი და იგივეა. ეს შემდეგიდანაც ნათელია: ელემენტის, ნაწილის აღქმა იმით განსხვავდება მთელის აღქმიდან, რომ პირველ შემთხვევაში ნაწილია „ყურადღების“ ცენტრში, ხოლო მთელი პერიფერიაში; მეორე შემთხვევაში კი პირიქით. ამიტომ ვამბობთ არსებითად, ე. ი. სინამდვილის მთლიანში ისინი ერთია, მაგრამ სხვადასხვა დროს სხვადასხვა მომენტს ეძლევა უპირატესობა.

მაგრამ რა არის ეს თვალსაზრისი: ატომისტურია იგი თუ მთლიანური? არც ერთი და არც მეორე, არამედ ისეთი, რომელიც ცდილობს მთლიანობის პრობლემა „შინაარსების“ მიმართება-დამოკიდებულების ნიადაგზე კი არ გადაჭრას, არამედ ეს საკითხი ცნობიერების აქტს დაუკავშიროს; ყველაფერი,

რაც მოცემულია ცნობიერების ერთ აქტში, მთლიანად განიცდება, თუ გინდ ის, რაც მოცემულია, არავითარ მთლიანს არ წარმოადგენდეს. მთლიანობის განცდა არ არის შინაარსეულად არსებული მთლიანობის პრეზენტანტი, რამდენადაც საკითხი განცდილის რომელობით მხარეს ეხება, მაგრამ ამ გამთლიანების ფაქტს თუ უსათუოდ საფუძველი უნდა ჰქონდეს. ეს განცდათა „შინაარსთა“ იმ თვისებებში უნდა ვეძიოთ, რომელიც მათ აქვთ, როგორც განცდებს, ე.ი. უნდა ვეძებოთ მათ ცნობიერების აქტისადმი დამორჩილების უნარში.

რა დამკიდებულებაა კომპლექს-კვალიტეტსა და გეშტალტს შორის? როგორც არა ერთხელ იყო აღნიშნული, კომპლექს-კვალიტეტი (გრძნობა და გრძნობისებური) წარმოადგენს გეშტალტის ქვედა საზღვარს, საიდანაც იგი იღებს თავის განვითარებას. გეშტალტი მთლიანობის ერთ-ერთი სახეობაა და ისიც ისეთი, სადაც მთლიანობა ყველაზე მკრთალად გამოჩანს: მთლიანობის პროტოტიპს წარმოადგენს გრძნობა, ხოლო მისგან „და-კავშირების“ შემდეგ გეშტალტია მაქსიმალურად დაშორებული. და პრობლემატურ „და-კავშირებს“ რომ თავი დავანებოთ, თანახმად ლაიპციგის სკოლის შეხედულებისა, მთელი სულიერი სამყარო გეშტალტსა და პირველად მთლიანს შორის არის მოთავსებული. გამოდის, რომ, რადგან გეშტალტი მთლიანობის ტიპიური წარმომადგენელი არ არის, მთლიანობის პრობლემის გადაჭრისათვის ფსიქოლოგიაში მას უმნიშვნელო როლი ეკისრება. გეშტალტიც მთლიანია, მაგრამ მისი სპეციფიკურობა ამ მომენტში კი არ არის, არამედ იმაში, რომ იგი შეიცავს დიფერენციაციას, იმაში, რომ მას შეგრძნებისკენ სვლის ტენდენცია ახასიათებს. გეშტალტის პრობლემა საზოგადოდ არის პრობლემა დიფერენციაციისა, რის ასახსნელადაც ჩვენ საგნის ცნებას მივმართეთ.

ჩვენთვის სრულიად მიუღებელია გეშტალტის როლის ასეთი გაგება ფსიქოლოგიის პრობლემატიკაში. ამას ეწინააღმდეგება, როგორც გეშტალტის პრობლემის ისტორია, ისე მისი სისტემატიური ანალიზი. ვინც მოინდომებს მთლიანობის პრობლემის განვითარების აღწერას ფსიქოლოგიაში, ის იძულებული იქნე-

ბა არა მარტო უმთავრესი ადგილი დაუთმოს იქ გეშტალტის ცნების და მისი თეორიების ანალიზს, არამედ არსებითად მთლიანობის პრობლემის ანალიზი ამ პრობლემებით შემოფარგლოს. გეშტალტის ცნების ისტორია ეს ხომ მთლიანობის იდეის ემპირიულ-ექსპერიმენტალური დასაბუთებაა ფსიქოლოგიაში. თვითონ ფ. კრუგერი თავისი შრომის „Über psychische ganzheit“-ის იმ თავში, სადაც ლაპარაკია მთლიანობის პრობლემის შესახებ თანამედროვე ფსიქოლოგიაში, გვაძლევს გეშტალტის პრობლემის ანალიზს (Krueger. IV გვ. 87-121).

არსებითადაც გეშტალტის ცნება არაფრით არ განსხვავდება იმისგან, რასაც კომპლექს-კვალიტეტში გულისხმობენ. უკანასკნელი ხომ ის კვალიტეტია, რომელიც კომპლექსს, როგორც ასეთს, ახლავს? და განა გეშტალტის ცნებაში ისტორიულად ვინმე სხვა რამეს გულისხმობდა თუ არა ამას? როგორც ზემოთ იყო დასაბუთებული, ერთადერთი სწორი გაგება გეშტალტისა არის მისი ფორმალური გაგება, რომელსაც კრუგერის სკოლა არსებითად იზიარებს, მაგრამ ბოლომდის ვერ ატარებს იმდენად, რამდენადაც მას მხოლოდ ერთი ადგილი ეთმობა მთლიანობის მთელ ცნებაში. ჩვენ უფრო მიზანშეწონილად მიგვაჩნია ფსიქიკურის ფორმალური მხარის აღსანიშნავად მრავალმნიშვნელოვან და კონკრეტულ შინაარსმოკლებული მთლიანობის ცნების მაგივრად, გეშტალტის ცნება იხმარებოდეს, რომელსაც ბრწყინვალე ისტორია აქვს. იგი აღმოცენებულია უშუალო ფსიქოლოგიურ მუშაობის ნიადაგზე და თავისუფალია იმ ბიოლოგიურ-ვიტალისტურ და მეტაფიზიკურ-ფილოსოფიურ დანართისაგან, რომლითაც მძლავრად არის გაყლენილი მთლიანობის ცნება.

ჩვენ ამით იმის თქმა კი არ გვინდა, რომ არსებობს მხოლოდ ერთი სახის მთლიანობა და ლაიპციგის სკოლის მიერ შემოღებულ მთლიანობის სახეობათ და საფეხურებს არა აქვთ მნიშვნელობა და მეცნიერული გამართლება, არამედ იმას უსვამთ ხაზს, რომ უზოგადეს ფორმალურ ცნებად, ფსიქიკურის აგებულობის პრინციპის გამომხატველად „გეშტალტი“ იქნას ცნობილი, რომის კონკრეტულ რეალიზაციასაც წარმოადგენენ: გრძნობა (ფორმალურად), ადაპტაცია, კომპლექს-კვალიტეტის სახეობა-

ნი და სხვ. ასე გაგებული გეშტალტი სავსებით შეასრულებს იმ როლს, რომელიც გ. იპსენის მიერ შემოღებულ ცნებას კვალიტა-ტურ სინთეზისას აქვს დაკისრებული.

სანამ ჩვენ საქმე გვაქვს ისეთ ცნებასთან, როგორც არის ადაპტაცია, „და-კავშირები“, გეშტალტი და კომპლექს-კვალიტე-ტი, ჩვენ ფსიქიკურის იმ მხარეს ვეცდებით, რომელსაც მისი ფორმალური მომენტი დავარქვით. როგორც კი ამ კონტექსტ-ში გრძნობაზე იწყება ლაპარაკი, მყისვე ერთგვარი დისონანსი ჩნდება ჩვენს აზროვნებაში: ჩვეულებრივი გაგებით გრძნობა ხომ ფსიქიკურის გარკვეულ კლასს წარმოადგენს, რომელსაც რომელიღობითი ნიშანი უდევს საფუძვლად. კრუგერის თეორია გრძნობისა იმ მხრივ წარმოადგენს „გაუგებარს“ (შტუმფი), რომ აქ გრძნობა გვევლინება, ერთი მხრით, როგორც ფორმალ-ური პრინციპი, როგორც ყოველგვარ მთლიანობაში მონაწილე და მისი პროტოტიპი, ხოლო მეორე მხრით, მაინც ინარჩუნებს ემოციონალობის სპეციფიკურ რომელიღობას და ამ ნიშნით უპ-ირისპირდება სხვა, არაემოციონალურ განცდებს. გასარკვევია: რა არის გრძნობის არსი, რომელი მისი ნიშანი უნდა ავიღოთ სახელმძღვანელო პრინციპად, როცა მისი თეორიის შექმნაზე გვაქვს ლაპარაკი? ეს საკითხი იდგა კორნელიუსის წინაშეც და მან იგი დამაკმაყოფილებლად ვერ გადაჭრა გრძნობა კომ-პლექს-კვალიტეტის მიმართების საკითხში, ის გრძნობის ორივე ნიშანს მიმართავს: ფორმალურსაც და რომელიღობით-ემოციო-ნალურსაც. პირველი ნიშნის მიხედვით მას გრძნობა დაჰყავს კომპლექს-კვალიტეტზე და ამის შემდეგ მას ესენი ან სულ უნდა გაეიგივებია და მხოლოდ ხარისხული განსხვავება დაემყარებია მათ შორის; მაგრამ ის ხმარობს მეორე განსხვავებულ პრინციპს, რომლითაც თავიდან იშორებს ამ დასკვნას.

არსებითად ასეთივე მდგომარეობაა კრუგერის შემთხ-ვევაშიც. მთელი რიგი განმარტებებისა ისეთია, რომ გრძნობა მთლიანობის, ტოტალურ კომპლექსის თვისებად უნდა იქნას ცნობილი. ის ფორმალური თვისება, რომელიც შინაარსის მიუხე-დავად, ყოველგვარ რთულ მდგომარეობას დაერთვის. მაშინ გამოდის, რომ გრძნობა გეშტალტის ტიპის ცნებაა, მაგრამ მის-გან იმით განსხვავდება, რომ იგი დიფუზურია და მოკლებულია

შინაგან დანაწევრებას. და თუ გრძნობას რაიმე განსაკუთრებული როლი აქვს, ეს გამომდინარეობს მთლიანობის დომინანტობის კანონიდან; გრძნობა როგორც სხვა განცდებზე უფრო მეტად მატარებელია მთლიანობის ნიშნისა, თავისებური შემაკავშირებელისა და ხელმძღვანელის როლში გამოდის. გრძნობა არ არის რომელიმე „ეს“, არამედ ის არის ყოველთვის ის ელფერი, ან ფორმალური მთლიანობის კვალიტეტი, რომელიც ახლავს ყოველ სირთულეს, რომელიც ფსიქიკაში არსებობს. როგორც დავინახეთ, კრუგერი და მისი მოწაფეები არაერთხელ აღნიშნავენ, რომ გრძნობა არის თვისება, რომელიც მთელს, როგორც ასეთს, ახასიათებს მაგრამ, რა განსხვავებაა მაშინ გეშტალტსა და გრძნობას შორის? რა თქმა უნდა პრინციპული განსხვავება აქ არ არის და საკითხავია: რა დამოკიდებულებაა მათ შორის? შეიძლება თუ არა გრძნობის დაყვანა გეშტალტზე (ან კომპლექს-კვალიტეტზე), ან პირიქით? თუ ჩვენ გრძნობის ფორმალურ თეორიას მივიღებთ, იძულებული ვიქნებით, ვინაიდან გეშტალტი ჩვენ უზოგადეს ფორმალურ ცნებად ვაღიარეთ, გრძნობა მის ერთ-ერთ სახეობად გამოვაცხადოთ; მაგრამ ამის მიღება ყოვლად შეუძლებელია, რადგან გრძნობას ვერავინ ვერ წაართმევს იმ ნიშანს, რომელიც მის ემოციონალობაში მდგომარეობს. ეს არის ამ ცნების გული და აქედან უნდა იწყებოდეს მისი კლასიფიკაციის და ახსნის ყოველგვარი საკითხი. ამით კი საკითხი გადაჭრილია იმდენად, რამდენადაც გრძნობა ერთ გარკვეულ კლასს მიეკუთვნება და სავსებით შორდება იმ სიბრტყეს რომელზედაც მდებარეობენ გეშტალტი, კომპლექს-კვალიტეტი და სხვ. კრუგერი ცდილობს, თითქოს, გრძნობის ფორმალური თეორია მოგვცეს, მაგრამ ამას ბოლომდე ვერ ატარებს და, კორნელიუსის მსგავსად, მას, როგორც ემოციონალურ შინაარსს, უპირისპირებს საგნობრივს და ცდილობს შემდეგ მათ შორის გარდამავალი საფეხურები დაადგინოს „გრძნობისებურის“ ცნების შემოღების გზით.

გარდა ამისა, გაურკვეველია: რომელი რომელს ემყარება: მთლიანობა გრძნობას თუ პირიქით? ერთი მხრით გრძნობა, როგორც პირველადი მთლიანობის პროტოტიპი, ფუნქციონალურად და გენეტურად უწინარესი, ერთგავრ პირველ წყაროს

წარმოადგენს, რომლიდანაც ვითარდება მთელი სულიერი სამყაროს მრავლიანობა, ხოლო მეორე მხრით, თვითონ გრძნობა, როგორც ტოტალური მთლიანობის თვისება, უკვე გულისხმობს სიმრავლეს და მის მთლიანობას.

ამ საკითხის გარკვევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, თუ ერთმანეთისგან გამოყოფილი იქნება კრუგერის გრძნობის თეორიის ფორმალური და მატერიალური მომენტები: გრძნობა მხოლოდ როგორც გარკვეული შინაარსი, მრავალი პოტენციულობის მქონე შეიძლება განცდათა მრავლიანობის დასაბამად გადაიქცეს. ხოლო ფორმალურად გაგებული, იგი გეშტალტის ცნებას ვერ შეედრება და ამიტომ, როგორც ასეთი უნდა მოიხსნას.

ამით ჩვენ მივდივართ იმ მნიშვნელობის აღიარებამდე, რომელიც აქვს კრუგერის შეხედულებას გრძნობაზე. გრძნობა არ არის სეკუნდარული შეგრძნებებთან შედარებით, როგორც ეს ასოციაციონურ ფსიქოლოგიას ეგონა, თუ სწორია ის, რომ მთლიანი დომინანტურ როლს თამაშობს და გრძნობა კი, როგორც მთლიანის თვისება, ყოველთვის ის ეტაპია ფილო – და ონტოგენეტურ განვითარების გზეზე, რომელიც პირველად იჩენს თავს. განსაკუთრებით Volkelt-ის გამოკვლევების შემდეგ ირკვევა, რომ ბავშვის ცნობიერებისათვის დამახასიათებელია არა წარმოდგენები და საგნობრივი შინაარსები, არამედ ემოციონალური და ნებითი მომენტები, რომლებიც Volkelt-ის ტერმინოლოგიით ზესაგნურიც არის და წინარე = საგნურიც: (Volkelt- III 137). იგი განგებს საგნის აღქმის ფორმაციას და წინ უსწრებს მას. მთელი და ნაწილი ბავშვის და პრიმიტივის ცნობიერებაში გაცილებით უფრო მჭიდროდ არიან დაკავშირებული, ვიდრე განათლებულ, ზრდა დასრულებულ ადამიანში. იქ საგნის ობიექტურ თვისებებს ნაკლები ყურადღება ექცევა და განცდის განვითარება აღქმული საგნის იმანენტურ შეთანხმებას უფრო ნაკლებად ატარებს, ვიდრე სუბიექტის ნება = სურვილებისას (Volkelt- III, გვ 133).

მაგრამ არა მარტო თავისთავად აქვს მნიშვნელობა გრძნობის სამართლიან უფლებების დაცვას. ამჟამად მომნიშვნეულად შეიძლება ჩაითვალოს ის აზრი, რომ ადამიანის დისპოზიციონალურ არეში კვლევის საწარმოებლად განსაკუთრებული როლი სწორედ გრძნობებს მიეკუთვნება, რაც კრუგერმაც ხაზგასმით

აღნიშნა. როდესაც ვ. ჯემსი ლაპარაკობს ემოციებზე, როგორც ფსიქო-ფიზიკურ მთლიან მდგომარეობაზე, ვ. შტერნი განსაკუთრებით მოხდენილად არჩევს ადამიანის ისეთ ქცევებს, რომელშიაც ის ფსიქოფიზიკურად ნეიტრალურ სინამდვილის ილუსტრაციას ხედავს და დ. უზნაძე ბიოსფერულ მთლიან მდგომარეობის ფენომენოლოგიურ გამოვლენათა შორის ემოციონალურ განცდებს თვლის ყველაზე უფრო ადრეული ფენის შინაარსად. ჩვენ არსებითად იმ აზრის გაშლასთან და თეორიულ დასაბუთებასთან გვაქვს საქმე, რომლისკენაც შეგნებულად თუ შეუგნებლად უსათუოდ ისწრაფის კრუგერის გრძნობის თეორია. ჩვენთვის სავსებით გასაგებია ის ფაქტი, რომ ცნობიერების გაშლის პირველ მომენტს სწრაფად გრძნობა უნდა წარმოადგენდეს, რადგან სუბიექტ-ობიექტის გაერთიანება დისპოზიციონალურ სინამდვილეში, მიუხედავად მთლიანობისა, მაინც სხვადასხვა დროს სხვადასხვა მომენტის სიჭარბის დაღს ატარებს და ბუნებრივია, რომ აქ პირველად სუბიექტი და სუბიექტური სჭარბობს, ხოლო თანდათან საგნის ზემოქმედების ზრდასთან ერთად, სასწორი ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იხრება და ჩვენ ვლებულობთ ასეთ დანაწევრებულ მთლიანს, რომელსაც ლაიპციგის სკოლა გეშტალტს უწოდებს.

ჩვენი შეხედულების ნიადაგზე გრძნობის ინტელექტუალობის (საგნობრივის) და ინტენციონალობის საკითხი თავისებურად იჭრება: რადგან ყოველივე ფენომენოლოგიურს საფუძვლად დისპოზიციონალური მთლიანობა უდევს, რომელიც, როგორც საგნის, ისე სუბიექტის მონანილეობას ემყარება; შეუძლებელია ისეთი განცდა არსებობდეს, რომელიც აბსოლუტურად ერთი რომელიმე მომენტის მონანილეობას მოკლებული იყოს. ხშირად ამბობენ რომ ცნობიერებისთვის სუბიექტ-ობიექტობაა დამახასიათებელი; ეს ასედაც უნდა იყოს, რადგან შეუძლებელია რომელიმე მომენტი ბიოსფერულ სინამდვილისა გამომჟღავნდეს და ის ორივე მომენტს – სუბიექტურსა და ობიექტურს არ ატარებდეს. შეგრძნების ფენომენოლოგიური ბუნების შესახებ მსჯელობის დროს, ვერნერი ცდილობს მასში სრულიად უდიფერენციაციო მდგომარეობა დაინახოს. კრუგერი პირველად გრძნობას აღიარებს, ხოლო ფოლკელტი უკანასკნელისგან განსხვავებით

პირველ მოცემულს არც გრძნობას და არც საგნობრის შინაარს არ ეძახის არამედ ისეთ მდგომარეობას, რომელშიაც ორივეა ჩასახული და რომლიდანაც თანდათან ორივე სხვადასხვა მიმართულებით ვითარდება. კრიუგერიც ცდილობს მოშალოს საზღვარი გრძნობითსა და არაგრძნობითს შორის (Krueger III 107). შეგრძნება დ. უზნაძის აზრით, მატარებელია სუბიექტურობის და ობიექტურობისაც: აქ არ არის ის სიძნელე, რომელიც უეჭველად ვერნერის წინაშე დგება: ეს უკანასკნელი ისეთ განცდაზე ლაპარაკობს, რომლის არსებობა ლოგიკურად შეუძლებელია: სრული უშუალოება, ცნობიერების აღკვეთას ნიშნავს. ხოლო შუალობა, მინიმალურიც რომ იყოს, უკვე „საგნის“ სახით არსებობას ნიშნავს\* გავრცელებული შეხედულება, რომ ცნობიერებას უშუალოდ ახლავს ურეფლექსიო ცოდნა, იმ მდგომარეობის გამოთქმაა და მეტი არაფერი. გრძნობაც ინტენციონალურია, რადგან იგი, როგორც ცნობიერების მატარებელი, გაშუალებულია და ამდენად გაინტელექტუალებული. ინტენციონალობა, როგორც ცნობილია, განსაკუთრებით აზროვნების პროცესებშია ნათლად გამოხატული მაგრამ, რადგანაც აზროვნება, როგორც სეკუნდარული რეფლექსია, პირველად, უშუალო ცოდნისგან პრინციპულად არ განსხვავდება (იხ. დ. უზნაძის – ექსპ. ფსიქოლოგიის საფუძვლები. გვ), აქაც უნდა ვიგულისხმოთ მისი არსებობა. მაშინ გასაგები ხდება, რომ ის პირველი მდგომარეობა, რომელსაც ჩვენს ცნობიერებაში ქვეფსიქიკური სინამდვილე ინვეეს, თუმცა მინიმალურად, მაგრამ მაინც ატარებს ინტენციონალობის, საგნობრივობის ნიშანს. გრძნობაც საგნობრივია და საგნობრივი შინაარსიც ატარებს გრძნობის ელფერს, მათ შორის არ არის დემარკაციული ხაზი რეალურად, მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ მათ განცდათა განსაკუთრებული კლასი, გრძნობისებური ფენომენები აერთიანებს, როგორც ეს კრიუგერს ჰგონია, არამედ იმიტომ, რომ ამ განცდათა რეალური საფუძველი ისეთია, რომ ყოველგვარი ფენომენი ვალდებულია მეტნაკლებად, როგორც სუბიექტის, ისე ობიექტის მდგომარეობა გამარტავდეს.

ბიოსფერული სინამდვილის ნაცვლად, კრიუგერს სტრუქტუ-

\* Sead. Naatorn "Allgemeine Psychologie".

რის ცნება აქვს. ამ უკანასკნელმა უნდა იკისროს განცდის თავისებურებათა ახსნა-განმარტება. ამ ცნებაში არსებულ ერთგანზომილებიანობაზე ჩვენ გვექონდა ლაპარაკი: ის არის ან გრძნობისებური და ან გეშტალტისებური, ან დიფერენცირებული და ან უნაწილო მთლიანი. რომელიც არ უნდა აღვიაროთ, შედეგი არც ერთ შემთხვევაში არ არის დამაკმაყოფილებელი: ან გრძნობა რჩება აუხსნელი და ან გეშტალტი. თუ ნამდვილად როგორ აქვს კრუგერს წარმოდგენილი სტრუქტურის ბუნება, გაურკვეველია. მას აქვს ადგილები, სადაც სრულიად გარკვევით ამბობს, რომ სტრუქტურა შეიცავს შინაგან დანაწევრებას და არსებობს ე.წ. პარციალური სტრუქტურები. მაგრამ, როდესაც სტრუქტურის შემეცნებაზე დგება საკითხი, ავტორი ამბობს, რომ მისი განცდა შესაძლებელია გრძნობებში (Krueger IV გვ). გამოდის, რომ „სტრუქტურა“ გრძნობისებურიც არის და გეშტალტისებურიც. აქ ჩვენ წინააღმდეგობას ვხედავთ, რომელსაც ღრმა საფუძველი აქვს და რომლის გაგება და მისდამი შესაფერი მიდგომა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა დისპოზიციონალურ არეში სუბიექტს გარდა საგანსაც ვიგულისხმებთ. მეორე ნაკლი, რომელიც სტრუქტურის ცნებას აქვს, ეს არის მისი გაურკვეველი მდგომარეობა შემეცნების თვალსაზრისით: შეიძლება თუ არა სტრუქტურის, ამ დისპოზიციონალური სინამდვილის უშუალო ხილვა? თანახმად იმისა, რაც არის იგი, როგორც განცდების საფუძველი და ფენომენოლოგიურ=დესკრიპციული ცნებისგან განსხვავებული ექსპლიკატური ცნება, მისი უშუალო შემეცნება პრინციპულად შეუძლებელი უნდა იყოს: წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დესკრიპციულ ცნებად გადაიქცევა და სრულიად დაუსაბუთებელი იქნება ის პრივილეგიური როლი, რომელსაც განცდის ეს სახეობა თამაშობს სხვა განცდების მიმართ.

კრუგერი კი პირდაპირ ამბობს: ის, რაც აზრიანად სტრუქტურის ცნებაში იგულისხმება, – განიცდება კიდევ უშუალოდ: სახელდობრ, კომპლექსში, სადაც ადვილად შესამჩნევია ის მოცულობანი, რომელნიც განცდის სიღრმიდან მომდინარეობენ. ამიტომ, დასძინეს ავტორი, ებინგჰაუსის მიმართ მართალი იყო დილტაი, როცა ამტკიცებდა, რომ სტრუქტურებიც განიცდებიანო (Krueger II 39).

აქ უეჭველ შეუსაბამობასთან გვაქვს საქმე, რომელსაც

აგრეთვე ღრმა საფუძველი აქვს. როგორც იყო აღნიშნული, კრუგერი ებრძვის ფსიქოლოგიაში ფენომენალიზმს; მისი აზრი თითქოს ისეთია, რომ ფსიქიკური რალაც მეტია, ვიდრე უბრალო ფენომენი და ამიტომ ის ლაპარაკობს ფსიქიკური სტრუქტურის არსებობის შესახებ. ავტორი ცდილობს გემეტალტ-თეორეტიკოსების ფიზიციზმი დას ფიზიოლოგიზმი თავიდან აიცილოს; მას ქვაზი-ფიზიოლოგიურად მიაჩნია ვერტჰაიმერის თეორია ფიზიოლოგიური გემეტალტის შესახებ და ამ საკითხში გ. ე. მიულერს და სპერმანს ეთანხმება. ამიტომ გასაგებია, რომ ის ცდილობს ფსიქიკურს ისეთი ნიშნები მისცეს, რომ იგი დისპოზიციონალური სინამდვილის უპირატესობით აღიჭურვოს. ჩვეულებრივი გაგებით და ხშირად კრუგერის გაგებითაც (Krueger – II, გვ. ), ფსიქიკური „ფენომენია მხოლოდ“. იგი განსხვავებულ რეალობას საჭიროებს, რომლიდანაც მან კანონი და არსებობა უნდა მიიღოს. ასეთი რეალობა „სტრუქტურა“ და, მაშასადამე, „ფსიქიკური სტრუქტურა“ შინაგანი წინააღმდეგობის შემცველი ცნებაა. კრუგერი იძულებულია ამ შინაგანი წინააღმდეგობებით ვიდოდეს, რადგან იმ ამოცანის შესრულება, რომელიც მას მიზნად აქვს, შეუძლებელია იმ საშუალებებით, რომელიც მის განკარგულებაშია. ან ფსიქიკურით, ან ფიზიოლოგიურით უნდა აიხსნან ფსიქიკური ფენომენები; ასეთია მისი ალტერნატივი. ის უარყოფს ფიზიოლოგიური ახსნის კრახს და ამიტომ იძულებულია, რადგან სხვა სინამდვილეს არ იცნობს, ფსიქიკურს „სტრუქტურის“ თვისებები მიანიჭოს და აღნიშნავს, რომ გემეტალტ-თეორია ფიციზმში იმიტომ შეიჭრა, რომ ჯეროვანი დაკვირვება განცდათა სამყაროსი ვერ მოახდინა: რომ ეს მას შეუსრულებია, როგორც საჭირო იყო, ის გრძნობების როლს გვერდს ვერ ავუღიდა და... ფსიქოლოგიური სტრუქტურის ცნებას შეიმუშავებდა. რადგან, გრძნობის სიღრმითი განზომილებაა ის განცდები, სადაც ყველაზე ნათლად არის მოვლენილი ფსიქიკურის სტრუქტურიზაციის და გამოვლენის საფეხურები (Krueger – II, გვ. 39 და სხვ.). თითქოს ვლებულობთ ისეთ ფსიქოლოგიურ სისტემას, სადაც ფსიქიკური იმანიტეტური ძალების საშუალებით არის აგებული: გვაქვს ფსიქიკური ფენომენი და ფსიქიკური სტრუქტურა. პირველი მეორით განისაზღვრება, მაგრამ აზრის

ასეთი მსვლელობა, ზემოთქმულის გარდა, იმიტომაც არის მიუღებელი, რომ ყველა ის თვისება, რომელიც „სტრუქტურას“ ენიჭება, ფსიქიკურ ფენომენებში აღმოჩენილი კანონების ტრანსცენდენტაციის მეტს არაფერ შეიცავს. ლოგიკურად რა ახსნითი საქმე კეთდება იმით, რომ განცდილი კანონზომიერება დისპოზიციონალურ კანონზომიერებად გამოაცხადო და შემდეგ ამით კვლავ განცდილი კანონზომიერება გამოიყვანო?

კრუგერიც გრძნობს ფსიქიკურის ამარა დარჩენის უმწეობას და ხშირად ფსიქიკურის მაგივრად ფსიქო-ფიზიკურ სტრუქტურაზე ლაპარაკობს (შეად. აგრეთვე ზანდერის ანალოგიური აზრი, ზემოთ). ფსიქო-ფიზიკური სტრუქტურა საფუძვლად უნდა დაედვას ფსიქიკურ პროცესს, ამოხსნის კრუგერი (Krueger –II, 55-56).

მაგრამ რა არის ფსიქო-ფიზიკური სტრუქტურა? თუ ფიზიკურს და ფიზიოლოგიურს „სტრუქტურობის“ უნარი არ უნდა ჰქონდეთ, როგორღა იძენენ ისინი ამ თვისებას, როცა მათ სიტყვა ფსიქიკურთან ვაკავშირებთ? ცხადია, კრუგერი აქ პირდაპირ მივიდა ისეთი რეალობის აღიარების საჭიროებამდე, რომელიც მატარებელი იქნება ფსიქიკურის მთლიანობის და ფიზიკურის „ხანიერების“ (ხანგრძლივობის) ნიშნის და იმავე დროს იმდენად თავისებური იქნება, რომ მისი წარმოდგენა სხვადასხვა ფსიქო-ფიზიკურ ელემენტებისგან შედგენილი და დაუშვებელი იქნება. კრუგერი ასეთი სინამდვილის ცნებას არ იცნობს და რომ მას ეს ცოდნოდა და გამოეყენებია, თავიდან აიცილებდა ყველა იმ სიძნელეებს, რომელზედაც ჩვენ მივუთითეთ. და ეს მით უმეტეს ბუნებრივი იქნებოდა, რომ ზოგ ადგილას იგი იმდენად ახლოს მიდის ასეთ თეორიასთან, რომ უნებლიეთ მისი ამ თეორიასთან ნათესაობას გრძნობს ადამიანი. მას, მაგალითად არ აკმაყოფილებს მარბეს მოწაფის, კლაინტის ცნობილ შრომაში (დისერტაცია) გამოთქმული აზრი განწყობის შესახებ, სადაც ეს ცნება ცალმხრივად, ინტელექტუალისტურად არის გაგებული და არა, როგორც მთელი პიროვნების მთლიანი მდგომარეობა, რომელშიაც ნებით და ემოციონალურ მომენტებს აქვთ განსაკუთრებული როლი (Krueger, IV, 32).

*პროფ. დოქტორი მ. ვერტჰაიმერი. – ბერლინი*

ამ უკანასკნელ ათეულ წლებში ერთმა პრობლემამ განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ფსიქოლოგიაში: ეს იყო გეშტალტის პრობლემა. იგი ასეთი ფორმით მოვევლინა მკვლევარებს: უკანასკნელნი იძულებული შეიქნენ ელიარებიათ, რომ მელოდიებში, ვრცეულ ფიგურებში და სხვ., ცალ-ცალკე შინაარსების (შეგრძნებების, წარმოდგენების, აქტების და სხვ.) უბრალო ჯამის გვერდით კიდევ რაღაც არის; ამასვე მოითხოვენ ცნობის და სხვა აქტებიც; მელოდია, ფიგურა – მეტია, ამბობდენ ისინი, ვიდრე ცალკეული შინაარსების ჯამით (ფ. ერენფელსი).

სხვადასხვა გზით სცადეს ამ პრობლემის გადანყვეტა. მრავალი თეორიული და ექსპერიმენტალური შრომა უძღვნა მას სხვადასხვა ფსიქოლოგმა ამ უკანასკნელი ათეული წლების განმავლობაში.

ზოგიერთი მკვლევარი თავიდანვე მიხვდა, რომ აქ რაიმე სპეციალურ (ვთქვათ, თუნდ ძლიერ მნიშვნელოვან) საკითხთან კი არა გვაქვს საქმე, არამედ აღძრულია ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის პრინციპული პრობლემები. მაგ., ფ. კრიზი თავის ნაშრომში ცნობიერების მოვლენათა მატერიალური საფუძვლების შესახებ, ან ბეხერი თავის წიგნში ტვინისა და სულის შესახებ.

ზოგიერთი მკვლევარის აზრით ჩვენ აქ უზოგადესსა და უძირითადესს პრობლემასთან გვაქვს საქმე, რადგან გეშტალტში – წინააღმდეგ ცალკეულის, ბრმა მექანიკურის, გარეგანისა და შემთხვევითის, ჯამისებურისა, – კონკრეტული, აზრით სავსე არსი და მოვლენა გვეძლევა: აქ კი ის, რაც მთელში ხდება, კენტი ფაქტების და მოვლენების ბრმა შეჯამების შედეგი როდია. აქ ხელახლა წამოიჭრა ძველთა ძველი პრობლემა – აზრიანი თუ ბრმამექანიკური, კენტ-კენტი; მაგრამ აქ ეს პრობლემა უკვე კონკრეტული ფაქტებისა და ზუსტი მეცნიერული მიდგომის და კვლევის ნიადაგზე დგას.

წინათ ასე იყო: მკვლევართა უმრავლესობა ფიქრობდა: ამ

კენტ-კენტ შინაარსებს და პროცესებს – ისინი ყოველ კონკრეტულ მეცნიერულ კვლევაში აუცილებელი არიან (თუნდაც როგორც აბსტრაქციები) – ამ „და-კავშირებს“ კიდევ რალაც ემატება, მათში კიდევ რალაც ჩაერევა და მონანილეობს: მალალი პროცესები; ისინი, როგორც ჰეტეროგენური რამ, როგორც დანამატი; სხვა დანარჩენი მომენტების გვერდით დგანან (ისევე, როგორც ვიტალიზმისათვის – ბრმა მექანიკურის გვერდით სხვა, ჰეტეროგენური რამ დგას – აქაც ჯამია). მაშასადამე, არსებობს შეგრძნებები და მათი ჯამი, სუმატიური პროცესები ერთი-მეორის გვერდით არის განლაგებული, არსებობს და თანაც საფუძველმდებელია – ბრმამექანიკური ასოციაცია; გამოცდილება ცალ-ცალკე ფაქტების ჯამი და მოგონებაა. და ყოველივე ეს, ამ შეხედულების მიხედვით, ძირითადია და დამახასიათებელი ფსიქიკური არსისა და მოვლენისათვის.

ყველაზე უფრო რადიკალური ცდა, რომ ამ ორჭოფული, თეორიულად მიუღებელი მდგომარეობიდან საქმიანი და კონკრეტული გამოსავალი მონახულიყო, – გეშტალტ-თეორიას ეკუთვნის. მისი ამოსავალი წერტილი ასეთია: სწორი არ არის. თითქოს აი აქ ცალკე დგას კენტ-კენტი, ბრმამექანიკური პირველადი ცალკეული შინაარსები (ან მათი „და-კომპლექსები“) და მათ გვერდით კიდევ რალაც სხვა არის მოთავსებული, დამატებული, არამედ: ის რაც კენტ-კენტად ეჩვენებათ, გაგებულ უნდა იქნეს კონკრეტულად, როგორც მთელის ნაწილი; განა ისეთი მიდგომა და გაგება, სადაც მხოლოდ კენტი საგნები და მათი ჯამი არსებობს, განა იგი მხოლოდ აუცილებელი შედეგი არ არის მეცნიერების ისტორიული მდგომარეობისა და განა იგი ძირითადად არ ეწინააღმდეგება სინამდვილეს? განა არ არის შესაძლებელი მეცნიერული გზით იქნას დამტკიცებული, რომ ის, რაც ცალ-ცალად ეჩვენებოდათ აქამდე, მთლიანობისაგან არის განსაზღვრული, როგორც მისი ნაწილი, მთელის პირობებს, კანონებს, მთელის ტენდენციებს ექვემდებარება? ის პოსტულატები, როგორიცაა, „ცალკეული შეგრძნებისეული შინაარსების ჯამი“, „ასოციაცია“ და სხვ. სრულიად არ არის დამახასიათებელი ფსიქიკური მოვლენებისათვის და გეშტალტის მოსაზღვრე მოვლენებს წარმოადგენენ. ის, რაც ხდება პრინ-

ციპულად ცალ-ცალკე ფაქტების ჯამი არ არის („გარედან „ბრ-  
მად შეკონინებული“ და სხვ. არამედ არსებითად და ძირითადად  
(„შიგნიდან“) მლიანობის კანონებით არის დაპირობებული.

როგორც ვხედავთ აქ რადიკალურ გარდატეხასთან გვაქვს  
საქმე: თუ გეშტალტი და გეშტალტისეული აქამდე რალაც იდუმ-  
ალი, თეორიულად მიმატებული რამ: სხვა დანარჩენის გვერდით  
მდგომი იყო, ახლა ეს, ვითომდა კენტი შინაარსები თუ მოვ-  
ლენები გაგებულა, როგორც გეშტალტის ნანილები, მთელის  
კანონებიდან გამოიყვანება; და ეს მარტო ამა თუ იმ სპეციალურ  
მთლიანობებს კი არ ეხება, ვთქვათ, მელოდიებს, არამედ მთელ  
ფსიქიკურ სამყაროს. სრული შეცდომაა, როცა ფსიქიკური  
სინამდვილის აგებას ელემენტარულ ცალ-ცალკე შინაარსები-  
საგან ლამობენ; მოვლენები უნდ განხილული იქნას, როგორც  
ცოცხალი მთლიანობის ნანილები, უნდა გაგებულ იქ-  
ნას, როგორც ცოცხალ კავშირში მყოფი ნანილები და არა რო-  
გორც გამთიშველი ანალიზის მკვდარი პროდუქტი, – ამ ანალ-  
იზის ვითომდა აუცილებელი რეზულტატი.

ჯერ კიდევ არ არის ყველასათვის ნათელი (თუმცა დღეს  
უკვე მრავალმა ფსიქოლოგმა თეორიულად უარი განაცხადა  
ასეთ ცალკეულ კონსტრუქციაზე), თუ რამდენად რადიკალ-  
ურია, რამდენად ღრმად იჭრება ეს ახალი კონცეპცია კონკრე-  
ტულ სინამდვილეში, თუ რას მოითხოვს იგი მეცნიერებისაგან;  
მაგრამ ფიქრობენ: არ კმარა, შეცდომაც იქნება, რაიმე ფაქტი  
თავისთავად, კენტად განვიხილოთ, მას მივანებოთ მისი კერ-  
ძო მიმართება სხვა ასეთივე კენტი ფაქტებისადმი, არამედ იგი  
ცოცხალი მთლიანობის ნანილად უნდა იქნას წარმოდგენილი იმ  
სახით, როგორც იგი მთელში არსებობს, ფუნქციობს, მთელს ეზი-  
არება (ს ი ც ჰ ა ლ ს თ ე ი ლ ბ ე ს ტ ი მ მ ტ); მთლიანობის ნანილ-  
ია და არა კენტის შინაარსი. აქ საჭიროა ერთგვარი მთლიან-  
მომქმედი აზროვნება, რომელიც კენტი ფაქტების შეკონინების  
გზით კი არ მიდის, არამედ ნანილებს მთლიანობაში დინამიკურ-  
რად განიხილავს, რომელსაც მთლიანობის სამფლობელოს საზ-  
ღვრები უნდა გამოარკვეოს. უნდა გაირკვეს, რას წარმოადგენენ  
ეს მთლიანობანი და როგორია მათი შინაგანი კანონზომიერება  
სინამდვილეში, in concreto.

აქედან მრავალი გზა იშლება და მრავალი პრინციპული ამოცანა იბადება. ცხადია, აქ მარტო ფსიქოლოგიურ პრობლემასთან კი არ გვექნება საქმე; ეს პრობლემები მთელს ფსიქოლოგიას მოიცავენ, მაგრამ არა მარტო ფსიქოლოგიას, არამედ მეცნიერებისა და ცხოვრების მრავალ სხვა დარგსაც.\*

ზემონათქვამი პრინციპულად ფიზიოლოგიურსაც ეხება (ამით ძირითადად იცვლება ფსიქოფიზიკური პრობლემის ხასიათი მთავარ მეცნიერულ-კვლევითი ამოცანების გადაწყვეტის დროს). პრინციპულად იგივე ითქმის წმინდა ფიზიკალურზედაც (ვ. კოლერი). შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, – და ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია სწორედ ფსიქოლოგებისა და ფიზიოლოგებისათვის, – თითქოს „ფიზიკური“, „ფიზიკალური“, უსათუოდ ცალ-ცალი მოვლენების ბრმა ჯამს, მექანიკურ შეკონინებას წარმოადგენდეს. არა, მრავალი ფიზიკური ისეთი აგებულობისაა, რომ მის ნაწილებს მთელის კანონზომიერება, მთელის აღნაგობა განსაზღვრავს და არა პირიქით. ასეთია ყოველ შემთხვევაში მაკრასკოპული, რომელთანაც უმთავრესად აქვს საქმე ფსიქოლოგიას; ასეთივეა პირველი ნამდვილი „ფიზიკური სისტემა“. მოძღვრება „ფიზიკური გეშტალტების შესახებ“, „ფიზიკალიზმის“ შემოტანას კი არ ნიშნავს, არამედ კონკრეტული გეშტალტური მოვლენების აღმოჩენას, ძირითადი თეორიული ცნებების კონკრეტიზაციას და მოთხოვნას, რომ ფიზიოლოგიური კვლევა-ძიების დროს არ გამოგვრჩეს ნამდვილი ფიზიკურ სისტემათა ფიზიკა.

ცხადია (და ეს უკვე ზემონათქვამიდანაც ნათელია), ზემომოყვანილ დებულებათა მხოლოდ ზოგადი დადგინებ და სისტემატიზაციაც ჯერ კიდევ არაფერს არ იძლევა. საქმე ის არის, in concreto ვწვდეთ რეალურ მთლიან-კანონზომიერებას, ნაწილების გარკვეულობა მთლიანად გამოვიყვანოთ; გეშტალტთეორია კონკრეტული კვლევის პროცესში დაიბადა, კონკრეტული კვლევისათვის არსებობს და ზემონათქვამი მეცნიერული კვლევის ყველა პრობლემას შეეხება.

\* თავისი ძირითადი პოსტულატების მხრივ გეშტალტთეორია ემთხვევა აზროვნების განვითარების იმ ნაკადს, რომელიც ამ უკანასკნელი ათეულ წლებში სულ სხვა მხრიდან, წმინდა გონისმეცნიერებითი პრობლემატიკიდან ამოვიდა.

დასასრულ, არსებულ გამოკვლევათაგან მოვიხსენიოთ ზოგიერთი ისეთი, რომელიც სხვაზე უფრო მეტად გაგვაცნობს გეშტალტთეორიას (მრავალი სხვა გამოკვლევა ჯერ მხოლოდ ლექციების საშუალებით არის ცნობილი).

აი სანიმუშო ილუსტრაცია ამ ამოცანებისა ზოგიერთ სპეციალურ საკითხზე:

ა) განა სწორია პრინციპულად მელოდიის აღქმის ასეთი გაგება: ჯერ ერთი-მეორეს მომდევნო ცალკე ტონების (კენტი შინაარსები), პლუს, ვთქვათ, ცალკე ინტერვალები (პლუს კიდევ სხვა რაიმე დანამატი, ვთქვათ, ამ შინაარსთა კომპლექსის კვალიტეტი და სხვ).?

თუ საქმე სულ სხვანაირად არის: თითოეული ტონი იმ თავითვე მთელის ფუნქციონალურ ნაწილს წარმოადგენს, მთლიანის დინამიკაში ჩაქსოვილი! მკაფიოდ გამოხატულ შემთხვევებში, მაგალითად, ჩვენ გვეძლევა ასეთი სპეციფიკური კვალიტეტი: „ნამყვანი ტონი ძირითადი ტონის მიმართ“, „მისი „ბატონობისაკენ“ მიმართულობა“, ან და სულ სხვანაირად: „მყარი ძირითადი ტონი“, „მელოდიის უზენაესი ნერტილი“; ვითომცდა კენტი შინაარსის (მაგ. ტონი „h“) მა გ ი ვ რ ა დ მთლიანმომქმედი „ორგანიზმი“ (გეჰალტ) (მელოდიის ტრანსპონირების არსებითი ინვარიანტი). კენტად აღებული „h“ ყოველთვის ერთი და იგივეა, მაგრამ სხვადასხვა მელოდიაში (ან ერთ და იმავე მელოდიის სხვადასხვა ადგილას) იგი განა სპეციფიკურად განსხვავებული არ არის?

პრინციპულად იგივე ითქმის ინტერვალის შესახებ: განა პირველობა თავისთავად კვარტას ეკუთვნის (როგორც კენტი ინტერვალს); თუ, პირიქით, ასეთ კვალიტეტს აქვს ადგილი: „მელოდიის ძირითადი ტონისაკენ“ (როგორც მაგ., მარშის დაწყებისას)? მუსიკის თეორიის ტერმინები ამ შემთხვევაში მარტოოდენ ერთგვარი მითითებას უნდა წარმოადგენდენ ნამდვილს, ფსიქიკურად დასრულებულ შინაარსზე – და მეტს არაფერს.

ზუსტი მეცნიერული იარაღით უნდა მივუდგეთ ამ ფაქტებს, ავსახოთ ის, რაც არის ნამდვილად; საკითხს სწყვეტს: ხელოვნური ვარიაცია მელოდიისა მისი ცნობის ექსპერიმენტში, თავისუფალი სიმღერის კანონების გარკვევა და სხვ. და მელო-

დიის „შევსება“, გაგრძელება, სპონტანური „დასრულება“, – განა ყველა ეს მოვლენა ძირითადად კენტი შინაარსების შეკონინება ბრმა ჩვეულების საქმეა?

ბ) პრინციპულად ასეთივე საკითხები დგება ფიგურების, ფერების მიმართაც. დანახული ობიექტი კენტი ერთეულებისაგან კი არ არის შემდგარი, მათ ჯამს კი არ წარმოადგენს (აქედან – გარკვეული მითითებები ე. წ. ელემენტარი ფენომენების, როგორიცაა ზღურბლი“, „კონტრასტი“ და სხვ. – ზუსტ ემპირიულ კვლევას). და იგივე ითქმის საერთოდ აღქმაზე, ნამბობის მოსმენაზე, აზროვნების პროცესებზე, მოქმედებათა გაგებაზე.

აქ მნიშვნელოვანია აგრეთვე შემდეგი გარემოება: განა ის პროცესები, რომლითაც ჩვენ „მთლიან“ მოცემულს – დანახულ რამეს, ზღაპარს, ადამიანის ქცევას – განა ეს პროცესები ცალცალკე ერთეულების ჩვეულ კავშირებზეა, მეხსიერების ცალცალკე მონაცემებზეა დაფუძნებული განა აზროვნების პროცესები გამოცდილების ცალცალკე ფაქტების საფუძველზე ხდება ან და ტრადიციული ლოგიკის ცალცალკე ოპერაციების გზით, ცალკე მიმართებათა გზით და სხვ. ხორციელდება? თუ: აქაც ის, რასაც ამ გარკვეულ პროცესში ვხედავთ, არსებითად მთლიანის მიერ და მთლიანკანონზომიერებით არის განსაზღვრული? განა „გამოცდილება“ ის არის, რომ ცალკე ფაქტები ხშირად ერთად გვინახავს, თუ იგი პრინციპულად სხვა რამ არის, ის, რაც ჩვენ სიტყვახმარებაში – „გამოცდილება მაქვს“, „გამოცდილება შევიძინე – იგულისხმება? შეიძლება დიდის გულმოდგინებით, დიდის ყურადღებით აღნუსხო კერძო ფაქტი, მეხსიერებაში აღბეჭდო, რგორც უბის ნიგნაკში ჩაინერენ ხოლმე, შემდეგ ცალცალკე ლოგიკური ოპერაციებით დაამუშაო ეს მასალა, – და ნამდვილი „გამოცდილება“ მაინც ვერ მიიღო, თუ მთლიანობა ვერ დაიჭირე, თუ ცალკეულ ფაქტს, როგორც მთელის ნაწილს არ მიუდექი. ან და კიდევ: შეიძლება მრავალჯერ გქონდეს განმეორებული რომელიმე მათემატიკური დებულების მტკიცების ყველა ოპერაციები, ზეპირადაც ისწავლო, კარგად გესმოდეს ის ზუსტი ლოგიკური კავშირი, რომელიც ორ, ერთი-მეორის მომდევნო დებულებას შორის არის და მაინც არაფერი არ შეგრჩეს ხელში, ზოგჯერ ტლანქი შეცდომე-

ბიც დაუშვა – თუ ცალკე დებულებები უბრალოდ შეაკონინე და თუ თითოეული შენი ნაბიჯი მთლიანობის ფუნქციონალური ნაწილი არ არის, თუ არ არის გაგებულ მიხედვით მისი როლი მთელში, თუ იგი მთელის მიერ არ არის განსაზღვრული. რამდენად სასარგებლოა, მაგალითად, რაიმე საანგაროში ამოცანის გადაჭრის დროს ასეთი მეთოდის ხმარება: ვიდრე თვით გამოანგარიშებას შეუდგებოდე, თვალი გადაავლო მთელ ამოცანას – „რა შეიძლება გამოვიდეს“; იმას, ვინც ცალკეული ოპერაციების გზას დაადგება, ტლანქი შეცთომები მოუვა, ძლიერ „გამოცდილი“ და „ნიჭიერი“ მოანგარიშეც რომ იყოს.\* რა კარგ ნაყოფს გამოიღებდა ასეთი მიდგომა დამხმარე სკოლის მონაფეებისადმი, რომელსაც, ცვეულებრივ ვთქვათ, არ ეხერხებათ ესა თუ ის აზროვნებითი ან საანგარიშო. ამოცანა, თუ ეს ამოცანა მათი ცხოვრების მთელ სიტუაციის ორგანულ ნაწილს არ წარმოადგენს, თუ მას მთელი სიტუაცია არ მოითხოვს; ეს მონაფეები ზოგჯერ განსაცვიფრებელ შედეგს გვაძლევენ, თუ „იგივე“ ამოცანას ასეთი ხასიათი მიეცა.

და კიდევ: ჩვენი მოქმედებანი, ქცევა განა ასე კენტ-კენტად მოტივირებული, თავისთავად არსებული, ცალკე პროცესებია, ამ პროცესების ჯამია? თუ ისინი იმთავითვე ნაწილობრივ პროცესებს წარმოადგენენ, მთლიანობის-მიერნი არიან, ადამიანის მთლიანობის და მთლიანი სიტუაციის ცოცხალ სისტემაში არიან ჩაქსოვილი?

---

\* აი კიდევ მაგალითი სხვა სფეროდან აღებული: ერთ გიმნაზიელ ქალს, არაჩვეულებრივ ნიჭიერს, მუყაითს, ჭკვიანს, საოცრად უჭირდა ლათინური ტექსტების თარგმნა: ლექსიკონსაც კარგად ხმარობდა, გრამატიკის წესებიც შესანიშნავად იცოდა და სხვ. ექსპერიმენტმა გამოარკვია: საცოდავ ბავშვს სასკოლო დრესურის წყალობით განწყობა შეუმუშავებია: ლებულობდა ცალკე ცალკე სიტყვებს სუქცესიურად – ჯერ ერთს მერე მეორეს, შემდეგ სიტყვის მნიშვნელობას არკვევდა, შემდეგ ბრუნვას და სხვ., შემდეგ სიტყვის მიმართებას სხვა სიტყვებისადმი და ა.შ., და არც ერთხელ არ მოსვლია აზრად (ამისათვის მას თავისუფლება აკლდა) უპირველეს ყოვლისა მთელი წინადადებისათვის გადაეწყო თვალი და ცალკე სიტყვა, როგორც მთელის ნაწილი განეხილა (ასეთი გზა მას არამეცნიერულად, არასწორად მიჩნდა კიდევ, მას „მკითხაობა“ არ უნდოდა). როცა მან თავი გაინთავისუფლა ასეთი განწყობისაგან და მიხვდა, რომ ყოველი ნაწილი – როგორც მთელის ნაწილი უნდა იყოს განხილული, სიძნელეც გაქრა.

გ) და განა იგივე არ ითქმის პრინციპულად ადამიანის გაგების, მის „თვისებების“ გარკვევის შესახებ?

ესა თუ ის საქციელი, ესა თუ ის „თვისება“ კენტად აღებული „ერთიდაიგივეთ“ გვეჩვენება, ნამდვილად კი სხვადასხვა ადამიანში სულ სხვადასხვაა.

ძველთაგან შენიშნულ ფაქტს (si duo faciunt idem, non est idem)\* – ეს უფრო პარადოქსად ითვლებოდა, – მეცნიერებამ სერიოზული ანგარიში უნდა გაუწიოს. მრავალი შეცდომა ადამიანის ხასიათის შეფასებაში, პედაგოგიურ შეფასებებში იმით არის გამოწვეული, რომ ადამიანის მოქმედებებს, თვისებებს ცალ-ცალკე ღებულობენ (როგორც განყენებულ ერთეულებს, თითქოს ცალკე კლასებს), ცალ-ცალკე ახსნას ცდილობენ ნაცვლად იმისა, რომ იმ სპეციალური როლისა და ფუნქციის მხრივ მიუდგენ ამ მოქმედებებს და თვისებებს, რომელიც მათ როგორც მთლიანობის ნაწილებს ეკუთვნის; ნაცვლად იმისა, რომ მათი ახსნა მთლიანობაში ეძიონ. მეცნიერებაში ამჟამად ასეთი მდგომარეობაა: იმ დროს, როცა ცალკეული სტატისტიკური მეთოდები უაღრესად არის განვითარებული, ეს ახალი მეთოდი – ნაწილების მთლიანობაში განხილვისა და საფუძველმდებელ მთლიან კანონზომიერებათა ძიებისა, – მხოლოდ ახლახანს იდგამს ფეხს.

ერთი სპეციალური, ძალზე სიმპტომატური მაგალითი უნდა მოვიყვანოთ: ფსიქოპათოლოგიური-ერთტიპის შემდეგი „თვისებები“ ახასიათებს: ტლანქი დაურიდებლობა, ეგოიზმი, მხოლოდ და მხოლოდ ელემენტარი მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ინტერესები; ბავშვი საკმაოდ უსიცოცხლოა; მგრძნობიარობა (მაგ. ტკივილის მიმართ) ძლიერ დაცემულია. ასეთ ბავშვებს უყურებენ როგორც სპეციალურ ტიპს, რომელიც დაბადებიდანვე ასოციალურს ქცევისაგან არის მიდრეკილი, მორალურად დეფექტურია და სხვა (მოვიგონოთ ძველი ტერმინი – „მორალურად სნეული“) – ერთი სიტყვით განუკურნებელი თვისებების

\* შემოמוყვანილი თვალსაზრისი რომ ზუსტად დავიცვათ: თუ კენტად აღებული რომელიმე შინაარსი სხვადასხვა შემთხვევაში ერთიდაიგივეა (ერთი და იგივეთ გვეჩვენება), ნამდვილად იგი კენტ იდენტურ შინაარსს კი არ წარმოადგენს, არამედ თითოეულ ცალკე შემთხვევაში მთლიან ფუნქციონალურად სრულიად განსხვავებული შინაარსია.

პატრონია; და ეს ასეც უნდა იყოს. თუ ამ ბავშვის მოქმედებას, საქციელს კენტად ლებულობენ, აქედან მისი თვისებები გამოჰყავთ და მათ ჯამს როგორც „ხასიათს“ უყურებენ. გამოცდილება კი ხშირად ამბობს: რომ ასეთი ბავშვი სხვა (შესაფერ) გარემოში მოვათავსოთ (და რომ მისი მოქმედებები და თვისებები in concreto ასე კენტად კი არ ავილოთ, არამედ მათ გეშტალტურ რომელობაში, მათ მთლიანობაში, როგორც მთლიანობის ფუნქციონალური ნაწილები), დავინახავთ, რომ საქმე ასე არ არის, რომ მოვლენათა მთლიან დინამიკაში მდგომარეობა არსებითად შეიცვლება; ხშირად ბავშვების მგრძობიარობა განსაკუთრებით იზრდება... და რომ ეს „უგრძობობა“ ბავშვის თვითდაცვა, განდგომა, ერთგვარი ბიოლოგიური თავდასაცავი აბჯარი ყოფილა იმ გარემოსაგან, რომელიც ამ ბავშვისათვის განსაკუთრებით საგრძობი და მტკივნეულია. შესაფერის გარემოში ასეთი ბავშვები ხშირად გულჩვილი, ცოცხალი, მოსიყვარულე და საყვარელიც ხდება (და ზოგიერთი ფაქტი მონიშნავს, რომ ის თვისებები, რომელიც ბავშვს წინა სტადიაში ჰქონდა, იმ სტადიის ბრალია (კ. კრამერი). – როცა თვისებას კენტად ვლბულობთ, ის, ასეთი მიდგომის ნყალობით, „იგივეა“ სულ სხვა სიტუაციაშიც, მაგრამ რამდენად სხვა არის იგი აქ – სხვა მთლიანობაში, როგორც სხვა მთლიანობის ნაწილი?!

ამ მაგალითში ლაპარაკია ადამიანის ქცევისა და თვისებების მის გარემოცულობაში სწორ გაგებაზე, ე. ი. ისეთი რამის გაგებაზე, რაც მთლიანობითაა განსაზღვრული; აქ ლაპარაკია იმაზე, რომ მხოლოდ ადეკვატურ პირობებში მჟღავნდება, აქტუალნიზაცია ხდება იმისა, რაც არის ნამდვილად. მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია თეორიისათვის თვით ხასიათის გაშლავანვითარების და ჩამოყალიბების მთლიანი დინამიური პროცესი.

ამ სახელწოდებით ფსიქოლოგიაში ცნობილია Wertheimer-Koffka-K hier-ის მოძღვრება „გეშტალტის“ შესახებ. იგი ამ უკანასკნელი 20 წლის მანძილზე ჩამოყალიბდა.

„გეშტალტის“ მთლიანობის პრობლემას უფრო დიდი ისტორია აქვს. იგი უცხო არ არის აგრეთვე არც ერთ თანამედროვე ფსიქოლოგიური სკოლისათვის. მაგრამ „გეშტალტ-თეორია“ სპეციფიკური მოძღვრებაა.

ფსიქოლოგია თავიდანვე ცდილობდა და ახლაც ცდილობს ასე თუ ისე ახსნას „გეშტალტი“ და გეშტალტის ესა თუ ის თეორია შეიმუშაოს; ეს სკოლა კი ცდილობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, თვით ფსიქოლოგია ახსნას გეშტალტით. მან თვით გეშტალტი აქცია თეორიად, გეშტალტი – ფსიქოლოგიური „სისტემის პრინციპად“, ფსიქოლოგიური ახსნის პრინციპად, „ფსიქიკურ კანონად“ გამოაცხადა და ამ „გეშტალტ-კანონის“ საშუალებით ფსიქიკური ცხოვრების ახსნას ლამობს.

ფსიქოლოგიამ დიდი ხანია რაც იგრძნო იმ „ძველი ფსიქოლოგიის“, „ფსიქოლოგიური ატომიზმის“, „ელემენტთა ფსიქოლოგიის“ უკმარობა, რომელსაც ცოცხალი სულიერი სინამდვილე, „გონითი ცხოვრების მოვლენები ელემენტებზე დაჰყავს და ამ ელემენტებიდან გამოჰყავს“. მთლიანობის იდეა, მთლიანობისთვის ბრძოლა ძველ „ატომისტურ-სინთეტიურ“, „ნატურალისტურ“ ფსიქოლოგიასთან ბრძოლაა.

პირველი ნაბიჯი Wundt-მა გადადგა: ეს აზრი აქვს მის „ფსიქიკური კაუზალობის“ კანონებს: „შემოქმედებითი სინთეზის, „ფსიქიკური რელაქტიობის“ პრინციპს, „ფსიქიკური ზრდის“ კანონს და სხვ. მთელი არ არის ნაწილთა უბრალო აგრეგატი, იგი მეტია, ვიდრე ნაწილთა ჯამი. მუსიკალური მელოდია არ არის ტონების უბრალო თანამიმდევრობა ან ჯამი, იგი რაღაც „ახალია“, რაღაც „მეტია“ და, თანაც, სხვა რამეა, ვიდრე ნაწილები. ასეთივეა სივრცის, დროის წარმოდგენაც, გრძობები, აზ-

\* შედგენილია Petermann-ის მიხედვით.

როვნების პროდუქტები და საერთოდ ყოველი ფსიქიკური „შენ-აერთი“.

Stumpf „გაერთიანებისა და შერწყმის ფუნქციებზე“ ლაპარაკობდა.

ერენფელსმა ამ „ახალს“, „მეტს“ – გეშტალტ-კვალიტეტი“ უწოდა. მან გააანალიზა გეშტალტის ფენომენი; მისი ე. წ. გეშტალტის კრიტერიუმები: „შინაგანი დასრულებულობა“ და „ტრანსპოზიციის“ უნარი – ახლაც იხმარება. Meinong, Benussi „პროდუქციული პროცესებით“ ხსნიდენ გეშტალტს, Muller – „კოლექტიური ყურადღებით.“

მაგრამ საქმე ის არის, რომ ვერც ერთმა მათგანმა ვერ სძლია ნამდვილად და სავსებით ძველ შეხედულებას და ძირითადად ისევე „ელემენტთა ფსიქოლოგიის“ ნიადაგზე დარჩა. შეგრძნება მაინც შეგრძნებად დარჩა – „ელემენტად“, „საშენ მასალად“, „ძირითად მოცემულობად“ – და საქმე იმით გათავდა, რომ შემოიღეს შეგრძნებათა შემაკავშირებელი, გამაერთიანებელი, დამატებითი „ფუნქციები“ და „პროცესები“.

მართალია, მტკიცედ ითქვა, რომ „მთელი ნაწილებზე მეტია“, მაგრამ „ელემენტთა ფსიქოლოგიის“ დასაძლევად ეს არ იყო საკმარისი, საჭირო იყო „ორიენტაციის შეცვლა“: უნდა თქმულიყო, რომ მთელს აგრეთვე პირველობაც ეკუთვნის, რომ ძირითადი და „უკანასკნელი მოცემულობა“ – მთლიანობაა, რომ ნაწილი მხოლოდ მთელშია, მთელის ნაწილია. ეს თქვა სწორედ „გეშტალტთეორიის“ სკოლამ. მაგრამ ამ მოკლე ფორმულაში მთელი ფსიქოლოგიური სისტემა იყო მოცემული in nuce და სულ მოკლე ხნის განმავლობაში იგი თანდათან გადაიშალა კიდეც.

ამ სკოლამ მოძრაობის ფენომენის ანალიზი დაიწყო. Wertheimer-მა 1912 წელს გამოაქვეყნა გამოკვლევა „მოძრაობის ხედვის შესახებ“ (Experimentelle Studien über das Sehen von Bewegungen - ZPs).

„ორი ოპტიკური გაღიზიანების სუქცესიასთან, ამ სუქცესიის სისწრაფის განსაზღვრულ ფარგლებში (სახელდობრ, ა. წ. ოპტიმალური სტადიის ფარგლებში), ისევე კანონზომიერად და (ფსიქიკურის) შუამავლის გარეშე დაკავშირებულია ერთიანი მოძრაობის განცდა, როგორც ყოველ ცალკე გაღიზიანებასთან

მისი შესატყვისი შეგრძნებაა დაკავშირებული". (გვ. 136).

როგორ ვხედავთ, მოძრაობის ხედვა, მოძრაობის განცდა შეგრძნების ბადალია: ისევე პირველადი და უშუალო, როგორც შეგრძნება. მრავალმა გამლიზიანებელმა ერთი „შეგრძნება ნარმოიშვა და არა იმდენივე, რამდენიც გამლიზიანებელი იყო. ეს ერთი. მეორე – „გალიზიანებათა თანმიმდევრობასა“ და „მთლიანი მოძრაობის განცდას“ შუა ძვეს რაღაც „პროცესი ტვინში“, რომელიც უშუალოდ დაკავშირებულია გამლიზიანებელთან და მთლიანია თითონ.

როგორ აქვს ნარმოდგენილი Wirthaimer-ს ეს პროცესი?

სომატიური პროცესები ნერვულ აპარატში ისე კი არ ნარმოებს, რომ „ცალკეულ გალიზიანებას“ დროში და სივრცეში ზუსტად შემოფარგლული ცალკეული ალგზნება მოსდევს.

ყოველი „ცალკეული გალიზიანების“ მიერ გამოწვეული ალგზნება სცილდება თავის ფარგლებს, იღვრება გარშემო; ერთგვარი შარავანდედი ჩნდება და როცა ორი სხვადასხვა ნერიტილი – ა და ბ – სუქცესიურად ღიზიანდება, ამ ორ შარავანდედს შორის „ერთგვარი ფიზიოლოგიური მოკლე შეერთება“ ხდება და ამ „მოკლე შეერთების“ ნიადაგზე, როგორც რეზულტანტი, რაღაც ახალი ჩნდება. „ორ ნერტილს შორის მდებარე სივრცეში ხდება ალგზნების სპეციფიკური გადადინება: თუ ა-ს გარშემო დაღვრილ ალგზნების პროცესმა თავის უმაღლეს ნერტილს მიაღწია და თუ ამ დროს მოხდა ისეთივე პროცესი ბ-ს გარშემო, ალგზნება გადადინდება, – სპეციფიკური ფიზიოლოგიური პროცესი, რომელსაც მიმართულებას აძლევს ის გარემოება, რომ ა და მის გარშემო დაღვრილი ალგზნება ჯერ არ გამქრალა“ (Wertheim). ამგვარად, მოძრაობის ხედვას ანუ L-ფენომენს, როგორც მას ავტორი უწოდებს, საფუძვლად უდევს „მთლიანი პროცესი“, „L-პროცესი“, „შუა-პროცესი“, რომელიც ფიზიოლოგიურ მოკლე შეერთებას ნარმოადგენს.

ეს – მოძრაობის შესახებ. – მაგრამ ექსპერიმენტში გამოიკვება, რომ, თუ თანმიმდევარ გალიზიანებათა სისწრაფე გადასცილდა ე. ნ. „ოპტიმალურ სტადიას“, მოძრაობის ნაცვლად ჩვენ ერთ უძრავსა და მყარ საგანს აღვიქვამთ, „სიმუნტალურ გემტალტს“ ვხედავთ. ამგვარად, ეს ორი ფენომენი მონათესავე ყოფილა და

მოდრაობის განცდა და მისი ანალიზი ნათელს მოფენს აგრეთვე გემტალტის აღქმასაც: ალგზნების გადადინება – შარავანდედი, მათ „შუა პროცესები“, „მოკლე შეერთებანი“ – ყოველივე ეს აქაც ძალაში რჩება. ხდება ამ შარავანდედთა ერთგვარი ინტერფერენცია, ალგზნებათა ურთიერთ-შერთვა და, საერთოდ, „სიმულტანური L-პროცესი“ იშლება ისევე, როგორც „სუქცესიური L-პროცესი; განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სუქცესიური L-პროცესი „მიიმართება“, სიმულტანტური კი არა – იგი მდგარია და ერთიანი.

ასეთი იყო Werthamer-ის პირველი კონცეფცია და გემტალტფსიქოლოგიური სკოლის პირველი ნაბიჯი. ჩვენ აქ ჯერ ვერ ვხედავთ იმ „ორიენტაციის შეცვლას, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, „ელემენტთა ფსიქოლოგია“ ჯერ არ არის დაძლეული. L-პროცესი (სუქცესიურიც და სიმულტანტურიც), ეს „მთლიანი“ პროცესი, როგორც მას Werthamer-ი უწოდებს, მაინც „ცალკეულ“ ალგზნებებიდან არის გამოყვანილი, მათი რეზულტანტია; იგი მთლიანი კი არ არის, არამედ გაერთიანებულია: იგი ამ ცალკეულ ალგზნებათა ურთიერთშერთვით, ურთიერთ-გადადინებით ხორციელდება „მოკლე შეერთებათა გზით. მართალია, თვით ავტორი მას მთლიანს უწოდებს, იგი „როგორც მთელი“ ჩნდება ცალკეულ ალგზნებებიდანო, ამბობს Koffka, მაგრამ ჩვენთვის ცხადია, ეს სიტყვა არ არის მართებულად ნახმარი; მთელისა და ნაწილის გაგებაში ახალი „ორიენტაცია“ ჯერ სავსებით ჩამოყალიბებული არ არის, მაგრამ გადადგმულია მაინც დიდი, პრინციპული მნიშვნელობის ნაბიჯი. ჯერ ერთი, შერყეულია და უარყოფილია პრინციპში ე. ნ. „კონსტანტობის ჰიპოთეზი“: „შეგრძნებას გალიზიანება განსაზღვრავს“, „ერთნაირ გალიზიანებას ერთნაირი შეგრძნება მოსდევს“, გარკვეულ გალიზიანებას მუდამ და ზუსტად ერთი და იგივე, უცვლელი შეგრძნება მოსდევს, მათ შორის „ერთმნიშვნელოვანი კავშირია“.

მეორე ის, რომ გემტალტის ფენომენისათვის მოთხოვნილია უშუალო ფიზიოლოგიური რეპრეზენტანტი, კორელატი, რომელიც ისევე მთლიანი უნდა იყოს, როგორც თვით ფენომენია. ეს უკანასკნელი ამოცანა შემდეგში Köhler-მა გადაწყვიტა, და ამაზე ქვემოთ იქნება ლაპარაკი. აქ კი ვიტყვით, რომ „ორიენ-

ტაციის შეცვლას" და „გადატრიალებას“ ნათლად და მკვეთრად Koffka იძლევა „აღქმის ფსიქოლოგიაში“ (Psychologie der Wahrnehmung, 1914). მას წინ უსწრებდა Köhler-ის შრომა „შეუმჩნეველი შეგრძნებისა და მცდარ მსჯელობათა შესახებ“, რომელმაც Wertheimer-ის შემდეგ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ და უფრო მეტად შეამზადა „გადატრიალება“. იგი ილაშქრებს უმთავრესად ამ „კონსტანტობის პოსტულატის“ წინააღმდეგ, რომელზედაც ახლახან გვექონდა ლაპარაკი და რომელიც „ძველი ფსიქოლოგიის“ ძირითად ცნებას წარმოადგენდა. ეს პოსტულატი „ე. წ. ელემენტთა ნივთის-მაგვარი უცვლელობის დოგმა“ აიძულებდა მკვლევარებს, იქ, საცა უშუალო გამოცდილების ფაქტები ასეთი კონსტანტობის წინააღმდეგ ლაპარაკობდნენ – ამ პოსტულატის გადასარჩენად სხვადასხვაგვარი დამხმარე ჰიპოთეზები შემოეღოთ, როგორცაა: შეუმჩნეველი შეგრძნებები, მსჯელობის შეცდომები და სხვ. ცხადია, Köhler-მა სწორედ აქეთ მიმართა მახვილი. ამ შრომაში იგი მთელი რიგი არგუმენტებით ამტკიცებს, რომ „შეუმჩნეველი შეგრძნებები“ და „შეუმჩნეველი მცდარი მსჯელობები“ განდევნილ უნდა იქნან ფსიქოლოგიიდან, როგორც უსაფუძვლო და მავნე ჰიპოთეზები. შემდეგ „ფაქტების საფუძველზე ჩვენ ვფიქრობთ, რომ საერთოდ გრძნობად აღქმებში გაღიზიანებათა და აქამდის ცნობილ პერიფერიულ პირობათა გარდა არსებითი როლი ეკუთვნის კიდევ მთელ რიგ სხვა ფაქტორებს, უწინარეს ყოვლისა – ცენტრალური ბუნების ფაქტორებს; რომ ის მარტივი მიმართება გაღიზიანებას და შეგრძნებას შორის, რომელსაც ეს ძირითადი პოსტულატი რაც კი შეიძლება აბსოლუტურად თვლის, მართლდება მხოლოდ იზოლაციის გზით მიღებულ უკიდურეს შემთხვევებში, სადაც სავსებით გაბატონებულია გაღიზიანება და პერიფერიული ფაქტორები და მხსნილია ყველა სხვა ფაქტორი. აქ 1) უკუგდებულია „ფსიქიკურის შუამავლობა“, რომელსაც Wertheimer-იც უარყოფდა და 2) კიდევ ერთხელ ხაზგასმულია უშუალო ფიზიოლოგიური კორელატი, „ცენტრალური ფაქტორი“. კონსტანტების ჰიპოთეზის მოხსნით Köhler-მა გზა გაუხსნა Koffka-ს

ერთი წლის შემდეგ (1915) Koffka წერს:

აქამდის „აღქმა ნიშნავდა... უფრო რთულს, მაღალს, მეორად

რამეს, შეგრძნებები წარმოადგენდენ ელემენტებს, რომელთაგან ალქმები იგებოდა; ისინი პირდაპირ დაკავშირებული იყვნენ გამლიზიანებლებთან და თითქმის რაღაც ფსიქოლოგიის-წინარეს წარმოადგენდენ. ამიტომ იყო, რომ შეგრძნების შესწავლისას იკვლევდენ ისეთ მოვლენებს, რომლებიც, რაც კი შეიძლება, მეტად იყვნენ დაშორებული ბუნებრივ ვითარებას; იკვლევდენ ლაბორატორიის ხელოვნურ ნაყოფს, სადაც ყველაზე უფრო ნათლად უნდა ეჩინა თავი შეგრძნების წმინდა კანონებს, მის კავშირს გალიზიანებასთან. ამიტომ იძულებული ხდებოდენ მიემართათ სხვადასხვა ჰიპოთეზისათვის, რომ ამ შეგრძნებებიდან „ალქმები“ აგებულყო. ალქმის შესწავლას წინასწარი აზრით უდგებოდენ, შეგრძნების თვალაზრისით. მიიჩქმალა მოცემულობის უშუალო აღწერა; კიდევ უფრო მეტი, მასზე ეჭვიც მიიტანეს: იგი არ ასახავს სწორად ნამდვილად ალქმულს, რადგან საქმეს აფუჭებს მრავალი „მცდარი მსჯელობა“.

მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ, – განაგრძნობს Koffka – უკანასკნელ წლებში მოხდა სრული გარდატეხა... შეიცვალა თვით თვალსაზრისი: უშუალო ალქმის მონაცემი, როგორც ასეთი, შეწყნარებულ იქნა და რაც შეიძლება ზუსტად და ადექვატურად იქნა აღწერილი. ასეთი აღწერა საფუძვლად დაედვა თეორიასაც. ამას კი საბოლოოდ ის შედეგი მოჰყვა, რომ ამიერიდან იმას კი აღარ ცდილობენ, რომ ალქმა შეგრძნებების გზით გაიგონ, არამედ – შეგრძნებები ალქმაში გაიგონ.

Koffka, როგორც ვხედავთ, მეთოდურ გადატრიალებას მოითხოვს: ძველი ფსიქოლოგია სინთეტიურ გზას ადგა, – ნაწილებიდან მთელის გამოყვანა უნდოდა. ახალი ფსიქოლოგია პირიქით უნდა მოიქცეს, – მთელიდან გამოიყვანოს ნაწილები, ნაწილი მთელში გაიგოს. ეს იმიტომ, რომ პირველადი მოცემულობა, ნამდვილი სინამდვილე – მთელია და არა ნაწილი. პრიმატი მთლიანობას ეკუთვნის: პრიმატი ფენომენალური, ფუნქციონალური გენეტიური.

გ ა ნ ც და შ ი მოცემულია მთელი და არა ნაწილები. ამასთან ეს მთელი განიცდება არა როგორც ნაწილების ჯამი, ნაწილებიდან შემდგარი რაღაც, არამედ როგორც მთელი – პირველადი და უშუალო, რომელსაც ნაწილები იერარქიულად ექვემდებარები-

ან. ხშირად მთელის განცდა დროშიც უსწრებს ნაწილებს: მთელი განვიცადეთ, ნაწილები კი ჯერ არც შემოსულა ცნობიერებაში. ამიტომ განცდების აღწერისას შეგრძნებებზე კი არ უნდა ვილაპარაკოთ, არამედ გეშტალტსა და მის თვისებებზე.

ვერც ფუნქციონალურის მხრით ხერხდება მთელის ნაწილებზე დაყვანა. გამლიზიანებული პირდაპირ და უშუალოდ მთელს წარმოშობს. მთელს საკუთარ გზა აქვს და საკუთარი კანონები. ფიზიოლოგიურად „ტიპიური ფორმა... ტვინის პროცესისა ცალკე ნერტილების აღგზნება კი არ არის პლუს ასოციაცია, არამედ მთლიანი პროცესი და უწინარეს ყოვლისა მისი მთლიან- (და არა ჯამის) — თვისებები და უნდა დაედვას საფუძვლად შემდგომ ჰიპოთეზებს (Koffka).

თუ ნაწილი მთელიდან გამოიყვანება და მთელში გაიგება მხოლოდ, ეს იმიტომ არის შესაძლებელი, რომ ნაწილს მთელი განსაზღვრავს, ფლობს და წარმართავს. „ძველი ფსიქოლოგიის“ შეხედულებით ფსიქიკური ცხოვრების სუბიექტი შეგრძნება იყო და ფსიქიკურ ცხოვრებას შეგრძნების კანონები წარმართავდნენ. ახალ სუბიექტი ნაწილი კი აღარაა, არამედ მთელია, გეშტალტია და ფსიქიკურ ცხოვრებას, მაშასადამე „მთლიან-კანონები“, „მთლიან-ტენდენციები“, „გეშტალტ-კანონები“ წარმართავენ. „ატომისტური ფსიქოლოგიის“ ფსიქიკური კანონი „ნაწილების“ ასოციაცია იყო, ახალი ფსიქოლოგიის კი — თვით მთლიანობა, გეშტალტი. მაშასადამე გეშტალტი კანონია, ფსიქიკური კანონი, ფსიქიკური „კაუზალობა“ და პირიქითაც — ფსიქიკური კანონი — ეს არის გეშტალტი, მთლიანობა.

აქამდის გეშტალტი ერთ-ერთი პრობლემა იყო სხვა ფსიქოლოგიურ პრობლემათა შორის: არსებობს მთლიანობის ფაქტი, მთლიანი ფენომენები, ისინი უნდა აღწერილ და შესწავლილ იქნან ეთიოლოგიური, ფიზიოლოგიური, ფუნქციონალური და ფენომენალურის მხრით.

ასე იდგა გეშტალტის საკითხი აქამდის და ასე დგას ეს საკითხი ახლაც სხვა ფსიქოლოგიურ მიმართულებებისათვის. მაგრამ, როგორც დავინახეთ, გეშტალტ-ფსიქოლოგიისათვის ეს ასე არ ყოფილა. მისთვის გეშტალტი ერთ-ერთი პრობლემა

და ფენომენი კი არ არის, იგი კანონია, ძირითადია, ფსიქიკური კანონია, რალაც ისეთი, რამაც ყველა სხვა პრობლემა და ფენომენი უნდა ახსნას; იგი, მაშასადამე ფსიქოლოგიური ახსნის პრინციპია და როგორც ზემოთ ვთქვით, „სისტემის პრინციპია“. და ამ პრინციპზე აიგო კიდევ მთელი ფსიქოლოგიური სისტემა, ფსიქოლოგიური მოძღვრება, სკოლა, რომელსაც ჩვენ „გეშტალტ-ფსიქოლოგიურ სკოლას“ ვეძახით.

თუ ძველი ფსიქოლოგიისათვის ძირითადი ფსიქიკური კანონი ელემენტთა ასოციაცია, ასოციაციური ტენდენცია იყო, ამ სკოლისათვის – გამთლიანების ტენდენცია, გეშტალტ-დისპოზიცია (Koffka), „განწყობა“ (Wert). იგი, ზოგჯერ, შეიძლება ფენომენალურადაც მოგვევლინოს: როცა ორი ხაზის შედარების ექსპერიმენტში საგანგებო ინსტრუქციის გავლენით ცდის პირს მოლოდინი უჩნდება: ქვემო ხაზი უფრო მოკლე იქნებაო, მას გამლიზიანებლის მიცემამდისაც უჩნდება „ტრაპეციის გეშტალტი“, რომელიც შემდგომ ნამდვილ აღქმაზე ახდენს გავლენას (Koffka).

შეიძლება კიდევ ერთი მაგალითი მოვიყვანოთ. ეს არის ე. წ. „მოჩვენებითი მოძრაობის“, „მოძრაობის ფენომენი, რომელსაც პირველად Lindemann-მა (1922) მისცა გეშტალტ-ფსიქოლოგიური ინტერპრეტაცია. მაგალითად: „თუ ობიექტურ ფიგურაში პატარა ხარვეზებია, ცარიელი ნაწილები სწრაფ მოძრაობაში მოდიან, რომ დახურონ ეს ხარვეზები განსაკუთრებით წრეში, ელიპსში და სამკუთხედში“. ეს მოძრაობა „კარგი გეშტალტის მიმართულებით“ ხდება. აქაც „უკეთესი გეშტალტის ტენდენციის“ მოქმედება ფენომენალურად გვეძლევა.

რა თქმა უნდა ეს ტენდენციები ყოველთვის როდი გვეძლევა ცნობიერებაში. მაგრამ ისინი ყოველთვის მოქმედებენ. ძირითადი და მთავარია – გეშტალტკანონი, დანარჩენი კი ყოველივე მისი გამოვლინება და სპეციფიკაციაა.

„არსებობს თუ არა პრინციპები ასეთი გამოვლინებისა... და როგორია ეს პრინციპები?“ კითხულობს Wertheimer-ი.

მან ექსპერიმენტალური გზით გასცა პასუხი ამ კითხვაზე (Untersuchungen zur Lehre v. d. Gestalt. 1923).

თავის ექსპერიმენტში (წერტილებისა თუ ხაზების ჯგუფთა

სისტემატური ვარიაციის გზით) მან დაადასტურა შემდეგი „მომქმედი ფაქტორები“.

1) „სიახლოვის ფაქტორი“: გამთლიანება (ნერთილთა მწკრივში, ხაზების მწკრივში) უმცირესი მანძილის სახით მიმდინარეობს.

2) „ერთნაირობის ფაქტორი“: თუ მოცემულია სხვადასხვაგვარი შემადგენელი ნაწილების შემცველი მწკრივი, თავს იჩენს ტენდენცია ისეთი ფორმისადმი, სადაც ერთნაირები ერთად გვევლინებიან“.

3) „საერთო ხვედრის ფაქტორი“. ცდის პირს ეძლევა ასეთი მწკრივი:

...	...	...	...
abc	def	ghi	klm

ექსპერიმენტატორი უეცრივ ასწევს ზევით ზოგიერთ ნერთილს, დანარჩენები კი იმავე ხაზზე რჩება:

ახლა მწკრივი უკვე სხვა ფორმით აღიქმება: არა abc - def..., არამედ ab-cde-fgh-ikl-m; ისე ნაწილები, რომელთაც „საერთო ხვედრი“ გაიზიარეს, ერთდებიან, ისე რომ „სიახლოვის“ და „ერთნაირობის“ ფაქტორები სრულებით კარგავენ ძალას.

4) გარკვეული ფორმის ტენდენცია. ცდის პირს ეძლევა ნერთილების რგოლი. ყოველ შემდგომ ექსპოზიციაში ერთ-ერთი ნერთილი თანდათან სცილდება წრის პერიფერიას და ცენტრისაკენ მიიმართება. მაგრამ ცდის პირი ამ თანდათანობას არ განიცდის: იგი ნერთილს ჯერ კარგა ხანს მაინც პერიფერიაზე ხედავს, თუმცა იგი ობიექტურად პერიფერიას დასცილდა უკვე. შემდეგ-კი გარკვეულ საფეხურზე განცდაში ერთბაში გარდატეხა ხდება: ნერთილი თითქოს ნახტომს აკეთებს ცენტრისაკენ და ქმნის ახალ ფორმას, ახალ გეშტალტს. სუბიექტური ცვლილება, როგორც ვხედავთ, არ მისდევს კვალდაკვალ ობიექტურს, არამედ საფეხურებრივად მიიმართება, გეშტალტიდან გეშტალტზე გადადის.

5) „კარგი გეშტალტის პრინციპი“. თუ ობიექტური ვითარება არ არის „კარგი“: მომენტები აღრეულია, ერთი-

მეორეს აფუჭებენ, ართულებენ და სხვ., თავს იჩენს მოწეს-რიგების, გამარტივების, გათიშვის, შეერთების ან დასრულების ტენდენცია, – „კარგი გეშტალტის“ ტენდენცია.

ამ ხუთ ტენდენციასა თუ ფაქტორს შორის შეიძლება კონკურენციაც იყოს, უფრო ძლიერმა სხვები შეასუსტოს და სხვ.

Kohler-მა სამი ასეთივე „ფიგურის გამომწვევი მიზეზი“: „მანძილის, მსგავსებისა და ჩართვის“ ფაქტორები დაადასტურა.

Koffka (1924) თავის მოხსენებაში, რომელიც მან ბრიტანეთისა და კემბრიჯის ფსიქოლოგიურ საზოგადოებათა სხდომაზე წარმოთქვა, ასე ლაპარაკობს:

„მთელს თავისი საკუთარი კანონები აქვს, რომლებიც ამ მთელის რაგვარობას განსაზღვრავენ: მყარია იგი თუ ტრანსფორმაციისადმი მიდრეკილი, რა მიმართულება აქვს ამ ტრანსფორმაციას. უნდა განვასხვავოთ 4 მთავარი მიმართულება ამ ტრანსფორმაციისა:

1) გამარტივება – სიმპლიფიკაცია, 2) სტრუქტურისაზიარება – კონსტრუქციული რეორგანიზაცია, 3) უნიფიკაცია, 4) ამპლიფიკაცია (გაფართოება) – და მათი სანინაალმდეგო მიმართულებანი“.

\* \* \*

იმ ძირითად გარდატეხას, რომელზედაც ჩვენ ზემოთ ვლაპარაკობდით, ცხადია, უნდა მოყოლოდა „ძველი ფსიქოლოგიის“ მიერ დაგროვილი ფაქტების გადაფასება და დადგენილი კანონების გადათვალისწინება, რომ აგებულიყო „ახალი ფსიქოლოგია“.

პირველ რიგში გადათვალისწინებულ იქნა ალქმის პრობლემა – უკვე არსებული, სხვისი და მრავალი საკუთარი გამოკვლევების ნიადაგზე.

ალქმის აქტი ელემენტთა „და-შეკავშირებით“, „შეჯამებით“ კი არ ხდება, არამედ „გეშტალტ-კანონისმიერი“ აქტია. ალქმის ობიექტის კვანტიტატური, რომელობითი, სივრცითი და სხვ. მხარეები მთლიანის მომენტებია მხოლოდ, მთლიანისაგან არიან

დამოკიდებული. არ შეიძლება ლაპარაკი ფერთა კანონებზე: კონტრასტის, ზღურბლისა და სხვ., ოპტიკურ კანონებზე, „ილუზიებზე“ და სხვ. იმ მნიშვნელობით, როგორც აქამდის იყო.

უპირველეს ყოვლისა სრულიად სხვა სახეს ღებულობს აღქმის ძირითადი პრობლემა – „საგნის პრობლემა“. საგანი ნაწილებიდან კი არ არის შედგენილი, – ემპირიული გამოცდილების გზით და ასოციაციების ნიადაგზე იგი „სტრუქტურული ფუნქციის“, „გეშტალტ-ტენდენციის“ წაყოფია. ამ ფუნქციის წყალობით საგანს უშუალოდ განვიცდით, როგორც ასეთს. ცნობილი იყო უკვე (შუმანი – 1890), რომ წყვილ-წყვილად დალაგებული პარალელური ხაზების აღქმისას, მათ შორის მდებარე ცარიელი სივრცე აღიქმება ჩვენ მიერ როგორც „არე“, რომელზედაც პარალელური ხაზებია გავლებული და რომ ეს პარალელური ხაზები არესთან ერთად ერთ „მთელს“ წარმოადგენენ. ლუბინ-მა (1915) საგანგებოდ შეისწავლა „ფიგურისა და არის“ პრობლემა და დაწვრილებით აღწერა ეს მოვლენა. „თუ ორ ჰომოგენურ, სხვადასხვა ფერის ველს შორის ერთი საგრძნობლად მეტია მეორეზე და მას გარს აკრავს, ძლიერ მოსალოდნელია, რომ მწირე, გარშემონირული ველი აღიქმება როგორც ფიგურა“. ფიგურა უფრო მეტად არის დაგეშტალტებული, ვიდრე არე, კონტურის ფიგურას ეკუთვნის და არა არეს; ფიგურა უფრო გამოკვეთილია, მყარია, საგნობრივია“.

არის შემთხვევები, რომ ფიგურა და არე ენაცვლებიან ერთიმეორეს: ის რაც აქამდის ფიგურა იყო, ახლა არედ იქცევა, არე კი ფიგურად. „ძველი ფსიქოლოგია“ (ტიჩერი) ამ მონაცვლეობას ყურადღების გადანაცვლებით ხსნის: ის, რასაც ყურადღებას ვაქცევთ, ფიგურაა, დანარჩენი ნაწილები კი, ამის გამო ნაკლებად ცნობიერი ხდებიან და არეს წარმოადგენენ; ყურადღების გადანაცვლებასთან ერთად მდგომარეობა საწინააღმდეგოდ შეიცვლება – ამბობს იგი. მაგრამ დაკვირვებამ გამოარკვია, რომ თუ ფიგურა (ვთქვათ, პროფილი) არედ გადაიქცა, იგი აღარ განიცდება როგორც ასეთი, როგორც პროფილი, არამედ როგორც უბრალო და უსახო არე. იგი ახლა სხვა არის და არა ის, რაც იყო. მაშასადამე აქ საქმე ცნობიერების მეტ-ნაკლებ სიცხადეში არ ყოფილა და ყურადღებაც ამ ფაქტს ვერ ახსნის. ახსნა მხოლოდ

„მთლიან კანონში“ უნდა ვეძიოთ: ჩვენ გვაქვს „ფიგურისად-მი განწყობა“, „დისპოზიცია“ (Koffka) – ჩვენ წინ მდებარე ვერი ფიგურა – არეს სახით აღვიქვათ, ფიგურა-არედ „დავანანევროთ“. დისპოზიცია შინაგანია, უშუალო და პრიველადი; იგი ოპტიკური ველის მომწესრიგებელი ძალაა, „სტრუქტურ-ფუნქცია“.

რომ ოპტიკურ ველს „მთლიანკანონი“ განსაზღვრავს, მონმობს აგრეთვე Fuchs-ის მიერ აღმოჩენილი გადანაცვლების ფენომენი. არის ერთგვარი თვალის სნეულება, როცა დაავადებულია და „გამოვარდნილია“ რეტინის მხოლოდ ერთი ნახევარი. ამ სნეულებით შეპყრობილ სუბიექტებს Fuchs-ს ტაქისტოსკოპში აწვდიდა „კარგი გემტალტის“ მქონე ფიგურებს. თუ ფიგურა ისე იყო მიწოდებული, რომ იგი მთლიანად დაავადებულ და ბრმა (მარცხენა) ნახევარს ხვდებოდა, სუბიექტი მას მაინც ხედავდა, მაგრამ არა იქ, სადაც იგი ნამდვილად უნდა ყოფილიყო, არამედ მარჯვნივ ჯანსაღ ნახევარზე. როცა ფიგურა ორივე ნახევარს მოიცავდა, მაშინ ხდებოდა მთელი ფიგურის ყველა ნაწილის გადანაცვლება მარჯვნივ, არა მხოლოდ მარცხენა ნახევარზე მოთავსებულ ნაწილებისა, არამედ მარჯვენა ნაწილებისაც. „ასეთი შედეგ მხოლოდ მთლიანპროცესის ბრალი უნდა იყოს. ეს მთლიანპროცესი გემტალტპროცესში ძევს“ – ამბობს Fuchs. მაშასადამე, რეტინის ერთ და იგივე ნერტილს სხვადასხვა „სივრცითი ღირებულება“ ჰქონია იმისდა მიხედვით, მარტო აღიგზნება იგი თუ სხვებთან დაკავშირებით. ელემენტის „ღირებულებას“ მთელი განსაზღვრავს.

შემდეგ, მთელის გავლენით, იცვლება არა მარტო მდებარეობა ნაწილებისა, არამედ მათი სიდიდეც. ობიექტურად ერთნაირი ხაზი სხვადასხვა გემტალტპირობებში ხან მეტია, ხან ნაკლები. ე. წ. „გეომეტრიულ-ოპტიკური ილუზიები“ ამის საუკეთესო საბუთია. ეს ექსპერიმენტალურადაც დამტკიცდა.

გადათვალეირებულ იქნა ისეთი ცნებებიც, როგორცაა, „განსხვავებულობის გრძნობიარობა“, „ზღურბლი“ და მასთან ერთად მოძღვრება შეგრძნების ინტენსიობისა და რომელობის შესახებაც კი. რამდენიმე მაგალითი საკმარისია ამის ნათელსაყოფად.

Rubin-ის ცდებში გაირკვა სხვათა შორის, რომ ე. წ. ფერ-

თა კონსტანტობა, საგნის ფერი, გეშტალტ მომენტზე ყოფილა დამოკიდებული, რომ ფიგურაში იგი უფრო გამოკვეთილია, ვიდრე არეზე.

Rubin-ის გამოკვლევამ დაამტკიცა, რომ ე. წ. ფერთა კონტრასტის ფენომენში იმდენად თვით ცალკე ფერები, ნაწილები კი არ თამაშობენ როლს, რამდენადაც ის, თუ რომელი გეშტალტ-მთელის ნაწილს წარმოადენს ესა თუ ის ნაკვეთი“. ერთ ადგილას კონტრასტი ძლიერია, მეორე ადგილას – არა.

Wertheimer-მა ასეთი ცდა მოახდინა: რუხი ფერის წრე მოთავსებულია ორ ფერად არეზე ისე, რომ წრის ერთი ნახევარი ძვეს წითელ ფერზე, მეორე ნახევარი კი მწვანეზე. თუ ამ კომპლექსს ისე აღვიქვამთ, თითქოს წრის ორივე ნახევარი სხვადასხვა ფერზე დევს, მაშინ ორივე ნახევარში ადგილი აქვს ძლიერ კონტრასტს. მაგრამ, თუ განწყობა ისე შეიცვალა, რომ ორი ნახევრის ნაცვლად ერთ მთელ წრეს ვხედავთ, მაშინ კონტრასტი ან ძლიერ სუსტია ან სრულებით ქრება, ე. ი., რადგან მთლიან ფიგურასთან გვაქვს საქმე, იგი ან მთლად, ან თითქმის მთლად ერთფერია და კონტრასტის კანონმაც დაკარგა ძალა.

ფერთა ცვალებადობა გეშტალტის გავლენით Fuchs-მა დაწვრილებით შეისწავლა. მოყვითალო-მწვანე წრე მოთავსებულია ყვითლებსა და მწვანე წრეებს შორის. თუ ეს წრე ყვითელ წრეებთან ერთად აღვიქვით, – იგიც ყვითლად გვეჩვენება, თუ მწვანე წრეებთან ერთად – მწვანედ. ე. ი. ნაწილის ფერი იცვლება მთელის ფერის დადგვარად და მას თითქოს საკუთარი ფერი არა აქვს (სხვა მაგალითებთან ერთად ესეც იმას ლაპარაკობს, რომ გალიზიანება-შეგრძნების ერთმნიშვნელოვანი კავშირის, ე. წ. „კონსტანტობის“ ჰიპოთეზი, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი, არ ყოფილა სწორი).

შემდეგ ცდებში, რომლებიც დიდად საინტერესოა ოპტიკური ველის ორგანიზაციის „საგნისა“ და საგნების ხედვის პრობლემისათვის, Fuchs-მა გვაჩვენა, რომ საგანთა სივრცითი ლოკალიზაციაში გადამწყვეტი მნიშვნელობა საგანთა გეშტალტურ გამიჯნულობას თუ გაუმიჯნელობას აქვს და რომ საგანთა ფერთი თვისებები იცვლება იმისდა მიხედვით, თუ როგორია ეს ლოკალიზაცია.

Gelb და Granit-მა დაამტკიცეს, რომ ფერით „ზღურბლი“

სხვადასხვა სიმაღლეზეა ფიგურაში და არეზე: ფიგურაში იგი უფრო მაღალია, ვიდრე არეზე. ცდა შემდეგნაირად იყო მოწყობილი: რუხი ფერის ველზე ჩნდება ფერადი წერტილი; თუ ეს წერტილი ფიგურაზე გაჩნდა, მას ვერ ვამჩნევთ და ფიგურა მაინც მთლად რუხია ჩვენთვის; მაგრამ თუ ეს წერტილი არეზე გაჩნდა, მას შევამჩნევთ. რაც უფრო ძლიერად არის გამოკვეთილი „ფიგურა-არეს“ გეშტალტი, მით უფრო დიდია ზღურბლთა განსხვავებულობა. ფიგურას აქვს „ტენდენცია რაც შეიძლება ჰომოგენური ჩანდეს“ და ამიტომ იგი წინააღმდეგობას უწევს ყოველივეს, რაც ფიგურის სინმიზმს ემუქრება. ეს ტენდენცია კი „ზოგად კანონზე დაიყვანება, – სახელდობრ, „გეშტალტის სინმიზმის ტენდენციაზე“. არე ნაკლებად გეშტალტურია. „სინმიზმის ტენდენცია“ უფრო სუსტი აქვს; პირიქით, ეს ფერადი წერტილი აგეშტალტებს, „ანანევრებს“ კიდევ არეს; მაშასადამე, აქაც გეშტალტისადმი ტენდენცია მოქმედობს.

ზემომოყვანილი მაგალითები საკმარისია იმის საილუსტრაციოდ, თუ როგორ „გადაათვალიერა“ გეშტალტფსიქოლოგიურმა სკოლამ აღქმის პრობლემა.

მაგრამ რევიზია აღქმის ფარგლებსაც გადასცილდა. არსებითად შეიცვალა რეპროდუქციის და საერთოდ მეხსიერების მოვლენების გაგება, უწინარეს ყოვლისა თვით „ასოციაციის კანონებისა“, რომლებიც ძველი ფსიქოლოგიის ქვაკუთხედს წარმოადგენდნენ. აი რას ამბობს Koffka თავის „Grundlagentender psychischen Entwicklung“ (1921).

„რადგან ჩვენ უკუვაგდეთ ასოციაციის გაგება როგორც დამოუკიდებელი ნაწილების გარეგანი კავშირისა, ვერ მივიღებთ ასოციაციის ზოგადი კანონის არსებობას. ეს კანონი შეიძლება დაახლოვებით ასე გამოითქვას: თუ ABC ფენომენები ერთდროულად, ან რამდენიმეჯერ თანმიმდევრობით გაჩენილან ცნობიერებაში, ერთ-ერთი მათგანის გაჩენისას ჩნდება დანარჩენთა რეპროდუქციის ტენდენცია... ამ კანონის ნაცვლად უნდა შემოვიღოთ მეორე: თუ ABC ფენომენები ერთხელ ან რამდენიმეჯერ გვექონია როგორც სტრუქტურის წევრები, ერთ-ერთი მათგანის გაჩენისას, თუ კი მას შეუნარჩუნებია „მთელის ნაწილის“ ხასი-

ათი ჩნდება მთელი სტრუქტურის მეტად თუ ნაკლებად სრული და მკვეთრი განახლების ტენდენცია.

აქაც, როგორც ვხედავთ, იმავე ტენდენციაზე, გეშტალტის დასრულების ტენდენციაზეა ლაპარაკი, გეშტალტკანონზე, და არა „ნარმოდგენათა ასოციაციაზე“. ცხადია აგრეთვე, რომ ამასთანა დაკავშირებით უნდა შეცვლილიყო მეხსიერების მოვლენების გაგებაც. საილუსტრაციოთმოვიყვანთ Wulf-ის გამოკვლევას. იგი აჩვენებდა ცდის პირებს სხვადასხვა გეომეტრიულ ნახაზებს. რამდენიმე ხნის შემდეგ მათ უნდა მოეგონებიათ ეს ნახაზები და დაეხატათ. ამ ნახატების ანალიზმა გამოარკვია, რომ დროთა განმავლობაში მეხსიერების ხატები იცვლებიან ორი მიმართულებით: ან „დაზუსტებისა“, ე. ი. გეშტალტის დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთის მიმართულებით, ან „ნიველირების“, ე. ი. გეშტალტის ნაწილების კონსოლიდაციის მიმართულებით. თუმცა პირველი შეხედვით ცვლილებები სრულიად სანიშნააღმდეგო ხასიათისაა, მაგრამ ორივე შემთხვევაში ცვლილება უკეთესი გეშტალტისაკენ არის მიმართული. მაშასადამე, მეხსიერებასაც გეშტალტკანონები წარმართავენ; „დავიწყების“, „ნარმოდგენათა შენახვის“ პროცესები სხვაგვარად უნდა იქნას წარმოდგენილი და არა ისე, როგორც აქამდის იყო.

საგულისხმოა, რომ გეშტალტ-კანონის ორბიტაში უფრო „მაღალი ფსიქიკური პროცესები“ – აზროვნების პროცესები – მოექცა. აზროვნების პროდუქტები – „აზრგეშტალტებია“, აზროვნების პროცესები ისეთივე გეშტალტპროცესებია, რომლებიც აღქმის სფეროში მოქმედობენ. ისინი იმდენად ახლო არიან ერთმანეთთან, რომ „პრინციპულად მათ შორის იდენტობა სუფევს“ და „ძალაში რჩება ყველა წინათ გამოყვანილი გეშტალტ-კანონები“ (Koffka). აზრგეშტალტები, სხვა რომ არა იყოს რა, იმიტომ ენათესავენებთან აღქმის გეშტალტებს, რომ „მრავალი ადამიანი აზროვნების პროცესში სივრცითი სქემებს ხმარობს ხოლმე“ და აზროვნებითი ამოცანები ასეთ სქემებს წარმოშობენ“. ამას გარდა: „ძლიერ ბევრია ისეთი გეშტალტი, რომ ვერც კი იტყვი, აღქმის გეშტალტია იგი თუ აზროვნების გეშტალტი“. ლოგიკური კავშირები – გეშტალტ-კავშირებია, ლოგიკური პროცესები – მსჯელობა, დასკვნა და სხვ. – გეშტალტ-პროცესებია.

ჯერ კიდევ მომავალი კვლევის საქმეა „აზრგეშტალტების მთავარი ტიპების გამორკვევა, – ამბობს ვოფფკა, – მაგრამ ძირითადი გეშტალტკანონი აზროვნების უთუოდ გეშტალტის „დახურვა-დასრულების კანონი“ (der Schliessung) უნდა იყოს. რა არის ამოცანა, პრობლემა, საკითხი? ეს არის დაუმთავრებელი, ღია, ხარვეზოვანი აზრ-გეშტალტი. ამოცანის, პრობლემის გადანყვეტა კი გამოიხატება ამ ხარვეზების ამოვნებაში, გეშტალტის დახურვა-დასრულებაში: „გეშტალტი წარმოშობს ამ ხარვეზების ამოვსების ძლიერ ტენდენციას“.

Wertheimer (über das production Denken) აანალიზებს დასკვნის პროცესს. აქ საქმე გვაქვს, – ამბობს იგი, – „სტრუქტურ-ოპერაციებთან“: „გამოკვეთა“ ამა თუ იმ მომენტისა, „გაერთიანება“, „ცენტრის გადანაცვლება – და ამის შედეგად „მთელის შინაგანი სტრუქტურ-აგებულების, შინაგან აუცილებლობათა წვდომა“.

Kohler-ის ცნობილ გამოკვლევაში (აღამიანისმაგვარ მაიმუნების ინტელექტის გამოკვლევა“ (1917). მკითხველი იპოვის ინტელექტუალურ გეშტალტ-პროცესების მრავალ ილუსტაციას და ამას გარდა დაინახავს, თუ როგორ გადაათვალიერა გეშტალტფსიქოლოგიურმა სკოლამ „ინტელექტის პრობლემა, მისი რაობისა და გენეზისის საკითხი.

გენეტიურის მხრით მნიშვნელოვანია აგრეთვე Koffka-ს ზემოხსენებული ნაშრომი „ფსიქიკური განვითარების საფუძვლები“, რომლის ძირითადი იდეა ის არის, რომ მთლიანობა, გეშტალტი, „სტრუქტურული ფუნქცია“ გენეტიურადაც პირველადია (ბავშვი, ცხოველი).

რომ მკითხველისათვის მთლად ნათელი გახდეს გეშტალტის იდეა, საჭიროდ ვთვლით მოვიხსენიოთ კიდევ რამდენიმე ფაქტი, სადაც ერთი ახალი მომენტი იჩენს თავს.

მოქმედებასა და აღქმასა თუ აზროვნებას შორის, ამბობს Koffka, „უმჭიდროესი კავშირია; ხელოვნურია ამ ორი სფეროს ერთი-მეორისაგან დაცილება. ისინი ერთიმეორესთან არიან დაკავშირებული, მაგრამ ისე კი არა, როგორც ორი სვეტი ერთმანეთს ბანრით რომ გადააბა, არამედ ისევე, როგორც ხელები და ფეხები, ე. ი. ისინი ერთ დიდ მთელს ეკუთვნიან. – მეორე ადგილას იგი ამბობს: „კავშირის სენსორულ და მოტორულ მოქმედებათა კავშირი ჩვენ გვესმის როგორც მთლიანი პროცესი,

სადაც მოტორული და სენსორული კომპონენტები როდი არი-  
ან დამოუკიდებელი ერთიმეორისაგან“. როგორია ეს მთლიანი  
პროცესი? არჩევს რა ბგერაზე თავის მიბრუნების რეფლექსს,  
Koffka დაასკვნის: „ვიხილავთ რა ამ პროცესს, როგორც მთელს,  
სენსორულს და მოტორულს, როგორც ერთიანობას, ჩვენ აქ ვხ-  
ვდებით იმავე გამარტივების ტენდენციას, რომელიც ჩვენ წინათ  
გეშტალტკანონად მიგვიჩნევია“.

აქაც მთლიანობაა და გეშტალტკანონი, მაგრამ ჩვენთვის  
ახალი აქ ის არის, რომ მთლიანობის ცნება აქ გაფართოებულია  
წინანდელთან შედარებით. აქ უკვე ლაპარაკია პიროვნების ორ  
სფეროს შორის არსებულ მთლიანობაზე; აქედან ერთი ნაბი-  
ჯია პიროვნების სრულ მთლიანობამდის. საკმარისია მკითხ-  
ველმა კვლავ გადახედოს ამავე კრებულში მოთავსებულ Wert-  
heimer-ის წერილს: „გამოცდილება მთლიანი რამაა და მთლიანად  
უნდა იქნას გაგებული. ადამიანის მოქმედება, ქცევა, „თვისე-  
ბების“ შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ მთელში, „მთლიანკ-  
ანონების“ საშუალებით. „მაგრამ თეორიისათვის გაცილებით  
უფრო მნიშვნელოვანია ზრდა, ხასიათის ჩამოყალიბება. მთლიან  
დინამიკურ პროცესშიო“ – ამთავრებს თავის წერილს ავტორი.

მაგრამ მთლიანობას უფრო ფართო სარბიელი აქვს. „ის  
ნიშნები, რომელბსაც ჩვენ აფექტურს ვეძახით ხოლმე, წარმოად-  
გენენ ზოგჯერ თვით აღქმის თვისებას“. „საშიშარობა ისეთივე  
თვისებაა საგნისა, როგორც მისი სიშავე“ (Ein Ding so gut unheim-  
lich, wie es schwarz ist - Koffka). ამ ძირითად აზრზეა აგებული მოძ-  
ღვრება აფექტის ნებისყოფის ინსტიქტური მოქმედების შესახებ.  
ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ ხაზი გავუსვათ იმას, რომ მთლიანობა,  
„მთლიანკანონი“ და „მთლიანპროცესი“ აქ ადამიანსა და გარე-  
მოს შორისაც იგულისხმება, ასე ვთქვათ გარეთაც არის გატ-  
ანილი. ამასვე ამბობს Wertheimer, როცა იგი იმავე წერილში „ად-  
მიანის და სიტუაციის მთლიანობაზე“ და ფსიქოპატი-ბავშვების  
გაგებასა და მკურნალობაზე ლაპარაკობს. კანტის სახელობის  
საზოგადოებაში წარმოთქმულ სიტყვაში (1924) Wertheimer ამ-  
ბობს: „ადამიანი მის გარემოს პირისპირ დგას და ის, რაც ამ  
გარემოში ხდება, დამოკიდებულია არსებითად იმაზე, რომ ამ  
ველს ტენდენცია აქვს, აზრიანი იყოს, მთლიანი იყოს, შინაგანი

აუცილებლობით მოქმედობდეს და რომ ხშირად ძლიერ ძნელია, ეს აზრიანობისაკენ, კარგი გეშტალტისაკენ განწყობილი ველი დაარღვიო ან და სხვა გეშტალტი მოახვიო თავზე... ამ ჩემი „მე“-თი მხოლოდ ნაწილი ვარ ამ ველისა... ნაწილი, რომელიც მის მთლიან ხასიათს ატარებს და მასში თავის რეაქციებს ახდენს.“

მაგრამ ადამიანი უფრო დიდი მთლიანობის ნაწილია – ადამიანთა საზოგადოებისა, როგორც „აზრიანად მომქმედი ნაწილი მთელისა“ და შემდეგ მთელი კულტურის, გონის ისტორია. ბოლოს და ბოლოს მსოფლიოც გაუგებარია, თუ მას მისი „შინაგანი კავშირების“ მხრით არ მიუდგა მეცნიერებაო, ამბობს Wetheimer.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, მთლიანობა, გეშტალტი მხოლოდ ფსიქოლოგიური კანონი და კატეგორია კი არ ყოფილა, არამედ უნივერსალური. ფსიქიკური სამყარო ჩაქსოვილია ამ უნივერსალურ მთლიანობაში და მხოლოდ ამ მთლიანობაში გაიგება. ამიტომ უნდა მოიხსნას „გონისმეცნიერებითი“ და „ბუნებისმეტყველებითი“ მეთოდების სხვაობის საკითხი განსხვავება „ახსნითი“ და „გაგებითი“ მეთოდებისა.

მაგრამ ეს დებულება გასაგები იქნება ჩვენი მკითხველათვის მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ სკოლის „ფიზიოლოგიურ თეორიასაც“ გავიცნობთ. აქ კი რამდენიმე სიტყვა იმის შესახებ, თუ რა გზით ცდილობს გეშტალტთეორია შეარიგოს „სუბიექტური“, „თვითდაკვირვების ფსიქოლოგია“ და „ობიექტური ფსიქოლოგია“, ბეჰავიორიზმი, რომ ბოლო მოუღოს „ფსიქოლოგიის კრიზისს“.

ექსპერიამენტალური ფსიქოლოგიაც და ბიჰევიორიზმიც არსებითად ანალიტიური გზით მიდიან. ერთმაც და მეორემაც მოგლიჯეს ფსიქიკური სამყარო არაფსიქიკურს. ამიტომაც არის, რომ „ჩვენ ველარ დაგვიმყარებია კოორდინაცია ობიექტურ და ფენომენურ სამყაროს შორის“ (Koffka).

თვითდაკვირვებისა და ანალიზის გზით მიმავალმა ფსიქოლოგიამ ვერ დაინახა, რომ „ფიზიკური და ფსიქიკური ქცევა მხოლოდ ფაქტებია, რომლებიც უფრო ფართო მთლიანობათა ნაწილებს შეადგენენ“. „ეს მთლიანობები ანალიტიური დაკვირვებისათვის დახშულია“. ნამდვილად კი „ჩვენ ვერ დავაც-

იღებთ ერთიმეორეს ცნობიერსა და ცნობიერებას მოკლებულ პროცესებს", არამედ უნდა „გადავცდეთ ამ დიდი მთლიან-პროცესის ცნობიერი ნაწილის ფარგლებს“, რადგან ისინი მთელი ჩვენი ქცევისას მხოლოდ ნაწილს წარმოადგენენ. ხელი უნდა ავიღოთ „ფსიქოლოგიურ ანალიზზე, როგორც იგი აქამდის ესმოდათ“ და დავადგეთ „ინტეგრალურ და ფუნქციონალურ“ გზას. „ორგანიზმი მის გარემოში ავიღოთ და შევისწავლოთ ყველა მისი რეაქციები“. ნურც დავშლით და ნურც გაავანალიზებთ მათ, რადგან ჩვენ ამით ვამახინჯებთ სინამდვილეს. აღვწეროთ ისე, როგორც არის და რაც არის; არის კი მხოლოდ მთლიანობა. ფსიქოლოგიური აღწერა, თვითდაკვირვება მოიხსნება, ოღონდ „ფსიქოლოგიური მეთოდის ძირითადი პრინციპი უნდა იყოს – ჩვენი დესკრიპციული დებულებების შემონახვა ობიექტური, ფუნქციონალური მეთოდით“. მაგალითად, დავა ძირითადი ფერების შესახებ შეიძლება ფუნქციონალური მეთოდით გადაწყდეს – Kohler-ის ცნობილი ცდების საშუალებით, რომლებიც მან მაიმუნებზე და ქათმებზე აწარმოვა. რუხი ფერების ნაცვლად ავიღოთ ეს ფერები და „მათი ფუნქციონალური ეფექტი“ – ცხოველის რეაქცია, ქცევა დაგვანახვებს, სწორია თუ არა ჩვენი აღწერა და თვითდაკვირვება. დესკრიპციული ფაქტები, მეორე მხრით, „გვითითებენ ამ მთელის სხვა ნაწილებზე“, რადგან ისინი დიდი მთელის ერთს „ჩვენთვის ცნობილ“ ნაწილს წარმოადგენენ მხოლოდ. ბგერების სუქცესიური შედარების დროს მეორე ბგერა განიცდება როგორც „უფრო ძლიერი“, თუმცა პირველი ცნობიერებაში აღარ არის. ჩვენ კი ვერ დავაცილებთ ერთიმეორეს – ცნობიერს და არაცნობიერს და დესკრიპციული ფაქტიდან ფუნქციონალურ ცნებებზე გადავდივართ.

ასეთია „სანდო თვითდაკვირვების საერთო საფუძვლები“. ასეთივე საფუძვლები აქვს სანდო ობიექტურ დაკვირვებასაც, არც იგი იხსნება, ოღონდ სხვა სახეს ღებულობს ამ ახალ კონტექსტში.

ბეჰავიორიზმიც ანალიტიურ გზას ადგია, ქცევა მან „ელემენტარულ მოქმედებებზე დაშალა“. ამიტომაც არის, რომ ქცევა მაინც გაუგებარი რჩება და რომ „ასეთი აღწერა – ეს ცხოველი რაღაც საფრთხეს გაურბისო, – რა გინდ რო უსრულო არ იყოს

იგი, მაინც ათასჯერ უკეთ ახასიათებს ცხოველის ქცევას, ვიდრე ფორმულა, რომელიც გვაძლევს მისი ოთხივე ფეხის მოძრაობას, მათი სისწრაფის ცვალებადობებს, სუნთქვის, პულსის და სხვ. მრუდეებს.“

ხსნა აქაც „ფართო მთლიანობებშია“: ფიზიკური და ფსიქიკური ქცევა მხოლოდ ნაწილებია. ამ მთელის ბუნების გასაგებად საჭიროა სულ სხვა მიდგომა: „ადამიანთა დიდი ცოდნისა, ბრძენი, მოხუცი ექიმისა, ჭკვიანი დიპლომატისა ანდა – „ინტუიტიური პოეტისა“. ფიზიკური და ფსიქიკური მდგომარეობანი, რომლებიც ერთ მთლიან პროცესს ეკუთვნიან, ბევრ რამეში გვანან ერთმანეთს. „ასეთი აღწერა, როგორც: ზუსტი ან გაურკვეველი, სწრაფი და ნელი, მტკიცე და მერყევი – ფენომენალურ რეაქციებსაც უდგება და ფიზიკურ მოქმედებებსაც.“ ჩვენ ვხედავთ ორგანიზმის მოძრაობებს. ეს მთლიან-პროცესები გამოიწვევენ ჩვენში ასეთივე მთლიან პერცეპციულ პროცესებს. პიანისტის სულისკვეთება თითების საშუალებით მუსიკად იქცევა, მსმენელში კი ეს მუსიკა კვლავ იმავე სულისკვეთებას ბადებს.

ამგვარად, თვითდაკვირვების და ობიექტური დაკვირვების დილემაც მოხსნილია; იგი ყალბად დასმული საკითხია. ასევე ყალბია ვიტალიზმისა და მექანიზმის დაპირისპირება და „თელეოლოგიზმის“ პრობლემა ახლა ადვილად გადაწყდება: ნაწილი მხოლოდ მთელშია და „მთლიანკანონოზმიერად“ იცვლება. მას არა აქვს და არც უნდა ჰქონდეს საკუთარი მიზანი. მეორე მხრით არც ვიტალიზმია მართალი: იგი იმ აზრიდან გამოდის, რომ ფიზიკალური, არაორგანული სამყარო თავისთავად „ბრმა, კენტ-კენტი, შეკონინებული, მექანიკური ხასიათისაა“. მაგრამ ეს ასე არ არის: ფიზიკალურიც, არა თუ მხოლოდ ორგანული, არაორგანულიც – მთლიანია. ამიტომ ფიზიკურისა და ფსიქიკურის ურთიერთობის ძველი პრობლემაც ახლა მთლიანობის თვალსაზრისით უნდა გადაწყდეს და ფიზიკური და ფსიქიკური პროცესები უნდა წარმოდგენილ იქნან – როგორც „გეშტალტი-დენტურნი ან გეშტალტმონათესავენი“.

ეს უკანასკნელი აზრი Wertheimer'ზე ადრე K. Gler'მა წამოაყენა და საჭიროა მოკლედ მაინც გავითვალისწინოთ მისი ნააზრევი (*Physische gestalten in Ruhe und imastation ren Zustand.* 1920).

მისი ამოცანაა – გეშტალტს, გეშტალტის იდეას მტკიცე დასაყრდენი მოუნახოს და მას სრული სამოქალაქო უფლება მოუპოვოს მეცნიერებაში. ამისათვის საჭიროა არაორგანულ ბუნებაში მოიძებნოს გეშტალტი ან მისი მსგავსი რამ, რომ გეშტალტის ცნებას ისეთივე სიმტკიცე და დამაჯერებლობა მიენიჭოს, როგორც ფიზიკის ცნებებს აქვს. საჭიროა დამტკიცდეს, რომ გეშტალტს ნამდვილი რეალობა ეკუთვნის არა მხოლოდ „მერყევ და არასანდო განცდათა დაკვირვების სფეროში, არამედ ფიზიკალურ მოვლენათა სფეროში, ფიზიკაში, როემლიც უმტკიცეს და უზუსტეს მეცნიერებად ითვლება.

და მართლაც, არის ისეთი სფერო ფიზიკალური მოვლენებისა, სადაც ადგილი აქვს გეშტალტს. ეს არის ის სფერო, ის დარგები ფიზიკისა, სადაც „განანევრებულ სისტემებთან“ გვაქვს საქმე: ელექტრობა, თერმოდინამიკა, დენადობის მოვლენები: გინდ სითბოსი, გინდ ელექტრობის და ჰიდრო-დინამიკურ, გინდ დიფუზიური დენადობა იყოს. ასეთ შემთხვევებში ჩვენ ნამდვილად „სისტემასთან“, „მთელთან“ გვაქვს ასქმე. თითოეული ნერტილი მთელი სისტემისა მომენტს წარმოადგენს მხოლოდ. დენის, ენერჯიის, პოტენციალის განანევრებულობა შემოფარგლული და შინაგნად დასრულებული ხასიათისაა, ისე რომ „ერთ ადგილას მომხდარი ცვლილება პრაქტიკულად ყველა დანარჩენს ცვლის“, მაშასადამე, მთელი სისტემის რეაქციას და ცვლილებას იწვევს. ჩვენ რომ ელექტროგამტარის ერთ ადგილას შევცვალოთ ელექტროდატვირთვის ოდენობა, შეიცვლება მთელი სისტემის დატვირთვა. მეორე მხრით მთელს თავისი დამახასიათებელი თვისებები აქვს და ისინი ნაწილთა თვისებების შეჯამებით ვერ მიიღება. ელექტროგამტარში ელექტრობის „განანევრება“ დამოკიდებულება მხოლოდ მისი ფორმისაგან, „ტოპოგრაფიისაგან“, ე. ი. მთელის რაგვარობისაგან, ყოველივე ცალკე გამტარს როგორც მთელს, თავისი „საკუთარი სტრუქტურა ექნება“. ეს საკუთარი სტრუქტურა ვერც დაიყოფა ნაწილებად და ვერც „შედგება“ ნაწილებიდან, რადგან ყველა სტრუქტურ-მომენტები ერთიმეორის მიერნი არიან, მომენტი მთელის მიერია და მთელი მომენტების მიერია. ეს საკუთარი სტრუქტურა არ არის დამოკიდებული არც მასალაზე, არც დატვირთვის აბსოლუტურ ოდე-

ნობაზე; მას კვანტიტატური ტრანსპოზიციის უნარი აქვს. იგი არ არის დამოკიდებული ფორმის, „ტოპოგრაფიის“ აბსოლუტურ მაჩვენებლებზე, არამედ დამოკიდებულია რელატიურ მაჩვენებლებზე და ამიტომ მას „სივრცითი ტრანსპოზიციის უნარი აქვს. როგორც სტრუქტურა იგი მხოლოდ მთელშია და ერთი ცენტრიდან „თვითორგანიზირდება“ და სხვ. ამას გვასწავლის ფიზიკა ელექტრობის შესახებ. იგივე ითქმის სხვა „განწევრებულ სისტემებზედაც“, რომლებიც ზემოთ მოვიხსენიეთ.

ერთი სიტყვით, ფიზიკალურ სამყაროშიც ყოფილა მოვლენები, რომლებიც მთლად ისეთივე ნიშნების მატარებელი არიან, როგორც ფენომენალური, ფსიქიკური გეშტალტები. მაშასადამე, არსებობს ფიზიკური გეშტალტებიც.

ახლა გაიხსნა გზა იმ „უშუალო ფიზიოლოგიური რეპრეზენტანტის“ მოძებნისა, რომელსაც Wertheimer ეძებდა. როგორც ვნახეთ, Wertheimer-მა ვერ სძლია მაინც „სინთეტიურ“ გზას და მისი „მთლიანი“ ფიზიოლოგიური პროცესი ნამდვილად მხოლოდ „გამთლიანებული“ პროცესი იყო და მაინც ნაწილობრივი პროცესების რეზულტანტს წარმოადგენდა.

ახლა კი სხვა მდგომარეობაა. თუ კი ფიზიკურშიც არსებობს გეშტალტ-პროცესები, ადვილად შეგვიძლია დავუშვათ, რომ ნერვულ სისტემაშიც არის ასეთი გეშტალტ-პროცესები. მაგალითად, ოპტიკური გეშტალტის აღქმისას თვით პერიფერიულ აპარატში – რეტინაზე – იმთავითვე მთლიანი პროცესი, გეშტალტ-პროცესი ჩნდება და შემდეგშიც ეს მთლიანი პროცესი იმავე სახით ცენტრალურ სფეროებზე გადადის, ასე რომ მთელი ოპტიკური სექტორი – პერიფერიიდან დანყებული ვიდრე ცენტრალურ სფერომდის – ერთ მთლიან დაგეშტალტებულ ველს წარმოადგენს, ისევე როგორც ვთვით, ელექტრო-ველი.

ეს ფიზიოლოგიური გეშტალტ-პროცესი, თანამედროვე ფიზიკალური ქიმიის მონაცემთა ნიადაგზე წარმოდგენილი უნდა იქნას, – როგორც ელექტროქიმიური პროცესები. ფიზიკალურ გეშტალტებს, როგორც ვიცით, „საკუთარი სტრუქტურა“ და მთლიანკანონი აქვს, საკუთარი „თვითდანანევრება“ აქვს. „ეს დანანევრება, – ამბობს Kögler-ი, – უნდა ვიფიქროთ, ოპტიკური პროცესის სპონტანური თვითდანანევრებაა – მისი საკუთარი

ფიზიკალურ-ქიმიურ თვისებათა და ძალთა წყალობით“.

ამ შემთხვევაში Kögler-ი მხოლოდ ოპტიკურ პროცესზე ლაპარაკობს, მაგრამ ეს „სპონტანური თვითდანანევერება“ საერთოდ ყოველ ფიზიოლოგიურ გემტალტს ახასიათებს და მოძღვრების არსებითს, ცენტრალურ და ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს. ჯერ ერთი, როგორც იგი თვითონვე ამბობს, უკუგდებული და დარღვეულია ძველი მექანიკური წარმოდგენა, რომელსაც ეს პროცესი სუმატიური სინთეტიური გზით გამოყავდა: ცალკე წერტილთა ალგზნებანი, ამ ცალკე ალგზნებათა ცალ-ცალკე გატარება, ნერვული „გზები“ და სხვ. და სხვ.

მეორე მხრით მართლაც და ახსნილის ფენომენალური, ფსიქიკური გემტალტი. ახლა გასაგები ხდება ის ფაქტი, რომ „ჩვენ საგნებს, როგორც ერთეულებს აღვიქვამთ და არა როგორც შეგრძნებათა მოზაიკას“, რომ ოპტიკური ველი მთლიანი და მთლიანმონესრიგებლია და სხვ. და სხვ. – საერთოდ, რომ ფსიქიკური მთლიანია. ფსიქიკური მთლიანია მიტომ, რომ მისი „კორელატიც“ – ფიზიოლოგიურიც მთლიანია. უამისოდ ძნელი გასაგებია და ძლიერ საეჭვოა ის მთლიანკანონი, გემტალტკანონი, რომელზედაც ზემოთ იყო ლაპარაკი. ძნელი გასაგები და საეჭვო იყო, რადან ეს მთლიანკანონი მხოლოდ ფსიქიკურში იყო, სხვაგან კი – და ფიზიოლოგიურში კერძოდ – ელემენტები, ნაწილების და მათი ნაწილკანონები იყო. ახლა კი ფიზიოლოგიურიც მთლიანია და მასაც მთლიანკანონი ჰქონია. „სპონტანური თვითდანანევერება – მისი საკუთარი ფიზიკალურ-ქიმიურ თვისებათა და ძალთა წყალობით“. ასეთივე სპონტანური თვითდანანევერება მის საკუთარ ფსიქიკურ ძალთა და თვისებათა წყალობით. ყველა ამას მოწმობს ის გემტალტფაქტები, რომლებიც ჩვენ ზემოთ მოვიყვანეთ საილუსტრაციოდ.

ფსიქიკურში ჩვენ „ფიგურა-ველის“ დისპოზიცია, მთლიანკანონი და „თვითდანანევერება“ ვნახეთ. ფიზიოლოგიურშიც ასეთივე მთლიანკანონი და „თვითდანანევერება“: რეტინაზე ორ გვარი პროცესი ხდება, ერთი იქ, სადაც ფიგურა აღიქმება და მეორე მის გარშემო, სადაც ველია. ფიგურის კონტურებზე სპეციფიკური ელექტრომოტორული ძალები ჩნდება;

ელექტროენერგია ნაწილდება ისე, რომ ფიგურაში იგი უფრო „მჭიდროა“, ვიდრე ველზე და სხვ. – ყოველივე ეს ხდება, საკუთარი ფიზიკალურ-ქიმიური თვისებების დაძალების“ გამო. მეორე მხრით, Rubin'იც იმის პარალელურ ფენომენოლოგიურ თვისებებს აღწერს: „ფიგურა უფრო გამოკვეთილია, საგნობრივია, კონტური ფიგურას ეკუთვნის და არე – ველს; ფიგურა უფრო გემტალტურია და სხვ. და სხვ.

ჩვენ ზემოთ ვლპარაკობდით „უკეთესი გემტალტის“ ტენდენციაზე. მასაც თავისი კორელატიური ტენდენცია აქვს ფიზიკალურ სფეროში, რომელიც ფიზიკის ცნობილ კანონზე არის დაფუძნებული: ენერგიის მინიმუმის, ენტროპიის პრინციპზე. ცნობილია: რომელიმე გეომეტრიული ფიგურის მსგავსად დახვეულ წვრილ ლითონის ძაფში რომ ძლიერი ელექტროდენი გაატარო, ეს ფიგურა ამოძრავდება და იმოძრავებს მანამდის, სანამ წრისებურ, ე. ი. უმარტივეს სიმეტრიულ და ეკონომიურ ფორმას არ მიიღეს. ამგვარად, უკეთეს გემტალტის ტენდენციას ფსიქიკურში ასეთივე პარალელური ტენდენცია ახლავს ფიზიოლოგიურშიც და ასე ყველგან.

**დოც. ა. ბოჭორიშვილის ნერილში ხმარებული  
ლიტერატურის შემოკლებული სახელების განმარტება**

1. Comerliius, I - Psychologie als Erfahrungs - Vissenschaft, 1897.
2. II – Über gestaltqualitäten-Zeit schrift f Psychologie. Bd. 22. H. 2 s. 101-121.
3. III – Grundlagen der Erkenntnistheorie (Transcendentale sistematik), 1926.
4. Geysler – Die Seele, 1914.
5. Ipsen I – Über gestaltauffassung. Erörterung des sanderschen Parallelograms. Neue psychologische Studien Erster Band. 1926.
6. II – Zu Theorie des Erkennens. Untersuchungen über Gestals und Sinn sinnlosen Wärter. N. ps. St. I Band.
7. Krueger, I – Die Theorie der Konsonanz Wundts psychologische Studien Bd. II, H. 3-4.
8. II – Der Strukturbegriff in der Psychologie. Bericht über d. VIII Kongress f. exper. Psychologie in Leipzig. 1924.
9. Krueger, III – Das Wesen der Gef ühle, Entwurf einer systematischen Theorie, Archiv f. Ges. Psychologie, Bd. 65. H. 1-2 \_ 1928.
10. IV – Über psychische ganzheit N. ps. Studien, Bd. I, 1926.
11. Über Entwicklungspsychologie, 1915.
12. Linke – Grundfragen der Wahrnehmungs lehre, 1918.
13. Hermann – Gesamterlebnisse bei gerüchen. N. ps. Studien, Bd. I.
14. Sander, II – Experimentelle Ergebnisse der gestaltpsychologie. Ber. u.d. X. Kon. f. exp. Psychologie in Bonn. 1927.
15. I – Wundts Prinzip der schöfferischen Synthese. Wilhelm Wundt, Eine Würdigung. 1924.
16. Volkelt, H. I. – Über die Vorstellungen der Tiere, 1914.
17. II – Pädagogische Anwendungen der genetischen ganzheits psychologie. Ber. u. d. XI Kong. f. ixp. Psychologie in Wien. 1929.
18. Volkelt, III – Новые исследования восприятия и передачи детьми форм – экспериментальная психология дошкольника. 1930.
19. IV – Fortschritte der experimentellen Kinderpsychologie. Ber. u. d. IX exp. Psychologie in München, 1926.